შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწვრილია: „დასრულდა. ს. ფერშანგოვი“.

2. S—2531 ხელნაწერშიც ამ ლექსის ავტორად დასახელებულია ს. ფერშანგოვი.

29. (გ. თუმანიშვილი, ლექსი).—
„საბრალო არს გულმოწყლული, ვერა სჭვრეტდეს საყვარელსა,
ყოვლი ცნობა მიხდომოდეს, კულავ შესტროფოდეს სულ[ის]
მხედელსა...“ 36—37 გვ.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. გ. ე. თუმანოვი“.

30. [ს. ფეშანგიშვილი, ლამაზო. უფასო ლალო].—
„ალმასო, უფასო ლალო ბადრო შენ სრულო...“ 38—39 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ტრ. რუნაძე; ძვ. ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 210—211).

31. [ლექსი].—
„სირინ სუფთა სირინოზებრ სვეტს სიწლოთი სარისარობს...“ 39 გვ.

32. [ლექსი].—
„კალამს იღებს კოხტურათ, ოპრა მშვენიერათა სწერს,
ყველასა გთხოვთ უყურეთ იმისს ბროლისა თითებს...“ 39 გვ.

33. [ლექსი].—
„სარდალს ობოლს სასოებით ოცნებით წიგნი მივწერე,
მოყვრისა პირის მჭვრეტელი ვზი ამოდ მოლხინარია...“ 39 გვ.

34. [ალ. ჭავჭავაძე, უწყლვი ვარ ჭირთა].—
„უწყლვი ვარ ჭირთა მალვას...“ 40—41 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. ა. გ. ჭავჭავაძე“.
2. ლექსი გამოცემულია (ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, 26 გვ.).

35. [ლექსი].—
„რომელთაგან მქონდა სიამე შეება:
აწ მევა მათ უქმენ თავშემოვლება...“ 42—43 გვ.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. ა. გ. ჭავჭავაძე“.

36. „მუხამბაზი.—
მართლად ბაფა არა აქვს ამ დრომ(!) მეგობრობასა,
არც მტკიცე სიყვარულსა არც ჭეშმარიტს ძმობასა...“ 44 გვ.

37. (თ. პ. თუმანოვი), „გარიელი.—
დახე სოფლის ბრუნვასა
ვით მუხთლად გაძლევს ჭმუნვასა...“ 45 გვ.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. პ. თუმანოვი. თავადი პავლე თუმანიშვილი იყო მეგობარი თავად ალექსანდრე ვახტანგისძის ჯამბაკურთან-ორბელიანისა 1830 წლებში“.

38. (ალ. ჭავჭავაძე), „თეჯლისის ბაიათი.—
როს გიყვარდი, სურვით შეყვარებულსა,
მე სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად...“ 46 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. ა. გ. ჭავჭავაძე“.

2. ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 94).

39. [ლექსი].—
„დავლევთ და დავლევთ ღვინოსა, ვადღეგრძელებთ და მოვიგონებთ.
ბროლსა ლალსა და იასა...“ 46 გვ.

40. [ლექსი].—

„ემზით მე ვარ, ის არა,
ტანალჯადმან ისარრა...“ 47—49 გვ.

41. [ლექსი].—

„მივირს თავი, ტანი, ტერფი ესრეთ ვითა ამაზნეს,
ზრო ტანისა უსულითა ისაროვნეს, არ ევაზნეს...“ 50 გვ.

42. (ბ. გაბაევი), [იადონს ის ევარდა].—

„იადონს ის ევარდა
და სუმბულს ის ევარდა...“ 51—52 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. ახ. ბ. ზ. გაბაევი“.

2. ლექსი გამოცემულია (იხ. ბ. გაბაევილი, თხზულებათა სრული კრებული, 1932, გვ. 22).

43. [დავით გიორგის ძე ბატონიშვილი, შენი დისკო].—

„გულს ასხივე შენი სხ[ი]ვი, მზეგ...“ 53—54 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. მ. გ. ძე დავით“.

2. ლექსი დაბეჭდილია (იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, 120—121 გვ.).

44. [ლექსი].—

„თუ განმიფრინდი ჩემად სიცოცხლევ,
მეცა დავითხრი მწირსა თვალეზსა...“ 54 გვ.

45. [ბესარიონ გაბაშვილი. ეტლზედ].—

„ეტლ სივრცით ცას გვარობს, თუ ვინ ჰყუა გზასა...“ 55 გვ.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ბ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1932, გვ. 70).

46. [დიმიტრი თუმანიშვილი, ფას მუხალიფათაც ითქმის და თახმისათაც].—

„მეკეთა იგი პირ-მანგი, ატმოსფერაჟთ მოცული...“ 56—57 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. დ. ი. თუმანიშვილი“.

2. ლექსი დაბეჭდილია (იხ. დიმიტრი თუმანიშვილი, ლექსები, 1938, 35—36 გვ.).

47. [დ. თუმანიშვილი].—

„ვენახე პირმზე ბაგე ვარდობს და ლალობს...“ 58 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. დ. ი. თუმანიშვილი“.

2. ლექსი დაბეჭდილია (იხ. დიმიტრი თუმანიშვილი, ლექსები, 1938, 39—40 გვ.).

48. [დიმიტრი თუმანიშვილი, ვასეთ მიაარემის ხმაზედ, ზანდის სპარსულია, შუა შემოვიყვან].—

„ტრფიალთ დამწველი, ტრფიალთ დამწველი...“ 59—60.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა თ. დ. ი. თუმანიანი“.

2. ლექსი გამოცემულია (იხ. დ. თუმანიანიშვილი, ლექსები, 1938, 54—55 გვ.).

49. [ლექსი].—

„როგორ გიტრო შენ, ჩემო ბედო,
მარადის ჩემთვის უკუღმო ბედო...“ 60 გვ.

50. [დიმიტრი თუმანიანიშვილი, გოკარის ხმაზედ].—

„მომაშორება სახემან [მზეს] მცხინვარესა...“ 61—62 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. დ. ი. თუმანიანი“.

2. ლექსი გამოცემულია (იხ. დ. თუმანიანიშვილი, ლექსები, 1938, 62—63 გვ.).

51. [ლექსი].—

„მშენიერო თვის ვარდო, ახყავედები(!) მშენიერათ...“ 62 გვ.

52. [დიმიტრი თუმანიანი, მუხამბაზი].—

„სევდისა ლაშქარი შემომიხდება...“ 63—64 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. დ. ი. თუმანიანი“.

2. ლექსი გამოცემულია (იხ. დ. თუმანიანიშვილი, ლექსები, 1938, 31—32 გვ.).

53. [ლექსი].—

„მე არ მინდა ოჯახი, იყოს კეკლუცი ბიჭი...“ 64 გვ.

54. [დიმიტრი თუმანიანი, ნავაი ნიშაბურის ხმაზედ].—

„დილის ნიავმა მომართა. ამბავი სასურველი...“ 65—66 გვ.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა. თ. დ. ი. თუმანიანი“.

2. ლექსი დაბეჭდილია (იხ. დიმიტრი თუმანიანიშვილი, ლექსები, 1938, 103—104 გვ.).

55. [მზეცაბუჯ ორბელიანი, ძეობაში თქმული].—

„ალმკული ერასა(!), უცხოდ მზასა, მზევ შინ შემოდო...“
67—68 გვ.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. ანთოლოგია, ტ. II, 1928, 247 გვ.).

56. [ლექსი].—

„არა გშენის სამღურავი,
არცა ერთგულს მოტრფესავი...“ 69—70 გვ.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „თ. გ. ი. ბაგრატიონი“.

57. [ლექსი].—

„ვაშლი მედგა სურვილისა,
შედეგი ფენი შავ ხარესა...“ 69 გვ.

შენიშვნა: ლექსი კრებულში შეტანილია ფანქრით.

58. [ლექსი].—

„ვარდო, ადგე, ნუ ოხრამ,
ბულბული განახამს ხშირათ...“ 69 გვ.

59. [ლექსი].—

„გუშინ ბიჭმა...
ჩვენი ეზო გადიარა...“ 69 გვ.

შენიშვნა: კრებულში ეს ლექსი ფანქრითაა შეტანილი.

60. „შროშანი.—

გახაფხულის შროშანო,
გთხოვ ტკბილად ილუღუნო...“ 70 გვ.

61. [ლექსი].—

„დედისერთა ვარ, ნუ მამკლამ,
ნუ დამანანებ სოფელსა...“ 70 გვ.

შენიშვნები: 1. კრებულში ეს ლექსი შეტანილია ფანქრით.

2. ხელნაწერი აღწერილია ექ. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, ტ. II, 458—461 გვ.).

მინაწერები: 1. „სიმღერები, ვლადიმერ ჯანდიეროვი, სოფ. ვარნაძიანის-
დამ“ (46 გვ.).

2. „ესე არს საკანი ჩემი დამასა შინა დავემკვიდრე,
უდროთ მოვშორდი ამ წუთისოფელს,
ვერ ვიხილე მისი კეთილი;
გაუმწარე დღენი ჩემსა მშობლებსა,
სასოფება ჩემზედ დამყარულთ.“

აქა მდებარე ვარ ივერიელი სტუდენტი მედიკონიურგიის აკადემიის, ალექ-
სანდრე სოლომონისძე ნაცვლიშვილი. დაიბადე 24 ნოემბერს, 1851წ
;გარდ. 14 ივლისს, 1870 წელს“ (57 გვ.).

1576 გ

ლექსთა კრებული. XIX

27 ფ.; 22 × 18; ქალღი; უყდო; მხედრული; თავბოლონაკლული; [XIX ს.];
ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

1. [ლექსი].—

„... საყდარს მიეყვარ გვირგვინოსანი,
ტოლნი მამდევნ თვალცრემლიანი...“ 1r.

2. „მუხამბაზი.—

ჯეელ კუბეც იოსებ ვარ, შავის მიწის მდებარე,
ვერ გავძეხი მზის ყურვით, სული ღმერთს მივაბარე...“ 1r—2r.

3. [ბ. გაბაშვილი, ბულბული მოდის]. „მუხამბაზი.—

ბულბული მოდის მწუხარების ცრემლის დენითა,
ვეყოფ, მებაღეს დაუტუქსავს ცეცხლმოდებითა...“ 2r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ბ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული
კრებული, 1932, გვ. 6).

4. [ყო რ დ ა ნ ო ვ ი გ ა რ ს ე ვ ა ნ], „მუხამბაზი.—
ახ მარალო, მარალო, რაც შენ ჩემგან წახვედი,
ვიცი, უცილოდ მამკლამს შენი დარდი, ნაღველი...“ 2v—3v.
შენიშვნა: შდრ. S—2532:6.
5. [და ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი], „მუხამბაზი.—
კოკობო ვარდო, არ დამავდო, ვარ მონა შენი...“ 3v—4r.
შენიშვნა: ლქსი გამოცემულია (იხ. ანთოლოგია, ტ. II, გვ. 267).
6. „მუხამბაზი.—
ციდამ ჩამოსულხარ, მჭვრეფეღ ვარსკვლავო,
ტანადი ალვის ხე ხარ, პირათ კამკამო...“ 4rv.
7. „მუხამბაზი.—
ყოვლად დილის მზეო, გადმამხედო,
ვეღვივარ მუდამ ბნელსა, გამა[ნა]თლეო...“ 4v—5v.
8. [გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი], „ან ტ ო ნ ის ა დ მ ი .—
შე ჭაბუჯო, სიხარულით დღენი შენნი განატარე,
იმხიარულე, შეექეც, ალხინე და შეიყვარე...“ 5v—6r.
შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული-
კრებული, 1959, გვ. 3—4).
9. [ალ. ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე], „ქ ა რ ა მ ი (!) .—
როს არშიყი საყვარლისა ხილვას ეშურებოდეს,
რაკი ნახოს, მეყვსეულად გრძნობით ეუბნებოდეს, მიყვარხარ...
6v—7r.
შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. თხზულებანი, 1940, გვ. 109).
10. [ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი] „ბ ა რ ა მ ის თ ქ მ უ ლ ი .—
აფროდიტო, აღმობრწყინდი...“ 7 rv.
შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ტრ. რუხაძე, ძვ. ქართული ლირიკის
ისტორიიდან, 1954, 225—226 გვ.).
11. [ი ო ს ე ბ მ ე ლ ი ქ ო ვ ი], „ა მ ა ნ ზ უ ლ ო ს გ უ შ ა .—
შენ, უფასო მარგალიტი,
ვერსად გპოვე თეთრი გვრიტი...“ 7v—8r.
შენიშვნა: ავტორი აღდგენილია H—101: 44 ხელნაწერის მიხედვით.
12. გ . ე რ ის თ ა ვ ი , დ ე დ ა დ ა ქ ა ლ ი , „ნ ე შ ი ი ტ ის გ უ შ ა .—
ნუ მიკერამ, დედილო, წითელ კაბასა,
ან რათ მივლებ ქათიბზედ ფარჩის ქობასა...“ 8rv.
13. „ი ო ს ე ბ მ უ შ რ ი ბ ო ვ ის შ ვ ი ლ ის ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი .—
შენდა შეყრამდინ ვით გასძლებს გული,
სევდამ უწყალოთ მიმატა წყლული...“ 8v—9r.
შენიშვნა: ამ ლექსის ავტორად H—390: 12 ხელნაწერში დავით ბატონი-
შვილი ითვლება. S—1512: 192-ში კი გ. ოსტაშაბიშვილი ბარათოვი ხააღ.
14. „ჯ ე ე ლ ო ლ ლ ა ნ ის თ ქ მ უ ლ ი .—
ოლონდ მიბრძანო, გავშალო ენა,
ეგ შენი სახე სიზმრად მეჩვენა...“ 9rv.

15. [დ. თუმანიშვილი], „ბეზიკის(!) თქმული.—
ახალ აღნაგო სულო და,
ედემში დანერგულოდა...“ 10r—11r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ტრ. რუხაძე, ძვ. ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 178—179).

16. „გუშა.—
გამტყორცნა სოფელმან, მოვშორდი მზესა,
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად...“ 11rv.

17. „ზაალ ბარათოვისაგან თქმული.—
ბულბული მწუხარებს, ვარდი შემამწყრალია...“ 11v—12r.

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 223—224).

18. „ლუს პაწიწარის გუშა.—
მიჯნურო, შემებრალე, სევდით ამემსო გული,
გვამსა ბრკალი მადგია, საკვდავთ კენესის გული...“ 12v.

19. „სიმონ მაჩაბლისაგან თქმული.—
როს მელირსა შენი ცნობა,
მყისვე საგნად მექმნა ტრფობა...“ 13r—14v.

შენიშვნა: ამ ლექსის ავტორად ხელნაწერებში H—101:74 და S—951დ: 13 დასახელებულია სვიმონ წინაძღვრის შვილი.

20. „სა[ია]თნოვას თქმული.—
გალობს თუთის ყაზალანი, ბულბულის ბანი მინდოდის,
სიზმარში წამლად მასწავლეს, ვარდის ნაბანი მინდოდა...“ 14v—15r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ნ. გრიშაშვილი, საიათნოვა. 1918, გვ. 101).

21. [ქეთევან ბატონიშვილი, გაფი დუგაში სათქმელი].
„შენდა შეყრამდის გ[უ]შა.—
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი...“ 15rv.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოცემულია (იხ. ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტიკალური, 1936, გვ. 238—240).

2. გამოცემასთან შედარებით ამ ხელნაწერში ლექსი ნაკლებია და სტროფებიც გადაადგილებულია.

22. [ალ. ჭავჭავაძე, მაისის ვარდმან]. „ლამბისით გულის
გუშა.—
მაისის ვარდმან ფურჩენილმან... 15v—16r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, 13 გვ.).

23. „ბარამ ბარათოვისაგან თქმული.—
ეს მთიები მთენია,
შუქი მისსი(!) შენია...“ 16rv.

24. [ალ. ჭავჭავაძე, ოპ. გაბადრულო მთვარევექ „იოსებ მუშრიბიშვილისაგან თქმული.—

ჰოი, გაბადრულო მთვარე...“ 16r—17v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, 101 გვ.).

25. [ოდოევსკი, ვარდი და ბუღბუღი]. „ლუის პაიწარის გუშა.—
ვარდო, რათ ხარ თავდახრილი...“ 17v—18r.

შენიშვნა: ლექსი თარგმნილია ალ. ჭავჭავაძის მიერ. (იხ. ალ. ჭავჭავაძე თხზულებანი, 1940, გვ. 151).

26. [თუმანოვი], „ლუის პაწიურის ქუჩა(!).—
ჩრდილოეთის მღრღლო(!), ფრთე გაშალე მალეში,
მიდი და მომიკითხე ჩემი საყვარლის თვალეში...“ 18r.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია H—101:42 ხელნაწერის მიხედვით.

27. [ალ. ჭავჭავაძე, ჟამნი რბიან]. „ვარდო, რათ ხარის
გუშა.—
ჟამნი რბიან, შენცა მეღტვი...“ 18r—19r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 21).

28. „ბაგე ვარდოს გუშა.—
ჰოი მიჯნურო, სულო, გულო,
ვარდის კონავ, თაისგულო(!)...“ 19rv.

29. „დოსტოარი კანა აღლადი.—
მსურს გიანბო ჭირნი ჩემნი,
მტრუილმან, ჰოი საყვარელო...“ 19v—20r.

30. „თეჯლიში(!).—
გრძელი, გლახ გული, საყვარელო, მლოდე შენი უწყლავს თმენას,
სცემთ სურვილი წამთა ხშირათ, მარამ აგრძნობს ვისა სმენას...“
20 rv.

31. „ზა[ა]ლ ბარათოვისაგან თქმული.—
ბუღბუღი მოდის მწუხარებით, არც მე ვერ ვნახავ
კრაზანი უთვლის მუქარებას, გასწი, შენ, გლახავ...“ 20v—21r.

შენიშვნა: ეს ლექსი სრულიად განსხვავებულია ზაალ ბარათაშვილის ცნობილი ლექსისაგან „ბუღბუღი მწუხარებს“ (შდრ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 223).

32. „სტეფან ფერშანგოვისაგან თქმული.—
საყვარელმან განმაპორა სოფელსა,
მსწრაფლ დამაგდო მომტირალნი სოფელმან...“ 2rv.

შენიშვნა: ეს ლექსი განსხვავებულია სტეფანე ფერშანგიშვილის ცნობილი ლექსისაგან „მივიროს ასე“ (მდრ. ტრ. რუხაძე, ძვ. ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 209).

33. „ერთ ლამაზ ქალზედ თქმულთა...“
მე შენ კარზედ ყურებით, ქალო,
დამიყრუვდა ყურები...“ 21v—22r.
34. „ჩერქეზ ოღლანისაგან თქმული.—
შეუთვლო, რისთვის მტანჯავ, კმარა და,
მტანჯავ სიკვდილს მოველი, კმარა და...“ 22rv.
35. „ნუშკას დალუქასაგან თქმული.—
მტროფდა(!) შენთა ვით გაქოთ, ვითა ხარ საქებელი,
მაგ ეშხითა ვიდავეით, შენი მარად მქებელი...“ 22v—23r.
36. „ტარსუნოვისაგან თქმული.—
დამწვამ, დამდავავ, ცუდათ ჩავა ჭირნახულები,
შენ საყვარელს რას ემტერები...“ 23v.
37. [ლექსი]. „... შაქი.—
ზინდა ქებით შეგამყო, ეშხითა ვარ მთვრალია,
გნებაეს ვარდს ვაახლებ, თუ მობრანდე მალეა...“ 23v—24r.
38. „სტეფან ფერძანგოვისაგან თქმული.—
ნეტავი მას, ვინც ემონება მას,
შემდგომ ლამაზს მკერდს დაქეკონება...“ 24rv.
39. „ტარსუნოვისაგან თქმული.—
დახე საყვარელსა ჩემსა,
რათ სწომს გულსა ჩემსა...“ 24v—25r.
40. „თემურაზ(!) მუხრანბატონის თქმული.—
მეტროფიდი მარად, სულო, და
გულის ვასახარათ...“ 25rv.
41. „თახმისი.—
აღვლო ბაგე საბრალო, წარმოვსთქვეა ჩემი ჭირია,
სიცოცხლეს განვშორებივარ, თვალი მაქვს სანატრია...“ 25v—26r.
42. „თახმისი.—
მე აქედამ ვერა გხედავ ნისლისა და ღრუბლისგანა,
კაცი შემიჯერებია შენის ანბის კითხვისათვისა...“ 26rv.
43. [იოსებ ნაცვალი]. „თახმისი.—
მოვედ, სიკვდილო, შენ გპოვე მკურნალად ჩემი სენისა,
მიმელო სული ბედკრულსა, კარნი დამეზუნა შესმენისა...“ 27r.

შენიშვნები: 1. ლექსის ავტორი აღდგენილია. S—1512:205 ხელნაწერის მიხედვით.

2. ხელნაწერი აღწერილია (იხ. ექ. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, გვ. 461—465).

მინაწერი: „სიმღერები. პეტრე უმიკაშვილისა“ (1r).

(832)

1577

პეტრე ლარაძე, ლექსები. XIX

4 ფ.: 22 × 16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული; მხედრული; [XIX ს.]; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

1. „პეტრე ლარაძის მიერ ფისტიკაურად.—
[ალა]ლის ბაგე, გიშრის დალალებს ელვარეს ვარდს-ზე
ცეთერულობენ...“ 1r.

2. „მისვე პეტრეს მიერ.—
აკროთო ბალახში გულს ღია, ეთერს ვლის-ზეცე თმა ია...“ 1r.
3. „მისვე პეტრე ლარაძის მიერ.—
[ალვა ბუტკი გუქსა დალად] ერხევ ვარდად ზრო შეღვობით...“ 1r.
4. „მისვე პეტრე ლარაძის მიერ.—[ანბანთქება].
ასე აღმკულა აღნაგსა, აკროთბსო ალვად არებსა...“ 1r—4r.
5. „მისვე პეტრე ლარაძის მიერ.—
შეგბრალდე შენი, ნათელ-დღიერო, მკუდარი ყარიბი, მთენ
ზეციერო...“ 4r.
6. „მისვე პეტრე ლარაძის მიერ.—
ამ ჟამს ვისურვებ—თქვენს არეს ვმსლველობდე, ვითა
ფრთიანი...“ 4v.
7. „მისვე პეტრე ლარაძის მიერ.—
ჰაი, მოვსთქუამ საყუარელსა, ჰაი სრულად ია-ვარდი...“ 4v.
8. [ლექსი].—
„ენა მწარე, ენა ტკბილი, ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა სევდის უკუმყრელი, ენა ქვეყნის შეცამძერელი...“
- შენიშვნა: უკანასკნელი ლექსის დასაწყისში მინაწერი დაზიანებულია, იკითხება
ნხოლოდ: „... გარსეევანოვს“.

(833)

1578

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. 1822

530 გვ.; 34 X 21; ქალაღი; მუყაოს ყდა, მოვარდნილი; თავნაკლული; მხედ-
რული; 1822 წ. (530 გვ.); ხელნაწერი შემოწიროულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

[ს.-ს. ორბელიანი], „ლექსიკონი ქართული ა.—ანი არს პირველი
ასო და ხმოვანი და ართრონი მრავალ რიგად და თავად მოვალს ყოველთა
სიტყუათასა და ბოლოდაცა, ვითა ზემოთ დამიწერია...“ 7—526 გვ.

- შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. [ანბანთ რიცხვთ სწავლა]. (1—2 გვ.).
ბ. „საქცევნი ხუთთა ვმინათა ასოთანი და სხუთა თავბოლოთანი...“ (2—4 გვ.).
გ. „ანდერძნაგაი...“ (4—6 გვ.).
დ. „ქარაგმანი...“ (5—6 გვ.).
ე. „ოთხნი ნიშანი ქუყენის მზომელობისა...“ (6 გვ.).
ვ. „ესე ნიშანი სადაცა სხენენ, მიგასწავლის ცხოელი არს, თუ მცენარე,
გონება აგამხედველე...“ (6—7 გვ.).
2. ტექსტის ბოლოს დართულია: ა. „გახტანგ შევის ნათქუამი.—
რადგან დაშურა ასრე საბა, ქება შმართებს აწყა მეცა...“ (528 გვ.).
ბ. „საბას ნათქუამი.—
ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმა დამიწუნოთა...“ (528 გვ.).
გ. წელთაღრიცხვანი: „დასაბამითგან ქრისტეს მოსვლადმდე ქართულის რიცხ-
ვითა გარდახდა წელიწადი...“ (528 გვ.).
დ. ერთვის საბას ანდერძი მესამე პიროთ ნაწერი (527 გვ.), ტექსტი იხ. აქვე
№ 1608 ხელნაწერის აღწერილობაში.
3. ლექსიკონის ტექსტი A რედაქციისა (იხ. ლ. ქუთათელიძე, სულხან-საბა
ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები. 1957, 274 გვ.).
ანდერძი: „ამ წიგნისა აღწერასა ჯელი მიცყავ სეკდემბრის ოცსა, წელსა ჩყბ,
ხოლო აღსრულდა ოკტომბრის ოცსა მასვე წელსა“ (530 გვ.).

მინაწერები: 1. „საბა მიიცვალა ქრისტეს აქეთ ჩდკე, იანგარსა კვ. დიდს მთ-სკოვს, სესენცკას, ბატონის არჩილ მეფის სასახლეში და იმავ საყდარს დამარბა ბრძანებითა და მრავლის ხარჯითა და თან წყალობითა და დიდის პატივითა ბატონის შვილის დარეჯანისათა, ზრავალმც არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი“ (530 გვ.).

2. „კუთენილება არის ივან ბარნაბოვისა“ (630 გვ.).

(834)

1579

ანტონი I, ქართული გრამატიკა. XVIII

53 ფ.; 33 × 22,5; ქალაღი; უყდო; ბოლონაკლული; მხედრული; [XVIII ს.]; კვირნიშანი 1797 წ.; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

„[ანტონი I, ქართული გრამატიკა]. „თუ ქელოცნებისა ღრამატიკოსობითისა, ნაწილი I, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თუთო-ეუშენი ნაწილი სიტყუშათანი მაგალიტებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამატიკასა მოწაფე-ქმნილთა. თავი ა. ბრუნვათათუ სახელთასა. § 1. — რიცხუსა შინა ჩუშნი მიერ განჰსჯითა შემოყუანილი ბრუნვანი სახელთანი არიან რუა მარტივისა ან რთულისანი...“ 4r—53v.

წყდება: „... მაგალიტებრ: მეტყუშლებითი და ესე მრჩობლ-სხმით გარდასლუთი...“

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. „შეყუშანილება წიგნისა ღრამატიკაჲ, მიწერილი მოძღუშართად და მოწაფეთად ღრამატიკასათა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა საქართუშლოასასა, სამთა მიერ განშუენებული-სა სიბრძნისა ესე იგი ერთ-გონიერებითა მამათა და სიყვარულითა მოყვასთათა...“ (1rv).

ბ. „პინაქსი ღრამატიკისა...“ (2r—3r).

2. ხელნაწერის ტექსტი ზედმიწევნით მისდევს 1885 წ. განთცენულ ანტონი I-ის ქართული გრამატიკის ტექსტს; ტექსტი გამოცემის მიხედვით წყდება 132 გვერდზე.

მინაწერი: „ხ. კიკინაძე“ (1r).

(835)

1580

შაჰნამე, როსტომიანი. XVII

487 ფ.; 39,5 × 25,5; ქალაღი; დაშლილი, დაზიანებული, ნაკლული; ტყავადაკრული ხის ტვიფრული ყდა, მოცილებულია; მხედრული; სათაურები და აბზაცის დასაწყისი სიტყვები სინგურით; აქვს კვირნიშანი (56, 57 ფ. ფ.); ხელნაწერში მრავალი მინიატურაა: 31v (თაკვაზმულობა), 34r, 44v, 58r, 59v, 63v, 66v, 67v, 69r, 70r, 72r, 73r, 74r, 78v, 81v, 83r, 89r, 94v, 99v, 103v, 105r, 108v, 116r, 119r, 122v, 123v, 129v, 130r, 131r, 133v, 136r, 137v, 140rv, 143r; 145r, 148rv, 150r, 152r, 153v, 154v, 155r, 158r, 159r, 162r, 166rv, 168r, 172r, 174v, 180r, 187v, 189r, 190r, 457r. ტექსტში მრავალ ადგილას მინიატურებისათვის გამოტოვებულია ადგილი, ზოგჯერ კი მთელი გვერდები: 53v—54r, 126v—127r, 175r, 206v, 223rv, 225v, 227v, 232v, 233r, 239v, 240r, 247v, 248r, 263r, 266v, 267r, 274r, 277v, 278v, 291v, 299 v, 300r, 319v, 320r, 337v, 338r, 339v, 340r, 361v, 362r, 372rv, 374v, 374v, 380v; 381v, 381r, 382v, 383r, 387r, 392v, 397v, 398r, 402v, 403r, 404r, 408v, 409r, 412r, 420v, 421r, 422v, 423r, 436r, 450v, 451r, 467v, 468r; [XVII ს.]; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

[შაჰნამე], ჟ. დიდება ღმერთსა. კარი პირველი როსტომიანთა. ეს არის დასაწყისი მანუჩარ ჯელმწიფისა და საამ ფალავნისა.—

ჰოი შემოქმედო, ნუ წამწყმედ, დამხსენ სახმილთა ალია, თავი ეს არის როსტომთა, ბლომდის ლექსმრავალია...“ 1r—487rv.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. I, 347—358 გვ.).

2. ტექსტი გამოქვეყნებულია „შაჰნამეს ქართული ვერსიების“ I და II ტომში. გამოცემაში. ეს ხელნაწერი აღნიშნულია C ლიტერით.

3. როსტომიანის ქართული ვერსიების ავტორის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 225—237 გვ. და ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 33—51.

მანაწერები: 1. „როსტომიანი ესე ნაქონია მეფის ვახტანგისა, როდესაც და რეჯან დედოფალი პეტერბურღს წაიყვანეს, მამაჩემი ვახტანგ თან ახლდა და იქიფგან დაბრუნებაზე მოსკოვში დიმიტრი ბაგრატიონს ეჩუქებინა მამიჩემისათვის. როსტომიანი ესე ნათესაობის სიყვარულის გამო.

თა აღექანდრე ჯამბაკურიანი ორბელიანი“ (ზემო ყდის შიდა მხარე).

2. „სანამ არა გკითხონ რა, თქუენ თვითონ ნურას იტყვიო, ამიტომ რომ, არა დაგეჯერება რა. დ. ჩუბინოვი.“ „რა ნათესავი იყო მეფე ვახტანგ თქუენი, ან დიმიტრი ბაგრატიონი რა გენაღვლება, სულ ჩუმათ იყოთ. ჩუბინოვი“ (ზემო ყდის შიდა მხარე).

3. „მე თქუენისთანა არა ვარ, დაფრმდე. თქვენ ბრუნდე სიარული გიყვართ და მე იმ გზაზე არ შემიძლიან გავლა. მეფე ვახტანგ ჩვენი სახლის ნათესავი ასე იყო: იმის დისწული ელენე პაპიჩემის მამის ელიზბარ ეშ[ი]კადაბაშის ცოლი იყო, და ნათესავი ყოფილა ლუ არაჟ და თუ დიმიტრი ბაგრატიონის ნათესაობაც გინდათ შეიტყუოთ, შობაძნდით და იმისგან მოწერილს წიგნს გაჩვენებთ შენ. ნ. ჩ. და კნ. გ. თა. ა. ვ. ძე ჯ. ორბელიანოვი“ (ზემო ყდის შიდა მხარე).

4. „როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა, მაშინ სხვა წიგნი ძვირობდა, დაუწერია მას როსა, კარგის საქმისა უცოდნი სჯერდება საქმეს მომცროსა, ახლა ცუდად ძვეს. მაგრამე მოახმარება ზოგ დროსა“ (487r). შდრ. არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 3.

(836)

1581

კრებული. 1744

43 ფ.: 22 X 17; ქალღი; დაშლილი; ნაკლული; ტყავის დახიანებული ყდა; მხედრულ-ნუსხური; სათაურები სინგური; 1744 წ. (30r); გადამწერი სიონის მღვდელი ხალისსვილი იოვანე (30r); ასტრახანი (30r); შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

1. [იოანე დამასკელი. დიალექტიკა] ჟ. მყოფისათჳს არსებისა და შემთხუშვითისა.—მყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთაჲ...“ 3r—30r.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაწერია მხედრულად. 2. წინ უძღვის სარჩევი (1v—2r).

3. დიალექტიკის ეს ტექსტი თარგმნილია არსენ ვაჩეს ძე იყალთოელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 261 გვ.).

2. «პორფირი, შეყვანილობა»... და თჳსი, ვითარცა მოციანარი და შემთხუშვითი, ვითარცა თეთრი, შავი; ჯდომაჲ, დგომაჲ...“ 34r—43v.

შენიშვნები: 1. ტექსტი თავნაკლულია. S—358 ხელნაწერთან შედარებით აკლია დასაწყისი 43 სტრიქონი.

2. დაწერილია ნუსხურად.

3. [გრამატიკა].—ქ. ასონი არნ ქართულნი ლთ—39...“ 30v—32v.

შენიშვნა: გრამატიკის ეს ფრაგმენტი არ მისდევს და განსხვავდება საბა ორბელისა და შანშოვანის გრამატიკებისაგან.

4. „ქატილორითა მიერ თქმული.—ქ. პირი არს, რომელი თუ- ისთა მოქმედებათა და თუისებათა მიერ ცხადსა და თანამეტომეთა თუისთა- განყოფით განსაზღვრებულსა საცნაურებასა მომცემს...“ 32v—33v.

5. „ქ. საძიებელნი აღწერილისანი.—აზრი. ბ. საჭიროოჲ...“ 33v.

ანდრძი: „ღმერთო, შეიწყალე ამის მნუხსაგი(!) სიონის მღვდელი ზაალი ს- შელი იოვანე. ვინც მიემთხვივნეთ, ლოცვასა ჰყოფდეთ ჩემ ცოდვილისათს... დაიწერა ეს წიგნი ავეისტოს შუდს, ქრისტეს აქეთ ჩამდ აშტარხანს; საქმე არა მქონდა რა და ცუდად ყოფამა ეს მომაგონა“ (30r).

მინიწერები: 1. „ღმერთო, აცხოვნე მღვდელი იოვანე“ (2v).

2. „წეი საკვიმატონი მართალი და გეშმარტი თვეთა შინა დღე ორ-ორი...“ (43v).

3. „ქ. უღა“:

ქ. ყვეინმა გაიმარჯვა ყარსს ყარა იბრეიმ ფაშახე სარასკარზე; მკათათვის ლათინებათს, აქ მოუვიდა ამბავი მეფეს თეიმურაზს ავეისტოს გ, შაბათსა. ავეისტოს გ, საყდარის ტრაპეხი განვახდეთ“ (43v).

(837)

1582

კრებული. XVIII—XIX

86 ფ.; 22 × 17; სხვადასხვა ფერის ქაღალდი; დაფურცლული; მხედრული, სათურები სინგურით; [XVIII—XIX სს.]; დაუწერელია: 6v # 7v; 19r—20v, 85r; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

1. [ლექსი] „... და მტერნი გაგვექცენ, წავიდნენ, აწ ვავაკეთობ ... დის თავგები მოლისა იქმნენ მტერია...“ 1rv.

წყდება: „... შესარიგებლად მივედით, ლეკებმა გამოსწიესა, ოსმალთა თქვეს: მათის ხლმითა ვართ, აწყურამდინა სდიესა, შერიგება დაგვიანდა, უქმათ რომ ვიყავი, ვთქვი ესა, და თუ ლექსი ავით გამოეწყოს, ნუ დამგმობ კორნილესა“.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ნახსენები კდრნილდე. თაყაიშვილის ვარაუდით ჩაჩიკაშვილია (იხ. Описание..., ტ. II. 242 გვ.).

2. „თქმული ზაზა გაბაოვის ასულის მაიასი, გამოცანა ანბანზე.“

აწ ასე მინდა ანბანის გამოცანა ვთქვა ენითა, ვის ემოვნებ, ანუ სით წავლათ(!), სახელად რა გვიქმენითა...“

1v—5v.

3. [ლექსი]. — „ენა მწარე, ენა ტკბილი, ენა მოკლე, ენა გრძელი, ენა სვედის უკუმყრელი, ენა ქვეყნის შეთამყრელი...“ 5v—6r.
4. [ლექსი]. — „არ უხდების თხას ლომობა, თავეს კატობა, ბუს ქორობა, ღორს გვირგვინი, თა[გ]ვს ბისონი, ვირსა სკიპტრის ხელთა პყრობა...“ 6r.
5. [ლექსი რუსთ შესახებ]. 8rv.
6. [ლექსი]. — „მეორეთ ნათქვამი რუსთ [შესახებ]“. 8v.
7. „ბესოსა გან ნათქვამი სოლომან... ხრა. —
ქ. სოლომან რასთვის მაგინე, რათ ამამიგდე გვარია,
ჩვენც გვიკვირს შენი სიმჩატე, აჩქარებულხარ ძალიან,
ყოღნით წავიხდა თათბირი, სითაც ვეჭირა თვალთა
და არც ბიჭათ ვარგხარ, გვერწმუნე, ცუდათ გარტყია ხმალია...“
9r—10r.
8. [ლექსი]. „პასუხად ნათქვამი. —
რუსებს რად არქმევთ უბიროს, არა გაქვსთ თვალთა ჩენანი,
ფუცეთ ღმერთი და გელმწიფე, ესეა ქვენა-ზენანი...“ 10v—11r.
9. [ლექსი]. — ქ. დაშენებულსა პირზედა გიხდება შენი თვალნია,
აწ შენსა მოშორვებასა ვინცა მოელის, ბრალია...“ 11v—12v.
10. „მეგობრის ჯავრზე ნათქომი. —
ქ. აწ აღმოვაწო კალამი, ვისთვის მოხდა ახლა ვახტი,
კაიშაურს შამოვწყვრით, დითსა(!) მთეფსა გარდმოვახტით...“ 12v.
11. „გული, გონება მიჯნურთა მოთიბე, მოიშკავი. —
რასაც შევიძღვე, ვეცდები, თუ არ შაწუხდა გული,
ვწერო შენი სახენი, ბუნებით დატვირთული...“ 13v.
12. [ლექსი, დასაწყისი აკლია] „... ანდრიას ჭკუას რად აქებ, რით
თავი შინახაო
თავდებათ არ დავდგომიათ, არ კაი დაინახაო...“ 14r.
13. [ლექსი]. — „ქალაქისკენ მოვდიოდი, მიხდა განცხრომით მეხარა,
ხარჯისათვის არა ვწუხდი, ჯიბეში ფული მეყარა...“ 14v—15r.
14. „განშორება ორთა მიჯნურთა ურთიერთისაგან. —
ვა, რად დავკარგე ძვირფასი ლალი,
სისხლის ცრემლი მდის, არ შრება თვალი...“ 16r—17v.
15. „ჩახრიხული(!) მუხანბაზი, თქმული გარსე[ვან] ყორღა-
[ნოვის] შიე]. — ეპა მუშთარო, ნათელდარო, მზის მინაგვარო,
ტან ალვა სარო, ნატიფარო, ბროლ-მინაქარო...“ 17v—18v.
16. [თეიმურაზ II, სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გა-
ბასება]. — „... აქა ერთი ჭამის ამბავი. ღამისაგან თქმაჲ.
[დაპატიჟებენ სიძესა, ჯერ უქორწილოდ წვევათა.
რა მივა, ქალს რთვას დაუწყვენ, სიძისა დასაწვევათა...“ 21r—39r.
- შენიშვნა: ტექსტი თავ-ბოლონაკლულია. იწყება 446 სტროფით და თავდება 606 სტროფზე (შდრ. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას რედაქციით, 1939, 56—75 გვ.).
17. [გამოცანები ლექსად]. —
ქ. მე დავიბადე უღედოთ, მამისჩემითგან შობითა
მევე ვმე ჩემი მეუღლე, ცოლად მყავს თანახმობითა...“ 39v—42r.

შენაშვნა: გამოცანებს ფურცლის კიდებზე კრიტოგრაფით მიწერილი აქვს პასუხები.

18. [ბესარიონ გაბაშვილი, რძალ-დედამთილიანი.]—

„... ჯმა ჩაიდუმე, ნუ გაქვს ხასები, კაია, ნულარ მეზასები.

და შენამც გათრევენ ქვესკნელს დასები, სატანას ხელით დაიფა-
გები...“ 43r—48v.

შენიშვნა: რძალ-დედამთილიანის ეს ტექსტი თავ-ბოლონაკლულია (შდრ. ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1932, 49—58 გვ.). კრებულის გამომცემლებს ხელნაწერის ეს ნაწილი მიაჩნიათ XVIII ს. გადაწერილად ერთ-ერთ ჩაჩიკაშვილის მიერ.

19. „ამას წიგნსა ეწოდების მარგალიტ[ი]. თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა იოვანე ოქროპირისა. თავი პირველი. მოთმინებისათვის.—დიდ არს, საყვარელნო, მოთმინებისა მადლი...“ 49r—55v.

წყდება: „...არამედ გულისა წყრომისანი შეინანა იუდაცა, არამედ ბოროტად არა თავი მოიშთო...“

20. [თეოდორე სალოსის ცხოვრება], „ქუწყანასა სირბისასა, რომელსა აწ სახელსა სდებენ ბულარად(!), ამას ქვეყანასა სარასი ქალქსა შინა იყო კაცი ერთი, რომლისა სახელი იყო თეოდორე...“ 56r—63v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „მე, საქართველოს არხიმანდიტმან იოაკიმ მთაწმინდელმან, ჩვენსა მონასტერსა შინა და ასაკალოსამეფილოქეს კვლარში აქენდა და მუნ ვპოვე მამათ ცხოვრება ერთი და მას შინა იყო და მუნით ბერძულისა ენისაგან ქართულსა ზედა გარდმოვიდე, და [აღმომკითხველთა ზედა მადლი ლოცვითა თეოდორესითა, წმინდისა სამებისა იყავნ ყოვლისა ზედა მისსა მისთურთ სულითურთ. სულით და ხორცით, და ჩვენიცა მონასტერი და ჩვენცა მოხსენებულ ვიქმნეთ და მადლიცა... მათივე და ჟურთხევა იყავნ თქვენზედა საუკუნოდ, ამინ.

აღიწერა აგვისტოს 7, ქვს უბგ“ (63v).

21. [გიორგი XII], „ქ. ამბავი პირველი გაბა[ა]სება ბროწეულისა და ვაშლისა.—

1. პირველ მას ვხადოთ ზენასა, მამასა სულთა მლხენასა, ზღვით წყალთა წარმომდენასა, წყალობის შემძენასა...“ 64r—67v.

შენიშვნა: ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია (იბ. ბ. ქიქოძე, გაბაასების ჟანრის ისტორიისათვის, 1955, გვ. 50).

22. [ლექსი]. „... იაგუნდ ორნი, ტოლ[ად] სწორნი, კარნი ღიანი, მარგალიტო დასნი, დაუფასნი, სხედან მაზენი...“ 68v.

23. [დიმიტრი ორბელიანი, ანბანთქება].—

„...ქ. ობისიღამა წამოველ ომანეთს მივეშურები...“ 69r—70v.

შენიშვნა: ამ ანბანთქების დასაწყისი (ა-დან მ-მდე) მოთავსებულია 79v—80v.

24. [დავით გურამიშვილი], „საწუთოსა და სოფლ[ის] გ[ა]მოტირილი.—

ქ. გული ღონდ[ე]ბ[ა], ვიწყე გოდება, ბორგნა-გოდება რაც მაგონდება...“ 70v—72r.

შენიშვნა: გამოცემულია (იხ. დ. გურამიშვილი, 1955, გვ. 161).

25. [გამოცანები ლექსად].—

„ქ. გამოცანას მოგახსენებ უცხოს დიდებულსა,
მრ[ა]ვალფერ[ად] გამოგვიჩინდა ტომთ ჩვენთ წოდებულსა...“
73r—75v.

შენიშვნა: ლექსის თითო ტაეპი თითო გამოცანაა. სულ არის 35 ტაეპი. გამოცანის ახსნა სინგურით მიწერილია ტაეპის დასაწყისში.

26. „ქ. ანბავი ჯუმჯუმ ხემწიფისა, რომ იმისთ[ა]ნ[ა] დიდი ხემწიფე არ გაგონილა...“ 76r—78r.

წყდება: „...ჯოჯოხეთის სიმწარე რომ მაგონდებაო და მისის შიშით ველ[არ] შეშქამდა, რომ იქ უარესი სასჯელი არა მამეტეს რაო...“

შენიშვნა: ტექსტი *ა“-მეტია.

27. [ხალხური ლექსი აბრამზე და ისაკზე].—

„ქ. ერთსა ლექსა მოგახსენებ, მა[გ]რ[ა]მ გვი[ა]ნ გათ[ა]ვლ[ე]ბა.
ისიმც დღე დაილოც[ე]ბა, ჩაენელ მეცხორ[ეთ] დადგება...“

78r—79v.

წყდება: „... ღ[მ]რ[თ]ის ლოცვა და სამსახ[ურ]ი ხულ[ა]მც ას[ე] ავიხდ[ე]ბა...“

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოცემული აქვს ვ. თაყაიშვილს (Описание, ტ. II, გვ. 246—250).

2. ლექსს წინ სინგურით მიწერილი აქვს: „ქ. ქრისტიანენო, ისმინეთ ანბავი ესე და განეკრძალვით ცოდვას და ნუ მოშორდებით ლოცვას და მოძღვარსა, რათა არ შეიქმნა ჯოჯოხეთის შვილი, თორემ მას უკან ველ[არ]ას გიშველით თვისათვის მამანი, შვილნო და ძმანო“ (78r).

28. [შელოცვა]. „ქ. ლოცვა მჩხილისა.—უცხო ფრინველი შემოკდა...“
81r.

29. „სამთვარიო მართალი და ქეშმარიტი.—ქ. ერთსა მთვ[არ]ისას დღე კეთილი ყოვლისა საქმისათვის...“ 81v—83r.

30. „[კა]რი ქუხილის, ძვრის და ელვის. ცის[არ]ტყელ[ის], მზის, მთვ[არ]ის დაბნელებისათვის.—იანვარს თუ იქუხოს, მოსავალი კარგი იყოს...“ 83v—84r.

31. [ამონაწერები კარაბადინიდან]. „ქ. კაცს რომ სისხლი სდიოდეს ცხვირიდგან, გაჯი შუბლზე შემოსდევ...“ 84r—85v.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, 242—251 გვ.).

მიანწერები: 1. [გამოცანები].—

„ქ. უსულა და უენო კაცთა სიტყვ[ის] მთქმელია;
სიყმიოვან სიბელმდისინ ღთის სამსახურის მქნელია,
დაკერენ და და[ა]ძახებენ, მოკრებს ყოველი ვრია,
ყოველი სული იქ მოვა, ყმა იყოს, თუმცა ბერია.“

(ხარი).

ქ. ჯარი არის ერთგან ყრილი სულ სასროლათ გამართული, მათ სახლი აქვს ცოტა სული(!), არ ფიცრული, არ მორთული, კეთილ საქმეს მუშაკობენ სამდლოობით გამართული, ის გაგასცნობს ამას, რომე ვის მცნება აქვს გამართული.

(ფუტკარი).

ქ. ბახჩას შეველ, ყვავილი სხვა ყვავილებზე ხანობდა, გარს ევლო ზღუდე მაგარი, ზოგ წითელ, ზოგი მწვანობდა, შიგ მარჯალიტი წყობილი ძაწობით გაილალოდა, ვინ რომ ხელს ყოფდა მოკრებად, არვინ დანანანოდა.

(ბროწეული).

ქ. ერთი რამ არი ასეთი, ფერს იცვლის, ზშირ[ან]დ ისია. სარტყელს მოირტყამს უცხოს, არ ნაქსოვ[ი]ა ისია ხან წითელია, ხან მწვანე, მრავალ ფერია ისია, ადვილათ გამოსაცნობი მოდი ვთქვათ არი ისია.

(ცისარტყელა)“ (55v).

2. ქ. არბაბი იყო ნადი შაისაგან ორმოცი ქორონიკ[ონ]ს უღე.

ქ. მეფეს თეიმურაზს ქართლი მიეცა ქორონიკ[ონ]ს უღე.

ქ. ამავე მეფეს გვირგვინი უკურთხეს ქკეს უღე.

ქ. აჯი ჯალაფზე(!) დამარცხდა მეფე ირაკლი ქარში ქკეს უღო და ამავე წელს ახათხანზედ გაიმარჯვა.

ქ. განჯას დამარცხებულან ქკეს უმ.

ქ. მეფე ვახტანგ მობრძანდა ისპაანდამ ქკეს უზ, აგვისტოს იბ.

ქ. მეფე ვახტანგ წაბძანდა რუსეთს თიბათვის... ქკეს უიბ, რუსულს ქორონიკონს ჩღკდ.

ქ. აბდულაბეგ ქალაქს მოუხდა ქკეს უღე.

ქ. ანტონ ქათალიკოზისა და ლევანის რუსეთში წასვლა ჩღობ და მოსვლა ჩღობ“ (86r).

3. მინაწერები მოთავსებულია კაგრეთვე 42v და 72v.

(838)

1583

კრებული. XIX

75 ფ.; 23,4 × 17; ქალაღი; ქალაღდისავე ყდა; დაზიანებული, დამლილი, ბოლო-ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; მთარგმნელ-დამწერი გაბრიელ ავალიანი (3r); შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

1. [გ. ავალიანი, ლექსი].—

„ესე ყოველი გადამხდა ბედითა მით ბედკრულითა,

სხვათა სიფთხილეს ვუაჯი ხვეწნითა და მუდარითა...“ 1r.

2. [მოთხრობა, მთარგმნილი რუსულიდან გაბრიელ ავალიანის მიერ].—„დიდხობამდის ტანციობდნენ განათლებულ(!) ხალაში საკეთილმო-ბილოს სობრანიისა. სხინი ურიცხვის სამთლებისა ისევე პრიალებდნენ ბროლის ხომლებზედ...“ 4r—50r.

3. [გ. ავალიანი, ლექსი].—„ახ დრონი, დრონი,

ვით შევამკონი.

ამ მუხთალ სოფელს

სულ ცრუთა ვგონი...“ 51r.

შენიშვნა: ლექსის დასაწყისში სხვა ხელითა და მელნით მიწერილია:

„გლოვა და სოფლის სამდურავი ქავქავადის კნეინა სალომესაგან ოქტომბრის(!)“.

4. [გ. ავალიანი, ლექსი].—

„ვინ არს, სოფელო, შენი მკობელი
თუ არ სიმძლავრით ღვთისა მგმობელი...“ 51r—52r.

5. [გ. ავალიანის თარგმნილი მოთხრობა].— „მე მყვანდა ერთი სული,
რომელსაც შევჰსწირე ჩემი გული. იგი იყო მშვენიერი...“ 52v—75v.

წყდება: „... არა ვარ ოსმალი, ამ სახელს საჭიროების გამო ვატარებ.
ეს ტანთსაცმელი სახელის გამო მაცვია. მე არაოდეს მაჰმადიანი არა ვარ, მე
ვარ ბერძენთ სარწმუნოებისა, თავათ მცხოვრები პალესტინისა. პაპაჩემი დიდ-
ვაჭარი ყოფილა, დიდის სიმდიდრის პატრონი...“

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: „მის ბრწყინვალეობას, წვევრს კავკასიას გარე
მხრის უმაღლესის მართებლობისას, უფალს ლენერალ-ლეიტენანტს და სხვადასხვათ-
ორდენტ კავალერს თავად ალექსანდრე გარსევანის ძეს კავკავაძეს

ბრწყინვალეგო თავადო, უმოწყალესო კელმწიფევე! განსწავლისათჳს ჩემისა ვალ-
დებულ-მყოფი რუსეთის მმართველობისა, საქართველოს განმანათლებელისა სასწავ-
ლებელთ განსწავლეთა, დასაბრძენელად ყრმათა, ერთ მხრისათა მე ვებედავ გიძღვ-
ნათ, თქვენო ბრწყინვალეგავე. თარგმანი ბუნებრთს ქართულს ენახედა საკითხავის
ბიბლიოტეკის მუხლითგან გადმოღებული ჩემ მიერ ჩართულის ლექსებით.

თქვენო ბრწყინვალეგავე, წარმოგიდგენ რა ამა მცირედსა ჩემსა შრომით ნათარ-
გმნსა მუხლსა, ჩემ მიერ ჩართულის ლექსებით, გთხოვ ვალდებულ-ჰყოთ საქართვე-
ლო მხრუნველობითა თქვენითა განსწავლათ შეილთა ამა მხრისათა.

ქეშმარიტისა პატივისცემითა და სრულისა შოვრდომილებითა ბედნიერებით
ვრატჳ გვახლოთ თქვენის ბრწყინვალეობის უმოწყალესის კელმწიფის მორჩილი მონა
გაბრიელ ავალიანი“ (2r—3v).

2. ხელნაწერში შესული ლექსების ავტორი და მოთხრობების მთარგმნელის
გვარი აღდგენილია წინასიტყვაობის მიხედვით (იხ. შენიშვნა 1).

3. ზემო ყდაზე აწერია: „მიყვარხარ, მაგრამ სევდას შამამერი, თუ წაგიკი-
თხავ“.

1584

დავით დიასამიძისა და იმერეთის დედოფლის მარიამის წერილები და
შეფე ერეკლეს წყალობის წიგნი. გადატანილია ისტორიული დოკუმენტების
კოლექციაში.

Sm—2183—2184 და Ros—123.

(839)

1586

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. XIX
(არტანუჯული)

155 ფ.; 31,5 × 21; ქალაღი; მუყაოს ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; მხე-
დრული; სათურები სინგურით; გადამწერი: დიანოკი პეტრე ტაბლაშვილი (140v);
[XIX ს.]; კვირინიანი 1831 წ.; შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

[შოთა რუსთაველი]: „შესავალი პირუშლი ვეფხვს ტყაო-
სანისა. ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ჰამო და სასმენელად შუშნიერი
ჰსწაულისათჳს მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა,
რომელსა ვეფხვს ტყაოსნობით უხმობენ.—

რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითათა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყუნა ზეცით მონაბერითთა,
ჩუშნ კაცთა მოგუცა ქუშყანა, გუაქუს უთულავი ფერითა,
მისგან არს ყოველი ჯელმწიფე სახითა მის მიერითათა...“ 1r—140r.

შენიშვნები: 1. ტექსტს დართული აქვს: ა „საძიებელი წიგნისა ამის ვეფხის-ტყაოსნისა“ (141r—142v).

ბ. „ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილთა ძნელთა ლექსთა აღმოსაცნობლად...“ (143r—154v).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, 558 გვ.).

3. ხელნაწერი არტანუჯული რედაქციისა.

ანდერძი: „სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, ყოველითა კეთილთა მიზეზსა და მბადსა, თუმც იყვნეს წიგნნი ვეფხისტყაოსნობით კმობილნი საქართულ-ოსსა შინა ბეჭდილნი და ჯელწერილნიცა, გარნა ფრიად განრყუნილნი და არად სახმარნი, ამისთვის მისცემოდა გულსმოდგინება თავადასა სტატსკი სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატის ძეს და მოეპოვა უძღულები ნაწერი ვეფხისტყაოსნისი, ვერძოთა არტანუჯისათა და ესე მე პეტრე ყარიბზან ლარაძემ მრავლითა შრომითა და ღვაწლის დადებით აღეწერა(!) მშუშნიერის ხელით და ადივლ-საკითხავთ. ხოლო მე ესე კნიაზის მამუკა ორბელიანის¹ სამრავალკამიეროდ და ბედნიერობასა შინა მოსახმარებლად აღესწერე ფრიად უღირსმან პეტრე დიაჩოქმან ტაბლიაშვილმან, მოსეს ძემ“ (140rv).

მინაწერები: 1. „ეს ვეფხისტყაოსანი ეკუთნის კნენა ქეთევან გიორგი ერისთვის ასულს ჯანბაკურიან-ორბელიანისას“ (ზემო ყდის საცავი ფურცელი).

2. „წელსა 1880, ქ. ხბილისი კნენა აღექსანდრა მელიქოვისას“ (ზემო ყდის საცავი ფურც.).

3. „წელსა 1866, აპრილის 2 დღესა ველიკი კნიაზ მიხაილ ნიკალაიჩისმოუვიდა დეპეშა, რომ იმავე დღეს 4 სათს(!) შუადღეს შემდეგ ხემწიფე იმპერატორი აღექსანდრე გულოზბა ლეტნი ბალში და კალასკაში ჩასაჯდომით რომ მიბრძანდა, ვიღაცა ავაზაკმა დაბაჩა დასცა და უენებლათ გადარჩა. საბრე შეიძუსრა. ამისთვის 5 აპრილს სიონის კაფედრაში იყო პარაკლისი და გარდაიხადა არქიერმა ევსეიმ, გვართ იყო ილინსკი. ველიკი კნიაზი მიხაილ ნიკალაიჩი იქ ბრძანდებოდა. ყოველნი სამხედრო და სამოქალაქო ჩინები და ქალები, ყველანი იქ ვიყავით და ღმერთს მადლობა შევსწირეთ მისის იმერატორებას(!) უენებლათ გადარჩენისათვის. ეს აბავი(!) 11 საათს ღამისას გრიგორი ორბელიანს ებრძანებინა და ესეც, რომე ზვალ სიონში ჩამოდითო. რადგანაც იყო იმ დროს ლენგალ-ატუტანტი(!), დებარებინათ(!) და ებრძანებინათ მისთვის ეს შემთხვევა. იმ ღამეს აღარ გგინება(!), საწუხაროც ეს იყო, რომ ის ავაზაკი გამოდგარუსიფე, თავის ხემწიფეს დაბაჩა დასცა იმისთანა აშელის კაცსა“ (155r).

(840)

1587

კრებული. XVIII

112 ფ.; 21 × 15,5; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; არა აქვს თავფურცელი; ნუსხური; სათაურები სინგურით; დამწერი: გარსევან მღვდლის შვილი იოანე მღვდელი (7v); [XVIII ს.]; შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

¹მამუკა ორბელიანი“ სხვა ხელთ და მელნით არის ჩაწერილი ტექსტში.

1. [პეტრე მოგილა]. „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა აღმოსავლეთისა მართლმადიდებელთა წმიდისა კათოლიკე სამოციქულო-სა ეკლესიისა. კითხუა პირველი. რაჲ ჯერ არს დამარხვად მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა მიერ, რათა დაიმკვდრონ ცხოვრებაჲ საუკუნო?...“ 8r—87r.

შენიშვნები: 1. თხზულება შედგება სამი ნაწილისაგან: ა. „სარწმუნოებისათჳს“. ბ. „სასობისათჳს და გ. „სიყვარულისათჳს“.

2. თხზულების ავტორია პეტრე მოგილა (იხ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერთა აღწერა...“ (H კოლექცია) ტ. IV, № 1751).

3. თხზულებას წინ უძღვის: ა. „საძიებელი“ (1r—3v); ბ. წინასიტყვაობა ნეკეტარიოს პატრიარქისა „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა წმიდისა კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიისა მართალ(!მადიდებელთა აღმოსავლეთისა. წყალობითა ღმრთა პატრიარქი ნეკეტარიოს წმიდისა ქალაქისა იელუსალიმისა და ყოვლისა პალესტინისა ყოველთა მართლმადიდებელთა ძმათა და საყვარელთა შულთა გვაკურთხეხ...“ (4r—6v). გ. წინასიტყვაობა კოსტანტინეპოლის პატრიარქისა (6v—7v).

2. ეპისტოლენი ეგნატე ანტიოქელისა.

შენიშვნები: 1. აქვე მოთავსებულია ეგნატე ანტიოქელის ეპისტოლე ანტიოქელთა მიმართ (89v—92v), ტრალისელთა მიმართ (90v—96r), მადნიელთა მიმართ (96r—101v), ტარსუნელთა მიმართ (101v—104r), ფილიპელთა მიმართ (106r—110r).

2. ხელნაწერის ბოლოს ჩაქრულია ნაბეჭდი კალენდარის 4 ფურცელი.

ანდერძი: „იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო, მხოლოდ შობილო უყამოდ მამისაგან და სულისა წმიდისა თანაწორთ! შეიწყალე ყოველი ამის მწერალი გარსევან მღვდელი შვილი, მღვდელთა უნარჩევსი მღვდელი იოანე“ (7v).

მიწარწები: 112r, კრიპტოგრაფები: 110v, 111v, 112r.

(841)

1588

ბაუშეისტერა ფრიდერიკოს ქრისტიან, ლოგიკა. 1820.

222 გვ.; 22 × 16; ქაღალდი; ტყავადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; მხედრული. სათაურები მთავრულით, სინგურით; გადამწერი: ნიკოლას (221 გვ.); 1820წ. (221 გვ.); დაუწერელია 2, 222 გვ.; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკა-ვილის მიერ.

[ბაუშეისტერი ფრიდერიკოს ქრისტიან, ლოგიკა]. „ნაწილი პირველი ლოგიკისა სათეორეტიკო ანუ სამათაჳს მოქმედებათა გონებისათა: თავი ა. მოგონებათაჳს ანუ იდიათაჳს § 29.—პირველსავე ვიდრემე მოქმედებისა გულისწმის-ჰყოფისა ჩუწნისასა მარტივად მოგონებად, ანუ იდიად წოდებულ ვჰყოფთ...“ 46—220 გვ.

შენიშვნა: ლოგიკის ტექსტს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „ფრიდერიკოს ქრისტიანოს ბაუშეისტრისა გორლიციურისა, დინაზიისა რეკტორისა, დასაქამი ფილოსოფიისა ახლისა სარგებელად ყრმათა სხოლის წინათა ქმნილი და მრავალთა მიერ იგავთა და მგალითთა ძეშლთაგან მწერალთა, რომელთასა მოღებულთა განმარტებული ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებით შრომითა ანტონის მიერ არხიპისკოპოსისა, დავითიან-ბაგრატიონისა, იმპერატორიკა ეკატერინა ალექსიენასსა, უთჳთჳპყრობელისა ყოვლისა როსიისასა, და მემკვდრისა მისისა კეთილმორწმუნისა კელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა პავლე პეტროვიჩისა წულსა დასაბამითგან სოფლისა 7270, კორ-

ციელად შობითგან სიტყვას ღრისა 1762, ინდიკტიონსა 10, თუშსა მეშვდესა, რიცხუსა 30* (1 გვ.)”

ბ. „ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა წინასიტყვაობა ფილოსოფიისა ამის წინამდებარისა: აღნამკსა ვიდრემე გონებისასა ვერ სადამე მიხდი სიბრძნესა მით. რამეთუ წოდებულ-ჰყოფენ მას ფილოსოფოსნი მეფედ ანუ მთავრინად...“ 3—22 გვ.

(იხ. H კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, № 255, გვ. 181).

გ. „პინაკსი ლოლიკისა...“ 23—24 გვ.

დ. „[ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ი], თავი ა. წინასიტყვა ფილოსოფიისათს და ნაწილთა მისთა: § 1.—ვინაძთგან აწ შრომა ჩუშნი არს ამას შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განგეარგენითმცა...“ 25—45 გვ.

ანდერძი: „სიბრძნისთს რა ეჰსთქუა ღმერთ არს და რამედღა

და გზა მყოფი არს მის სიბრძნისად ესეცა,

ვინა სამართლად ვეტრფით ბუნებისაებრ

და გარდა ამის პავლე ჰსთქუა ცოფ ყოველნი

ამისთს მრწემი ვჰმურები არა უაზროდ.

ნიკოლოს. 1820 წელსა 2-სა აგვისტოსა“ (221 გვ.).

(842)

1590

კრებული. XIX

91 ფ.; 20 × 16,5; ქალღი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები ზოგან ასომთავრულით, ზოგან მხედრულად; სინგურით; [XIX ს.]; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

1. [ცოდვათა აღსარება]. „ნაწილი I. სარწმუნოებისა ნაყოფთა კეთილთა საქმეთა წინააღმდეგომთ ცოდვსათა აღსარება.—წინა აღდგომა ჭემ-შარიტისა კეთილმსახურისა აღმოსავალისა ეკკლესიისა სარწმუნოებისა, როჲ შელთაცა გუარითა...“ 1r—8v.

2. „წამება წმიდის გიორგისა. პირუელი.—მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტეს პირუელ საუკუნეთა მეუფებისა არა არს არცა დასაბამი საუკუნეთა, არცა დასასრული ცხოვრებისა...“ 9r—29r.

3. „თა სეკდენბერსა კგ, წმიდისა იოანე ოქროპირისა თქმული დადუმებისათს ზაქარიასა და შობისა თვის იოანე წინამორბედისა სიტყუა შესხმითი. მ. გ.—მოსე, დიდმან მსახურმან ღთისამან, წინასწარმეტყუელთა თავმან, ზღვის მოგზაურმან, რაჲნდმან ჰაერისამან, ტაბლამყოფელმან მანანასამან, სჯულისმდებელმან ღთისამან, რომელმან მიიხენა ფიცარნი დიდებულნი, რომელმან პირველად მიუნიჭნა უმჯობესნი ცხოვრებისანი...“ 29r—32r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: კირილე აღექსანდრიელისა, იოანე მახარებელისა და სხვათა განმარტებები აღსარებისა (32rv).

4. [გრიგოლ დიდი, რომის პაპი].—„თავი მეხუთე წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების დიოლოლონი, რომელ არს თხრობა სულიერი გ. მ.—დასაბამად ქმნა ღთს ცაჲ და ქუეყანა, ვითარცა წმიდაჲ წერილი თტყვის...“ 33r—65r.

შენიშვნები: 1. დიოლოლონის ეს ტექსტი ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის № 1103 ხელნაწერში შეთხვეთადად არის შესული.

2. ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I², გვ. 180).

5. „თუშა ოკლონბერსა მ, ცხოვრება და სინანული ნეტარისა ტასიასი მეგვიატელისა, რომელი იყო პირუშლად მეძავე და იქმნა ჭურჩეულ.—ძმანო ჩემო საყუარელნო, მეგულეების მე თხრობად თქუენდა სასურველი და ბრწყინულე სინანული.“ 65v—66r.

6. [ტიმოთე გაბაშვილი], „შემოკრებულნი შვიდთა მსოფლიოთა საღლოთა და სამღვდლოთა წმიდათა კრებათა ერთად წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა აღწერილთა წმიდათა წერილთაგან, რომელიცა უცთომელად გეუწყების წმიდისა ამის წიგნისაგან, რომელსა ეწოდების მარწუხი. იქმნა მადლითა და წამისყოფითა ღისათა. წმიდა და პირუშლი მსოფლიო კრება ქრისტეს აქეთ ქმ, მაისის კთ, მეფობასა დიდისა კოსტანტინესსა, რომელი დაჯდა დასაბამითგან წელთა ხუთი ათას რვაას და მეთაგრამეტესა, განხორციელებითგან სამას და მეთაგრამეტესა ქალაქსა ნიკიას, აღექსანდრითგან წელსა ქკს ივ, კალენდრისა ივლისსა.—ბრძენმან მან და ხუროთმოძღვარმან სასიერმან და შემოკმედმან ჩუშმან ღმერთმან ცთუნებითა გარეკმნილი ედემით ბუნება ესე ჩუშნი არა დაივიწყა...“ 69r—91r.

შენიშვნა: ტექსტს წინ წამდგარებული აქვს: „ან დერძი მშრომელისა.— იქველისმეტყულებდენ და იდიდებოდენ ჩუშნი მიერ პირუშლი ერთი მზადი და მარსაბელი ნამკისა შორისა ცხოველთა და უცხოველთა სწორებით შემკრებელი და კეთილთა მიმართ მრგულიად შენზავებელი, ალტრფობილი კეთილთა მიმართ, მარსებელი არსთა, მოთხრობისაებრ ტიმეოს და პარმენიდი სავებრ პლატონურისა ფილოსოფიასა მსგავს, გრცელი იგი და სოფლიოთა ზეშთა აღსრული სიბრძნისაგან საღლოთა პლატონისა ხევეთა აღიწეოდა სიმადლედ და ვიდრე სამობადმდე დრკებოდა, რომლისა ერთისა ამა სამთაგანისა სამობით ხედულისა ეგმანოფლისა ცებასა უგალობს ახალი ერი და საცნობელთა კეთილად განმსტრობს და სასუფეველად მოუწოდს ისუს მრსა ერთა და ზეციერად წარმოაჩუშ ქვეყნიერთა, ხოლო ღვეგონებრინი ბანაკნი ფილასოფოსთა წინაუკმოთანი იტყუან ნაწილ ბრძნობათა და სამობით ხედვისა საიდუმლოსა და განაკებისა ღმერთისასა, ცხადად ქვრობისა უმსგავსოდ იხმევენ ღვექსთა, რათა სახიერება მზადისა უსახუროდ განაცხადონ, გუნდნი განვრდომილთანი იღვეწიან ღვარკნილთა რათა აგემონ უსუართა და ბრგვილობათა ერთისათა და სიწრფევე ამღვრიონ და სიმარტივე სივერაგედ შთამოიყუანონ, არამედ სრული იგი მადლით სრულყოფს ორღანთა სიტყვერთა ცხოველთასა და განაბრძნობს, მზეებრ მცინეუარებითა მოფენს, მსგავსადქარსა ვნითა ცეცხლისათა ცვრეულთა კრებისაგანთა მამათა, რათა განიოტონ მგელნი ასბიტნი და ვასილიკონი სამწყსოთაგან წმიდისა, შვიდთა აღანთებენ ლამპარათა, რათა სოფლისა სიმრუმე განწმენილთა თავითა უკამშოდ შვიდთა ნაკვერცხლთაგან იხილვებოდის, და მზეცნი და ავაზ[ა]ქნი სხუთ გზით შესრულნი ეხოსა ცხოვართასა არა ზედან ახდენ და განიციდიდენ, რათა ეგ შურნი მპარავნი არა თანა უვიდოდეს მქელეულსა მოციქულთასა და საიფქლენი ორნატანი ღვარძლთა მიერ არა დაითრვებოდინ და მიმოეკუეთებოდინ ვრნი რჩეულნი; ამისთჳს შუდნი მსოფლიონი რად იქმნებოდენ კრებანი, აღიწერებოდა სიმტკიცე სარწმუნოებისა და წარეცემოდა საგებისა სოფლისასა, ხოლო მრავალგანთქმული ესე მართლმადიდებლობითა დიდი ივერია მრავალგზის წარმართ[თ]ა ოხრებითა შემციარებულ იყო. ამა წიგნთაგან და ეკლესიათანი საგანძურნი დაცალეირებულ იყუნეს საღლოთათა წერილთაგან და კრებისა ესე წიგნი სრულებით არღარა სადა იპოვებოდა, თუ ქს აქეთ რაოდენსა ქამსა იქმნენ წმიდანი კრებანი, ანუ რომელნი მეფენი სუ-

ფევდენ ანუ პაპნი, რომელნი ცხოვრებდენ და პოტირიტნი, რომელნი მიიწოდდენ კრებასა და ანუ რომელსა ქალაქსა იქმნებოდენ კრებანი ანუ წინააღმდეგომნი მწვალებელნი ვინა იყუნენ ეპისკოპოსნი, მღვდელნი თუ ერისკაცნი, და თუ ვითარ სწავლებდენ, ანუ რომლითა სიტყვითა იტყოდინა წუალებათა, ანუ მართლმადიდებელნი ვითა პირსა უყოფდენ საწინასწარმეტყველოთა და სამოციქულოთა მოძღვრებითა და ანუ ვითა სწავლითა დაუყვეს პირნი მათნი და შეიჩუნენეს, ანუ მწუალებელთაგანი ვითარ იტანჯეს მართლმადიდებელნი, ანუ კანონი რავდენი დასხეს სჯულისანი კრებისა,—ესენი, რჩეულნო, ზედა მიწვევით არა უწყოდით, ხოლო მე მდაბალ ქუთათელ ეპისკოპოსი ტიმოთე ვიძიულე მართლმადიდებელთაგან, რომელთა იკვი ედვათ ჩემდა შეკრებასა ამათსა არა მეცნიერთა უსწავლელობისა ჩემისათა და ვერ ურჩქმნილი ბრძანებისა, ვიწყე შეკრებად საღთოთა წერილთაგან, რომელი თვთ მაშინვე კრებასა ნათქვამნი და ზოგნი შემდგომად კრებისა აღწერილინი წმიდათა მამათაგან. არა თუ ჩემით შემიწყვეს რამე წმიდასა ამას კრებასა, არამედ თვთ ღირსთა პირისათა ნაბიჭვენი აღმომგისიეს; და უწოდე წიგნსა ამას მარწუხნი მრტურთველი შევიდა ნაკვერცხალთა ნანდვილ ესაიასებრ სახე, ხოლო თქუნენ, წმიდანო ღირსნო, უკეთუ ცთომილება ინილოთ, ნუ უგულვებელსმყოფთ, უნებელი უმეტრებისა და სიკინენ ფრიადი ზედან მედვა მე. აწ მამანო საქართვლოსანო, ისწავლიდეთ რა და იკითხვდეთ, უცებად მჩხრეკელისა ხსენებასა ნუ უგულვებელს ჰყოფთ“ (67r—78r).

მინაწერი: „წიგნთა შორის რომ სტომ დარჩიევისა“ (ქვ. საცავი ფურცლის v).

(843)

1591

ჟანლისი, ველისარი. 1861

94 ფ.; 22 × 18; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; მთარგმნელი და გადმომწერი დავით ციციანოვი (92v); 1861 წ. (92v); დაუწერელია 1r—3v, 4v, 5v, 49v, 93r—94v. ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

«ჟანლისი», «ველისარი ა. თავი ა.—ეჰა! საღმრთოო მყუდროებაო ამის უდაბნოსაო! ვერა რამე შეიძლებს აღშფოთებასა შენსა...“ 6r—92v.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „ველისარია, შეთხული უფალას ჟანლისის მიერ, თარგმნილი და მეორედ გამართული და გარდამოცემული, ნაწილი პირუშლი, მოსკოვს, ტიპოგრაფიასა შინა სჯემონ სელივანოვისასა 1821, ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი თავდის დავითვესტათის ძის ფანასკენტელ ციციანოვისაგან“ (4r).

ბ. „ნაკუსთი წინასიტყუაობისა უფალას ჟანლისისა.—მე ვერ ვკადრებდი გამართულსა ველისარიისასა, გარნა შევსთხე წიგნი ისტორიულსა საფუძელსა ზედა, არა რაჲსამე მეჭონე უფლის მარმონტელის საზოგადოს წიგნისა თანა; მისი პოლიტიკური რომანი დაშთების ჯელთა შინა სავლემწიფოთა კაცთასა, ხოლო ჩემი შესაძლო არს, რათა იქმნეს რავდენთამე წამთა მომცულ დედათა და ერისაგანთა კაცთა, ესეცა უკულ საკმაო იქმნების ჩემოვს“ (5r).

2. ტექსტს მეორე ნაწილის დასაწყისში უძღვის თავფურცელი: „ველისარია, შეთხული უფალას ჟანლისის მიერ. თარგმნილი და მეორედ გამართული და გარდამოცემული. ნაწილი მეორე. მოსკოვს ტიპოგრაფიასა შინა სჯემონ სელივანოვისასა. 1827“ (49r).

3. „ველისარი“ შედგება ორი ნაწილისაგან. მეორე ნაწილს ეწოდება „ისტორია დელიმერისა“.

ანდერძი: „ესე ჩემ მიერ ნათარგმნი რუსულით წიგნი, მეორედ გარდავსწერე და რაოდენ შემეძლო, გაემართეცა წელსა განჯორციელებიდეგან სიტყუესა ღისა 1861, თთულსა მაისსა 9-ს დღესა, დავით ციციანოვი“ (92v).

4. ხელნაწერთა აღწერილობა

(844)

1592

პროკლე დიადოხოსი, კავშირნი ღვთისმეტყველებითნი. 1757

204 ფ.; 22,5 × 17,5; ქალაღი; ტყავადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; გადამწერი: ხაქარია დიაკონი (201v); 1757. I. 10 (201v); დაუწერელია: 1r—3v; 202r—204r; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

„პროკლე დიადოხოსი, პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღვთისმეტყველებითნი. თავნი ორას და ათერთნი.—ა. ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთსა. ხოლო უკეთუ არა ეზიაროს, არა ყოველი ერთ იქმნება და არცა თითოეული, რომელთაგან არს სიმრავლე...“ 6r—201v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის: „საძიებელი წიგნისა ამის...“ (4r—6r).

ანდერძი: „შთარგმნელი ამისი ფილიპე და შემწყობელი იოანე მდივანბეგი და კახი მღვდელი ნიკოლოზ. არამედ ესე ფილიპე მოქენეობს თანამდებთა მიტევებასა ამისთვის, ვითარმედ მოხუცებული იყო და ესრეთცა იტყვის: ცოდვილ და უძღურ ყოვლითურთ ვარ მეო; მაგრა მე ესრე ვგონებ სტყუოდეს,—ესე ფრიად მკნე და ძლიერ და მოქენე და მწადე ფრიად ფრიად(!) თარგმანთა და გარდამოცემათა. არამედ კელყოფა ამისი იქმნა იანვარს ი. ქქს უმე, ქრისტეს აქეთ ჩღნა. ესე ფრიად შენდობისა მოქენეც არს აღმომკითხველთა მიერ, რათა ქრისტემან თქუნცა მოგისხუნესთო, ამინ.

მე ხაქარია დიაკონი მესამედ ვწერ პროკლესა ან[ა]ს. ფრიად სატრფოსა ჩემსა და მეცა ვარ მოწაფე ფილიპესი და შემდგომად ვართაპეტ ავეტიქისა“ (201v).

(845)

1593

სვიმეონ ჯულფელი, დიალექტიკა. 1778

236 გვ.; 19 × 14; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; 1778 წ. (233 გვ.); დაუწერელია 234—236 გვ.; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

[სვიმეონ ჯულფელი, დიალექტიკა]. — „დაწყებებასა შორის დიალექტიკისასა საწმარ არს კითხვსათვს მცირისა რაასამე თქმად, რომელსა განსაზღვრებს არისტოტელი ესრეთ: კითხუა არს ძიება მიგებისა.—აწ უკუშ დალაცათუ მრავალ არიან სახენი კითხვსანი, გარნა აქა საწმარ არიან ჩუშნდა რაა არსისა და ვითარი არსისათვს, რომელნი თქმად არიან ამათთვს, რომელთა ყოფა აღსარებულ არს...“ 3—233 გვ.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია დოსითეოზ ნეკრესელის მიერ. (იხ. კ. ქველიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1941, 336—337 გვ.).

ანდერძი: „ადიწერა თთუშსა მარტსა კა, ქქს უმე“ (233 გვ.).

მიწაწერი: „ქ. ანჩისხატის დეკანოზმა, რომელიც ამას ქვეით სწვრია, ეს წიგნები მომცა:

- ქ. ამონიოს
- ქ. პერიერმენია
- ქ. საზღურის წიგნი
- ქ. ნემესიოს
- ქ. რიტორება.
- ქ. სიმეტნე

- ქ. კმნულების ცნობა
 ქ. დაწყება დიალიკტიკისა
 ქ. მკერმეთქვეობა
 ქ. რუსული და მოლდავენური კითხვა-მიგება. გაბათონი სვიმონ“ (1 გვ.).

(846)

1594

უთრუთიან-სამიანი. 1647

148 ფ.; 31 × 20,5; ქაღალდი; მუყაოს კოლენკირგადაკრული ყდა; ნაკლული; დაზიანებული; მხედრული; სათაურები სინგურით; ტექსტი დასურათებულია: 1v, 2r, 3v, 6rv, 11v, 12r, 13r, 15r, 16r, 20r, 21v, 24r, 26v, 27v, 28v, 34v, 35rv, 36r, 38v, 39r, 40r, 43v, 44r, 50v, 51r, 52v, 53r, 56v, 57r, 59v, 60v, 61r, 68v, 69r, 70r, 71v, 72r, 72v, 74r, 76v, 77r, 83r, 86r, 88r, 93v, 94rv, 95v, 96r, 102v, 103v, 104v, 105v, 107v, 111v, 112v, 115v, 116r, 119v, 120r, 123v, 124r, 125r, 128r, 133r, 134r, 143v, 144v, 147r და 146r; გადამწერი მამუკა თავაქალაშვილი (148v); 1647 წ. (148v); ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

[უთრუთიან-სამიანი]. „... ართნეს ღთისა სახელსა ზედა ვითა ქო... მისი შვილი სიამუქ ფალავეანი თურანგი... ლაშქარნი გამოუგზავნა. მერმე ხვარაზან [დ]ეკმან შეიყარა მისი ორასი ათასი [დ]ევი და გაემართა საოკმარად...“ 1r—148v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი „ყარამანიანი“-ს სახელწოდებით აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, 609 გვ.).

2. უთრუთიან-სამიანი წარმოადგენს „შაჰ-ნამეს“ პროზით ვერსიას (იხ. დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, 1959, გვ. 18).

ანდერძები: 1. „ღმერთო, შეიწყალე ამისი მწერალი“ (18v).

2. „ქ. აქა გათავდა ეს წიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადანიის ბატონის ღეგანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა და ზალ ფასკუნჯმა რომ წაიყუანა, გაზარდა მთაშიგან, ვირემდის პოებდეს ზალს [და] შინა მოიყუანდეს განგებითა პოვნამდის,—ეს ყუელა იქნა. დაიწერა ქქსა სამას ოცდათხუთმეტსა, თვესა ივლისა ოცდაშვიდსა. გათავდა“ (148v).

მინაწერები: 1. „ნა კაშიძის ასულთ მარიკა, აღათიმ თუ აგი ლამაზი კაცი გათხო... მაქუტაძეს ნულარ სოხვ, ნურც ემდური თვარა...“ (147r).

2. „ქ. ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ მისაჩვენეს ბატონს ჩიჩუას მოვახსენებ“ (146v).

3. მიწერილია სურათზე: „ვინც ამას იკითხავთ, ვინ უნდა იყოს გიორგი ერისთვის მეტი, ცხენს თუ იკითხავთ, ბატონისშვილმა ნიკომ რომ ცხენი მომცა, ის არის. მე თუ არ დამიჯერებ. მე მომყვანს შეგაფიცებ, იცოდეთ“ (133r).

4. „ჩემო ხელმწიფის შვილო აღათი, შენი მხეველი ნაკაშიძის ქალი მარიამ მშვენიერის ხელის კოცნას გიბრძანებ. ამას კი გემდური, ერთი ლამაზი კაცი ამ წინგში არ... ჩემი ჯინიხუდა დაახატოე“ (21 v).

5. მინაწერები მოთავსებულია აგრეთვე 8r, 27r, 88v, 118v.

(847)

1595

კრებული (კითხვა-მიგება). XI

454 გვ.; 22 × 14; ეტრათი; თავბოლონაკლული; მუყაოს ნაჭერგადაკრული ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; გადამწერი მოსე (293, 348 გვ.); [XI ს.]; ხელნაწერი შემოწირულია პ. უმიკაშვილის მიერ.

1. „... მაღლითა სულისა წმიდისაათა...“ 1—10 გვ.

2. „სწავლანი ღმრთივსულიერთა წმიდათა მამათანი, წიგნთაგან რჩევით გამოკრებულნი თითო-სახეთა და სარგებელთა საქმეთა ცხადად განმარტება.—კითხვა: რომელი ცოდვა არა უტევებს შეწყნარებად წინაშე ღმრთისა ლოცვასა კაცისასა, ანუ ძალი სათნობა უაღრეს არს ყოველთა სათნობათანი...“ 10—39 გვ.

3. „თქმული წმიდათა მამათა მარხვისა და ლოცვისა და მღუიძარებისათჳს, კწნ. კითხვა: რომელნი არიან, მამაო ღმერთშემოსილო, ჭეშმარიტნი იგი თაყუანის-მცემელნი, რომელნი სულითა და ჭეშმარიტებითა თაყუანის-სცემენ ღმერთსა...“ 39—69 გვ.

4. „თქმული წმიდათა მამათა დაყუდებისათჳს კითხვა: გულს-სიტყუა ჩემი მეტყჳს მე, რათა წარვიდე და დავეყუდო...“ 69—75 გვ.

5. „თქმული წმიდისა მაქსიმე აღმსარებელისა ზიარებისათჳს. კითხვა: ზიარება წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა ზედას-ზედა ჯერ-არსა ანუ ჟამითი-ჟამად?...“ 75—93 გვ.

6. „ათანასე აღექსან დრიელისა თქმულისა განრჩევით გამოკრებული, კწნ.—კითხვა: რომლისა ლოცვისაგან უფროჲს ეშინის სულთა უკეთურთა...“ 93—122 გვ.

7. „თქმული წმიდათა მამათა თავისა განკითხვისათჳს, ნებისა და ტევებისა და მორჩილებისათჳს. გზა უცთომელი და სათნობა ჭეშმარიტი, რომელი დადევს წმიდათა მამათა...“ 122—238 გვ.

8. „თქმული წმიდისა ანასტასისი და უწყება კაცისათჳს ცოდვილისა, უფროჲს ხოლო სიძვისათჳს.—ჟამთა ნიკიტა ერისმთავრისათა, რომელი იყო კარტჯინს ქალაქსა აფრიკეთისასა, იყო მუნ კაცი ვინმე ფრიად ცოდვილი...“ 238—252 გვ.

9. „თქმულთაგან წმიდისა დორეთესთა რჩევით გამოკრებული.—თქუა წმიდამან დორეთე, ვითარმედ, რომელი უსმენდეს სჯინდისსა თჳსსა, რომელ არს გონება მამხილებელი კეთილისა და ბოროტისა...“ 252—272 გვ.

10. „სწავლათაგან წმიდისა ბასილისთა რჩევით გამოკრებული.—თქუა წმიდამან ბასილი: კაცთ-მოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი-იგი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა გულსწმის-ყოფისასა...“ 272—293 გვ.

11. „თქმული წმიდისა ბასილისი ლოცვისათჳს.—ლოცვა გონებითა წმიდითა ზრახვა არს მარადის ღმრთისა მიმართ...“ 293—336 გვ.

12. „პეტრეს კითხვა გრიგოლის მიმართ. უფალო გუკითხენ(!)—მრავალნი მოსწრაფე არიან გუამთა მათთა დამარხვად ეკლესიასა შინა...“ 336—348 გვ.

13. „სწავლათაგან წმიდისა მამისა მაქსიმე აღმსარებელისათა რჩევით გამოკრებული.—პირველად სიყუარული კეთილი და სრული ესე არს, რათა დადვას კაცმან სული თჳსი ძმისა თჳსსთჳს და მოკუდეს მისთჳს...“ 348—362 გვ.

14. „სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე სინელ მამასახლისისანი კლემაქსისა წიგნთაგან რჩევით გამოკრებულნი.—ყოველნი, რომელნი განმზადებულ ხართ... ასარეზსა მას...“ 362—446 გვ.

15. „სწავლა და განკრძალება მწყემსთა მიმართ.—ვიხილე მკორნალი უგუნური, რომელმან შემოსრვილი უძლორი შეაწუხა ვინებითა უჯეროთა...“ 446—454 გვ.

წყდება: „... ნუუჟე შემძლებელ იყო...“

შენიშვნა: 1. 31—34 გვ. უკუღმა ჩაკერებული.

მინაწერები: 1. მთავრულით ნაწერ სათაურებს 293 და 348 გვერდებზე მოსდევს ტექსტის ხელით შესრულებული ნუსხური მინაწერი: „წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა ყავთ გლახაკისა მოსესთჟის“. აქ მოხსენებული მოსე ხელნაწერის გადამწერი უნდა იყოს.

2. ხელნაწერის კიდევზე ტექსტის გასწვრივ XVIII ს. მხედრულით მიწერილია „შეისწავენი“: 1, 2, 4—9, 11—13, 22, 24, 26, 28—32, 34, 35—39, 42, 56, 62, 63, 67, 87, 104, 122, 131, 137, 140, 148, 218, 238, 254, 255, 260, 272 გვ.

3. (XV ს. მხედრულით): „ქ. კირიკეს(!) შეუნდნეს ღმერთმან მისნი ცოდვანი და ვინცა შენდობა...“ (50—51 გვ.).

4. (XIV ს. ნუსხური): „დემეტრეს და მისა მუღლესა გულმანგასა და მისსა ძმისა ბასილსა და მისთა ტომთა და ნათესავთა შეუნდვენ ღმერთმან და ვინცა შენდობაჲ თქუას, მასცა შეუნდვენ ღმერთმან“ (120—121 გვ.).

5. (XV ს. მხედრულით): „ქ. ყოველთა უც[ო]ღვილესს კირიკეს შეუნდნეს ღმერთმან და ვინცა [შენდობა ბძანოს], მასცა შეუნდნეს ღმერთმან აწ და უკუნი-სამდის“ (168—169 გვ.).

6. (XV ს. მხედრულით): „ქ. ღმერთო, შემინდვენ ცოდვილს კირიკეს და ვინცა შენდობა თქოს, [მასცა შეუნდოს] ღმერთმან“ (172 გვ.).

7. (XIV ს. ნუსხური): „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე სულითა ცოდვილი დემეტრეს, ამა წიგნისა მომ[გებელი]“ (273 გვ.).

8. (XIV ს. ნუსხური): „წო... დისაო, გამიმარჯუე შენ დეკანოზობასა“ (289 გვ.).

9. (XIV ს. ნუსხური): „ქ. ჯუარცმისა ხატო, გამემარჯუე მონასა შენსა დემეტრეს შენს... დეკანოზობასა და ნუ მარცხენ აჭა და მას საუკუნ...“

10. (XIV ს. ნუსხური): „წმიდაჲ მიქელ, შ[ე]იწყალ[ე] ანტუნი“ (303 გვ.).

11. (XIV ს. მხედრულით): „ქ. ამა წიგნისა მომგებასა დემეტრეს და მისა მუღლესა გულმანგასა შეუნდნეს. ღმერთო, ვინცა შენდობა ბძანოს, მასცა შეუნ...“ (314 გვ.).

12. (XIV ს. მხედრულით): „ქ. ღმერთო, შემინდვენ ცოდვანი კირიკეს და ვინცა შენდობა თქოს, მასცა შეუნდნეს ღმერთმან“ (346—347 გვ.).

13. (XIV ს. მხედრულით): „ქრისტე, შეიწყალე არსენი ს[უ]ლითა. ლოცვა ყავითა ცოდავილს არსენისთისა. ღმერთმა მოგცეს ნცვათ(!)“ (440 გვ.).

14. (XIV ს. ნუსხური): „ქრისტე, შეიწყალე არსენი სულითა, ამენ“ (452 გვ.).

15. მინაწერები მოთავსებულია აგრეთვე: 66, 152, 200, 201, 214, 230, 231, 280, 281, 284, 288, 292, 293, 304, 305, 328, 396 და 398 გვ.

(848)

1596

კრებული. XVIII

270 გვ.; 21,5 × 16,5; ქაღალდი; დაშლილი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა მხედრული; სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ხელნაწერი შემოწირულია პ. უმიკაშვილის მიერ.

1. (ბესარიონ ორბელიანი, გრდემლი) „სიტყვისგება ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს ჩუენგან მათი განყოფილება, თქმული უნდოსა და გლახაკისა ჰუცესმონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა, რომელი იქმნა კათალიკოზ წმიდა და სამეუფოსა საყდარსა ზედა მცხეთას, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გვრდემლი.—მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზთათჳს და არა აღებად პირისა, რამეთუ უღირსება სულისა და შიში შეუკადრებელთა შეკადრებად მიზეზ

მექმნა ღუმლისა, რამეთუ არა ადვილ არს, არცა უზღვეოჲ პირველად განწმედისა შესება სიწმიდეთა და უღირსთა მიახლება..." 1—235 გვ.

შენიშვნა: ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა გურდემლ ეწოდების..." გვ. 235—237.

2. (რომის განდგომისათვის, მართლმადიდებლობისაგან).—„რომისა განდგომისათს, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმიდისაგან ეკლესიისა..." გვ. 238—267.

შენიშვნა: ტექსტს ახლავს ბიბლიური ხასიათის თხრობა, სხვა ხელთ: „ჭეროდჲ ჩხვლთ მომწყვედელი იყო ასკალონელი..." გვ. 267—270.

(849)

1597

კრებული. 1768

318 გვ.; 19,5 × 12; ქალაღი; ხის ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; გადამწერი ანჩისხატის დეკანოზი გიორგი (254 გვ.); 1768წ. (254 გვ.); დაწერელია: 15—20, 234, 256—260 გვ.; ხელნაწერი შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

I. [გამოკრებილი სჯულის კანონი].

1. (შვიდნი საეკლესიო კრებანი).—„ქრისტეს განჯორციელებიდან წელნი გარდასრულ იყუნეს სამასი არიან უკუშ სოფლიონი შუდნი კრებანი დიდნი, რომელთა პირუსლი არს ნიკიისა სამას ათეურამეტთა წელთა მამათა, რომელნი შეკრბეს ნიკიას ბითუნიისასა დიდისა კოსტანტინეს ზე..." 1—14 გვ.

2. „სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა იოანე მმარხუელისა წმიდისა მამისა ეფთჳში მთაწმიდელისა თარგმნილი. წესი და განგება ას სამეოცდარვათა წმიდათა მამათაჲ, რომელნი შეკრბეს კოსტანტინეპოლის, ახალსა ჰრომსა, კოსტანტინე ღმრთის მსახურისა და მორწმუნისა მეფისა ზე, ძის წულისა ძისა ჰერაკლე მეფისა.—იყუნეს წინამძღუარ კრებისა ამის აგათონ პაპი ჰრომისა..." 21—146 გვ.

შენიშვნა: კანონი 97 თავისაგან შედგება.

3. „კანონი შეცოდებულთანი, აღწერილნი წმიდისა მამისა ჩუშნისა იოანეს მიერ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა ეწოდა მმარხველ.—უწყებულ იყუნით, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მმარხველი უკანასკნელი იყო ყოველთა მათ, რომელთა სჯულის კანონისა წესი დაეწერნეს..." 147—174 გვ.

შდრ. Н. А. Заозерский и А. С. Хаханов, Номоканон Иоанна Постника, Москва, 1902, გვ. 2—58.

4. „კანონი შეცოდებულთანი, განწესებულნი წმიდისა მამისა ჩუშნისა იოანე მმარხველისა მიერ კოსტანტინეპოლელ პატრიარქისა. თავი ა.—უკეთუ ვის შეემოხვნენ ბუნებითი ცოდვანი, ესე იგი არს სიძვა..." 175—209 გვ. (შდრ. Заозерский..., გვ. 58—92).

5. „კანონი დღითი-დღეთა ცოდვილთანი, ვითარცა წმიდამან ბასილი განაწესნაჲ.—პირუსლ მოსლვაჲ გულის-სიტყვაჲ, რომელი მოუტდეს და გონებამან სწრაფით განიოტოს..." 209—216 გვ.

6. „მიგებაჲ კანონებრივი ტიმოთე წმიდისა მთავარ ეპისკოპოსისა აღექსანდრელისა..." 216—223 გვ.

7. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა მეთოდის კოსტანტინელ მთავარეპისკოპოსისა და მოწამისა თუ, ვითარ ჯერ-არს შეწყწნარება თუთეულისაჲ ჰასაკსა შინა უარის ყოფისა ბრალსა შთავრდომილთათჳს და კუალად ქრისტეანელ მოქცეულთაჲ...“ 223—225 გვ.

8. „წმიდანი და მსოფლიონი კრებანი არიან შუდნი...“ 226—233 გვ.

შენიშვნა: დართული აქვს „ზანდუეი სჯულის კანონისაჲ...“ (235—254 გვ.).

II. „იოანესაგან სინელისა სამ-ათნი გუარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი. ვინცა აღსრულხარ, სისრულედ მიწვევულხარ... ესენი თუთო თავისაგან ათ მუტლად მე, იოანე, დავლექსენ პირის-პირად...“ 261—318 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გალექსილია იოანე უბეტრიჭის მიერ (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1^ა, გვ. 287).

ანდერძი: 1. „თუშა ივლისსა კბ, ქკს უნგ სრულ იქმნა მცირე ესე სჯულის კანონი ქალაქსა ტფილისს, პალატსა საპატრიარქოსა, წელითა ანჩისხატის დეკანოზის გიორგისათა, მხილველთა შენდობის მოქმენ“ (254 გვ.).

2. „სრულ იქმნა ნოემბერს კზ“ (318 გვ.).

მინაწერი: „ანტონი“ (ჩართულად) 255 გვ.

(850)

1598

დავით გურამიშვილი, დავითიანი, 1787

309 გვ; 32,5 × 19,5; ქალღი; მუყაოს ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; დაშლილი, ყდა მოვარდნილი; 1 ფურცელი აკლია 53 და 54 გვერდებს შორის; მხედრული; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; ავტოგრაფი დ. გურამიშვილისა (268 და 289 გვ.); 1787 წ. (289 გვ.); დაუწერელია: 291, 297—301; 303—306 და 308 გვ.; შემოწირულია პ. ჴმიკაშვილის მიერ.

1. „წიგნი ა. ქ. წიგნი ესე, რომელსა ეწოდების სახელად დავითიანი, თქმული გურამისშვილის დავითისაგან. თავი შესავალი ა. ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი.—

ღმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდართა ჯდომანი,

რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფილთ სურვილის ნდომანი...“

2—96 გვ.

შენიშვნა: „წიგნი ა მოიცავს ა-მგ თავებს. ოცდამეორე (კბ) თავს ფურცლის დაკარგვის გამო აკლია 13 სტროფი.

2. „წიგნი ბ. მდ. სიმღერა დავით გურამისშვილისა, ტყვეობილამ გამოსვლის დროს დავითის შესხმა.—

ვინც რომე სახლში შემეშვა, გამათბო, გამამშუშაო

დამიდგა კარგი სადილი, წინ ღვინით სავსე შუშაო...“ 97—98 გვ.

3. „მე. ოდეს დავით გურამისშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთის-მშობლის შესხმა.—

ჩემ საყვარლის მომყვანელო ძედ, მარიაჲ ქალო,

სახით ოქროს სასანთლეო, ლამპარ განუქპრალო...“ 99 გვ.

4. სხვა წმა.—მოწყალების კარო, შენს ზღურბლს მოვეკარო,

უსახლ-კარო ვარო, ვითხოვ შემიფარო...“ 99 გვ.

შენიშვნა: თავდაპირველად ეს ლექსი იწყებოდა შემდეგი ორი ტაეპით:
 „ლამის ცეცხლის პალო, დღის მზის აღმოსავლო,
 მე დღესა თუ ხვალ მანდეთ წამოვალო“ შემდეგ ავტორის ეს ტაეპები გადაუნახავს.

5. „მვ. ხარებობის დღის შესხმა: „ახა წმინდა კობალეს“ სანაკლოდ სამღერალი. —

ქალ-ქალწულმან მარიამ წმინდად თავი ატარა;
 ყოვლის კაის საქმითა თავი ღმერთსა აყვარა...“ 100 გვ.

შენიშვნა: ამ ლექსის ბოლოს ავტორის ხელით მიწერილია: „მთ. აქ უნდა დაიწეროს ღვთის-მშობლის მიცვალების დღის შესხმა, აგრევე მისი შემდგომი ცოდვის მოგონება“. გამოცემაში ლექსთა რიგი ამ შენიშვნის მიხედვით აღდგენილია (შდრ. დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955 წ., გვ. 118).

6. „მზ. აღდგომის დღეს ყრმათაგან სამღერელი. —

აღდა ქრისტე და აღმოიყვანა ადამიანი...“ 101 გვ.

7. „მმ. ღვთის-მშობლ[ი]ს მიცვალების დღის შესხმა. —

გიხაროდესთ ანგელოზთ დასნო...“ 102—104 გვ.

8. „მთ. თავისის ცოდვის მოგონება და სასინანულო სიტყვები დავით გურამის შვილისა. —

ვაჟე ცოდვილს და უნანელსა,

კეთილთ საქმის მე უქონელსა...“ 104—105 გვ.

9. „ნ. სიტყვა ესე ღვთისა სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი და სწავლა საყვარლისა ღვთისა და კაცისა ძისა ყრმათათვის სიმღერად.

„ეეო, მეო, ქალო ქალთა მზეოს“ სანაცლოდ სათქმელი, —

ეეო, მეო, აქეთ მომხედო...“ 106—112 გვ.

10. „ობოლნი. — დიდება შენდა, უფალო, შენა ხარ კაცთა მოყვარე...“

113 გვ.

11. „ნა. სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობის სანაცლოდ სათქმელი. —

ყრმავე, გონება უგუნური აგონიარეო,

თაეს ნუ გაჭდი უღონოდა, აღონიარეო...“ 114 გვ.

შენიშვნა: ამ ლექსის ბოლოს ავტორის ხელით მიწერილია: „აქ უნდა დაიწეროს: „ეეო, მეო, აქეთ მომხედო“. გამოცემაში ლექსთა რიგი ამ შენიშვნის მიხედვით გასწორებულია (შდრ. დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, გვ. 123—129).

12. „ნბ. სიმღერა ფერტისული „აგერ მიღმარ ახოს“ სა[ნა]ცლოდ სათქმელი. —

ეშმაკეულთ ახოსა ანგელოზმან მნახოსა,

მწეროს ჯვარი ქრისტესი, გულზედ გამომსახოსა...“ 115 გვ.

13. „ნგ. ოდეს დავით გურამის შვილი ბრუსიაში დატყოვდა და, თუ რამ აქნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი. —

ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი

მგელთ წარსატაცად ფარებთა გარე...“ 116 გვ.

14. „ნდ. მეორე დავითის შესხმა. რუსულის სიმღერის ვმა. ნე, დამ პოკოიუ, პოიდუ სტაბოიუ. —

აბრაჰამის ღმერთი, საბათი ერთი...“ 117 გვ.

15. „ნე. რუსულის სიმღერის ჯმა: ჩოთა პრიჩინა, ვსელდა კრუჩინა.—

ისმინეთ ერნო, გულთ მეცნიერნო...“ 118—119 გვ.

16. „ნვ. მესამე დავითის შესახებ პოლშის სიმღერის ჯმა.—

აწ მე აღვიძრავ ენასა,

ვადიდებ ღმერთსა ზენასა...“ 120—122 გვ.

17. „ნზ. არია, რომელ არს გოდება (რუსულად ახ კაკ სკუშნო).—

ვა, რა მაქვს დიდი მოწყენა,

სადა არს ჩემი მოღბენა...“ 122—125 გვ.

18. „ნწ. სიმღერა, რომელ არს ამისის ჯმის სიმღერა რუსულად: ნეთუ ზლოსთი ნაღონოიეუ, უმენშით მნე პეჩალ მოიუ.—

რქვა: დიდება, ღმერთო, შენდა, ცად და ქვეყნად რაც აღშენდა!

დავით ჯმითა ნესტეს აფშვენდა, ვიგალობდა ვითა გშვენდა...“

125—126 გვ.

19. „ნთ. სიმღერა დავითისა ზუბოვკა, რომელ არს რუსულად ამისი ჯმა: კახაკ დუშა პრავდივია.—

ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,

მეტად ტურფა, შეენიერი, მაზე დამრჩა თვალი...“ 1127—128 გვ.

20. „ნა. სიმღერა, ამისი ჯმა, რომელ არს რუსულად: ჩუესთუიუ სკობრბი ლუტი ვსიაკაო მინუტი.—

საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა, გულ-საწვავი

ნეტა რად ვიყო შენია,

სახით ავრივად შეენია...“ 129—130 გვ.

21. „ნბ. რეული, ეს რუსულად: პოლნო, პოლნო, ნე პრელშაისა.—

კმარა, კმარა, ნულარა სცოდავ, სულს აგების მიხვდეს შეგბა,

აწ დასწყენარდი, ნუ შფოთავ-ბორგავ, ნუ გაქვს ზმირინთ ზინზ-

ლად ფშვენბა...“ 130 გვ.

22. „ნგ. რეული, ახალი შემოღებული ქართულად.—

ქორცია მიწა ტალახი, საწუთროს ფეჭით ნალაჯი;

სული უსხეულ მყოფელი, აქვს საუკუნო სოფელი...“ 131 გვ.

23. „ნდ. დინარი, „ბატარა ქალო თინაო“-ს სანაცვლოდ სამღერალი.—

ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო?—ღმერთი მალალთა შინაო,

ვინცა შეამკო ქვეყანა, ღამე დღედ განაბრწყინაო...“ 131 გვ.

24. „ნე. ზმიანი შიირი დავით გურამისშვილის თქმული (ახლა იქნება, რომ წამკითხავმა საჩქაროდ წაიკითხოს და რაზედაც ნათქვამია, ის ზმა, ვერ შეიტყოს, ამისთვის წითელი ხაზები ჩამიტანებია; რაც ხაზსა და ხაზს შუა შიიტყვა არის, იმაზედ არის ნათქვამი).—

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, კმუნვა, ვიშობა...“ 132—133 გვ.

შენიშვნა: ამ ლექსის მესამე ტაეპს სინგურით მიწერილი აქვს: „ერთს დღეს აღდგომაც იყო და ხარებობაც; დიალაც ციოდა მოსკოს და იმის მონასიბათ თქმული“.

მეოთხე ტაეპს: „ერთმა ქართველმა თავადისშვილმა მოსკოს ქორწილი ქნა და ცოტად მდადს პურის ს[ა]უჭმელო დაუგვიანდა; აგრეთვე მანამდის ქორწილს იქმოდა, ორს დაბალს აზნაურთან იდგა ფსონათა და იმათზე მეტსა ხარჯევდა—იმის მონასიბათ თქმული“.

მეხუთე ტაეპს: „ერთს დღეს ბატონებმა დავით გურამისშვილის ხალათის ბოძება განიძრახეს—იმის მონასიბად თქმული“.

25. „ამიციანა ზმიანი.—

აწ ზმობს მღევსელი: მზასა ვარ, ცხელი ზაქო მწვადები, დარბაზს
წაილით...“ 133 გვ.

26. „გე. სიმღერა. რომელ არს რუსულად ამისი ჯმა: უღეტელა
ზაზულინკო ჩერეს დუბინუ.—

ვსთქვათ, რაც ვარდმან თავის თავზედ ქნა საქმე ავი:

„შეიძულა მან ბულბული, იყვარა ყვავი...“ 134 გვ.

27. აგ. სიმღერა, რომელ არს ამისი ჯმა რუსულად: ახ, სკოლიკო
ცველა ვლეტახ მოლოდიხ.—

ვა, რამდენი ყვავის ზაფხულს ახალნი,

არ ვიცოდი ჯავრი დროთა, აეთ ხანი...“ 135 გვ.

28. „აზ. ამიციანად იგავეი, ასახსნელად ადვილი.—

ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე-ღამე მზიანი,

იფქლი კალოზედ იყარა განურჩეველი, ბზიანი...“ 136 გვ.

29. „აშ. ანბანზედ თქმული დავითისაგან პირველი თავიდ-
გან და მეორე ბოლოდამ.—

ადამ ბრმა გველით და ევა ვერ ზოგვენ შე თმენასა,

იმ კრულმან ლახვრად მიაგო ნებით ორ-პირი უღერასა...“ 136 გვ.

30. „ათ წიგნი ბ. გოდება დავითისა, საწუთოს სოფლის გამო ტირილი-
გული ღონდება, ვიწყო გოდება: ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო...“

136—140 გვ.

31. ო. ის იევე გოდება, სხვა რიგი ჯმა, თუმცა სიტყვა და ძალი
ისივე არის, იქნების კაცი ამ რიგს უმას უფრო გაეწყოს.—

გული ღონდება, ვიწყო გოდება

ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება...“ 140—145 გვ.

შენიშვნა: ამ ლექსს მოსდევს შეცდომით ჩაწერილი დ. გურამიშვილის „მზიარული
ზაფხულის“ 2 სტროფი, რომელიც ავტორის ხელითვე გადახაზულია.

32. „ოა, სიკვდობისა და კაცის შელაპარაკება და ცი-
ლობა.—

ყველას გვეწვევის სიკვდილი, გემართებს დაუბედეთ მზათაო,

ის ჩვენკენ ჭოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუტყვეთ გზათაო...“

146—149 გვ.

33. „ობ. კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და პქობა,
ერთმანერთის ძვირის ვსენება.—

ჰაი, ჰაი, ეს საწუთრო რას ტყუის და რას უპირობს:

თავს რა უყო, ა, იმ კაცსა, ნახეთ, ბოლოს რას უპირობს...“

150—160 გვ.

შენიშვნები: 1. ერთვის შესაქმეთა ტექსტის ფრაგმენტი (შდრ. შესაქმეთა 4₆-1₆).
2. ლექსის დასაწყისში ჩაკრულია ნახატი—სიკვდილი ჩონჩხის სახით, ხელში
ცელით, თავს გახმის მწოლარე ბავშვს.

34. „წიგნი დ. წიგნი ესე მზიარული ზაფხული, რუსულად
ამის ჯმის სიმღერას ეწოდების „ვესელა ვესნა“, თქმული მისივე დავით-
გურამის შვილისა. ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლა.—

ერთს ქალს რუსული „ვესელა ვესნა“
ჩემთვის საკმილად ჩამოეკეცნა...“ 161—262 გვ.

შენიშვნები: 1. სათაურის ზემოთ ცარიელი ადგილია დატოვებული წარწერით
„[ხა]მთარი დაიხატოს.“ 166 გვ. მიწერილია: „აქ უნდა ზაფხული დაიხატოს“.

2. 252 გვ. მიწერილია; „ეს კამერის ამბავი წიგნში, წერილში ვერცადა ვნახე
და ისევ მოვალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს, ამისთვის რომე:
სჯულად არ დაიდვას ტყუილი“.

35. „იდ. ადამის საჩივარი.—

ადამს ჰკითხეს: რატომ სტირი,
რომ სწუხ, რა გაქვს საწუხარი?...“ 263—266 გვ.

36. „იე. მეოთხე დავითის შესხმა და დავითნის ქების
იგავი.—

დავითის შესხმა შევეკონე: ძმას ვარდი უძღვენ, დას ია.

დავით მოგვითხრობს: ნუ ესავთ, შემწედ ნურად გჩანთ დასია...“
267—268 გვ.

37. „ივ. ამ წიგნთა გამლექსავის გვარის და სახელის
გამოცხადება.—

დავითი[ანი] ვსთქვი დავით გურამის შვილმან გვარადო,
ხილად ვსთქვი სიტყვა ღთისა და ძე კაცთა ნორჩის მგვანადო...“
268—271 გვ.

შენიშვნა: გამოცემაში ეს ლექსი გადატანილია წინ, მოთავსებულია 21—24 გვ.
(შდრ. დ. გურამი შვილი, დავითიანი, 1955).

38. „იზ. ანდერძი დავით გურამი შვილისა.—

აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტირი,
არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი...“ 271—274 გვ.

39. „იწ. მღრდელთ ვედრება დავით გურამის შვილისა.—

მღვრდელო, რაც ღმერთმან მაღლი მოგმადლა,
არც ავიწონა, არც განგიადლა...“ 274—275 გვ.

40. „ით. საფლავის ქვაზედ დასაწერი.—

წმინდა იოანე კახეთს ზედაძენს
სასწაულობით ქვიტკირს ცრემლთ აღენს...“ 275 გვ.

41. „კ. სულის ამბავი.—

აწ მოისმინეთ სულის ამბავი,
რაც შემთხვეოდეს კარგი თუ ავი...“ 276—282 გვ.

42. „კბ. ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება.—

სე, ღმერთო, აღმიხილე თვალი გონებისა,
დამანახვე, მაცნობე მე გზა ცხოვნებისა...“ 282—285 გვ.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს ერთვის: ა სარწყავისა და წისქვილის მოხაზულობის
გეგმა. გეგმის შუა ადგილას მოთავსებულია გურამი შვილის ავტოპორტრეტი.
იქვე ყულაბა. რომლის ქვემოთ მიწერილია:

„ეს კაცი ასე ილღოცავს:
ღმერთო, მანვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაცვანები;

ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფეკელს ამ წისქვილზედ დაფუქულსა.
ყოვლად წმინდაო, დამადევ
წყლურზედ წამალი სამთელი,
შემადლებინე აღვანთო
მე შენს წინაშე სანთელი“ (286 გვ.).

ბ. „ეს წყლის ასამალღებელი და წისქვილი თუმცა მოვიგონე და დაეხაზე, ჯერ არცად არის გამოცხადებული ჩემის უძღურებით და კელმოკლქობით, და ამ ჩემს ნათქვამს ლექსის წიგნში ჩამიტანებია. და ეს წიგნი ქართლ-კახეთის მეპატრონის მეფის ირაკლის ძის მირიანისათვის მიმირთმევია და იმას შევხვეწნივარ, რომ, საცა ალაგი იყოს, იმან გამოაცხადოს.“

კინაზ დავით გურამოვი კელს ვაწერ“ (286 გვ.).

გ. გეგმის ზემოთ, შუა ადგილას, ახტირკის ღვთისმშობლის ხატის ნაბეკდი სურათია ჩაქრული. ამ სურათთან დაკავშირებით ქვემო კიდებე მიწერილია:

„Икона изображенная Охтирской Богоматери зделана мною по обещанию, человек же под оную стоящий значит то, что простер руки, просит от ся о скором зделаний на сей картине изображенной машини помошы, а сундук стоящий по левому человека стоящаго крилу значит, чтоб де охотно датилне по еднойденежки денег полагаая тех денги должни бит употреблени мною посля к сставлени пре(?) ною иконою свеча, нбо таковой обят мною зделан с дня начатия оной машинны“ (286 გვ.).

დ. „ქ. ახტირკის მღთისმშობლის ხატისა და იმის წინ სანთლისა და კოლოფის იგავი ის არის: კაცი რომ დვას და ილოცავს, მ[ა]კიზგან შეთქმულობა ასე არის: ამ წისქვილმან რომ ფეკა შექნას, მის დროს იმის პირველად მნახავს კაცსა თუ დედაკაცსა თვითო დენიშკა სთხოვს, მაგ კოლოფში თავისის სულისათვის ჩააგდოს სანთლისათვის. მაგ რიგი ხატი უნდა იმ წისქვილში ესვენოს და ღამით გაუქრობლად სანთელი ვნთოს. ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებენ, ცალის თვლით სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავთ ვხედვედი. ჩემის ჯელით მაგის მეტი ვერ შევიძლე და სხვას ვერავის ვენდევი მის მოუპარაობის მიხეზითა“ (286 გვ.).

ე. „კბ. სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა. ქ. რომელიც რომ ჩემის გაწინჯულობით მალაროსის ორი საწუნელი სნეულება მიცნია და იმისი სამკურნალო წამალიც მიპოვნია, ამას ქვეით ვაცხადებ გამოჩენით. პირველი საწუნელი სნეულება ეს არის, რომ წყალნი მეტად მდორედ და ღრმად ჩავარდნით დიან. ისრე არა დიან, ვითარცა ახიაში, მომალოდ მიწის პირად ჩქარად დიან საითაც უნდა რუვიო წაიყვანს კაცი და, რასაც უნდა, მოისწყვავს, გოლვისაგან წამუშევებს არ მოაცდენს. და მალაროსიაში გოლვისაგან დიად მალ-მალ სცდების მოურწყავობით მოსავალი... ახლა ვითხოვ წყალობასა, ეს ჩემგნით ნაჩვენები და მოხსენებული საქმე, რომელიც რომ ამას ზეით გამოვაცხადე, ეს გაიწინჯოს. თუ რომ ჩემი ნაჩვენები საქმე და მოხსენებულობა სიცრუე არ იყოს და საქმეში შევიდეს, ერთი ნასოსი[ს] მეგრეტელი კაცი მაშველიონ და ოცი თუმანი მიბოძონ ამ პირობითა: თუ რომ სიკვდილმან მისწრას, ან სხვის მიხეზით იმისი დადგმა ვერ შევიძლო—ის ოცი თუმანი ის[მ]ე უკანვე მიერთვას. და თუ რომე დავს[დ]კა ორივე მომავალს მარტასა და აპრილში, ის ოცი თუმანი აღარ გამომერთოს.“

Поручник княз Давид Гурамовъ

წელსა 1787, სკენდებერს.

ესე რაც ნეშტი მაშინა დავიდგი დავითმა შინა,

მას თუ ვერ ღებავს წითლად, ცუდი ყოფილა მაშინა;

როდისაც მტერი მებძოდა, ეს საფრად მდგმოდა მაშინა,

და მას ვმალსა ვსცემდი უშიშრად, ვინც მე თავის კლმით მაშინა“ (288—289 გვ.).

(სრული ტექსტი გამოქვეყნებულია, იხ. დავით გურამოვი, დავითი-ანი, 1955, 285—287 გვ.).

2. ტექსტს ვრთვის: „ზანდუკი წიგნისა ამის დავითიანისა“ (292—296 გვ.).

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (Описание..., ტ. II, 471გვ.).

4. „დავითიანი“ რამდენჯერმე გამოქვეყნებული. უკანასკნელად ეს უნიკალური ავტოგრაფი მთლიანად გამოქვეყნებულია 1955 წ.

მინაწერები: 1. „ამ ხელნაწერიდამ დაიბეჭდა ჯერ პირველი ნაწილი 1870 წელსა და შემდეგ სრულად გამოვიდა ჩემის რედაქტორობის(!) გიორგი ხალიკანიანის ხარჯით, 1880 წელს. ამ წიგნის ხელი ნამდვილ გურამი შვილის ხელი მგონია, რადგანაც ერთს ხელნაწერში — ბარათა შვილის „ქაშნიკში“ (ლექსების წყობილების) — ბოლოს, ცარიელ ფურცელზე ნაწერია შავი ლექსისა „სავარგონია“. მგონია, ეს სიტყვა გასაგონია. და აგრეთვე შენიშვნა ქაცვია მწყემშია მინაწერი. პეტრე უმიკა შვილი, ტფილისი, 1891 წ.“ (296 გვ.).

2. მინაწერები ნოთავსებულია აგრეთვე ზემო ყდის საცავი ფურცელი v-ზე, 302 და 307 გვ.

(851)

1599

დიმიტრი ბაგრატიონი, ქეთევან დედოფლის წამება. XIX

7 ფ.; 34 × 22; ქალაღდი ლურჯი ფერის; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; ჰვირნიშანი 1826 წ.

„წამება ქეთევან დედოფლისა. ახლად თქმული თავადის დიმიტრი ბაგრატიონის მიერ.—

შენ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა-მყოფელო, თვისისა დასაბამისა თუთ თავსა შორის მყოფელო...“ 1r—5v.

შენიშვნები: 1. წამება შედგება 96 სტროფისაგან.

2. თხზულება დაიბეჭდა 1819, 1876, 1895 წლებში.

S—1600 ა

სხვადასხვა ისტორიული საბუთები გადატანილია საბუთების კოლექციონში Sd—2185—2191 ნომრით.

S—1600 ბ

წერილი ეკატერინა მეორისა ციმმერმანისადმი გადატანილია var. 44.

(852)

1600 გ

შემოკლებითი მოთხრობა თეთრთა არაბთა. XIX

2 ფ.; 31 × 23; ქალაღდი; უყდო მხედრული; [XIX ს.].

„შემოკლებითი მოთხრობა ალბინოსთა ულიდონდუსანუ თეთრთა არაბთა — ჩუღე-ს წელსა, თთვესა ივნისსა კ-ს მოსრულმან ტფილის ვეროპით ალბინოსმან სახელით ველიამ, რომელი იყო სახითა შვენიერ, სპეტაკი ვითარცა თოვლი...“ 1r—2v.

მთავრდება: „...არა აქვენ არავითარნიმე ქონებანი, არცა თეთრნი და არცა ნივთნი, რომელთა არა უწყყიან განრჩევა და ცნობა მათი...“

1600 დ

სიმტკიცე მართლმადიდებლობისა. XIX

1 ფ.; 36,3 × 22; ქალაღდი; უყდო; [XIX ს.].

„წიგნი, რომელსა ეწოდების სიმტკიცე მართლმადიდებლობისა, რომელსა შინა აღმოიჩინების წმიდისა აღმოსავალისა ეკკლესიისა ნამდვილ ჭეშმარი-

ტი სარწმუნოება და გვეუწყების ქვეშარიტებისა მტერთა ბოროტთა წუალე-
ბისა დარღვევა, ხოლო პირველად წინამდებარისა ამის წიგნისათა სიტყუათა
შეისწავების ძალი პირველისა სიყვისა(!), ვითარმედ თუ რაჲსათჳს არს.
სიტყვა პირველი.—წმიდისა აღმოსავალისა ეკლესიისა მოძღურებითა სა-
ზღუართათჳს.“

შენიშვნა: ტექსტი გადმოწერილია მთლიანად.

(853)

1601 ა

პოლემიკური თხზულება. XIX
(ფრაგმენტი)

8 ფ.; 23,2 × 18,2; ქალაღბ; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 5r—8v.

[პოლემიკური თხზულება].—„იხილე ამიერითგან კეთილი ორ-
სახედ განყოფაჲ გუამოვნებისა და უგუამობისა და კეთი-
ლად გულისხმის-ყოფით შეისწავე პირის-საცემელად ერთბუნებიანთა.—საჭმარ
არს ცნობად, ვითარმედ გუამოვნებაჲ, რომელ არს გუამი ორ[ი]სა და ჰნიშ-
ნავს...“ 1r—4v.

1601 ბ

ვნებისა და მოქმედებისათვის. XIX

8 ფ.; 22,5 × 17,5; მოღურჯო ფერის ქალაღბ; უყდო; დაშლილი; მხედრული;
[XIX ს.]; დაუწერელია: 1v—8v.

„ვნებისა და მოქმედებისათჳს.—ვნება სახელმოდგამობით
ითქმის, რამეთუ ითქმის ვნებად ჯორციელიცა, ვითარ-იგი სნეულება და
წყლულება...“ 2r—8r.

მინაწერი: „კათალიკოზი ანტონი“ (1r).

1601 გ

სახულიერო შინაარსის ფრაგმენტები. XIX

14 ფ.; 36 × 22,5 ქალაღბ; (სხვადასხვა ზომის); დაშლილი; უყდო; მხედრული
(სხვადასხვა ხელით); [XIX ს.]; დაუწერელია: 6v, 7v, 8v, 9rv, 10v, 11v—14v.

1. [ქადაგება სახარების ტექსტზე]. „ჰსთქუა იესო: მწყურის.—
თანამდებ ვართ ჩუჰნ, მსმენელნო, გულისგმა-ვჰყოთ მაცხოურისა მიერ
თქმულნი სიტყუანი...“ 1r—2v.

2. [ქადაგება სახარების ტექსტზე]. „და ოდეს მიიღო ძმარი
იგი იესუ, ჰსთქუა ესეცა: წერილი აღსრულებულ არს და მიიდრიკა თავი და
განუტევა სული.—საღმართოსა ამას ტაძარსა შექრებილნი ვდღესასწაულობთ
ჩუენ, კურთხეულნო ქრისტიანენო...“ 3rv.

წყდება: „... უკეთუ თქვენ ვერ ღმობიერ-გყოფენ უბრალოება ამისი,
მაჲა ჯერ-არს მოღბეთ საზოგადოს კაცობრიობითა. აჰა, კაცი იგი...“

3. [პროსკომიდიის (წირვის პირველი ნაწილის) განმარტებანი, თავნაკლული]. „... ძველისა მოთხრობისაებრ, პირველად მღუდელი შემამზადებს ტარიგსა მსხუმრპლის შესაწირავად...“ 4რv.

4. [ქადაგება სახარების ტექსტზე]. „ყოველმან, რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა. მატ. თა ი, მუხლი ლბ.—დღეინდელსა უკუშ დღესა ეკლესია ადიდებს სათნობათა ყოველთა წმიდათასა, რომელნიცა გამობრწყინდნენ აღმოსავალით და დასავლეთით...“ 5რv.

6. [სიმბოლო სარწმუნოებისა თავისუფალი გარდმოცემით].—„მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი...“ 6რ.

6. [დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მორწმუნენი მომაკვდავის საწოლთან].—„ჟამსა სულის აღმოსვლისასა გვამისგან, ყოველთა მუნ მდგომარეთა მოიდრიკონ მუხლნი...“ 7რ.

7. [ლოცვა]. „წო დიდო და ყოვლად ქებულო, დიდებულო მოწამეო გიორგი, შემოკრებულნი ტაძარსა შინა შენსა ერნი და თაყუანისმცემელნი...“ 8რ.

8. „სომეხნი თუ ოდეს განვიდენ ეკლესიისაგან, გამოჩინება.—წელიწადთა ორასთა ყოვლად გრიგორი განმანათლებელისა გამოსქდეს ეკლესიისაგან ერნი დიდისა ერმანისანი...“ 10რ—11რ.

შენიშვნა: ხელნაწერში ამ უკანასკნელი თხზულების სხვადასხვა ხელით ნაწერი 2 ეგზემპლარია წარმოდგენილი.

(854)

1602

ცოდნისათვის განჯათისა. XIX

3 ფ.; 22,5 × 17; ქალაღი; დაშლილი; უყდო; მხედრული; [XIX ს.].

„ცოდნისათვის განჯათისა.—განჯათა არის ჯელი რუა. პირველი არის ყიზილი, რომლისაც ბატონს ეწოდება ალთაფი და ამის პირველობის ცნობის ნიშანი არის მზე ლომსა ზედა...“ 1რ—3v.

(855)

1603

პასქალია. XIX

4 ფ.; 38,5 × 24; ქალაღი; უყდო; მხედრული, მნიშვნელოვანი ადგილები მთავრულად, სინგურით; [XIX ს.].

[პასქალია]. „ქორონიკონსა ა.—

ა. წმიდა პასქა აპრილს იე, ზედნადები ლ.

ბ. წმიდა პასქა აპრილს ზ, ზედნადები ია...“ 1რ—3რ.

შენიშვნა: ბოლოს ტექსტისავე ხელით მიწერილი აქვს პასქალიის ხმარების წესი: „დასასრული წმიდათა პასქეთა, რომელი სამარადისოდ მბრუნავი არს სუთას ოცდათორმეტს წელიწადსა შინა და კუალად თავითგანვე იწყებიან ესრეთ საუკუნოდ სრულ არს ზედნადებითა, და ნავითა. პირველად იცოდენ ამ ზემო წერილის ქორონიკონისა, თუ იმ წელიწადს რომელს ქორონიკონში ვაოთ; მერმე სიდი ქუშპო, რომ ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგია. პირველად აღდგომა იპოვნენ, რომელსაც ზემო ქორონიკონი უჩენს ისი და მერმე იმ წლისას ყველას იქ პპოებ“ (3v).

(856)

1604

ავგაროზი. XIX

1 ფ.; (18 წრე 5 სმ. დიამეტრით); ქალაღი; უყდო; ნაკულუი; მხედრული; სა-
თაურები სინგურით; [XIX ს.].

„ეპისტოლე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.—ნეტარ ხარ შენ, ავგარო-
როს, და ქალაქი შენი, რომელსა ჰრქვიან ედესია...“

(857)

1605

კრებული. XIX

12 ფ.; 22 × 17,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 12rv-

1. „გამოცდა გრიგოლ გამნათლებლისა(!).—ანგელოზი წმინ-
და გრიგოლ გამნათლებელი შეეხვეწა უფალსა: ყოველივე კარგათ ვისწავლე და
შევისმინე და ახლა გვედრები სამი საათი ანგელოზი ჩემთან მომავლინო და
ვთხოვო, რაც მინდაო...“ 1v—10r.

2. „ლოცვანი.—რა ჟამ აღსდგე ძილისაგან, განემორე სარეცელსა და
ბრძანე: წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძრიელო, წმინდაო უკვდავო, შეგვიწყა-
ლენ ჩვენ...“ 10v—11v.

(858)

1606

ბალავარის სიბრძნე (ფრაგმენტი). XIX

5 ფ.; 32,5 × 21,5; ქალაღი; ფრაგმენტი; უყდო; მხედრული; სათაურები სინ-
გურით; [XIX ს.].

[ბალავარის სიბრძნე]. „... იგი მეგობარი უყუარდავე, ხოლო მე-
სამე იგი მეგობარი შეურაცხ იყო მის წინაშე და შემდგომთა დღეთა მოიწინეს
ბოროტნი მეფისანი კაცისა მის ზედა და შეიპყრეს...“ 1r—5v.

წყდება: „... ესე ჯერ-არს, რათა დაიჭირო თავი შენი საზომსაი და
გეშინოდენ ღთისა, ესე შეიკრძაღე და შეისწავლე და ჯუართა შეიჭურე...“

შენიშვნა: ფრაგმენტის ტექსტი მისდევს „ბალავარიანის“ ტექსტის ბრედაქ-
ციას (იხ. ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა, გამოკვლევა და
ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1957, 38₃—51₂₂; 54₃₆—68₃₄).

(859)

1607

აპოკრიფული მოთხრობა ახალი აღთქმიდან. XIX

45 ფ.; 22 × 17,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; გადამწერი; ფარსადან ომხერე-
ლი (45r); 1864 წ. (12r).

[აპოკრიფული მოთხრობა ახალი აღთქმიდან]. „... ნათ-
ლობისა უკან შეიყვარა იესომ ათთორმეტი მოციქული, რომ არ[ი]ან ესენ[ი];
პეტრე, ანდრია, იაკობ, ივანე, ფილიპე, თომა...“ 1r—45r.

- ანდერძი: „მე ამისა გადამწერავი თა რს ა და ნ ო შ ხ ე რ ე ლ ი“ (45r).
 მინაწერები: 1. „ოსიკო ფოსურ ოვისა არის. ხელს ვაწერ მე იოსებ
 ივანიჩი“ (11v).
 2. „1864 წლის თიბათვის 11 თერთმეტისა დღესა არის გადაწერილი“ (12r).
 3. „არის ეს წიგნი იოსები ფოსურ ოვისა“ (45r).

(860)

1608

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. XIX

670 გვ.; 33 × 23; ქალაღი; ხის ტყავგადაკრული ტერფრული ყდა; მხედრული;
 სათაურები და განსამარტავი სიტყვების პირველი ასოები სინგურით; [XIX საუკ.];
 კვირნიშანი 1814 (661—667 გვ.); დაუწერელია: 23—26; 664—670 გვ.

[სულხან-საბა ორბელიანი], „სიტყუს კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. — ანი არს პირუშლი ასო და კმოვანი და ართრონი მრავალ რიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყვათა ზედა, ვითარცა თავს დაგვწერია...“ 27—663 გვ.

- შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა „ანბანი პირუშლად სასწავლონი ყრმა-
 თანი...“ (1 გვ.).
 ბ. „რიცხვ ქართულთა ანბანთანი...“ (1 გვ.).
 გ. „არაბთაგან პოვნილი ნულა და ქართული ანბანის რიცხვ თანდართული ესე
 არს...“ (2—5 გვ.).
 დ. „საქვევნი სხუათა კმოანთა ასოთანი და სხუათა თავბოლოთანი...“ (6—7 გვ.).
 ე. „ანდერძნამაგი...“ (7—8 გვ.).
 ვ. „ქარაგმანი...“ (8 გვ.).
 ზ. „ესე ოთხნი ნიშანი ქუტყისნი მხოველობათა ქელოვენბანი არიან...“ (8—9 გვ.).
 თ. „ესე ნიშანი სადაცა სხენან. მიგასწავლის ცხოველი არს, თუ მცენარე. გონე-
 ბა აგანმხედულე...“ (9 გვ.).
 თ. „იესო ქრისტეს 72 მოწაფეთ საქელები, ვინა იყუნენ და სადა ეპისკოპოს იქ-
 მნეს...“ (10—12 გვ.).
 ი. [ლექსი] — „სიბრძნის წყარო ხარ, მდინარე, უფასოდ ასვამ ყოველთა...“
 (12 გვ.).
 ია. „მარია მ-ყოფილი მაკრინე. —
 ეს ლექსიკონი, ჩემი საკონი, ესრეთ სასურვო ვით ვარდის კონა...“ (12 გვ.).
 იბ. [ლექსი]. —
 „მოვედ, მსწაველულნო სიბრძნისანო. მე ამ წიგნისთვის ვხადილობ...“ (12 გვ.).
 იგ. „ითუშთ სახელები სხუადასხუა ენათანი...“ (13—15 გვ.).
 იდ. „ათორმეტო ზოდაიქთ სახელები სხუადასხუა ენასა ზედა...“ (16 გვ.).
 იე. „მოხელენი, რომელნი არიან ქართულნი, რომელთამე არაღარა უწოდენ და:
 დაიწყებიეს და სხვა თურქთა ენათაგან მოუღიესთ მისად ნაცკლად...“ (17—19 გვ.).
 ივ. „განჯაფის სახელები თათრული და ქართული...“ (13 გვ.).
 იზ. [წელთაღრიცხვანი]. „დასაბამითგან ქრისტეს მოსვლადმე(!). ქართულის
 რიცხვთ გარდახდა წელიწადი...“ (20 გვ.).
 ით. [უცხო ტერმინთა განმარტებანი]. „გეომეტრია ქვეყნის მხოველი...“ (20 გვ.).
 კ. ნარდზე თამაშობის ტექსტები:
 ა. „მოუტრენ მარაამ განსწმედს ვერცხლისაებო ბერთა (თ)“.
 ბ. „მჯნედ არს მიუწვეველ მოსავთა მისთა მწედ ერთა (ი)“.
 გ. „კაცი სამი, კენჭი კდ. ადექ ბეჯან შავი ცხენი ქატას მიეც“ (20 გვ.).
 კა. „მეფის ვახტანგის ნათქვამი. —
 სიყრმიტგან იყო მულამად სიბრძნის სწავლისა მსახუშლი...“ (21 გვ.).

5. ხელნაწერთა აღწერილობა

კბ. „საბას ნათქვამი.—

ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დამიწუნოთა...“ (21 გვ.).

2. ლექსიკონი A რედაქციისა (იხ. ლ. ქუთათელიძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, 274 გვ.).

ანდერძი: „ამა წიგნისა მომღვაწებელსა სულხან-საბა ორბელიანსა ლოცვით მოაზსენებლეთ მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის დედის ძმისწულსა, საქართველოს მსაჯულის პატრონის ორბელიანსა, ამა მეფეთა ბრძანებითა აღსწერა ესე წიგნი ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა, რამეთუ ქართლის ქვეყანას ლექსიკონი აღარ იპოებოდა და ოცდაათს წელს ძლივ შეაწყო განმარტებით. ყოველი გზისაგანი იყო და წარჩინებული, და სიულისა საქმისაგან უკულო იყო, მაშინ ქორთიკონი იყო 1685. მისა შემდგომად მონაზონ იქმნა და გარესჯის მრავალმთის წმინდის ნათლისმცემლის მონაზურს დადგრა, ქკს 1693, მარტს 8 მონაზონ იქმნა, ქკს 1710, დეკემბერს 1 ხვარასანს წავიდა, მეფეს ქაიხოსროს ევმო და ფებერულს 20 განოისტუმრა მრავლის ნიჭითა. მაისს 11 ქართლს მოვიდა. ქკს 1712, აპრილს 23 ისპაანს წავიდა მეფეს ვახტანგს გაჰყვა, 2 ნოემბერს გამოაბრუნვა, დეკემბერს 20 ქართლს მოვიდა. ქკს 1713, აგვისტოს 17 საფრანგეთს გაიპარა. ფრანცია, ჯენევი, სიკილია და ჰრომი ნახა. მეფე ფრანციისა, ჰრომაპი, კრანდუკა უცხოდ კარგა დახვდენ, ყოველი კაცი გაჰკვრდა. რაც იმ ქვეყანაში უცხო და ძვირად ანახავი იყო. ყველა აჩვენეს. პაპამ ჯვარის ნაწილი, წმიდა კლიმენტოს მოწამის თავი და სხვა მრავალი წმიდა ადგილები მოილოცა. 20 ღვინობისთვეს მალთას მოვალა; 3 დეკემბერს ფრანციის მეფის კომალდი მოვიდა. წამოვიდა. ქკს 1715, იანვარს 19 კოსტანტინუპოლის მოვიდა; იქ დავჯანა ის წელიწადი, ფრანციის დეპანისას იდგა ქელის შეწყობით.

ამის წარმოთხველო, საბას ქორთიკონები რაც ჰსწერია, ქკს აქეთ წელად გაიკონ და არა ქართულს ქორთიკონად“ (22 გვ.).

მიწაწერები: 1. „ვიც ეს ლექსიკონი გარდასწეროს და საბას სახელი არ დასწეროს, მის მაგჩრად უუალხანის გაიკითხოს“ (21 გვ.).

2. „დაბადებულა სულხან-საბა ორბელიანი ქართულს ქკს 346, ოქტომბერს 24, რომ ლათინურად ოთხი ნოემბერი იქმნება, დღესა გვრიაკესა(!), უამსა შუალამისას“ (21 გვ.).

3. „Подворапорщик Эвген Абашидзе“ (საც. ფ.).

4. „წმიდის ზიარების კიდობანსა კიჟრო ჰქვიან“ (21 გვ.).

(861)

1609

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. XVIII

538 გვ.; 31 X 21; ქაღალდი; ხის ტკეკადაკრული ტვიტრული ყდა; მხედრული, სათაურები და განსამარტავი სიტყვების პირველი ასოები სინგურით; [XVIII ს.]; დაუწერელია: 21, 22 და 25 გვ.

„ანი არს პირველი ასო და კმიანი და ართრონი მრავალ რიგად და თავად მოვალს ყოველთა სიტყვათასა და ბოლოდადაცა, ვითა ზედედ დამიწერია...“ 26—537 გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უქღვის: „ანანის პირველად სსწავლონი ყრმათანი...“ (3 გვ.).

ბ. „რიცხვი ქართულთა ანანათანი...“ (3—5 გვ.).

გ. „[საქცევი ხუთთა კმიანთა ასოთანი და სხუათა თავბოლოთანი]...“ (6—7 გვ.).

დ. „ანდერძნამაგი...“ (7—8 გვ.).

ე. „ქარაგმანი“ (8 გვ.).

ვ. „ესე ოთხი ნიშანი ქვეყნის მზომელობათა კვლოვნუბანი არიან...“ (9 გვ.).

ზ. „იესო ქრისტე 72 მოწაფეთ სახელები, ვინა იყუნენ და სადა ეპისკოპოს იქმნეს...“ (10—11 გვ.).

- შ. [ლექსი].—„სიბრძნის წყარო ხარ მდინარე, უფასოდ ასევე ყოველთა...“ (11გვ.).
- თ. [მ ა რ ი ა მ - ყ ო ფ ი ლ ი მ ა კ რ ი ნ ე].—
- „ეს ლექსიკონი, ჩემი საკონი, ესრეთ სასურველი ვით ვარდის კონი...“ (11 გვ.).
- ჟ. [ლ ე ქ ს ი].—„მოვედ, მსწავლულნო სიბრძნისანო, მე ამ წიგნისათვის ვხადი-
ლობ...“ (11 გვ.).
- ია. „თვეთ სახელები სხვადასხვა ენათანი...“ (12—15 გვ.).
- იბ. „მოკვლენი, რომელნი არიან ქართველნი, რომელთაზე არღარა უწოდენ და
დავიწყებდეს და სხვა თურქთა ენათაგან მოუღიესთ მისად ნაცულად...“ (16—17 გვ.).
- იგ. ნარდზე თამაშობის ტექსტები:
- ა. მოურნე მარიამ განსწმედს ვეცხლისაებრ ბერთა (თ)“.
- ბ. „მვნედ არს მიუწვენელ მოსავთა მწვედ ერთა(ი)“.
- გ. „კაცი გ, კენჭი კდ. ადევ ბეჯან შავი ცხენი ქიტას მიეც“ (19 გვ.).
- იდ. წელთაღრიცხვანი (19 გვ.).
2. ბოლოს დართული აქვე: ა. საბას ანდერძი მესამე პირით ნაწერი. მისი ტექ-
სტი იხილეთ აქვე № 1608 ხელნაწერის აღწერილობაში.
- ბ. „მეფის ვახტანგისაგან ნათქვამი.—
სიყრმიდგან იყო მუდამად, სიბრძნის სწავლისა მსახველი...“ (538 გვ.).
- გ. „საბას ნათქვამი.—
ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დამიწუნთა...“ (538 გვ.).
3. ლექსიკონი B რედაქციისა (იბ. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბე-
ლიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, 269 გვ.).
- მინაწერები: 1. „ვინც ეს ლექსიკონი გარდასწეროს და საბას სახელი არ დას-
წეროს, მის მაგიერად უფალმან ის გაიკითხოს“ (538 გვ.).
2. „დაბადებულა სულხან-საბა ორბელიანი ქართულს კვს 346, ოკტომბერს 24
რომ ლათინურად ოთხი ნოვემბერი იქნება. დღეა კვირიაკესა, ეამსა შუალამისასა“
(538 გვ.).
3. „ქ. ადგომამდე უნდა დადვას ერთი თ, ერთი ი, ერთი %“ (1 გვ.).
4. „ქ. რუსეთის პატრიარხის საყდარი არის ოთხიათას ექვსას ოთხმო-
ცდათუთმეტი და ყმა ყავს ორმოცი ათასი.
- ქ. ნეოტოროთისა არის ათას ორას ოთხმოცდაორი.
- ქ. როსტოვის არქიერისა არის შვიდას და სამოცი საყდარი.
- ქ. თვერის არქიერისა არის ოთხას ორმოცდათექვსმეტი.
- ქ. კოლმენწყისა არქიერისა არის შვიდას ოცდაცამეტი.
- ქ. კიავის არქიერისა არის ცხრაას ორმოცდაშვიდი.
- ქ. ყაზანის არქიერისა არის ექუსას და ათი.
- ქ. ასტარხნის არქიერისა არის ასოცდაექვსი.
- ქ. ვტობოლოვსკის არქიერისა არის სამას თხუთმეტი.
- ქ. პსკოვისა არქიერისა არის ას ორმოცდა ექვსი.
- ქ. სმოლენსკის არქიერისა ორას ორმოცდათორმეტი.
- ქ. კრუწინწყისა არქიერისა არის რვაას ორმოცდათერთმეტი
- ქ. ნიჟედოროდისა არქიერისა ცხრაას და ორი.
- ქ. ტროიცას არქიმანდრიტს ყავს ყმა ას ექვსი ათასი.
- ქ. ჩუდოვის არქიმანდრიტს ყავს ყმა თვრამეტი ათასი.
- ქ. სვიმოწავისას არქიმანდრიტს თვრამეტი ათასი.
- ქ. სპასისას ჩვიდმეტი ათასი.
- ქ. რეზანის არქიერისა ათას ორას რვა.
- ქ. ბელალოროდისა რვაას ოთხმოცდაცამეტი.
- ქ. სუზდლილისა ოთხას სამოცდა თერთმეტი.
- ქ. ჩერნილოვის არქიერისა ოთხას ორმოცდათერთმეტი.
- ქ. ვოლოდისა ხუთას ორმოცდათვრამეტი.
- ქ. ვიაცკისა, ორას ოთხმოცდა სამი.
- ქ. კოლმოლორისა ორას სამოცდაექვსი.
- ქ. ვორონიჟისა სამას ოცდაცამეტი.
- ქ. პერეიასლავისა ას ორმოცდაექვსი.
- ქ. მოსკოვისა და მონასტრებს გარდა იქნება ჯამი

- თექუსმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი.
 და დილის სამწირველოს გარდა“ (1—2 გვ.).
 5. ღვთისმშობლის ეპიტეტები (20 გვ.).
 6. „ქ. ეს ლექსიკონი, გულსა საკონი, მდიენის ოთარისა არის
 ხვაბულიძისა, ქკოს უმე“ (23—24 გვ.).
 7. 1 გვ. მიწერილია „ვეფხისტყაოსნის“ 711 სტროფის 3 ტაეპი (შდრ. 1937 წ.
 გამოცემას).

(862)

1610

უცხო სახელთა ლექსიკონი. XIX

4 ფ.; 19,2 × 14; ქალაღი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]—

[უცხო სახელთა ლექსიკონი].—

„... კსენი ბ უცხო ანუ საკვირუღი.

კსენეფონტ ბ უცხოთა ენათა მოუბარი

კიროს ბ უფალი...“ 1r—4v.

წყდება: „...იპერისი ბ ყოვლად შუწნიერი...“

(863)

1611

პარაკლისი. XIX

8 ფ.; 19,5 × 17; ქალაღი; უყდო; მხედრული; სათაურები მთავრულად-
 სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია: 7r—8v.

„პარაკლისი წმიდის ნიკოლაოსისა.—კურთხეულ არს ღმერ-
 თი ჩვენი. დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, მეუფეო ზეცათაო, წმიდაო ღმე-
 რთო სრულად, რამეთუ შენი არს. უფალო შეგვიწყალენ...“ 1r—7r.

(864)

1612

კრებული. XIX

22 ფ.; სხვადასხვა ზომის; 34,5 × 21; 16,5 × 14,5; ქალაღი; დაშლილი; მხედ-
 რული; სხვადასხვა ხელით ნაწერი; [XIX ს.]; დაუწერელია: 1v, 3v, 8v, 10v, 11v,
 14v—15v.

1. „შაირი რვეულად.—

რადა მყავით მზისა დარად და გამხადეთ საცინარად,
 ვრაცხამ თავსა უბედურად, რომე მან გყოთ საწუხარად...“ 1r

2. „შაირი რვეულად.—

თვალთა ქება რად მითხარი სიყუარულის არ მგრძნობარი,
 რიონსა რად ადარი, ან რა ცეცხლის ამგზნებარი...“ 1r.

3. „ლექსი.—

გიცნობთ მე კეთილმოქმედად, არ ავის ჰ[ა]ზრის მქონედად,
 გიქებთ გულის სიწმიდესა ჩემდა კეთილად მხედ[ა]ცსა...“ 1r.

4. „შაირი.—

როს გენახეთ სარეცელზედ სნეულეებით მდებარებით,
 მიცაგელოთ მწუხარება, შექმნილიყავთ ურვილებით...“ 1r.

5. (ოსეთ) [ტულოვეცი], „ერთ დიდგვამთან დავებეზლებინე ორი უსვინდისო კაცებისაგან(!). არზა ლექსად.—

ერთი რალაც ჰაზრნი მესმა, ეგონებ, იყოს დიდი კორი;
ასე რიგათ შემაშინეს, გიწყრება გუბერნატორი...“ 2r.

შენიშვნა: ლექსი ექვს სტროფიანია. უკანასკნელი სტროფის ტაეპთა დასაწყისები ქმნიან კიდურწერილობას: „ოსეთ“.

6. (ოსეთ) [ტულოვეცი], „ერთ დიდგვამთან არზით ლექსად თხოვნა შომეხსენებინა მაგალითებით.—

თითქო მე სული მეღევა, ის მიბძანებს მოიცადე,
გამიჭირდა, მომცა ძღვევა, ის მიბძანებს მოიცადე...“ 2v.

შენიშვნა: ამ ლექსშიაც ბოლო სტროფის კიდურწერილობა იკითხება: „ოსეთ“.

7. [ლექსი].—

„რადგან მიბრძანეთ თარგმნაი რომელთამე წერილებთა,
აღვასრულე, ვითარ ჰშვენის ძველ ჰაზრზედ დაწყობილებთა...“ 3r.

შენიშვნა: ლექსის კიდურწერილობაში იკითხება: „რაციფობა დაუტევეთ“.

8. [ლექსი].—

„ეხილე რა საყვარლის განკიდება,
ჩალად მჩანს ყოვლისა სოფლის დიდება...“ 4rv.

შენიშვნა: ტექსტის დასაწყისში მიწერილია: „რომელთაგან მქონდა სიამე შეე-
ბის ვმაზე.“

9. „თახმისი.—

ანაზღად სატრფომ მიმუხთლა, რომელიც არ შეშვენისა,
მიმრიდა ჩემთა სააჯოთ ჩვეულნი ყურნი სმენისა...“ 4v—5r.

10. [ლექსი].—

„ბანოვანთა შორის შენ ხარ მთიები,
სწვენ შენთა მჭვრეტელთა შენნი სხივები...“ 5rv.

შენიშვნა: ტექსტის დასაწყისში მიწერილია: „დარიალარ იჩინდა სან ბირ ადა
სანის ვმაზე“.

11. [იოსებ მელიქოვი, ლექსი].—

„განმიხმა რა სიყვარულის წალკოტი,
მუნიდგან სიცოცხლე დამემწარა და...“ 5v—6r.

შენიშვნები: 1. ლექსს მიწერილი აქვს: „ეს არის თასლიბის ვმაზედ თქმული,
გარნა სხვას ვმაზედაც ითქმის კარგად მთქმელთაგან.“

2. ლექსის ავტორი აღდგენილია ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—851 ხელნაწე-
რიდან. S—1512: 204 ავტორად დასახელებულია იოსებ ნაცვალი.

12. [ლექსი].—

„როს მესტუმრა ეშხი გულსა,
ვერვის ვეტრფე გარდა შენსა...“ 6rv.

შენიშვნა: ლექსს მიწერილი აქვს: „ეს არის გარაელის ვმაზედ თქმული და სხვას
ვმაზედაც ითქმის“.

13. „ყათია, რომელიც თეჯნისათაც ითქმის.—
ყოფლით უდარო, ნუ უგულვებელს მყოფი;
უწყი, არვინ მივის მე შენგან კიდე...“ 6v.—7r.

14. [ალ. ჭავჭავაძე].—

„ჭი გაბადრულო მთვარეც,
ბნელსა ვზი, მომეხმარე...“ 7rv.

შენიშვნები: 1. ლექსს მიწერილი აქვს: „ეი სარკვი შიმშადუმის ქმაზე.“

2. ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 101)-

15. აფორიზმები.—

„დედაკაცი შემამკობელი პირისა უშეერებასა ცხად ჰყოფს...“ 8r-

შენიშვნა: სულ ექვსი აფორიზმია.

16. [გ. ერისთავი].—

„შექმნა სეკრეტრისა.—

ერთხელ სატანა ჯოჯოხეთს იყო ტახტზედან მჯდომარე,
დას-დასად მწყობრად ეხვიენენ ეშმაკთა ჯარი მას გარე...“ 9rv-

შენიშვნა: ლექსი დაბეჭდილია (იხ. ანთოლოგია, ტ. III, 1930, გვ. 126—127)-

17. [ლექსი].—

„საყვარელო, ცრემლსა ჩემსა არ მიიღებ სიბრალულად?
მამ მომეცი რისხვა შენი, მაქუნდეს ოდენ შენეულად...“ 10r.

18. [ლექსი].—

„სამ სახედ და სამად გვარად გამოვჰსცადე, ვიქმენ მზირად,
კალმის წვერი რა შევახე, მელანი ჰსჩინდა შიგან მტირად...“ 11r-

19. [ლექსი].—

„მიჯნურსა ვსძღვნი გულს პობილსა, ეშთ ქამანდით პერობილსა-
მის სევდით დალტობილსა, ვაი სიცოცხლე მოსპობილსა.

ნუ მკლავ ზუალო,
ცხოვრების ძალო,
ვარდო უმზრალო,
სრულ ხარ უწყალო...“ 12r.

შენიშვნა: ლექსი ასე მთავრდება:

„მზევ მაკმარე მე ვანი(!), ნუ გსურს ჭირთ მოხვეანი,

პატიმრად საკანს ბმული იხსენ გლახ გარსევანი...“

ლექსის ბოლოს ნახსენები გარსევანი შესაძლებელია ავტორი იყოს.

20. „ბესარიონისა გაბაშვილისაგან წარგზავნილი ბარათო-
რომლისამე მეგობრისადმი მოწვევენად თჳსდა სადილსა ზედან.—

მალალს ღირსებას საჭმელი მსუყე

მძიმედ მოსვლია, ვით მრწა უყე...“ 12v.

შენიშვნა: ეს ლექსი მცირედი განსხვავებით დაბეჭდილია (იხ. ბესარიონ
გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძისა და ვ. თო-
ფურიას რედაქციით, 1932, 77—78 გვ.).

21. [მზეჭაბუკ ორბელიანი, ანბანთქება].—

„არის არიას აღზრდილი, აღმატებით ასთა აგით,
ბედ-მრუდი ბესარიონ ბარაბაობს ბილწის ბაგით...“ 13რ.

შენიშვნა: ლექსი ნაკლულია. დაბეჭდილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Опи-
сание, ტ. II, 452—453 გვ.). იმისი სრული ტექსტი გაცემულია (იხ. ბ. გაბა-
შვილი, დასახ. გამოც., 153—154გვ.).

22. „ლოცუა, თქმული ყოვლად სამღუდელსა წილქნელ მიტროპო-
ლიტისა იოანეს მიერ ეხურველ ვედრებითი ნინას მიმართ მოციქულსა
და ჯუარისა მისისა, რომელი აღმოსთქუა ანანურს, რაჟამს მიეგება ჯუარსა
ნინასსა წელსა 1802, აპრილს 6.—გი ოქროსა ცისა მზეო ნინა, ქადაგო
ევმანუილისაო, სხიენი გუასხიენ ბევრნათლოვანი...“ 14რ.

23. [იოსებ ტულოევი]. „ბესარიონის ხმაზედ სათქმე-
ლად.—
უჟამოდ ვიქმენ დაბრკოლებული, სულ ჩამომართვეს ნიეთი და
ფული,
ძვირად დამიჯდა ცოდნა ქართული, რიგზედ ვიყავი მე გამარ-
თული...“ 16რ.

24. [იოსებ ტულოევი], „ქნაზ მოვრავთან მიწერილი ლექსით
არზიაგავს(!) რომ მაწუხებდა.—
საფურძველი ლექსის თქმისა ყოველთვის ველი კეთებისა,
გულისმწველი ყოვლის დღისა, ვიახელი თავს რგებისა...“ 16ვ.

შენიშვნა: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „უფალო ქნაზო, ამჟამად დიდის(!)
შეწუხებული გახლდი, ამისთვის გავბედე და მოგართვით ესე დაბიური ლექსი, მაგ-
რამ ერთ დროს უნდა ქართულის გვარზედ განმიმართო აზრი ამისი ონხალამას
გამოყვანილი ოსეფობანი“.

2. ხელნაწერის ლექსის ავტორები აღდგენილია S—1576 ა ხელნაწერის მიხედვით.

25. ფრაგმენტი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიდან.—

„მეთის ვახტანგის რა მუხლში.—კარი ნასყიდობისა. თუ კაცმან ნასყიდობა
ქნას...“ 17რ.

წყდება: „... მეთის ვახტანგის რაგ მუხლში... ვისაც ეყიდოს, ფასი
მიმსყიდველს სთხოოს...“

26. წერილი ლექსით. „პარუნ გრიგოლ.—

ზაპისკა მოგეწერა მწვედ დიდკაცური,
მეც მეგონა, რამე დაუგდე ყური...“ 18რ.

შენიშვნა: ბოლოს მიწერილია: „შენი გარსევანი. წელსა ჩკკმ, ივლისისით“.

27. ვეფხისტყაოსნიდან ამოწერილი აფორიზმები.—

„კაცი არ ყველა. ჰსწორია, დიდი ჰსძეს კაცით კაცამდის.
მაშინდაა ლხინი ამო, რა გარდხდის კაცი ქირსა.
ჰსჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი...“ 19რ.

28. „იამბიკოდ თქმულნი მიცვალეზასა ზედან ეკატირინა
სარდლის ასულისასა.—

სად მიდრკა მზეგაი, მნათობი ივერისი,
უმაგალითო, უსახესი სახისა...“ 20რ—21ვ.

შენიშვნები: 1. კრებულს ერთვის ფურცელი შემდეგი წარწერით: „ანნა და-
ვითის ასულმა გაბაშვილისამ შემოსწირა „წერა-კითხვის საზოგადოე-
ბის“ წიგნთ-საცავს: 1. ძველი ხელთნაწერები, ლექსები ბესარიონ გაბაშვი-
ლისა, პეტრე ლარაძისა და სხვებისა. 2. „სალიტერატურო ნაწილი“, და-
მატება № 3 გაზეთისა „ტფილისის უწყებანი“. საზოგადოება მადლობას უხადებს
შემომწირველსა. ა. სხვადასხვა ლექსები. ბ. ლოცვა იოანე წილქელისა. გ. ვახტანგ
მეფის სამართლის 160—163 მუხლები.“

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II,
449—455 გვ.).

(865)

1613

კრებული. 1726

174 გვ.; 30 × 19; ქაღალდი; კოლენკორგადაკრული ყდა; ნაკლული; ნაწერი
სხვადასხვა ხელით; 1—154 გვ. დაწერილია ონანა ქობულაშვილის მიერ (148 გვ.);
1726 წ. (149 გვ.).

1. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ბარამგულიჯანიანი].—
„... ეპყრა ურიცხვი ქვეყანა, იგი უფლებდა ჩინელთა,
მისგან დამეტდა მეფობა მათ ჯელმწიფეთა წინელთა...“ 1—143გვ.

შენიშვნები: 1. ტექსტს აკლია: 1—11, 71—167, 216—239 და 359—382 სტრო-
ფები.

2. ტექსტი გამოქვეყნებულია. ეს ნუსხა გამოცემაში შეტანილია A ლიტერით (იხ.
დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, 1958, გვ. 66—208).

2. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„... გხადის გუნდთა მწყობრთა დასნი, უბრწნელი ხარ მესათნოვედ;
გარდამოჰჰდა გაბრიელ და მიქელ ჯმა ჰყო: შენთან მოვედ...“
1—10 გვ.

წყდება: „... ლურსმანი ლახვრით მიიღეს, მისი ქმნეს გვერდი ღებული,
ლულით ლამბარი დაშრიტეს, ზვარაკად წინ დადებული...“

3. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„... ძელზედან ძილი მართლისა სიხარულს მოასწავებდა,
ძვრა ძლიერებით მის დღისა, არ ჟამსა გაგვითავებდა...“ 11—18გვ.

4. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„... ჯუნდად შემექნა, ჩემი ვსთქვა, აწ სიტყვა ბრძენთა თქმულები,
ჯღომით შეეჰკრიბე ლექსები, მეახლედ მივეც გულები...“ 19 გვ.

5. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„ახალსა ყმისა პირმხესა ვიტყოდე ტანად საროსა,
ბარამ ქაბუქსა მისთანა სხვა გამოსულა აროსა...“ 20—28 გვ.

6. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„ადამ ბადა, გვერდით დახსნა ევა, ვრცელ ზის შაერია,
თვით იქს კაცად, ლოცვით ჰიწას ნებ ორთ პირს ჟღერს, რა
ერია...“ 29 გვ.

7. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„ახარა ბერწსა გაბრიელ დღესა, ეს ვინ ზის ცესრეთ, თვით ითხო-
ვესა...“ 30 გვ.

8. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„არამედ ბაგაგანათლდებოდა, ღუმლით ექმნენ, ვიეთნი ზრდი-
დეს...“ 31 გვ.
9. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„აწ ბეთლემს გვიშვას დიდებით, ეს ვინ ზრდის შესათნოვესო...“
32 გვ.
10. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„ალთქმით ბარბაროზთ გულს-დებით ერთ ვრცელად ზრახავს შე-
როდეს...“ 33 გვ.
11. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„არ ბილწთ გვირგვინი დღეს ეკლით, ვით ზე შერთ თვით იშოვე-
სო...“ 34 გვ.
12. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„აქენდათ ბრმათ გვემა დიადი, ესმის ვით ზრახავს შურია...“ 35 გვ.
13. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„აღემართა, ბილწი გაქრა, დაჯდა ესრეთ, ვით ზე შაერს...“ 36 გვ.
14. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„ათორმეტთა ბრძენთა გარე დარჩა, ეს ვინ ზღვას შე თომა...“ 37 გვ.
15. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„ამისთვის ბრძანებს, გეტყოდე, დიდ ერნი ვრცელ ზედ შერია...“ 38 გვ.
16. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„... თან თავლი სდის ნუშებსა, ყვავილოვანთა მწვეთელი...“
39—45 გვ.

შენიშვნა: ამ ანბანთქების დასაწყისი ნაწილი ხელნაწერის 39 გვ. დაწერილია სხვა ხელით.

17. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„აქ ბულბულთ გალობისაგან(!) ვმა აღარ ჩავარდებიან...“ 46—48 გვ.
18. [ონანა მდივანი ქობულაშვილი, ანბანთქება].—
„არსებით სამხატოვანი, ერთ უფლად განთვითებული...“ 49—84 გვ.

შენიშვნები: 1. ანბანთქებათა ტექსტები მიწერილია ხელნაწერთა ფურცლების ზემო და ქვემო კიდეებზე.

2. აღწერილობაში შესული № 4, 5, 15 და 16 ანბანთქებიანი და ანდერძები გამოცემული აქვს დ. ბრეგაძეს (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 203—213).

19. [თამარ მეფის შესწმა ჩახრუხაძისა, თამარიანი].—
„მო ფილასოფოსნო, სიტყუითა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულის-
ვმიერსა...“ 153—173 გვ.

შენიშვნები: 1. თამარიანის ეს ტექსტი გამოყენებულია უკანასკნელ გამოცემაში (იხ. ივ. ლოლაშვილი, ძველი ქართული მეხოტბენი, I, თამარიანი, 1957, გვ. 28).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. I, გვ. 521).

ანდერძები: 1. „აღმითქვამ სიტყუა ლექსითურთ, გული დავაპყარ ველია, აპყრობად მკლავთა ცად მიმართ ვიჭმარე ენა სველია, აშტარხანს ცუდად დებითა დავკვავ მცირედი წელია, აღსწერე, ლექსით შევაწყვე, მსმენელთა გამახვლია.“

[ბარამი]ანი სახელად მთქმელთა ამ წიგნთა უწოდეს,
[ბრძენ]თა და ფილასოფოსთა ენა ვერ გამოუწოდეს;
ბევრნი შეინთქვენ, სინჯვიდენ, ცეცხლითა გული უწოდეს,
ბოლოდ შეამკეს, ტიროდეს, ცრემლითა გაიწუწოდეს.

გულიჯან, ქმელთა მნათობი, საყუარლად ჰყუანდა, შვენოდა;
გონება ჰკლევდა მას მისი, თვალთა სინათლედ სჩენოდა;
გემო სოფლისა საქმისა მითქვამს, მათ რაცა ლხენოდა;
გუგა თვალისა მრავალჯერ მტირალი მორესწყენოდა.

დიდის ჩინელთა მეფისა არ ძეა, განასულია,
დღეს მათი ყოვლი სიკეთე სულ თემზე განასულია;
დუმილით ჰქონდენ სურვილნი, მუნითვე განასულია,
დოვლათი სეიანობითა, სვე ცამდი განასულია.

ესე ვპოვე, გავალექსე, უგბილმან და სიტყუა მცირმა,
ერთხელ მესმა, გული ჩემი აღმიდღულა მათმა ჰირმა;
ენა შეეძარ სასიტყველად ღარბმა და მარტო მწირმა,
ესოდენი ლექსი სრულ ვჰყავ მე ამისმა შენამზირმა.

ვის არ გასმიათ ამბავნი ტკბილნი და გემრიალები,
ვით მითქვამს, ყური მიეცით, ნახეთ სიტყუისა წყალებე.
ვაქებ კბილ-მარგალიტებსა, ვის გარ უსხენან ლალები,
ვინ ხელისათვის ხელობდა, იგ ორნივე შესაწყალები.
ზე მთისა წყარო შეფრქვევით ვარდსა რწყავს გიშრის გუბითა,
ზედ ძოწსა ლაღნი უშვენის მარგალიტითა ტყუბითა“ (85—91გვ.).

2. „დასრულდა მიჯნურთ ამბავნი, პირველ ბრძენთაგან თქმულები,
მათ ველმწიფეთა საქმენი. თაეით ბოლომდი სრულეები:
ჰირნი, შეება და განცხრომა, სიბერე აღსასრულეები,
და ისინეთ ტკბილნი სიტყვანი აწ ჩემგან გალექსულეები.

ვინ პირველ ამბად დაწერა კეთილად ბრძენმა ქებულმა,
ვპოვეთ ჩვენ მათთა სიბრძნეთა წარმოთქმით იმედებულმა,
გავლექსე, გავაზიარე, არ პირველ გულსა დებულმა,
და მე კახთან ვინმე მწერელმან, მდივნობით სახელ-დებულმა“ (144გვ.).

3. „დასრულდა წიგნი ესე ბარამიანი და იქმნა ამა მიჯნურთა ამბავთა
ლექსი რვაას თორმეტი, რომელმან გავლექსე თვესა სამსა და დავსწერე დღემი
რვეული ერთი. და მისთვის ვერარაი კაი ველი. ამბათ ქებასა ცალკე უნდა წაი-
კითხვიდეთ. ამაში ნუ შეურთავთ“ (145 გვ.).

4. ქ. იესეს ძირთა მეფენი ტომობენ დასაბამითა,
არიან ფილოსოფოსნი რიტორებ დასაბამითა,
მამაბან თოკი სიბრძნისა მე მასთან დასაბამითა,
და ვჰკადრი ვარდისებრ სიტყვანი, ძმას უძღენი დასაბამითა.

მწიგნობარს მართებს მეფეთ წინ დაჩოქილითა წერანი,
აღარსად მამხვდა ტყვექმნილსა, რა ვირგო მე აწერანი,
მოვშორდი საგ[ა]ხრდილოსა, სახლი მაქვს ოვერ ვერანი,
და აწ მართებს მისა მგონესა ძაძა და ამოწერანი.

ვიწყევ ამ წიგნის გალექსვა, ვიქმენ აშტარხანს რებული:
შევამკვე ტკბილად სიტყვანი, რაც მქონდა გულსა დებული;
კახეთით კიდევან ვქმნილვარ, კვლავ კიდემ იმედებული;
და თნანად მივმეთ, იქ ვიყავ მდივნობით სახელდებული.

ღარობსა მომიჯონია მე წამლად ცუდის დებისა,
 არა მაქვს ნიჭი კეთილი სამწერლოს იმედებისა,
 კალამს მიზიდავს ფრინველი, ოდეს ფრთა დავარდებისა,
 და ცუდი მელანი ქალადღსა უმალ შიგ გავარდებისა.

მელანი მჭრქალი, უსამყე, ცუდმან ქალადღმა გაისვა,
 ფთის კალამს მოსდის ბეწვი და უმალ წვერზედან გაისვა,
 დაღონებულა მწერელი ადგეს, იძახოს: გაისვა,
 და ამაღ არს დაქმუნებული; გულსა ლახვარი გაისვა.

ქელი ვერ გამოვიჩინე, ქალადღმა მიყო ზიანი,
 მელანმა იკლო ფერიოთა, მან შემქნა მიზეზიანი;
 ასო ვერ დავსხი გაწყობით, ვერც ჭე ლამაზიანი,
 და მაშინცა ვსწერდი ყოველ დღე, რა დილა ვნახი მზიანი.

ნეტამც მწერელსა სამწერლო ვითა სწადს, ესრეთ უნება,
 მელანი, სპარსთა ქალადღი, კალამიც ცელად უნება,
 გამართვით სწერდეს, მის განო ბევრგან არ გაეთხუნება
 და სიწყნარით ასო გააწყოს, არც ქელი დაეწუნება.

ღვარძლი დავსთესე ასოთა, მოიმკის პურის ალოდა,
 დავჭყარნე სწრაფად მარცვალნი კვალთა სიმრუდეს ალოდა,
 მომკალსა მისცეს ნაყოფი იმედად გამოსალოდა,
 და ავს მიწას ცუდი ქვაყრილი მუშაკმან ძებნა ალოდა.

ჩინელთა მეფის ამბავსა აწ ვიტყვი გაღექსულებით
 გარეგან ანბანთქებასა დაუწერ თან შექსულებით,
 სხვადასხვა ვმასა ანბანთა თავით ბოლომდი სრულეობით,
 და თუ დამიწუნებთ მსმენელნი, შევიქნა გაბასრულეობით“ (146—154გვ.).

5. „ჩუა სწავლის მოყვარენო: და მოთხორობისა მოსაწადენო, სიბრძნის მეძიებელ-
 ნო და მეცნიერებისა საუნჯენო, რომელიმე ხადით ჭეშქარიტებისა მცნებათა და-
 უბირველესთა მათ ბრძენთა სიტყვიერ-ყოფასა, ყურად რღებთ წერილთა მათთა
 შეიძინებთ მიმოდამფენელთა თქვენთაგან, გემოვან იქნებით ბუნებისა სიმჭურვ-
 ლითა და რჯულიერ ყოფად კაც-ყოფილებისა ჩვენისათვის. რომელიმე ხადით მი-
 ბაძვითა უწინარეს გამომეტყველთა სამღთოთა სამიჯნუროთასა, ნეტარ ხართ და
 კეთილი გეყოს თქვენ, და რომელიმემცადა იურავით მსოფლიოსა ამის საშვებელად
 ნასიტყვსა კეკლუტთა ზეჟან ყმა ქალთა მიჯნურობასა. იგი არა სარგებელ გეყოსთ
 სახსრად სულთათვის, ვინადგან ყოფილან ზოგადნი ბრძენნი სოფლისა ამის ნივითა
 მლაღადებულნი, რომელთამე უთქვამსთ საერთა(!) ვაჟთა საკეთილნი, პირ-მზეთა
 თანა სიყვარულნი დაუტკბითა ლექსითა გეჰოვანითა და ამბითაცა შევნიერითა. ეს
 თქვენთ ესეცა მათ თანა, ვითარცა იაგუნდთა შორის კენჭნი, ანუ ნთოვარეთა შორის
 ვარსკვლავნი, ნათელსა შორის ბნელი და ვარდთა თანა ასკილნი, ესრეთ შორს
 არიან საერთონი სამღთოთა წერილთა მიერ, ვითარცა ესე ესრეთ, გარნა ესეცა
 ესთქენთ, ვითარცა სამთვითებამან, სამგვამოვანმან სამებამან სრულმან დიდებითა,
 მეუფებითა და სანარადისობებითა არა განყოფილმან. ერთმან ღმერთმან, ერთარსე-
 ბამან და ერთმეუფებამან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსაჟურნი მისნი
 ალად ცეცხლისად; ბრძანა და დაებადა ქვეყანა ესე წყალთა ზედან და მიავლინა
 ძენი ადამისანი ნივითა ოთავკეთა ქანდაკებულად, შეილნი ერთი მეორისა თანა;
 მისცა ძალი თვისი ძლიერებით სხეულებსაებო თვისისა, და მისცა საშვებულნი
 ნივითიერთაგან გემოვან-მკნელნი მიმოდასმენითა, ანუ გულიცემის-ყოფითა. უფლება
 კეთილთა და ბოროტთა ზედან. ხოლო რომელთა თმენით დაუთმეს, კეთილ არს
 იგი ბოროტთა ზედან. და რომელთა არა დაუთმეს, ბოროტ არს იგი კეთილთა
 შორის. ესთქვით ჩვენ ყოველთა, თუმცა ესეცა ითქმოდა კაცად-კაცადისა მგზავსად
 მგზავსადობა და საწუთროსა ამის შერაცხვა. უთქვამსთ და არიან წიგნები საერთონი—
 კაცთა შესატკბებელნი, ბრძენთა და ფილასოფოსთაგან თქმულნი სამღერელად და
 სალაღობელად მსმენელთა მისითათვის. ვინადგან ნივითიერნი და მსოფლიონი კაცნი
 საწუთროსა შიგან რასამე შერებოდინან, მაშ არ დააწერდენ იგი ფილასოფოსნი,

რომე ზოგადთა კაბუჯთა პირმზეთა ქალთათვის რაოდენნი ძლიერნი და საკაცობონი ღვაწლნი დადვიან, ანუ მიჯნურთა რა პატიყნი ნახიან და მნათობნი მკლავით გამოიყვანიან; ამა მათსა ვხედნსა კეთილსა თუ ბოროტსა საქმესა არა ცუდად რასამე დაკარგვიდენ და იტყოდენ ვაჟთა კაბუჯობისა სასწავლებელად და თვისისა სიბრძნისადა გამოსაცხადებელად. და მერმე, მათ სამღელეთა წერილთა ყოველთა კაცთა ბუნება ვერასადა მისწვდებოდა და მისთვის მოიგონეს, რომე ერისკაცნი უსწავლელნი და ცოდნადაკლებულნი არ დარჩენენ და ამახედ იხალისებდენ და საქაბუჯთა საქმესა ყურსა მიუპყრობდენ. ზოგმან სხვა თქვა და ზოგმან სწვეა და ერთი ეს მე მოთქვამს. აწე ესე დიდისა ჩინელთა კელმწიფის ჯონ შერისა ამბავნი იწყებოდა და მუნ მყოფთა კეკლუცთა ქალთათვის უსწოროთა კაბუჯთა მიჯნურობა ითქმოდა, — ბარამ კაბუჯისა და გულიჯან ჩინელთა მეფისა ასულისა. მათნი სურვილი დაუტბრომელი და საკვირველი. ესე ბარამ იყო სახლეულთაგან ტომი და ნერგად ყვავილ ფურცლოვან ქმნილი მის დიდისა ჩინელთა მეფისა და მისგანვე ძედ ნახარდი და შვილად ნაქმობი უნაყოფობისათვის მის კელმწიფისა; და იგი პირმზე და ქმელთა ზედა მანათობელი გულიჯან ასული იყო მის კელმწიფისა, და მათ დაუტბრომელი ერთმანერთისა სურვილისა ცეცხლისა სიმჭურვალთა დალბებული იყვნენ. უმიჯნურესად ყოველთა სოფლის შემსკვალულთა ძეთა კაცი-სათა და მიწვენილ იყო ყოველსა ქვეყანასა საქმენი მათნი. და ოდეს სცნეს სპარსთა ფილასოფოსთა და მიიწივა ამბავნი მათნი სპარსეთად, ბრძენთა გულნი მიუძღვნეს და მეცნიერთა ცნობანი განუზუნეს, შეიწვიეს და შეინაწვეურეს და დაწერეს ამბად სპარსთა ენათა ზედან. მან ბრძენმან და მეცნიერმან კაცმან, კეთილმან, არა თუმცა უსწავლელმან, და უგბილმან ჩუბინ ბრძენმან, რომელი იყო თემისაგან ქირომანელთასა, თქვა მათ მიჯნურთა საქმენი. და იტყო ყოველთავე, რომელსაცა ქვეყანასა შიგან ღამთა კაბუჯთაგან პირმთავარეთა კალთა ზედან მიჯნურობანი იქმნებიან, და ანუ შევნიერთა ქალთაგან კაცთა შორის ნახნი და ზარიფნი სიყვარულნი განეცხადებინ. იგი სპარსნი მეცნიერნი ტკბილისა და გემოვანისა სიტყუითა დასწერენ და გააუბნებენ მათ მოყვარეთა და მათგან სხვანი მეცნიერნი ქართულად გარდმოიღებენ. და ვაეცა იყო მეცნიერთაგან სპარსთა ენათაგან გარდმოთარგმნული. აწე მენება და სურვიელ ვიყავ. ვეძიებდი მრავალგზის, ვითარცა კელთ. მეგდო. ოდეს ვაჟე მე, ყოველთა უსიტყველთა უნაკლულესმან და კეთილთა მეტყუელთა აზრდილთაცა მიბძედა არა ღირს ჩინელმან ძემან კახეთის მდივნისამან და თვით მდივანმან ონანამ, გავალექე მათ მიჯნურთა სატრფიალონი ამბად ნათქვამნი, რომელი არს ამბავნი მათნი კაცთა ერთობისა მახალისებელი, ჯომარდობისა ეჭლთა ზედან მაგალითად შემასრულებელი, ყმათა ვაჟობისა სიმეწე გოლიათობისა მასწავლებელი, პურადობისა საბოძვარსა ზედან ბუნებისა გამსწნელი, მთისარ ასპარეზთა ზედან ფროლისა მღერითა და ბურთისა გარდათურგენითა მაწინავებელობისა მამგონებელი, რომელი ახალისებს კაბუჯობასა ზედან კაცყოფილებასა ჩვენსა და მეცა მისთვის კელ-ვჰყავ.

აწე ისმოეთ და გულსკვამა-ჰყავით მცირესა ამას ნაშრომსა ზედან. სარწმუნო იქმენით: რომელიმე ამა ამბისა წიგნსა შიგან წერებულ იყო და მივხვდით, და უკლებელად ვეცადენით და მთლად შესრულებად გამოვიძიეთ და იმრიგად გავლექსეთ იგი ტკბილნი და გემოვანნი ამბავნი, მაგრამ ბევრი რამე დამიშთა, ამაღ რომე ჩვენად დასახედავად ბევრნი ვანმე თავადნი დიდებულნი თუ მცირებულნი მობრძანდიან და საუბართა შეექცეოდნენ — ზოგნი ლალობდიან და იციროდიან, ზოგნი ნარდსა და ჭადრაკსა ზედან იმღეროდნენ, და მათმან ტკბილმან საუბარმან გულნი მიმიღის და წერაში ლექსი ვეღარ გავსჩალები, და მე რომელიც მეწნება, იმრიგად ვერ დავაგვარიანი, და რომელსაც არ მაიწონებთ, ამრიგად აკლია სიკეთე. და მერმე, არც კელის სიკეთეს გაუფთხილდი, ამაღ რომე კალმად ბატის ფრთე მქონდა და ქაღალდსა და მელანს თქვენც დახედეთ რა ცუდნი და არას კელისანი არიან, და მისთვის კარგი კელი არ მოვიდა, და მერმე რომელიც ტრიქონი მოფხევილი და მეორედ გაკეთებული არს, ისიც სხვის საუბრის გონების გართვით სხვა სიტყვა დავსწერი; და გმვედრები ყოველთა მეცნიერთა, რომე არა უფულებელს ჰყოთ ღვაწლი მონისა თქვენისა, რომე ახალი ნათქვამი წიგნი იყო და ეს მრავალგზის მოფხევილი ტრიქონი ამისთვის მოვიდა, რომე მასუკან გაეკეთე. ზოგი რომ გაუჩაღხავი ლექსი დამრჩომოდა, — ცალკე საღაომი ვერ დავინებე და ვერცა თავი კელთ მოვივი

ყოველთა დღეთა მსხდომარეთა მათ შორის მიმოთქმითა გული ძლიერ ვიპოვნე და კეთილნი სიტყვანი მიმელის. ვაშურებდი შესრულებასა, დიდძარხვის დღესა ვსწერდი და რა საეკლესიოს განწესებულის ლოცვისაგან ერნი შემოვებოუნდით, დღეში ერთი რვეული დავსწერი, ოთხმოცდათექვსმეტი ლექსი, რომე მრავალთა ნახიან სწრაფადობა კალამოა ჩემთა. მაგრამ ჳელის სიავეს არ დამაჯერა, ბუზმა წამიბდინა ასო მრავალგზის და შექამა და შეკერაშიგ ერთმანერთს ფურცელი მიეკრა და მელანი გაეცხო, და ამთვენი მანებელი და არა ჳელის შემწე რას კარგს წიგნს მოიყვანდა“ (146—149 გვ.).

6. „ვიწყევ ამ წიგნის გალექსვა თებერვლის დამდევს და დასრულდა გასულს აპრილსა, და დაწერით შესრულდა იე მაისს, ქ[რონოი]ქ[ონ]სა უიდ, ქრისტეს აქეთათას შვიდას ოცდაექვსსა, დასაბამიდგან ვიდრე აქამომდე შვიდი ათას ორას ოცდაოთხმეტსა“ (149 გვ.).

ლექსად ნაწერი ხნდებრები მიწერილია გვერდების ზემო და ქვემო კიდებზე.

მინაწერები: 1. გამოკანები:

„ქ. სახლი მაქვს აგეთ-აგეთი, ხურო კაქაჳის ნაგები,
შიგ ვზივარ ამოვიძახი: კარი არა მაქვს საღები.

ქ. ნებიერ შვილი გაზდილი მამას ვინ წაეკიდება,
ხელის [აპ]ყრობა სიმდიდრე მეფობის გამოკიდება.
ადვილვე უჩნდეს, თუ ვინმე ღთის ნებას მოეკიდება.
ნაძვისა ხესა, თუ სხვას ხეს, ქოჩრით ვინ მოეკიდება.

ქ. ოთხ ხატედთ კიდის-კიდე ხნ[ა] გაისმა საწადელი,
ოდითგანით აჩრდილებთა წარხდა სახე უწინდელი,
ოხრა მათი სასუოელი ტკბილად გვესმის მაშინდელი,
ოქროპირებრ თუ ვერ თარგმნოთ...

ქ. ოდენ აქვს კაცთა, იტყვიან: გავძლებით მათით არო[სა],
ოდეს არა აქვსთ, დრტვინიან. რ[ა]დ მეც არა[ა] მ[ა]ქვს არო[სა],
ოთთაგან ერთი ყირმიზი, ერთი სპეტაკი აროსა,
ოხო[ა]თ დაურჩეს, სხე[ა]თ დარჩეს, ვინ ავ[ა]დ მოიხმარო[სა].

ქ. ორფეზი ვინმე ოთხსფესსა დაუძახებ დედოსა,
ოდეს დადგეს, ჩამოზიდავს ოთხ ასოს, რ[ა]ც დედოსა,
ორთავ სწოთ შე, მზადებს, ძმა ეძმოს თუ დედოსა,
ობლებს ეტყვის, სხე[ა]ს მოგ[ა]რთმევ, დედიანა სძეს უსდედოსა.

ქ. პირველ ჯვარი დაისახვის, როს ყუოს შინა გეცემის.
პირმზე სიბრძნით კეთილად ყოფს, ხლმით არვის გეცემის,
პატრვი და საძლო წმინდა ჭალს ავლა არ გეცემის,
პაოვით გავალს ერისა ხმა, არ ვისი გეცემის.

ქ. პირუტყვია ცეცხლსა გავლის, ვით გრილს წყალს დაუწველად,
პოვნა მის ძნელი არს, კლდეთ იყოფის თუ არ ველად,
პირში ხელს ვერ ჩაუყოფ, მაშ დავრჩება დაუწველად,
მეტყველად არ ჩაგადებ, ვინცა ახსნის ამას ძნელად.

ქ. პატროსნად დადებულა განძად, ყოველ ნივთ უმაგრესად,
პატრვით მას მიართმენ, მეფეს ყვანდეს მოსაგრესად,
...რჳენსა... ბილსა ჳელოსნები მოგვითხრობენ მისად... რესა
...რით მი... გაცემასა... მოაგრესა“ (174 გვ.).

2. კრიპტოგრაფია: „ჩემო მაი ი ა ე, ასე დაწერე“ (ამოხსნა გ. მი-
ქ ა ძ ე ბ).

(866)

1614

სტრატეგია, თეატრონი. 1740

274 ფ.; 32 X 20; ქალაქი; უცხო; დაშლილი; მხედრული; სათურები და დასაწყისი ასოები სინგურით; მთარგმნელი ვახუშტი ბაგრატიონი; დაწერილია ვახუშტის ხელით; 1740 წ. (4v); აქვს ჭვირნიშანი; ხელნაწერის 1—11 ფ. და ბოლო 274 ფ. შექმნილია სოსიკო მერკვილაძისაგან.

[სტრატეგია, თეატრონი]. „სოფლის დასაბამი.—სოფელი თთვესა ოკლონბერსა შინა (მოწმობისაებრ უბრძანესთა ხრონოლოღთა: სკალიდერისა, კალვისისა, დელვიკისა და სხვებთათა) ღთისაგან შექმნილი არს ექვსთა დღეთა. იწყო შექმნულებად იმ დროსა შინა, რომელი დღე შათათოვანის ჟამი მეექვსე მწუხრისა გამოისახებოდა...“ 6r—274v.

წყდება: „... ძე მისი კესარ ბორღია, მთავარი ვალენთინური მამისაგან შექმნილი, ვინათგან ამისგანვე შხამისა, ხოლო ეგრეთითა უცნობნობლითა(1) სვა, ვირს ახალს გაჭირლსა შინა შთადებული და ცოცხალი დაცული არს. ჯდა წელთა ია, დღეთა მ. საფლავსა ზედა მისსა ესე არს...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერის დასაწყისი 11 და ბოლო 274 ფურცლები თავდაპირველად გატარებული იყო Q კოლექციაში ცალკე 177 ნომრად (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია. ტ. 1, გვ. 196—198).

2. ტექსტი შეიცავს შემდეგ თავებს: ა. „გამოსვლა პირველი, ნოესი“ (9v—11v); ბ. „მეორე, გამოსვლა აბრაჰამისა“ (11v—17v). გ. „გამოსვლა მესამე, ისრაელთა ეგვიპტიდამ მყვანებელი, რომელ არს მოსე“ (17v—30v). დ. „გამოსვლა მეოთხე, მეფეთა ისრაილთათა წინააღმდეგ მტერთა თუისთა“ (31r—52v).

ე. „გამოსვლა მეხუთე, იუდიანებთა ტყვეობისაგან ბაბილონურისა“ (52v—76r).

ვ. „გამოსვლა მეექვსე, მყვანებელი, რომელ არს ქრისტე უფალი“ (76r—126v).

ზ. „საუკუნისა შემდგომად ქრისტესშობისა მეოთხესა. გამოსვლა მეშვიდე“ (126v—203v).

თ. „გამოსვლა მერვე, ლერმანთა ანუ ნემცთა, საუკუნო შობისაგან ქრისტესი მეცხრე“ (203v—233v).

ი. „საუკუნო შობისაგან ქრისტესა მეათორმეტე. გამოსვლა მეცხრე ვალდენსთა“ (233v—274v).

3. წინ უძღვის: ა. თეატრონის რუსულად გადმომღებელის გაბრიელ მღვდელ-მონაზონის თავნაკლული წინასიტყვაობა (1r—2r).

ბ. „კეთილმოკითხველს მატიანისა მოყვარულსა“ (2r—4r).

გ. გარემომღებელის უწყებულება.—აქა უწყება ჯერა-არს, ვინაჟგან მრავალნი უცნონი სახელნი და ნივთნი ქალაქთა, ქუშყანათა და კაცთა მოიპოებინან წიგნსა მას შინა და სხვათა ვნათა: ანუ ბერძულთა, ანუ ლათინურთა, ანუ ნემცთა და სხვათა. იმცენ, რამეთუ ანუ ანუ(!) მთლად წითლულით არს წერილი, ანუ თავს უზიან დედანს, ასომთავრული უსხდნენ, ხოლო მე წითლული დაუსხნენ, რამეთუ მხედრულის ასომთავრული არაჟგან გამოჩნდების. ეგრეთვე წითლულით, რომელნი მთლათ შარნი ერთნი, ორნი, თუ მრავალნი, მასაც ასომთავრული უნებდენ და უნებს. ხოლო სხვანი, რომელნი სახელთ გარე სიტყვას წითლულით თავს უსხედან, იგი დასაწყისი არს სიტყვის შეაზხვისა. ხოლო სხოლითა ზედა თარგმანი მათნი უწერია, ამით O დანიშნული, ანუ მოწამენი სხვათა წერილთა; ხოლო რომელნი დამშენენ წერათა შინა, სხოლითავე ზედა სწერია ვარსკვლავის წითლულითა თავს და ბოლოს ესრეთ—*. მუნცა, სადაცა აკლს და მუნ წარუკითხე, მუნ ჯერა-არს მის. ანუ ვინცა გარდაწერად ჯელ-ყოთ, მუნ დასწეროს. უწინწილთ ვინცა კითხვად კელ-მყოს, არარაისავე მოესწრას, უგრძნობელი მოიქცეს სპარეზისაგან. სადაცა ასოს აქეთ-იქით წინწყალი უზის—რიცხვი არს“ (4r).

დ. „შეყვანილება წიგნისა ამის გარდმოძღვებისა.—საყვარელნო მკითხველნო წიგნისა ამის, უკუშთუმცა ვის სათნო გიჩნდესთ ტრფილგებისაებრ თუისისა ასპარესსა ამას შინა შემოსრულნი. მატიანისა ყოვლისა სოფლისასა, ნუმცა გამჭურტელობით, არამედ გულსმოდგინედ, ნუ საყვედრულად, არამედ შეცნობად, ვითარმე მყოფობდა ქუშკანა. ნურცა რაჟსამე ორგულემ, რამეთუ წიგნი ესე არს თუ სხვისა სარწმუნოებისა მოღებული, ქმნული და შეწყობილი, რამეთუ არა თარგმნილა და გარდმოღებულა. არცა პირშულისაგან [ვითარცა იტყვის] და არცა ჩუშნაგან, რათა ვირწმუნოთ მათი, ვინა ვინ რაჟსა წარმოიტყოდნენ, არამედ რათა ესცნოთ, ვითარ იყო ანაგები შექმნულებისა დროთა და ჟამთა სოფლისა. კაცნი ბოროტნი და კეთილნი, მფეენი და მთავარნი; მღუდელნი და ერნი, დიდნი და მცირენი, ხოლო კეთილნი მოვაქციოთ ჩუშნდა და ბოროტნი მიუტყოთ მათვე, რათა განვდგენოთ ჩუშნაგან.

არა ჯერ-იყო ჩუშნდა ესე, საყვარელნო მკითხველნო, ამის მოთხრობად, ვინათგან საცნობელ არს გარდმოძღვებისა ამის წინარე-სიტყვიერებასა და შეყვანილებასა შინა, რამეთუ ვითარისათვის მიზეზისა გარდმოღებულ არს წიგნი ესე, ყოველსავე იტყვის, უკუშთუმცა გულისხმიერებ გონებითა. ქებანი ანუ ძაგებანი, შეწყყნარება ანუ არა შეწყყნარება, არა არს განსაგდებელი, არამედ კეთილ-სატრფო და მშრომელისა წილ სასყიდლისა ლოცვა, არა თუ გმობა.

ხოლო აწ, ვინათგან მოკლებულ არს ენასა ჩუშნსა ზედა ესე-ვითარნი მატიანენი [რანეთუ რაზნის ეპისკოპოზი გაბრიელცა, რუსულსა ზედა გარდმოძღვები, ეგრეთ იტყვის]: რაჟ ვიხილე მთნდა და ვიტრფიალე, რამეთუ უშუშნიერე ყოველთა მატიანეთა იყუნენ სრულებითა სამღუდელო სამოქალაქოთი და საეკლესიოთი. ამისთვის ვიშრომე. რათა არა საორგულე იქმნეს შრომა ჩუშნი, არამედ კეთილ-სატრფო შესაწყყნარებელი.

უკუშთუ არს წიგნსა ამას შინა ვითარიმე ქართულის ენისა ორფოლრაფიისა, ანუ გრძელნი და მოკლენი სიტყვათა ქცევანი ლეღარტნილნი, თანაზიარნი მრავალგზის, არა უცნობელობითა, არამედ ვინათგან ენისაგან რუსულისა გარდმოიწერა, აქუს მას მრავალნი ზიარნი, ამისთვის იქმნა მიზეზი ესე. ჩუშნ უმჯობე გვიჩნდა, ანუ შეცვლილნი სიტყვანი ჩუშნ ეგრეთ ვიჯერეთ. ნუ სჭურტე თვალდებით, არამედ მართლმსაჯულდობით; ნუ სარწმუნოებისა წილ, არამედ მატიანისა; ნუ დამჯერებლობისა წილ, არამედ ცოდნისა, განვაგდოთ ბოროტი, შევიწყნაროთ კეთილი, ვინათგან სავეს არს ორთავითაგან. ნუ მოიხსენებ შრომასა ჩუშნსა უგბილობით. უქმად, არამედ ლოცვით, რამეთუ ბოროტი უკეთურებისა არს, ხოლო მადლი სახიერებისა, რამეთუ ვიყავ წერასა შინა მრავალტანჯულ თვსთაგან. აღვირჩიე ესევე, რამეთუ უქმობა წინაღმდეგ არს წმიდისა პავლესა, რამეთუ განმეყენენ და მომიწულეს ცუდად მშრომელი მეფის შვილი ვა ხ უ შ ტ ი. გიძღვნი მსურველთა ცოდნისა და გონიერებისას, არათუ უგბილთა, რომელნი არა ჰყვარობენ ესევითარდა გულსმოდგინებასა და გულისხმიერებასა, არამედ მცონარებასა. არა არს ძალნი. უკუშთუ სათნო გიჩნს, იგემე. უკუშთუ არა, იღვას წიგნი. რამეთუ მიტევებულ არს, ხოლო მოწყალებით ჰყავთ შენდობა ჩვენთსცა, რამეთუ დავშვერ ფრიად მეფობლობასა იმპერატორის ან ას ყოვლისა რუსეთისასა წელსა 1740 ქრისტეს აქთ. შესრულდა ოკლონბერს იე იმავსავე წელსა, დიდება ღმრთსა ჩუშნსა საუკუნისას, ამინ“ (4v).

ე. წიგნის მოკლე შინაარსი (5r-v).

ვ. „ლექსი ამისვე გარდმოძღვებისა შეყვანიებისათვის, რომელი მუნავ დაწერად ჯერა-არს.—

მებრძოლთ ბრძოლათა ვით მართებს სიმაგრე, რაზმთა ცოდნანი, მტკიცედ, გულმაგრად შას ზედა, თვარ იქცნენ მონაწყინანი, ეგრეთ ასპარეზს ამასვე მსვლელს მართებს გამოჩენანი, და სარწმუნოება გულს ეპყრას, მერ კითხვით იცეს ლხენანი,

თვარ არა გაქუს სიმტკიცენი, მიჰყვე ყოვლსა თქმულებასა,
ქელს¹ ემზავსვი სიბოროტით, ჰყოფ გონების აღვსებასა,
ღმერთი არის შურის მგები, გეშინოდეს ხსოვნებასა,
და შიში მისი, გრწანს, განგმართებს, კეთილს მოგცემს მოსწორებასა.

სარწმუნოების მპყრობელმან და ასპარეზსა მცემელმან,
ყოელი შეიმცნოა სოფლისა, რაი სწადს მონამდომელმან,
ბოროტი გარე განასხნას კეთილთა შენამთვისველმან,
და არც წარხდეს შრომა ეს ჩვენი, მადლნი გაცეს მომადლებელმან.

თეატროს მოდით მოკრბენით, თქმულების დამმარბველანი,
იკრიბეთ გულსა საუნჯე რჯულთ და სხფლისა ყველანი,
ვინც არ იმცნებდეს ამ მცნებას, ნუ ხვალ, სხვა ძოვ ველანი,
და თვარ ღმერთს შენ მიეც მიგება, ჩვენ ვიყვნეთ უშრომელანი“ (5v).

(867)

1615

მარხვანი. XVII

682 გვ.; 29,5 × 20,5; ქალაღი; თავბოლონაკლული; ხის ტყავადაკრული ტვი-
ფრული ყდა (ზემო ყდა გატეხილია); ნუსხური; სათაურები სინგურით; [XVII ს.].
აქვს ჭვირნიშანი.

[დაწყება მარხვათა კკითგან მეზუტრისაჲთ და ფარისეველისა]
„ვიღრე დიდად შაბაჲთადმდე, ჳა ა. შნ სიტყა.— გზა ამყვანებელი ჩნი
ბრწყინვალე გჳჩვენა სიმდაბლისა უფალმან, რომლითა განაშართლა ფარისევე-
ლისა მის უღღრეს მეზუტრე...“ 1—682 გვ.

წყდება: „საგარებაჲ იოანესი ფერტბანისა. მის ჟამსა შინა უწინარეს
დღესასწაულისა მის პასექისა იცოდა იესუ; რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რათა
განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მმისა, რამეთუ შეიყუარნა თსნი იგი
ამს სოფელსა შინა და სრულად შეიყვარნა...“

შენიშვნები: 1. ამ ხელნაწერის ტექსტი მისდევს მეწიეთის მარხვანის ტექსტს
(იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი დ კოლექციისა. ტ. II, გვ. 93—95,
ავრთვევ ქრ. შათაშიძე. სახბრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—
—XVI ს.), თბილისი, 196., გვ. 20—23, 65).

2. მარხვანის ტექსტში ჩაოთულია: „ძეგლის წერა სარწმუნოებისა, რომელი აღ-
წერეს წმიდათა მათაჲთ, კო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ბ ო ლ ი ს შეკრებილთა წმიდათა ხატთა
თყნის ცემისთა“, რი ძელი ეჲ წარიკითხების სო ფ ი ა წ ა და ყოველთა ეკლესიათა
პირველსა კურიაკესა მარხუათაჲა წმიდა ჟამისწირვასა ზედა შემოსილისა მღღლისა-
გან გ. მ...“ (160—172 გვ.).

ძეგლის წერის ეს ტექტი ზედმიწევნით მისდევს მეწიეთის მარხვანის ძეგლისწე-
რის ტექსტს (იხ. ქრ. შარაშიძე, სახბრეთ საქართველოს ისტორიის მასალები
(XV—XVI სს.), 196. წ., გვ. 21—23).

შინაწერი: „ღმერთო, შეიწყალე მონა შენი იოსებ“ (219 გვ. 225 გვ.).

¹ ამ სიტყვის გასწვრივ კიდევ მიწერილია: „ნავის მაჩვენებელი აღამი“

(868)

1616

ორბელიშვილი ბესარიონ, თხზულებანი. XIX

16 ფ.; 34,5 X 22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]

1. [ბესარიონ ორბელიშვილი, მარტვილობაჲ არჩილ-მეფისაჲ].—„...განოჩინებულ არიან! არსებთა ქებათა ვერვინ მკადრე ქმნილ არს, თვინიერ მის ჯამისა წმიდისა ეფესკოპოზსა ლეონტი მრუელსა, რომელსა ცა მის სანატრელი ცხოვრება და ღვაწლი ვრცელად აღუწერია...“ 1r—6v.

შენიშვნა: ტექსტი შენოკლებით განოცემულია (იხ. ს. ყუბანეიშვილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 247—452).

2. [ბესარიონ ორბელიშვილი, ლუარსაბ მეფის მარტვილობა].—„...ნას და ყოვლად ბრწყინვალესა და უხრწნელებსა გვირგვინითა ელვარე ქმნილსა. ესე ჰე იყო ღვთივ-მსახურისა მეფისა, რომელსა ეწოდებოდა გიორგი, ხოლო დედასა—თამარ...“ 7r—15v.

შენიშვნა: ლუარსაბის წამების ასეთი ტექსტი გამოცემულია (იხ. ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 407—416).

3. [ბესარიონ ორბელიშვილი]. „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წინებისა მათისა. გ. მ.—მოწამეთა სინრაგლემან გარემომიცუსს ჩუწნ მრავლითა რაჲთა მე ბრწყინვალეზითა(!) და გარდამეტებულთა ჰ[ა]ეროვნებითა...“ 15v—16r.

წყდება: „...და ვითარცა ხილული ესე ნზე ყოველთათჳს სწორად მახლობელ არს, ეგრეთვე წინდანი მოწამენი ერთგვის რაჲ მსხუტრპლექმენს.“

შენიშვნები: 1. ბიძინა, შალვა და ელიზბარის წამების ასეთივე ტექსტი გამოქვეყნებული აქვს საბინინს (იხ. „საქართველოს სამოთხე“, 1882, გვ. 599).

2. თხზულებათა ავტორის შესახებ (იხ. მ. ქავთარია, „ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და ნოდვაწეობა.“ ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 88—93).

შინაწერები: 1. „ჩუღო წელსა როსტომ ერისთვის ძე შალვა გარდაიცვალა ნაისის იდ დღესა შაბთსა, ღწერთან კურთხულ ყოს ხსენება მისი“ (16r).

2. „1888 წელსა სეკდებრის 28-სა რიცხესა, დღესა ორშაბათსა, საათის 10-სა დროით ნობრძანდა მისი ცნებრატორებითი უდიდებულესობა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, მისი შეფულე მარიამ თეოდორეს ასული, მემკვიდრენი კოლოზ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, რომელიც(?) მეც დავესწარი მათ მობრძანებას და ჩემის თვალითა ვნახე მათი დიდებულება, ნღ. თვედორე ხურაბოვი“.

3. „ჯვარი დავიწვრე 1868 წელს იანვრის 26 დღესა“.

4. „სვიმონი დაიბადა, 1869 წელსა, მაისის 10-სა დღესა. მოინათლა 12 ივნისს“.

5. „პეტრე დაიბადა 1872-სა წელსა იანვრის ორსა რიცხესა, მოინათლა 16 ამავე იანვარსა“.

6. „ათანასე დაიბადა 1876 წელსა, დეკემბრის 26 დღესა. მოინათლა აპრილის 22-სა რიცხესა. ნამდვილად და სიმართლით ასე არიან დაბადებულნი და შონათულნი ჩემი შვილები. მღუდელი თვედორე ხურაბოვი“.

7. „დიაკონად მაკურთხა არხიეპისკოპოზმა ვესევიმ 1876 წელსა, დეკემბრის 24-სა დღესა“.

6. ხელნაწერთა აღწერილობა

8. „მოდულად ხელდასხმულ ვიქემენ ეპისკოპოსის ალექსანდრესაგან 15 აგვისტოს 1878 წელსა.

1887 წ. მაისის 5 დღესა“.

9. „ევეგენია დაიბადა 1887 წელსა ღვინობის თვეში. მონათლა 1888 წელსა იანვრის 26-სა რიცხვსა. 1889 წელსა აპრილის 1-სა გარდაიცვალა დღესა შაფათსა ვეგენია“.

10. „ჩემი დისწული ნინო დაიბადა 1865 წელსა იანვრის თვეში“.

11. „1889 წელსა იანვრის 18-სა გადმოყვანილი ვიქემენ კორინთის პრიზოდ-ხედა“ (ხედა ყდის შიდა მხარე).

12. „ნათესავნი კატანნი.—უკეთუ გინდესთ თუ რაოდენნი არიან ქვეყანასა ხედა ცნობად, აჰა ჰსცანით, ძარგალიტოვნიდამ გადმოწერილი არს.—1. ინდოეთი 2. გუთ-ნიარეილნი 3. ფოტეილი 4. ავეიელი 5. ხართაგელი 6. ფერაელი 7. გრამბანი 8. ასფაგელი 9. ეჩითნი 10. სუინდნი 11. ალამნი 12. არდიელი 13. ერელი 14. დიდონი 15. ლეკნი 16. ქაშაგნი 17. არბაშნი 18. ზანგნი 19. ავაშნი 20. ჯიქნი 21. ათანნი 22. რუსნი 23. აჰანაკნი 24. თურქნი 25. აღმორვეელი 26. იობესელი 27. ქეტელი 28. გერგესელი 29. ქართველი 30. აფხაზნი 31. სვანნი 32. დვალნი 33. მეგრელი 34. ოსნი 35. ბერძენნი 36. ბორილნი 37. ჰრომნი 38. ხაზარნი 39. ყარაჯნი 40. ავაზკნი 41. მარტო თვალნი 42. ასურნი 43. შელქნი 44. იაკობიტნი 45. ავალნი 46. შაბანი 47. სარკინოზნი 48. სომეხნი 49. სპარსნი 50. დელემელი 51. ხვასანნი(!) 52. სინდნი 53. წითლოსანი 54. ბრინჯნი 55. ქურთნი 56. აღნელი 57. ჩერქეზნი 58. აჭინ-ბარბაკნი 59. ბატნი 60. სარკიტნი 61. შიშველ-მართალნი 62. ციდამცველი 63. [ქალისპირნი 64. ხაბაშნი 65. ებრაელი 66. გურჯნი 67. თათარნი 68. ყ. . აჩნი 66. ქიშტონი 70. ხუნაგნი 71. თუბნი 72. დევკოცი 73. კაც-ნი 74. ავმაგუგელი 74(!) ყრუთაელი 75. დევნი. სამოცდაათხუთეტი ნათესავნი არიან“.

13. „სახელები შვიდთა ცათა: 1. ანდამატი 2. ხუბაგი 3. ბნივი 4. კინელი 5. ქარნი 6. ფარნიხი 7. ბარბარილი“.

14. „მელქისედეკის თედ-ჰამას რა ეწოდებოდა?

მიგ. მამას ფალეგ და დედას ერქვა იოველ დავანა“.

15. „მაისის პირველს მივაბარეთ ორი თხა და ორი ციკანი ბასილანთ შარ-მახანს“ (ქვემო ყდის შიდა მხარე).

(869)

1617

ზიჩი, ვეფხისტყაოსანის ილუსტრაციები. 1889

34 ფ.; 35,5×22; ქალაღი; დაშლილი; მუყაოს წითელ კალენკორგადაკრული ოქროტიფირული ყდა; მოთავსებულია 34 ილუსტრაცია ზიჩის მიერ შესრულებულ ფანქრით და აკვარელით; 1889 წ. (საც. ფურცლის 1).

„Зичи. Барсовая кожа. [ილუსტრაციები.]—

1. რუსთველის მიერ თამარ მეფისადმი ვეფხისტყაოსნის მირ-თმევის ილუსტრაცია.

2—3. თინათინის გამეფების სცენა.

4. „ნახეს უცხო მოყვნი ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“.

5. „ზოგსა გარდაჰკრის მათრავი, მკერდამდის გასააობელად“.

6. „ავერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარებლად“.

7. „ავთანდილ სჰვრეტს გაკვირვებით, მალვით ხესა მოეფარა“.

8. „მერმე სულთ-თქნა, დაიხანა, ცხელნი ცრემლი გარდმოყარნა“.

9. „ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარეთ ვდევ მოფარდაგულსა“.

10. „რამაზ მეფე მის წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე“.

11. „მერმე წამოჯდა წარბ-შერტმით, გამწყრალი, გარისხებული“.

12. „ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შეუტაკე“.
13. „თავ-გაგლეჯილი ასმათი, პირ-სისხლი-ჩამომდინარე“.
14. „რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა დალურჯებითა; წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა“.
15. „მტერთა ექადდა, წყრებოდა, ივინებოდა, ჩიოდა“.
16. ფრიდონის და ტარიელის შეხვედრის ილუსტრაცია.
17. „მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიდე მასმცა ვეცი“.
18. ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრის სცენა.
19. „ყმა მხიარული წინაშე დასვა სკამითა მისითა, სხედან სავენი ლხინითა, ორთავე შესატყვისითა“.
20. „ველა შვეა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, არ მხიარულად“.
21. „ერთ კერძ შუც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლ-მოცხებული“.
22. „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მკეცი მოვიდინ“.
23. „მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა“.
24. „გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა“.
25. „ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკენა, დაქლა დანითა“.
26. „ფატმან ფერხთა მოეხვია: „,არა ღირს ვარ პირსა ჭერეტად“.
27. „ჩავეგებე, გამოვჰგვარე, ზღვის პირს ხანსა არ დაზმიდეს“.
28. „იგი მივა მუხლმოდრეკით წყნარი, არას მოუბარი“.
29. „გავდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი“.
30. ნესტან დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობის ილუსტრაცია.
31. „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედან ტანსა, მასვე წამსა გარდიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა“.
32. „პოვეს ერთი ზარაღხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი, მუნ აბჯარი ყოვლიფერი ასრე იღვა, ვითა მწნილი“.
33. „სამთავე საძად გაიყვეს თვითომან თვითო კარები, თანა ჰყავთ კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა დარები“.
34. „მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკვრა თმასა ლელსა, მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა“.

შენიშვნები: 1. თითოეულ სურათს ზიჩის მიერ ფრანგულ ენაზე ფანქრით მიწერილი აქვს განმარტება.

2. საცავ ფურცელზე ზიჩის ხელით მიწერილია:

„Тифлискому(!) литературному обществу в знак моей симпатий(!) и сердечной преданности грузинскому(!) народу.“

Зицн.

С. Петербург, 10 марта 1889“.

4. ილუსტრაციები ტექსტის მიხედვით დასათაურებელია ჩვენს მიერ.

(870)

1618

იოანე ქართველიშვილი, ქართული გრამატიკა. XIX

22 ფ.; 22 × 17; ქალაქი: უცდო; ნაკლული; მხედრული; სათაურები მთავრულით; [XIX ს.]; დაუწერელია: 22r v.

[იოანე ქართველიშვილი, ქართული გრამატიკა]. „...ნაწილი მეორე. ლექსთ[ო]ხულებისათჳს. § 97.—ლექსთხულება (სინტაქსი) არს

ნაწილი მეორე ღრამმატიკისა, რომელნიცა ასწავებს კანონიერსა და თანხმობილსა შეერთებასა სიტყუს ნაწილთასა ურთიერთისა შორის...“ 1r—21v.

წყდება: „...ეგრეთვე ოდესცა ზმნა ბრძანებითისა სქესისა წარმართავს ყოველსა სიტყუასა, მაშინ დაიდების იგიცა წინარე მაგალითებრ: ნუ უყოფს სხუასა მას, რაჲცა არა გწადდეს შენ თვთ თავის შენისათვს და სხუანი...“

შენიშვნა: ხელნაწერში დაცულია Z თავი (შდრ. ქართველი შვილი იოანე, ქართული ღრამმატიკა, 1815).

(871)

1619ა

ბახილი დიდი, ექვსთა დღეთაჲ. XVII

14 ფ.; 34,5×24,5; ქალღდი; დაშლილი; უყდო; ნაკლული; მხედრული; [XVII ს.].

[ექუსთა დღეთაჲ, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა დიდისა ბახილისი].—„...ცვალებულ არიან. მათისა ბუნებისაცა შეცვალებასა საჭირო ყოფენ...“ 1r—12v.

წყდება: „... არა არცხუენს უმაღლოთა მათ, ქუელის მოქმედთა...“

შენიშვნები: 1. ტექსტი მისდევს გამოცემას ბახილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, (იხ. მასალები საქართველოა და კავკასიის ისტორიისათვის, 1946, ნაკვეთი II, გვ. 13₈—18₁₉; 18₂₅—23₁₀; 23₁₅—28₁₈; 23₂₂—30₃₅; 31₁—33₆; 76₉₂—81₄₄; 81₁—109₁₆); 2. ბოლო ორი ფუოტლის რაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

1619 ბ.

დავა იერუსალიმის ეპისკოპოს სოფრონისა და ალექსანდრიის ეპისკოპოს კვიროსს შორის იესო ქრისტეს ბუნებაზედ (ფრაგმენტი). XIII—XIV.

3 ფ.; 28,5×21; ქალღდი; უყდო, დაშლილი; ფრაგმენტი; ნუსხური; [XIII—XIV სს.].

[დავა იერუსალიმის ეპისკოპოს სოფრონისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსს კვიროსს შორის იესო ქრისტეს ბუნების შესახებ].—„... ორთავე მათ საყდართანი და წმინდანმანცა ავათონ ჰრომისა ეპისკოპოსმან მოავლინა მოციქულნი თქსნი...“ 1r—3v.

წყდება: „... საღეთოთა წიგნთა თქმათა, რამეთუ თვთ თავისა თვისათვს იტყუს, თუ ჯერ არს ძისა კაცისა...“

1619 გ.

ნინოს საგალობლები (ფრაგმენტი), XV

6 ფ.; 34,5×24,5; ქალღდი; უყდო, დაშლილი; დაზიანებული; ნუსხური; სათაურები სინგურით; [XV ს.].

[ნინოს საგალობლები].—„...სოფლისა ამის ამოებდაჲ უარჰყავით, სანატრელნო, და აღიღეთ თქუმნ ჯუარი ქრისტეს მესნელისა...“ 1r—6v.

წყდება: „...გამოსჩნდი დღეს იორდანეს მკსნელო, რათა განჰბანნე...“

შენიშვნა: ნინოს საგალობლების ეს ტექსტი ნაწილობრივ მისდევს A—160. ხელნაწერის ტექსტს (იხ. გვ. 227—229).

1619 დ

აღდგომის წირვის წესი. XVIII

4 ფ.; 24 × 21; ქაღალდი; უყდო დაშლილი; თავნაკლული, კიდებზემოხეული აღდგენილი; [XVIII ს.].

[აღდგომის წირვის წესი]. „... დადგების წინაშე ეკლესიის კარსა მ[ლ]ველი აღმოსავლეთით და გამოსახ[ა]ვს დიდსა ეკლესიისა ბჭესა...“ 1r—4v.

შენიშვნა: 1v და 2r მოთავსებულია პატარა 8 კუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით (ძნელად იკითხება).

1619 ე

ფსალმუნი (ფრაგმენტი), XVI

9 ფ.; 21 × 17; ქაღალდი; დაშლილი; უყდო; ნუსხური; [XVI ს.].

[ფსალმუნი].—„...სახელები მათი აჰკოცე უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე...“ 1r—9v.

წყდება: „... ნუმცა უხარის ჩემზედა მტერთა ჩემთა უსამა...“

შენიშვნები: 1. ფრაგმენტში დატულია 9_ა—10_ა; 13_ა—16_ა; 17_ა—_{აა}; 34_ა—_{აა} ფსალმუნები

2. ტექსტი გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა (შდრ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. გამოსცა მ. შანიძემ. 1960 წ.).

1619 ვ

ლოცვანი. XIX

16 ფ.; 17 × 10,5; ქაღალდი; უყდო, თავ-ბოლონაკლული; მხედრული; ნაწილი რუსულია ქართული ტრანსკრიბციით ნაწერი; [XIX ს.]; ჰვირნიშანი 1806 (8—9 ფ.).

[ლოცვანი] „... გამოაბრწყინუშ გულთა შინა ჩუშნთა, კაცთმოყუარეო მეუფეო, ღის მეცნიერებისა ნათელი მიუწოდომელი და გონებისა ჩუშნისა თულნი განახუშნ განცლად სახარებისა შენისა ქადაგებათა...“ 1r—16v.

წყდება: „...დიდება შენდა. ქრისტე ღმერთო სასოებაო ჩუშნო, დიდება შენდა...“

1619 ზ

„მოკლედ უწყება თავთა ათექუსმეტთა წინასწარმეტყუშლთა წიგნთა“. XIX

4 ფ.; 34 × 22; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული [XIX ს.]; ჰვირნიშანი 1800 წ. (3—4 ფ.); დაუწერელია: 3r—4v.

(მოკლედ უწყება თავთა ათექუსმეტთა წინასწარმეტყუშლთა წიგნთა).—„ათექუსმეტთა წინასწარმეტყუშლთა წიგნნი, რომელნი-

ცა სხვსა და სხვსა ხილვითა მაგალითითა შემკსგავსებითა სხუა-სიტყუაობითა და იგავითა სხვსა რამესაგან დაგვინიშნუნს სხუასა რამესა, ეგრეთვე მყო-ბადსა და მომავალსა რამესა მოასწავებენ...“ 1r—3r.

წყდება: „...მეორემოცესა თავსა შინა მოითხრობის“.

1619 ო

ანტონი I, გრამატიკა (ფრაგმენტი). XIX

1 ფ.; 36 × 21,5; ქალღი; მხედრული; [XIX ს.].

[ანტონი I, გრამატიკა].— „...ენ სახელთა, მაგალ.: ოვანი, იერი, იელი, მიზეზოვანი, ციერი, ჯორციელი...“ 1rv.

წყდება: „...სიტყუა იცუალების სხვსა და სხვსა მდგომობისა მიმართ და მიმოიბრუნვის. მაგალ.: სიტყუა, სიტყვსა, სიტყუასა, სიტყუაჲ, სიტყვთა, სიტყვსაგან, სიტყუამან, სიტყუაო ანუ ზ სიტყუაო...“

შენიშვნა: გრამატიკის ტექსტი მისდევს გამოცემას (იხ. „ქართული ღრამატიკა“, შედგენილი ანტონი I-ის მიერ, 1885. 131—134 გვ.).

1619 თ

ლოცვანი (ფრაგმენტი). XVIII

7 ფ.; 12 × 9; ქალღი; უყდო; 1—3 ფ.ფ. ქვემო ნაწილი დახიანებულია; ნუსხური; სათაურები სინგურით; [XVIII ს.].

[ლოცვანი].— „...პავლე საპყრობილისაგან შუალამესაჲ. დ`ბჲ სმბ`დასა. დამბადებელსა დაუბადებელსა და ქებულსა კაცთა მიერ მშ`სა, ძით და სულით წმიდითურთ ვაკურთხევდეთ სარწმუნოებით...“ 1r—7v.

წყდება: „...რომელმან ჯ`ი და სიკუდილი ჩ`ნ`თს დაითმინე და დბლი`სა აღდგომისა შენისათა აღ...“

შენიშვნა: ფრაგმენტის ტექსტი მისდევს ვახტანგის სტამბის 1710 წელს გამოცემულ ლოცვანის ტექსტს (იხ. გვერდები: ლმ-მბ; აა-აბ; სკზ-სლგ).

1619 ი

სახარების ფრაგმენტი. XIX

1 ფ.; 11 × 9; ქალღი; მხედრული; სომხური სიტყვები ქართული ტრანსკრიბითა ნაწერი; [XIX ს.].

[სახარებ ა] „... ამინან ბანქ იევ ხოსაქ სპარი...“ 1rv.

წყდება: „...ანცანაც იევ აზატუთიუნ ასტანორ...“

(872)

1623

ამირანდარეჯანიანი. 1776

96 ფ.; 20 × 16; ქალაღი, დაშლილი; ხის ტყავგადაკრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1776 წ. (96r); გადამწერი გიორგი (96r).

[ამირანდარეჯანიანი]. „ქ. კარი პირველი. აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი.— იყო ინდოთ მეფე აბესალომ მორქმული და გონებიანი და არა იყო შექირვება გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი...“ 1r—95v.

შენიშვნა: „ამირანდარეჯანიანის“ ეს ტექსტი გამოცემისას სხვა ხელნაწერებთან ერთად გამოყენებული აქვს ს. კაკაბაძეს (იხ. ს. კაკაბაძე, ამირანდარეჯანიანი. 1939 წ.) და ზ. ჭიჭინაძეს „ჯიმშერიანის“ გამოცემისას 1896 წ. (იხ. ამირანდარეჯანიანი, გვ. 259—304).

ანდერძი: „ადმწერი ამა წიგნისა უნდოა ვინმე მონაი, ვითხოვ ცთომილთა შენდობას, ვინცა შეატყოთ ქონაი, ჰქმობენ მწერალი, არ თქმულ არს ცისა ღრუბბლის არ ქონაი, და ვგრეთვე წიგნსა არ აქნდეს ტყუილის არ აწონაი.

აპრილის 6, ქ[ორთნი]კ[ონ]ს უად, გიორგი“ (96r).

მინაწერები: 1. „ქ. ვინცა სწერდეთ, ამ ამბავს ნუ დასწერთ. ეს ამ წიგნის მთქმელისა არ არის, ვილასაც ცრუს ქრცხინვალ...“ (74v).

2. „ქ. ნურც ამას დასწერთ, ესეც იმ ცრუს ქრცხინვალელის, კაცისაგან არის ნალაყები და მოგონილი“ (ზემო საც. ფურც.).

3. „ჩყლდ-სა წელსა, აპრილის იბ-სა დღესა დაიბადა თავადის პეტრე მაყაყევის ასული ელქსაბედ“ (ზემო საც. ფურცელი).

(873)

1624

კრებული. XVIII

78 გვ.; 21 × 16; ქალაღი; დაწლილი, დალაქავებული; ნაკლული; ამჟამად სხვა ხელნაწერის ტყავის ტვიფრულ ყდაშია ჩადებული; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.].

1. „მეფე ვახტანგ სამეფოსგან [ქი]დგან ქმნილი საღბუნად გულისა წყლულებისათვის მკურნალი თავისა თვისისათვის იქმნების, დასწერს ესრეთ ქირმანს.—

მრწამს, მისის სარჯლით აშკმული ჯოჯოხეთს პირი იცოდა,

მას ვევედრები, რომელმან არარა ცოდვა იცოდა...“ 3—22.

შენიშვნა: 1. ვახტანგ VI ეს პოემა გამოქვეყნებულია (შდრ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, 1947, გვ. 10—23).

2. პოემას აკლია ბოლო ორი სტრიქონი.

2. [ვახტანგ VI. სატრფიალონი] „... კეკლუცი ტურფა რამე, უკაზმავი მოიბალით,

ვარდსა ახალ გაფურჩქენილსა სჯობს, რა ნახოთ მოიბალით...“ 23—26 გვ,

წყდება: „... და ამ სოფელს ჰპოებს კეთილსა, იმ სოფელს მორჩე წყლულებსა...“

შენიშვნა: პოემა თავნაკლულია, გამოცემულია (იხ. ვახტანგ VI, დასახელებული გამოცემა, გვ. 27—29).

3. [არჩილი, ლექსნი ასნი ორმუხლნი. პირველი].
 „... და დიდად პატრონის მყოფელსაც სჯობს ცოტა რამ დაუმაღლო.
 ვინ ძმასა სძულობს, სჯულსა და განეზორება მცნებასა,
 და ვინ საბრზე უგოს მოყვასსა, შთაეარდეს დიდსა ვნებასა...“ 27—29.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (შდრ. არჩილიანი, I, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით; ტფ., 1936, 77—79 გვ.).

4. „თქმული მისივე მეფის არჩილისანი ნაზარალიხანზედ.—
 ესეუ ვარჩივე დუმილსა, ჯავრსა და ავებრობასა,
 უწყოდით, სიგლახავე სჯობს უსჯულოთ სოფლის პყრობას...“ 29—31 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (შდრ. არჩილიანი, I, 1936, გვ. 221—222, სტროფები 722—743).

5. „თქმული მისივე მეფის არჩილისა მიერ ესე ანბანთ-ლექსნიცა ამი ცანათ სათარგმანებელი, უმეცრისათვის საჭიროდ წერილნი მცირედრე და ბრძენთა ადვილ გულისგმის-საყოფელ. —

არსი ყოვლთა დამაარსი, სხვა უარსო არსად არი,
 არასი ჯამს შედარება...“ 32—38 გვ.

შენიშვნა: ანბანთქების ტექსტი გამოკრებილია (შდრ. არჩილიანი, I, 1936, 277—283 გვ.).

6. „ქ. მოკლედ სიტყუის-გება სოგრატიისი. სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანის-შვილისაგან და ლექსად ნაბძანები მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან, რომელსა ეწოდების სიბრძნე მალაღობელი, მრავალქამიერ ყოს უფალმან ამენ.—

რუსთველსა ენა-შაქარსა უქნია რისმე მკობანი,
 სიტკბო, სიბრძნე და იგავნი, ცოლ-ქმართა აშვიკობანი...“ 39—53 გვ.

შენიშვნა: აპოფთეგმატას ეს ტექსტი ნაწილობრივ მისდევს (4—548 ხელნაწერის აპოფთეგმატას ტექსტს).

7. [არჩილი], „თავი საქართველოს ზნეობისა, სიტყუა პირველი.—

მოწყალე ხარ მართლის გულით მოქენეთა უხვად, ღმერთო,
 გვამოგნებით, სამხატედო, ღთაებითა მხოლოდ ერთო...“ 55—68 გვ.

წყდება: „... ისია კარკი ზნეობა, ვინც გულათა არ ბოროტობს...“
 შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (შდრ. არჩილიანი, I, 3—11 გვ.).

8. „ქება თამარ მეფისა ჩახრუხადის მიერ თქმული.—
 მო, ფილასოფოსნო, სიტყუითა არსნო,
 თამარს ვაქებდეთ გულისგმიერსა...“ 69—77 გვ.

წყდება: „...იტყუიან მნახნი, ჳმა-მაღალ მძახნი:
ივლოსის ველსა გავს ნაჯუფთევედ,
ლაწვთა არესა შუქნი მთვარესა,
მელნისა ტბანი დგანან მორევედ...“

შენიშვნები: 1. „თამარიანის“ ეს ტექსტი D ლიტერით არის გამოცემაში (იხ. ძველი ქართველი მებოტბენი, I. ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. 1957).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ- II, 169 გვ.).

3. ხელნაწერი K ლიტერით არის აღნიშნული „არჩილიანის“ გამოცემაში (იხ. არჩილიანი, I, 1936, გვ. IX. XIV).

შინაწერები: 1. „ქ[ორონი]ონქ უნდ დაიბადა დავით და იონათან აპ-
რილს კვ, დიდსა კვირიაკესა პასეკისასა წა აღდგომასა“ (1 გვ.).

2. „ქ[ორონი]ონქ უნდ პატარა ისაკ დაიბადა ოკდომბერს ი“ (54 გვ.).

(874)

1625

კრებული. XVIII

52 ფ.; 20×16; ქალაღი; უყდო, დაშლილი, თავ-ბოლონაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]

1. [აბოვთეგმატა. მოკლედ სიტყვის-გება სოგრატიისი].
„...ზედ უფრო მტკიცედ იდგება, ამიტომ რომ სხეას რჯულში რაც ავია, იმას
აღარა იქს და რაც კარგია, ის დარჩება...“ 1r—51v.

შენიშვნა: ტექსტი ვრცელი რედაქციისა (შდრ. ლ. ძოწენიძე, რუსული „აბ-
ოვთეგმატას“ ქართული რედაქციები, 1959).

2. „ეს ლექსი როსტომ ყათმაზასშვილის ნათქომია. —
ფილასოფოსთ უწერიათ, სწორე არის მათი მცნება
ათასის წლით უწინ იყუნენ, მაშინ იყო ჳკუა ვრცლობა...“ 52r.
3. „თქმული მისიე [როსტომ ყათმაზასშვილის]. —
ვა, სოფლისა სიტკბონი, სიმოკლით უხანობანი,
ათასის წლისა სიცოცხლე, ვით ერთის დლისა ნობანი...“ 52r.
4. „სააკაძე დიმიტრისა, —
არც არის ცული ამბავი, არც დიდათ მოსაწონები,
სიბრძნე და გამოცდილება, ვითა უფსკრულში ფონები...“ 52r.
5. „როსტომისა [ყათმაზასშვილის]. —
სოფლის საცთურს რად ავეყვე, რას მარგებდა მისი წილნი,
რა შეეძლო მუხანათსა, თუ არ ჳირნი გასაწბილნი...“ 52v.
6. შისიე როსტომისა, [ყათმაზასშვილის]. —
ღმერთო ჩემო, გვედრები, ეშმაკთ საცთურს განმარინე
მიჳსენ ველთა მტერთა ჩემთა, ძალით შენით განმარინე...“ 52v.

შინაწერი: 51v, „პეტრე ქებაძისა არის ეს წიგნი“ (50r).

წყდება: „...გრიგოლ (იწვევს ასლანზედ). შენ ჩემ შკაფში რა საქმე გქონდა. ჩქარა მითხარ, თორემ სულს ამოგართმევ!“

შენიშვნა: პიესა საოჯახო თემაზეა დაწერილი.

1630 ა

ალა-მაჰმად ხანის ძმის ყულიხანის წერილის პირი ასტარაბადელებთან (1797 წ.). გადატანილია დოკუმენტების ფონდში—Qd—9367.

1630 ბ

არქიმანდრიტ [დემეტრეს] წერილი მაია ამილახვრის ასულთან. გადატანილია დოკუმენტების ფონდში—Qd—9366.

1630 გ

ქართლის თავადების სია (1783 წლის ტრაქტატის მიხედვით). გადატანილია დოკუმენტების ფონდში—Qd—9365.

(878)

1630 დ

კრებული. XVIII—XIX

3 ფ.; 34×22,5; მოლურჯო ქალაღი; დაშლილი; მხედრული; XVIII—XIX ს. (კვირნიშანი 1796).

1. [სოლომონ ლიონიძე], „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ლერკულეს ნეტარების ღირსისა.—დღეს ქვეყანა აღსრული გულისწყრომისა ტახტსა ზედა, ცხებული სისბლითა ცესარისა დიდისა ეკატერინასითა, დღეს იცხებს კუალად უფასოსა სისხლსა, სახსარსა ივერიელთა გვარისასა...“ (1r—3r).

შენიშვნა: სოლომონ ლიონიძის სიტყვა წარმოთქმული ერეკლე II გარდაცვალებაზე („მოთქმით ტირილი“) რამდენჯერმე გამოცემული. უკანასკნელი გამოცემა ეკუთვნის ნ. კანდელაკს. 1957 წ.

2. [ერეკლე II, სამძიმრის წერილი პავლე ესადმი, დედის, ეკატერინე II გარდაცვალების გამო].—„ყდ უგანათლებულესსა უდიდესსა და უთვითმპყრობელესსა დიდსა იმპერატორსა პავლე პეტროვიჩს, მპყრობელსა ყოვლისა როსიისასა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ყდ უმოწყალესსა ჯელმწიფესა.—საუკუნემან ამან სახსოვრად საგლოველმან, სიტყვიერთ ბუნებათა დიდებისა მის ჯელმწიფისა დიდისა, ქვეყანისაგან წიაღთა ზეცისათა შესაუნჯემან და დიდისა იმპერატრიცა ეკატერინასაგან უბედნიერესითა ყვავილოვნებითა დატკობილმან როსიისა ერცელმან იმპერატორმან მოჰფინა ცის ქვეშეთა ნისლი მწუხარებისა...“ 3v.

შენიშვნა: ხელნაწერი წარმოადგენს H—2588-ის პირს. ეს უკანასკნელი კი სოლომონ ლიონიძის ავტოგრაფია.

ერეკლე მეორის ეს სამძიმრის წიგნი, შედგენილი სოლომონ ლიონიძის მიერ, ხელმოუწერელია. დედანზე (ს. ლიონიძის ხელით დაწერილზე—H—2588) აღნიშნულია სამძიმრის გამომცხადებლის ტიტული (იხ. სოლომონ ლიონიძე, სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე, გამოცემული ნ. კანდელაკის მიერ, 1957).

1630 ე

ლიონიძე სოლომონ, სიტყვა წარმოთქმული ერეკლე მეორის
დაკრძალვაზე. 1803—1820

2 ფ.; 35,5×23; მოცისფრო ქალაღი; დაზიანებული; მხედრული; ავტოგრაფი;
[1803—1820 წწ.]

[სოლომონ ლიონიძე]. — „მოთქმით ტირილი საქართუ-
ლოს მეფის დერკულეს ნეტარებისა ღირსისა. — დღეს ქვეყანა
აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა, ცხებული სისხლითა ცესარისა
დიდისა ეკატერინასითა, დღეს იცხებს კუალად უფასოსა სისხლსა, სახსარსა
ივერიელთა გვარისასა; დღეს ციურთა საკვირველება მოშურნე ექმნა ქვეყა-
ნისა საკვირველსა: ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა ძალი,
ბრძენთა, გონიერება...“ 1r—2r.

შენიშვნა: ამ ნუსხის თარიღისათვის იხ. ნ. კანდელაკის გამოცემა: სო-
ლომონ ლიონიძე, სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე, 1957.

1631 ა

ანასტასია ბატონიშვილის კერძო საოჯახო წერილები და
თეკლა ბატონიშვილის წერილები თავის ვაჟთან ალექსანდრე
ორბელიანთან. გადატანილია საბუთების ფონდში—SD—2192—2271.

1631 ბ

ფ. შჩერბაკოვის 2 წერილი ალ. [ორბელიანთან].
გადატანილია რუსულ ხელნაწერთა ფონდში—Ros—124.

1631 გ

სოლომონ ლიონიძის 2 წერილი ერეკლესთან (1796, 1797
წწ-სა). გადატანილია დოკუმენტების ფონდში—Qd—9363—9364.

1632

ნინო ორბელიანისა და დ. მუხრანსკის წერილები ალ. ორ-
ბელიანთან. გადატანილია გრ. ორბელიანის პირად საარქივო ფონდში—
№№ 111—112.

1633

პ. პოტიომკინის წერილები ერეკლესთან; მზითვის წიგნი შა-
რიამ დედოფლისა და სხვ. გადატანილია საბუთების ფონდში—SD—
2272—2278.

(879)

1634

ორბელიანი ალექსანდრე, სხვადასხვა ხასიათის ნაწერები. 1844—1866

42 ფ.; 36×21,9; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; ავტოგრაფი; მხედრუ-
ლი; უმეტესი ნაწილი დაწერილია ფანქრით, ტექსტი ნასწორებია ავტორის ხე-
ლითვე; 1844—1864 წწ.

1. „ნაპოლეონი და მაშინდელი ანკლავი ჩეჩენია. —
მე ამათ დაწერილებით განსჯაში არ შევალ, ამიტომ რომ ვინც ნაპოლეონისა
და მაშინდელი ანგლიის მთავრობის გარემოება იცის ისტორიით თუ სხვა
ზაპისკებით, მალე მიხვდება იმათ საქმეს...“ 1r—2r.

შენიშვნები: 1. სტატია დაწერილია: „3-ს იენისს, 1844-სა წელსა, ს. კ ა ზ რ ე თ ს“ (2r), 2. იგი ხელმოწერილია: „თა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ძ ე ჯ [ა მ ბ ა კ უ რ] - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი“ (2r).

2. „კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს წ ა დ ი ლ ი და ვ ნ ე ბ ი ს ს უ რ ვ ი ლ ი.—სხვათა-შორის კაცსა შინა იმყოფება ძალნი ესე: ვნება და კმაყოფილება. უკეთუ კმაყოფილების წადილით მოქმედებს ანუ საქმობს კაცი, იგი დიდს სიტკბოებასა შინა იქმნება...“ 3r—4v.

შენიშვნები: 1. დაწერილია „29-ს ნოემბერს, 1845-სა წელს, ქ. ტფილისს“.
2. ხელმოწერილია: „თა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჯ. - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი“ (4 v).

3. „ს ა მ ე ფ ო ს და ს ა ც ვ ე ლ ნ ი სა ფ უ ძ ვ ე ლ ი და ი მ ი ს გ ა მ ა ბ ე დ-ნი ე რ ე ბ ე ლ ი სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ანუ სამეფოს დასაცველად ხუთი უპირველესი საგანი ეს არის: პირველი—სარწმუნოების ჭეშმარიტი მოსაოხა ხალხისაგან, მეორე—სამოქალაქოს შინაგანი რჯულის რიგი ანუ წესი, მესამე—სამხედროს ჯარის დაწყობილობა და სამეფოში რიგიანს ადგილებში დაყენება...“ 5r—6r.

შენიშვნა: სტატია დაწერილია: „1845-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (6r); იგი ხელმოწერილია.

4. „1834-ს წელსა რუსულს ბიბლიოტეკა დღია ჩტენიე ს ა შ ი ნ ა ს მ ე ს შ ი.—ახალი ასტრონომიული გაშინჯულება. მზის სისტემა უპიტერი უფრო შენიშნული პლანეტა არს თანამიმდევართურთ ოთხთა მოგზაურთა ანუ მთოვარეთა და რომლისა წელიწადი მისი თითქმის თორმეტს ჩვენს წელიწადებთან სწორე არს...“ 7r.

შენიშვნები: 1. დაწერილია „1-ს სენტებერს(!); 1846-ს წელს, ალგეთის პირზე კოთისს“ (7r).

2. სტატია ხელმოწერილია.

3. შინაწერი: „თათრულიდან.—

დასწერ შენ, შენ,

მოშლი შენ, შენ,

ვინ გეტყვის თუ ტყუი შენ, შენ“ (7v).

5. „ჩ ე მ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი.—ბევრი ჩემი დაწერილი აბმები დამეკარგა, ნამეტნავად ერთს შკაფში, თუთ ის შკაფი და იმ შკაფში დიახ ბევრი ძუძლი და ახალი აბმები გადმეწო 1845-სა წელსა, ნოემბრის 9-სა შუალანისას...“ 8r.

შენიშვნები: 1. დაწერილია: „5-ს სექტენბერს, 1846-სა, ს. კ ა ზ რ ე თ ს“.

2. ხელმოწერილია: „თა ა ლ ე ქ. ვ ა ხ. ძ ე ჯ. - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი“.

6. „ო რ ი ო დ ს ი ტ ყ უ ა ყ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი ს წ ი გ ნ ზ ე დ.—ერთს ადგილას დიდი ბაასი და განკიცხუა იყო ყარამანიანის წიგნზედ, რომლებიცა ზოგი ამბობდა: კარგიაო და ზოგი ჰკიცხავდა...“ 9r v.

შენიშვნები: 1. ეს კრიტიკული სტატია დაწერილია „27-ს ნოემბერს, 1854-სა წელსა, ქ. ტფილისს“.

2. ხელმოწერილია: „თა ა. ვ ა ხ. ძ ე ჯ. - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი“ (9v).

7. „გ ა რ ყ ვ ნ ი ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ და ფ ა რ ვ ა ყ მ ა წ ვ ი ლ ი ს ა.—გარყვნილობა არის გაფუჭებული ხასიათი. ყოველი უმზავსოება უფრო მოსაწონია.“

ყმაწვილისათვის, რომელიცა ადვილათა შეუდგება იმის სწავლას და მალეც ში[ი]ლებს...“ 10r.

შენიშვნები: 1. სტატია ხელმოწერილია. 2. იგი დაწერილია: „2-ს ივნისს, 1854-სა წ., ქ. ტფილისს“.

8. „ძველ ინდუსთა სამეცნიერ ოს ვედის ანუ ვედანტიის წიგნსა შორის ყოვლად შემძლებელზე.—ანგელოზნი შემოიკრიბებიან ყოვლადშემძლებელის საყდრის გარე და ჰკითხვენ მას მოწიწებით: რაჲ უნდა იყოს იგი?...“ 11r.

შენიშვნა: გადმოღებულია „შვედის ლენარდის ღრაფ ბიორნშტიერნის წიგნიდან 1856-სა წ., 7-ს მარტსა, ქ. ტფილისს“ (11r).

9. „სიტყვა იტალიისათჳს.—

გაზეთებში ჩანს მცირის სარდინიის აღჭურვა სამშობლოს იტალიისათჳს, რომელმაცა ამისათჳს შეირტყა სიმხნე პატიოსანმა ფრანციამ და მიმართა მხედრობით თჳსითა ავსტრი[ი]ს მხედრობასა, ვისაცა ჰყავს იტალია ბორკილს ქვეშ დაპყრობილ...“ 12r—13r.

შენიშვნები: 1. სტატია დაწერილია „18-ს მაისს. 1859-სა წელსა“. 2. ქვევით მოწერილია: „ივერია“. დაბეჭდილი არ არის. ალბათ განზრახული იყო „ივერისათვის“.

10. „პატივეცემულო ქართუელებო! ამ სიტყუას, რომ მოგახსენებთ, მართლაც პატივეცემულნო, ჩემო მემამულეთ ძენო, ჩემო უსაყუარელესო ძმებო, რომელს ქართუელს არ უნდა მოსწონდეს თავი? რომელი გაამაყებულნი არ უნდა იყოს?“ 14r—15r.

შენიშვნა: სტატია დაწერილია „1861-სა წელსა, მაისის 18-სა დღესა“ (15r).

11. „მაგიერი პასუხი.—

როგორიც მოხვალ სვინაო,
ისეთიც წახუალ შინაო.

ძველად თქმული.

— „გამარჯულება შენი...“

— „ღმერთმა გაგიმარჯოს...“

— „არ შეგიტყვია? პირველს შესულდრაშივე ეს მკითხა მეგობარმა...“ 16r—19r.

შენიშვნები: 1. ეს სტატია დაწერილია „17-ს იანვარს, 1863-სა წელსა“.

2. მოწერილი აქვს ავტორის ფსევდონიმი „ღვენილი“.

3. ხელნაწერის კიდევ ავტორი შენიშნავს: „ცისკრის რედაქტორმა კერესელი ძემ არ დამიბეჭდა, მიიხრა: მითაჲ, ეს სტატია ჩემზედ არ იყოს[ო]. მეც თანა წარვბდი, მაგრამ ჩემზედ კი არის დაწერილი. წავიდა ის დრო, რაჟუფოთ, აგრე იქნება, უნდა რედაქტორს უთავაზოთ. (16r).

12. „საქართულოს ეჟურნალი ცისკრის რედაქტორი კერესელი ძე და მე.—ასე არის წარმავალი სოფელი, ეს უბირო. დღეს გმეგობრობენ, ხუალ მტრები არიან, დღეს თავს უკრამთ ერთმანეთსა, ხუალ პირს გრიდებენ...“ 20r—24v.

შენიშვნები: 1. სტატია დაწერილია „18-ს იანვარს, 1866-სა წელსა, ქ. ტფილისს“. 2. ხელმოწერილია: „თა ა. ვახ. ძე ჯ.-ორბელიანი“ (24v).

13. „ჩემ სტატიებზე ძვირის ხსენება. — როდისაც რომ მე ჩემი ძუძლი ამბები გამოვეცი ცისკარში, იმათ გამოცემაზედ ბევრი მაღლობები მითხრეს, რომ ჩვენს მამა-პაპის ამბებს გვაგონებთ და გუაჩვენებთ მაშინდელსა დროსაო...“ 25r-v.

14. „ახლა პუბლია. — მე, შკოლაში რომ ვსწავლობდი, ერთს დროს, სწავლის შემდგომ, როდისაც ცოტას დროსა დაითხოვენი სათამაშოთ ყმაწვილებსა, იმ დროს ყმაწვილები ვთამაშობდით ტაშის კრიგსა...“ 26r-v.

შენიშვნა: სტატიები: 13, 14 დაწერილია „18-ს ივლისს, 1864-სა წელსა, ს. კახტეთში“; ორივეზე ერთი ხელმოწერაა „თა ა. ვახ. ძე ჯ.-ორბელიანი“.

15. „გაი საქართულლოვ. — საქართულლოვ, მართლა ვაი. ეს სიტყვა ჩემს ღღეში არ მითქუამს შენზე, ახლა კი ვამბობ ხოლმე, რომ შენი კარგი ბედისწერა შეკრულია იმ თავიდან აქამომდე...“ 27r-v.

შენიშვნები: 1. სტატიას მოწერილი აქვს ალ. ორბელიანის ფსევდონიმი „ბერიკაცი“.

2. იგი დაწერილია „9-ს აპრილს, 1866-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (27v).

16. ალექსანდრე ორბელიანის წერილი ანტონ ფურცელაძესთან. — „ძვირფასო ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე! შენს მშვიდობას და ბედნიერებას ვისურვებ შენი სახლეულობით... მხცოვანებაში მივდივარ და ძალა მიმდის. მართალია, ამისთანა მდგომარეობაში ვიმყოფები, მაგრამ ჩემს ზრუნვას, ჩემი შეძლებისამებრ, ჩვენს ლიტერატურას არ დავაკლებ ჩემს უკანასკნელს აღმოფშვინამდისინ...“

დავშთები შენი ერთგული“ (28r-v. ხელმოუწერელია).

17. „ძველი მოზღუდვილება ქ. ტფილისისა. — როგორც ჩემ ყმაწვილობით მახსოვს, საქართულოს დედა-ქალაქის ტფილისის მცხოვრებნი იღვნენ ოთხკუთხიანს დიდს ქეიტიკირის გალავანსა შუა, რომელსაცა იმ გალავნის კედელს უნდა ჰქონოდა, მგონია, სამიდან ოთხ საყენამდის სიმაღლე და სიგანე ერთი ანუ მეტნაკლები. ჩრდილოეთის მხრიდან სამხრეთის კედლამდის იმ გალავნის სიგანე ერთვერსნახევარი ანუ მეტნაკლები და სიგანე-აღმოსავლეთის მხრიდან, ვიდრე დასავლეთის კედლამდისინ — ერთს ვერსზე კიდევ მეტნაკლები...“ 29r—31v.

18. ალექსანდრე ორბელიანის წერილი გრიგოლ ორბელიანთან. — „ჩემს გულითადს ძმას, თავადს გრიგოლ ჯ.-ორბელიანს უმორჩილესად მიერთოს ეს ორიოდ სიტყვა!“

შენ, ჩვენო და ჩვენზედ უხილაო მოქმედო ბედო, ამ შენს ერსა შორის ამთენს საკურაველს, ღირს-სახსოვარს ნიჭებს რომ დაჰბადებ, ამაოებისათვის თუ არსებობისათვის?... 32r-v.

შენიშვნა: ეს წერილი არ არის დაწერილი ალ. ორბელიანის ხელით. იგი მას დაუწერიანბია თავისი ქალისათვის: „... შენი ჰირიზე კნიაზო გრიგოლ, ბოდიშს ვითხოვ, რომ ჩემის ხელით ვერა გწერთ, რადგანაც შეუძლოთ გახლავართ და ჩემს დარიქოს ვაწერინებ“.

19. [ახალგაზრდების მოვლა-აღზრდის შესახებ]. — „ჩუშნმა მამებმა იცოდნენ, თავის პატარა შვილებს შეიძის ანუ რვისა ანუ მეტნაკლების წლისას თავის შუაში დაგვისხამდნენ თავის სახლში დედ-მამანი და ყოველს შეყრილობაშიაც, რომ კარგათ გაიგონეთ და კარგათ დაისწავლეთ, რასაც ვლაპარაკობთ...“ 33r.

შენიშვნა: წერილი ხელმოწერილია: „თა. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი“.

20. [ზნეობის შესახებ] „ჩემი მეუღლის სოფელს ქაზრეთში ლაპარაკმა მოიტანა და ჩემქმე გლებმა სვიმონა ბასილაშვილმა თქუა: რაკი ორმოცდაათის წლისა შევსრულდი...“ 34r.

შენიშვნა: მოთხრობილია დიალოგის სახით, თხზულება ხელმოწერილია.

21. „უცნობი.—ჩემს ყმაწვილკაცობაში, ერთს პირუშლს ღამეს გარეთუბნისაკენ, მარტო, შესაქცევად დაედიოდი ძუშლს ქართუშლების სამხედროს სათამაშოს ასპარეზსა ყაბახზედ, მშვენიერს ნათელს, მთვარიანს ღამეში...“ 35rv.

22. [ნაწყვეტი ალ. ორბელიანის რომელიღაც მოთხრობიდან]. — „ერთს კუთხეში ვიჯექი სკამზე და იმათ ლაპარაკს შეეყურებდი, რომლებმაცა ჯერ დარხედ ილაპარაკეს, მასუკან თიატრზე... გავწიე და მთელს საქართველოს შემოუარე. ვნახოთ ახლა საქართველოს ამბავი რა იქნება?“

აჰა, მოვიდა ღამე, სევდა, დაღონება; სევდა, დაღონება! რა გინდა ამ ჩემის საცოდავის გულისაგან?...“ 36r—37v.

შენიშვნა: ამ ნაკლები თხზულების დასაწყისი და შიგადაშიგ დიდი ნაწილი წაშლილია.

23. „ღამის კაცი.—ამ ღამის კაცსა ჩუშლებათ დასჩემებოდა ღამით სიარული ტფილისის მიდამოს ადგილებში. არც შეცდენილი იყო ის ამით, ამიტომ რომ ბევრს ამბავსა ტყობილობდა და ბევრს შემთხუშულობასაც ხედავდა...“ 38rv.

წყდება: „... მოიცადეთ ბიჭო, მოგარიგებთ, მოგარიგებთ და ჰელე-ბი გაუშვებს ერთმანეთის გულისპირიდან“.

24. [ნაწყვეტი ალ. ორბელიანის რომელიღაც მოთხრობიდან]. — „...დედ-მამისაგან ობოლს, მე არც დაე მყვანდა და არც ძმა, თვნიერ ერთთ მოხუცებული ქვრივი მამიდა(!), რომელსაცა ორი ყმაწვილი კაცი შვილები ჰყუნდა სოფლის გუარზედ კარგათ გაზდილი ღვდელთან...“ 39r—42v.

წყდება: „... შინ მოველ, ჩემი სტერი ავიღე და იქითკენ გავწიე...“

შენიშვნები: 1. მოთხრობის ამ ნაწყვეტის ძველი პაგინაცია იწყება მეცხრე გვერდიდან, დასაწყისში აკლია 4 ფურცელი.

2. დაწერის თარიღად უხის 1858 წელი. ეს თარიღი გადაზახულია(!).

(880)

1635 ა

მამის საფლავზე. XIX

3 ფ.; 35,5×22; ქალაღი; დაშლილი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]

„მამის საფლავზე.—
 იყო სალამო, მოწმენდილ ცაზე
 აღმოსაველეთით მკრთლად მოჩნდა მთუარე,
 მამის საფლავის ახლო დიდ ქვაზე
 დაღონებული ვიყავ მჯდომარე...“ 1r—3r.

შენიშვნა: პოემა შეიცავს 160 ტაეზს. მოწერილია: „მამის[ს]ა 1-ს“.

1635 ბ

კრებული. XIX

4 ფ.; 21×13; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; 4r დაუწერილია.

1. „მეფის ირაკლის ძის აღექსანდრეს დაწინდულს ნინოს სიკვდილზედ თქმული მარია მ ბატონი შეილის აგან.—
 ყაბართოს იყო ერთი მზე, ბრწყინვალე მანათობელად,
 მისივე ხანთა ასული, გინ არის ჩერქესთ მგლობელად...“ 1 r v.

შენიშვნა: ამ ლექსს გადამწერი ასეთ განმარტებას ურთავს: „წელსათას შეიდას ოთხმოცდაათში მეფემ ირაკლიმ ითხოვა ყაბართოს მთავრის ქალი თავის შეილის აღექსანდრეს საცოლეთ, რომელიც მოიყვანეს, და მოყვა ძისა და ორნიც თეადნი. მიაბარა მეფემ თავის სძალს, ამიღახერის ქალს სალომეს, ასწავლა სამღრთო წიგნი და სამეფო სახლის შესაფერი ქცევა. მონათლეს და უწოდეს ნინო. არ დაცალდა ქორწილი და მოკვდა, როგორც ანბობენ სიკვლევით. ამის მოსამსახურეთ ჰქონიათ სამაგალითო გლოგნა და მზარჩახდილთ მათრახით ცემა და სისხლის დენა. ყოფილა ეს ქალი ფრიად მშენიერი, უმეტესად ჩინებული ტანადი. ამის სიკვდილის შემდგომ ეს ლექსი უთქვამს მეფის ირაკლის ასულს მარია მს, რომელიც იყო ჩინებული მოლექსე. მრავალიც არის ამის ნათქვამნი და აქვს კნინა მახათ უმანოვისას, თამაზ ორბელიანის ასულს“ (1v—2r).

2. „ქავექავეაძე აღექსანდრე“, [ლიმილმან კარი ლალისა].—
 „ლიმილმან კარი ლალისა განალო გამჭვირვალისა,
 დღეს ესე მემარის სიმდიდრეთ, ხვალემ იზრუნოს ხვალისა...“ 2r.

შენიშვნები: 1. გადამწერი (ბარბარე ქობულაშვილი?) შენიშნავს: „ამას აკლია ორი ლექსი კიდევ, მაგრამ მე აღარ მახსოვდა“. 2. ლექსს ქვევით მოწერილი აქვს: „ა. ქავექავეაძისა“. იგი დაბეჭდილია (იხ. აღ. ქავექავეაძე, თბხულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 113, 309).

3. [მისივე, ვამე გულო]. —

„ვამე გულო, რა ვყო წამლად წყლულისა,
 არ გაქვს სასო მისგან შენ სალბუნისა...“ 2r.

7. ხელნაწერთა აღწერილობა

- შენიშვნები: 1. მოწერილი აქვს ავტორის ინიციალები: „ა. ჯ.“
 2. ლექსი დაბეჭდილია, იხ. ალ. ჭავჭავაძე, დასახელებული გამოცემა, გვ. 112.
 3. გამოცემაში ლექსის დასაწყისი განსხვავებულია: „რა ვჰყოთ გულო“... (გამოყენებულია ხელნაწერი S—1512).

4. [მისივე, რაა სიკვდილი].—

„რაა სიკვდილი, რაა მისი საშინელება,
 თუ კაცი ლხინსა მოაკლდება, ჭირსაც მორჩება...“ 2r.

- შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მოწერილია ავტორის ინიციალები: „ა. ჯ.“
 2. ხელნაწერში ეს ლექსი ორ ტაქსადაა შეჯამებული, ი. გრიშაშვილის გამოცემაში კი ორატორიანია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 123).
 3. დაბეჭდილში მეორე ტაქსი განსხვავებულად იკითხება: „... მკვდარი თუ შევბას მოაკლდება...“ (გამოყენებულია ხელნაწერები: H—1103, S—1576).

5. [მისივე, არა ერთხელ სიჭაბუკე].—

„არა ერთხელ სიჭაბუკე დაუჩაგრავ[ეს] სიბერესა,
 არა ერთხელ ბედის დილა დაუბინდავს შავს ღამესა...“ 2r.

- შენიშვნები: 1. ბოლოში მოწერილია ავტორის ინიციალები: „ა. ჯ.“
 2. ლექსი დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის დასახელებულ გამოცემაში სათაურით: დუგა (გვ. 127). გამოცემა ამ ფრაგმენტის სხვა ვარიანტს იძლევა.

6. [მისივე, სოფლის მიმნდობთა].—

„სოფლის მიმნდობთა ბოლო აქეთ შხამათ,
 ლხინი და შექცევა თვალისა წამად“... 2r.

- შენიშვნები: 1. მოწერილი აქვს ავტორის ინიციალები: „ა. ჯ.“
 2. დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის დასახელებულ გამოცემაში სათაურით: დუგა, გვ. 127, 1.

7. ლეგენდები სხვადასხვა პირთა ბეჭდებისა:

ა. „მეფის ირაკლის ბეჭედზედ.—
 მე, ფეხ-განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“ 2v.

ბ. „მეფის გიორგის ბეჭედზედ.—
 სიმდაბლით ჩვენთვის გარდამოსულსა,
 იესოს ვაქებ, ღმერთ-კაცსა სრულსა“ 2v.

გ. „ადარეჯან დედოფლის ბეჭედზედ.—
 ვინ არს მიზეზი არსთა ფლობისა,
 მზნ მცა წიალი დედოფლობისა“ 2v.

დ. „იულონის [ბატონიშვილის] ბეჭედზედ.—
 ღთისმშობლის სასოიანი
 იულონ დავითიანი
 ტომ-სქესით არ ნაკლისაგან,
 იულონ ირაკლისაგან“ 2v.

ე. „ვახტანგ ბატონიშვილის(!) ბეჭედზედ.—
 ლომად იუდად ბაკეთათ
 ვახტანგ, ირაკლის ნაკვეთათ“ 2v.

- ფ. „ფარნაოზ ბატოიშვილის (!) ბეჭედზედ, —
 ლთისა მშობელმან წიაღით მფარნა,
 ვაზ კეთილშოთა მეც შემეწყნარნა“ 2v.
- ზ. „ქვირივის ბატოირძლის (!) ბეჭედზედ, მ[უ]ხრანის ბატ[ო]-
 ნის ქალისა. —
 ვის დასჯა სოფლად შეთვისა,
 ქეთევან, რძალი შეთვისა“ 2v.
- შ. „ორბელიანის ქაიხოსროს სარდლის ბეჭედზედ. —
 სარდალ, სალთხუცეს შეთვისა, მდივანბეგი ვარ სეფისა“ 2v.
- თ. „ქნენა მანანა ორბელიანის ბეჭედზედ. —
 უღრთ მზის დასვლით მახნელა სოფელმან ანასდელუათ“ 2v.
- ი. „მირმანოზ ერისთვის ქნენის «თამარისა» ბეჭედზედ. —
 ღვთისმშობელს ვესავ მისი ამარი
 და ძესა მის[ს]ა ემონებ თამარი“ 2v.
- იბ. «ამილახვრის» ბეჭედზე. —
 „შეფისა მტრისა ლახვარი ვამტკიცებ აზილახვარი“ 3r.
- იპ. „ეს ორივე მუხრანბატონის ბეჭედზედ:
 1. ერთი ღმერთი მწამს, ერთი ბატონი,
 სარდალ, სალთხუცეს მუხრანბატონი“ 3r.
 2. „ორთ ერისთავთა სპასპეტი,
 ამითი ვარ სხვაზე მეტი“ 3r.
- იგ. „კაცია დადიანის ბეჭედზედ. —
 დადიან იმრგვლივ(!) ვარსკვლავნი ცისა,
 რა გიდრკა ციალი მზისა“ 3r.
- იდ. „იოანე მუხრანბატონის და[ს] მათა ყურა-ბეგლარ ერისთვის
 შვილს და როდესაც ქმარი მოკდომია, ბეჭედზედ დაუწერინებია:
 1. სოფელმა იავრობით დამცა ყვავილი ზრობითა.
 შემდგომ გათხოებულა(!) და შეურთამს გივი ჩოლახაშვილი,
 და გამოუცვლია ბეჭედი და დაუწერინებია ესა:
 2. სოფელო, შენმა იამა, შენივე ნახვა იამა“ 3r.
- იე. „რევაზ ერისთვის ბეჭედზედ. —
 მცირე ვაზი ვარ“ 3r.
- ივ. „დავით მდივნის ქობულოვის ბეჭედზედ. —
 მიწა ვარ, დავითრგუნები“ 3r.
- იზ. „დიმიტრი თუმანოვისა [ბეჭედზე]. —
 ვარდი შიტრიალებს გულსა“ 3r.
- იშ. „იასე მსაჯულის ბარათოვისა [ბეჭედზე]. —
 ჟამი ესეცა წარვლის“ 3r.
- იო. „მეფის ირაკლის დის ელისაზედ ბატოიშვილის
 ბეჭედი. —

ეტრფის ლაქვარდი იასო,
 ხად ზაძავს ერმი დიასო“ 3v. (ლეგენდაში კიდურწერილობით გამო-
 ყვანილია სახელი ელისაზედ).

8. «დავით ორბელიანის (სარდლის)». [წარწერა ღვთისმშობლის ხატზე].

„როდესაც ორბელიანს დაეით სარდალს გაუმარჯვებია და [ა]ულია აწყვერი, მოუტედივნებია მღვთისმშობლის ხატი, რომელიც ეხლა იმის ოჯახშია და ესე აწერია:

სიტყვისა მღვთისა დედაო, ძღვენს მცირეს გაგიბედაო, როს აწყურს მექმენ მწედაო, მუნ შოვნით გამკობ ზედაო“ 3რ.

შენიშვნა: შემკრებ-გადამწერი შენიშნავს: „თავისი გვარი და სახელიცარის ლექსათ, მაგრამ აღარ მახსოვს“.

9. „იასე ქსნის ერისთავის აზარფეშაზედ.—

ირაკლის მონა იესე, ვისი არ[ს] სასმისი ესე“ 3რ.

10. „თავისი ქალის ნინოს მაგიერათ თქმული ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან.—

არც მამასავითა მაქვს მე სხვადასხვა ფიქრები,

არც დედასავით მტანჯავს უსაფუძვლო იქვეები...“ 3ვ.

11. „ორბელიანი ნიკოლოზ», საწერელსა და კალამსა.—

„საწერელსა და კალამსა ვაწვევ ძლით ცრემლით სალამსა, აწვადენ ლერწმით შავ ლამსა, შავლის გულსა და შალამსა.

სბეტაკს ორენით ჰკვალამსა, პირით სათქმელით მალამსა,

სეგდა უცილოთ მწვალამსა, შორს გიდღენი სალამ-ქალამსა.

ძველათ თქმული და თვის ნათესავთ მიწერილი ნიკოლოზ რევაზ სარდლის ძის ორბელიანი-საგან ზურაბისა, ასლანისა და სხვათ მამისა“ (3ვ)-

შენიშვნები: 1. ამ ლექსებსა და ბეჭდების ლეგენდებს შემკრებ-ჩამწერი უგზავნის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს, როგორც „ძველი ამბებით“ დაინტერესებულს, და ჟურნალ „ცისკართან“ ხლო მდგომ ჰპარს, და წერს: „ქნიაზო ალექსანდრე, ეს ლექსები კერასელი ძეს(!) უბოძე, უთუთო დაბეჭდოს, საჭიროა და ყველასაც წამკითხავს ეამება“ (4ვ).

2. ლექსათა ეს კრებული ბარბარე ქობულაშვილის ეულია (იხ. აღ-ჭავჭავაძე, ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 309).

1635 გ

ზაალაშვილი ზაალ, ტფილისი. XIX

2 ფ.; 22×17,6; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX ს. 40-ანი წწ.]; ფ. 2 დაუწა-რელია.

«ზაალ ზაალოვი, ტფილისი».—

„ტფილისო, დედა-ქალაქო, შემკულო ყოელისფრითაო, გარემო ბალი-ბაღჩანი, აღმალღებულის მთითაო...“ 1რ.

შენიშვნები: 1. ლექსი ხელმოწერილია: „ზაალ ზაალოვი“.

2. სათაური „ქ. ტფილისი“ დაწერილია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ხელით. როგორც ჩანს, ავტორმა ლექსი ალექსანდრეს გადასცა-„ცისკარში“ დასაბეჭდად.

1635 დ

ბაგრატიონი მირიან, იამბო. 1797

1 ფ.; 33,8×22; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1797 წ. (1რ).

„1797 წელსა, 31 მაისის(!) პროჩენი ოკობიღამ ჩემგან უწმინდეს კათალიკოზთან მიწერილი იამბო.—

ღე უწმიდესო ქართველთ მამათ-მთავარო,
მწყემსთ-მთავართ თავო, სულთ კეთილთ წინამძღვარო,
მოწყალევე ძმაო, ძმათ ნუგეშათ საკმარო,
ეს ჩემი ღვაწლი არ რიტორთ თხზულთ საღარო,
გვედრი სიმღაბლით, ვით მწვლილი შეიწყნარო...“ 1რ.

შენიშვნები; 1. ლექსი ეკუთვნის მირიან ბატონიშვილს. ამაზე მიუთითებს ბოლო ტაეპი: „ვარ მოლოღინე თქვენის წიგნის, მირიან“.

2. ლექსი მიღწენილია ანტონ II-დში.

1635 ე

იაკობ მარტინის ძე, იამბიკო. XIX

2 ფ.; 21,4×19; მოლურჯო ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX ს. დამდეგი]; მე-2 ფურცელი დაუწერელია.

„იაკობ მარტინის ძე“, „იამბიკო.—

ხამს ვაღიღებდეთ დღეს ჩვენ ქრისტეს შობასა,
მის ზეციერის ვყოფდეთ მიმგებლობასა...“ 1რ.

შენიშვნები; 1. ლექსი წარმოადგენს საეკლესიო დღესასწაულის შობის მილოცვას, რომელიც მიმართულია ქართველი დედაოფლისადმი.

2. იამბიკოს ავტორი მოხსენებულია იამბიკოს ბოლო ტაეპში. ხელმოწერილია რუსულად: „Якоб(!) Мартинион(!)“.

1635 ვ

„თხრობა ხხუათა სულისა ზრუნვისათჳს“. XIX

1 ფ.; 34,5×22, მოლურჯო ქალაღი; მხედრული; [XIX ს.].

„თხრობა შე [95], ხხუათა სულისა ზრუნვისათჳს.—იყო ვინმე ქაქალი(!) ქალწული იერუსალიმს კეთილ, კრძალული და მოშიში ღრისა, სახელითა მას-თრიღია. და ღრისა მიმართ ფრიაღ მოსწრაფე სათნოებათა. ხოლო შურიითა ბოროტისა ეშმაკისათა, ჭაბუკსა ვისმე შეეკმნა ქალისა მისთჳს გულისთჳმა ბოროტი...“ 1რ.

(881)

1636

ლარაძე პეტრე, ლექსები. XIX

15 ფ.; 37×23; ქალაღი, უყდო; დახიანებული; დაშლილი; მხედრული; XIX საუკუნის 30-ანი წწ. (კვირნიშანი 1813, 1828); ავტოგრაფი (ბოლო ფურცლები, 7r—15v, სხვა ხელითაა ნაწერი); 6v და 13v დაუწერელია.

1. „მუსტფაზადი(!), პეტრე ლარადის მიერ თქმული.—
სიხარულ მწყდარსა, ცოცხლივ მკედარსა დრო ხხედა სამწარედ,
დღე მექმნა ღამე, ვსთქვა რაღამე, შე, არსად ვარად...“ 1r.
2. „თქმული პეტრე ყარიბის ლარადის მიერ მუსტაფაზადი.—
ემყის მქონები, ჭირ მგონები, თქმულ ჩემებრ აროს,
ცეცხლი შემწველად, ჩემად მკვლელად არს, ვინ დაფაროს?...“ 1v.
3. „მუსტაფაზადი(!) თქმული ყარიბი პეტრე ლარადის მიერ.—
ჭმუნვისა ქარმან, შესახარმან დამქროლა მწარედ,
ია დახრილი, დაღრუბლვილი, ჰგებსო მწუხარედ...“ 2r.
4. „თეჯნისი, თქმული პეტრე ყარიბის მიერ ლარადისა.—
დილის მთიებს აღმომკვირვალს დახევედა,
ვიცი მხეებრ სხივთა მტყორცნის ისარად...“ 2v.
5. „თეჯნისი იმისვე, ყარიბის პეტრე ლარადისა მიერ
თქმული.—
მზე ცორანოს, ერმობს, ჰაი დარადა,
ბნელს გულს სხივთა აკრთობს, რადგან ისარად...“ 2v—3r.
6. „თეჯნისი, თქმული მისვე ყარიბი პეტრე ლარადის მიერ.—
კმა კიპარი, კამკამ, კენარ მანათად,
რხევედი გულსა, სხივნი ნაზად მთარე...“ 3rv.
7. „თეჯნისი მისვე ყარიბის პეტრე ლარადის მიერ
თქმული.—
არხვე ტანსა, გულწამტანსა სარულად,
უცხოდ გშვენის არე არედ აარე...“ 3v.
8. „თქმული მისივე ყარიბი პეტრე ლარადის მიერ, ხმა ყარი-
ბი.—
გაზაფხულმან აწყო ყვავილთა დასნი,
შეამკო წალკოტი, ჰსცარცვა ზრული ფლასნი...“ 4r.
9. „ოსმალის ყაიდა ილაი, თქმული მისვე ყარიბის პეტრე
ლარადისა მიერ.—
მოვიდა გაზაფხულისა დრო, გულთ სიხარულისა,
ყვავილთა მრავალფერობით ველთა დაშვენებანი...“ 4v.
10. „ძეობა, თქმული პეტრე ყარიბი ლარადის მიერ.—
ძეობას ვიყავ მზისასა, მზევ შინ შემოდო.
ცისა სფეროს მნათობთ დასნი უცხოდ შეკრებებიან,
შეგავს იყვნენ მხილველთ მნასნი, ესრეთ ნათლდებიან...“ 5rv.
11. „თქმული მუსტაფაზადი(!) ყარიბის პეტრე ლარადისა
მიერ, ოდეს მოყვასს მისსა შეჭმნოდა კაეშანი.—
დამწარდეს ჟამნი, შემხვდეს ვამნი, საწამ საწამნი.
შემამთვეს ზართა საკუთართა, მხშირდეს თვალთ ნამნი...“ 5v—6r.
12. „თქმული ყარიბი პეტრე ლარადის მიერ დავით სარდ-
ლის ძის ყაფლანის ორბელიანის სიკვდილისათვის, რეცა მის მა-
გიერად.—
მოღით დასად, სისხლის ცრემლთა მდენელნო,
საყვარელნო, ტოლნო, ვერ დამამენელნო...“ 6r.

13. [მისივე, შობისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა].—

გინილეს ბაგას მწოლარე
ყრმა, ქვესკნელთ შემადრწოლარე...“ 7r.

შენიშვნა: ლექსი თავნაკლულია, აკლივ ოციხი სტროფი. შდ. პეტრე ლარაძე, მრავალფეროვანი ხელნაწერი S—387, 143r.

14. „მისივე ყარიბის პეტრე ლარაძისა, წინადაცვეთისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა,—

ჭერუბიმთ განწესებული,
სერაფიმთა მბრძანებელი,
ადამის დამბადებელი

სიმდაბლით წინადაცვეთას თავსიდებ, სეუათჰყოფ აღკეცეთას... 7rv.

15. „მისივე პეტრე ყარიბის ლარაძისა ნათლისღებისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა.—

ღღეს ბუნება წყალთა განახლდებოდა,
იორდანე შიშით უკუნ დგებოდა...“ 7rv.

16. „ლაზარობისათვის თქმული მისივე ყარიბის პეტრეს მიერ, ტკბილ ხმად სათქმელი.—

დავნატრი უფლისა საწადელ ჯმასა, თაყვანის ვსცემ მას,
შევიტკობ სურვილით იესოს თქმასა, თაყვანის ვსცემ მას...“ 8rv.

17. „მისივე პეტრე ყარიბის მიერ თქმული ბაიობისათვის ცის საყდარად მქონი ჯელმწიფებითა.—

ძლიერად მპყრობელი ხმელთა ზღვებითა,
ვის უძრწიან ძალნი ექუს-ექუს ფრთებითა...“ 8v—9r.

18. „მისივე ყარიბის პეტრე ლარაძისა მიერ თქმულ, იესოს-დამი(!) ვედრებისა.—

შენ ხარ მამის საყდარს მარჯვნივ მჯდომარე,
სიტყვა ღისა და მტკავლით ცის მზომარე...“ 9r—10r.

19. „უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ვნებისათვის, თქმული ყარიბის პეტრეს მიერ ლარაძისა.—

ღედა რა ქალწული ვნებულს გხედვიდა, ტკბილო იესო,
მძრწოლარე თუალთაგან ცრემლთა დაღვრიდა, ტკბილო იესო...“
10r—11r.

20. „აღგომისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, თქმული მისივე პეტრე ყარიბის ლარაძისა მიერ, სხვა ხმატკბილი.—

არსნი ზენანი და ქვენანი ღღეს განცხრებიან,
ცის კამარნი, მნათობთ სელანი განათლდებიან...“ 11rv.

21. „მისივე პეტრე ყარიბის მიერ თქმული თომას მიერ გვერდის განხილვისათვის.—

მოციქულნი, ოდეს კართა დახშულთა
ჭურიათა შიშით იყუნენ კრძალულად...“ 11v.

22. [ლარაძე პეტრე, ნათლისღებისათვის].—

„ღღეს ბუნება წყალთა განახლდებოდა,
იორდანე შიშით უკუნ დგებოდა...“ 13r.

- შენიშვნები:** 1. ჩართულია: „მუხანბაზი ბისალბუჩინარის ხმაზედ სათქმელო, თავადის გიორგი თუმანოვისაგან თქმული.— დახე მაის ბულბულო, ვით დღენი ნათდებიან, ზურმუხტის ფერად ველნი ნახად ალყავადებიან...“ 11v—12v.
2. ერთვის სხვა ხელით, სხვა ქაღალდზე ნაწერი ლექსები:
- ა. „შაირი.— ვინ მოიგონენ პირველად მეორე ნათლის დასები, შენვე განსაზღვრე ზღუა, ხმელი, კულავ არსნი რავდენ ასები...“ 14r.
- ბ. „ყარიბული.— ერთ ბუნებზე, ერთ არსო, ყოველთა დამაარსო, უმიზეზზე მამაო, სიტყვათ თვისა მშობელო, საუკუნეთ მპყრობელო, სხვის ცნობა არს ამაო...“ 14r—15r,
- გ. „შაირი.— სოფელი თვისა მიმყოლსა მისცემს შვებასა აროდეს, მალედ ამწარებს მყის თანად, თუ ოდენ რა უხაროდეს...“ 15rv.

(882)

1637

მაყაშვილები სვიმონ და ხალომე, ლექსები, XIX

15 ფ.: 33,5 × 21,2; ქაღალდი; დაშლილი; უყდო; მხედრული; XIX ს-ის 50-იანი წწ.; ავტოგრაფი (? სვიმონ მაყაშვილისა); გადამწერის ხელით ხელნაწერში. მელნით ჩახახულია—მზე (4r), მთვარე, ცისკრის ვარსკვლავი (4v) და ყვავილი (8v).

I. მაყაშვილი სვიმონ დიმიტრის ძე:

1. «პატივსადებად თამარისა».—

„საგრძნობ არიან შენდა სახის რაზომ დიდება,
ვინათგან მთიებთ მნათობიერთ ხარ მათი ტომი...“ 1v—2v.

შენიშვნები: 1. ლექსი ხელმოწერილია: „თავადი სვიმონ დიმიტრის ძე მაყაშვი“ (2v).

2. უძღვის: „ჩუწ-ს წელსა, დეკემბრის მ-სა. ქართული ლექსთ-თხზულება პატივსადებულად ოკუპაციისა და ღირსად სახსოვრისა საქართველოს მეფას თამარის მშენიერ ხატოვნების განხილვასა ზედა, წარწერილი ათოთხმეტის უმეტნაკლებოს ხმოვანის ასოებითა, რომელსაც უძღვნი კეთილ მისაღებლად ყოველთა მემამულეთა ერთა ივერიასათა—თა ს. მ.“ (1r).

3. ლექსი შეიცავს 15 სტროფს. მესამე სტროფის გასწვრივ კიდევ, ტექსტის ხელით, მიწერილია: „ფსალმუნი მ, რიცხვი ე“.

2. «შესხმა გრემის ქალაქისა».—

გრემის ქალაქი ძველთამებრ ქებული ბრძენთა ყოვლისა,
ნინვეთ ქალაქის მზადველად, დღე ერთ სავალი მსრბოლისა...“
2v—3v.

შენიშვნა: უძღვის: „ჩუწ-სა წელსა, ივნისის იე-ს აღწერილი პატივსადებელი შესხმა გრემის ქალაქად წაღებულია, რომელიც არსებდა უმშენიერესა ყვავილოვნებასა შინა დროდმდე თეიმურაზ პირველისა, ძისა დავით კახთა მეფისა, ოკუპაციისა მის მეფობისა ივერიელთასა მამულსა შინა კანკლათასა, აწ თელავის უეხდად სახელწოდებულასა. სტაინი თექვსმეტის ხმოვანის ასოებითა. თა ს. მ.“

3. „მ ზ ე.—

გორის ზონტსა მზემან სხიენი ისარა,
მძლედ მჭეინვალნი გარს მთიებნი ისარა...“ 4r.

შენიშვნები: 1. უძღვის: „ჩემთ-ს წელს, მაისის ვ-ს ქართული ლექსთ-თხზულება, პატივსა დებულად მზისა მის დღედ ქვეყნის მნათობიერისა. და უებროდ მჭეირვალის პირისა, რომელ არს თვით სატრფო და საყვარელი მიჯნური ჩემი. ათფრთხეტის უმეტნაკლებოს ხმოანის ასოებითა“ (3v—4r).

2. ლექსის ბოლოს მოწერილია: „თა ს. მ.“

4. „მ თ ვ ა რ ე.—

მთვარევე, ღრუბელს ნუ ეფარვი, ნუ მოგვაკლებ შენსა ხილვას,
რაც უებროდ თავსა შენსა რაბამ ჰშეენის თქუწნებრ ზრდილვას...“ 4v.

შენიშვნა: უძღვის: „ჩენ-სა წელსა, მარტის კბ-ს. ქართული ლექსთ-თხზულება, პატივსა დებულად მთვარისა, მის ღამედ მნათობიერისა და უებროდ მჭეირვალის პირისა, რომელ არს თვით სატრფო და საყვარელი მიჯნური ჩემი. ათექსმეტის უმეტნაკლებოს ხმოვანის ასოებითა“.

5. «ც ი ს კ ა რ ი, განთიადის მთიები». —

„განთიადის ცისკარო, აღმობრწყინდი მალია,
იმსრბოლე ჩემდა არეს, ნურვისი ხარ მკრძალია...“ 5r.

შენიშვნები: 1. ლექსი შეიცავს 5 სტროფს. ყოველ მათგანს მეხუთე ტაეპად ერთვის რეფრენი: „განთიადის ცისკარო, აღმობრწყინდი მალია“. 2. უძღვის: „ჩენ-ს წელსა, აპრილის ი-ს. ცისკარი, რომელ არს მშვენიერი მთიები განთიადისა, იგიცა სატრფო და საყვარელი მიჯნური ჩემი; აღწერილი უმეტნაკლებოს ათოთხმეტის ხმოანის ასოებით“ (4v).

6. «მ ა ი ს ი ა».—

„შეენიერო მაისო,
გულთა სევედის წარმლისო“... 5v.

შენიშვნები: 1. ლექსი შვიდ სტროფიანია, თვითოეულს ერთვის რეფრენი:

„შენ გაგვიანათე დღენი,
გარე განსდევნე ბნელი“.

2. უძღვის: „მაისის თვე, რომელ არს უმშვენიერესი პირი გაზაფხულისა და [ა]ღმომაცენებელი ყოველთა სასიამოვნოთა მდღელოზა ყვაველთა, რომელ არიან სატრფო და საყვარელი ჩემნი. თ ს. მ“.

7. «კ ა ვ კ ა ს ი ი ს მ თ ა».—

„როს განვიცადე და განვსკვრიტე მყარება მთისა,
მყის განვეკვირვე და განვსციფრდი კავშირ-ქმნად მისსა...“ 6r—7r.

შენიშვნა: უძღვის: „ჩენ-სა წელსა, ივნისის ი-სა. კავკასიის მთის ნამდვილი გარემოება, აღწერილი სტიხად, რომელ ამა უკანასკნელს დრომდე ისტორიკოსთაგან არა ყფილა ლექსითი გარემოება აღწერილი, არა თუ ლექსით, არამედ სიტყვიერებითი კანონიერი აღწერაც, რომელიცა მდგომარეობს ჩუქნ შორის განსაკვირვებელს ნიშად მღვთის განგებულებისა, შეძერწილი რომლისანე ვითარებითა, ხოლო სტიხნიცა ესე განიყოფიან ორს სახედ: ხუთი ტაეპი ათექსმეტის ხმოვანის უმეტნაკლებოს ასოებითა და ცხრა ტაეპი ათოთხმეტის ხმოვანის ასოებითა, იგიცა უმეტნაკლებოთ. თა ს. მ“ (6r).

8. „გზის გუშაგად მდგომიარეს ხმად.—

ჯერ არს სატრფოს სულის მსხვერპლვა, თუ ვინ გრწმენეს საყვარელად, იგრძენ მხოლოდ, ნუ სდევ აჩრდილს, განეკრძალე თავსა მკვლელად...“ 71v.

შენიშვნები: 1. დაწერილია „ჩუნხ წელსა, აპრილის იდ“.
2. ხელმოწერილია: „თა ს. მ“

9. [ვით აღმიჩნდი].—

„ვით აღმიჩნდი ჩემად მწველად, მზის დარად, გულსა სხივნი განმაწონე მკვლელთ დარად...“ 7v.

შენიშვნები: 1. ლექსი დაწერილია „ჩუნგ-სა [1853] წელსა, სეკდენბრის კბ-სა“ [22]
2. დასაწყისში წარწერილი აქვს: „ბუნდოვანს გულს შენ აღმიჩნდი დარად—იმ ხმად ითქმის“.

10. [მწველობს, მწველობს]. „ვარდო, რად ხარ თავდახრილი, იმ ხმაზედ.—

მწველობს, მწველობს ვარდი შლილი,
კნინლა გვჭტარავს ეტლთა ჩრდილი...“ 8r.

შენიშვნები: 1. როგორც ხედწარწერა მოწმობს, ლექსი გამართულია „ვარდო რად ხარ თავდახრილის“ ხმაზე. 2. იგი დაწერილია „ჩუნდ [1854] წელსა, მაისის 6“

11. «ვარდი».—

„ცე თვალნო, ნუ გსურის ჳერეტა ვარდისა,
რომელ არს მიხეზი ყოელის დარდისა...“ 8v.

შენიშვნა: უძღვის ავტორის შემდეგი განმარტება: „ჩუნე-სა წელსა, მაისის 6-სა. ვარდი, რომელ არს უუმშენიერესი ყვაილი წალკოტისა, იგიცა სატრფო და საყვარელი მიჯნური ჩემი“.

12. [მახსოვან დღენი].—

„მახსოვან დღენი ხილვისა,
ლაწუ-ბავე ვარდებ შლილისა...“ 9r.

შენიშვნა: დაწერილია „ჩუნე-სა [1855] წელსა, ნოემბრის 16-სა“ [17].

13. „მშენიერს კარტის განხილვასა ზედა წარწერილი.—
კარტავ, ვის დარად ნატვიფ ხარ, მას ვაქებ ზესთა მკულეებით,
ჳყო მაზედ ღმერთმან წყალობა, მნათობთ გარდმატა სრულეებით...“

შენიშვნა: ლექსი ერთსტროფიანია.

14. „ლექსითი ოხაა, რომელ არს ვედრება მღვთისმშობლის ხატისა ძით მპყრობელისა მიმართ.—

აღვიმსთობ შენდა ღმერთო ჳებასა,
მარჯვენით შენსა ღირს მჳყავ შეებასა...“ 9v.

15. „ეჭიტაჭია.—

ჩყნე-სა [1855] წელსა, იენისის იბ-სა დღესა ლოდისა ამის ჭიქალსა ქვეშე შთაიბნევის ყოვლად შესაბრალოსი მტვერი სხეულისა კნეიენა(!) სალომე თა სვიმონ დიმიტრის ძის მაყაევის ასულისა, შობიდან წლისა აცხრამეტისა.

მხილველთა შენდობის ოხსა გევედრებით“ 10r.

16. [შენდა აღვიმსთობ].—

„შენდა აღვიმსთობ, შემოქმედო, სულსა სურვილით, ანგელოზთ მთავრის წილთ-ყრდნობილს ფრთე დაბურვილით...“ 10r.

17. „კირთება, რომელ არს მონება ჩემისა საყვარლისა.—
კირთებამან თქუწმან მომსპო, უძღურებას დართო გული,
ზეფირთაგან მიძღვენ სუნი, განმიკურნე სევდა-წყლული...“ 10rv.

შენიშვნა: ლექსი დაწერილია „ჩყკმ [1828] წელსა, აპრილის იე-სა“.

18. „საღმობიერის ხმით სათქმელი ლექსი კნიაენა სალომე თა სვიმონ მაყაევის ასულზე, მშობლის მისისავე თა სვიმონ მაყაევის მიერ თქმული, რომელიც—იგი ასული ჩემი—გარდაიცვალა ჩყნე-სა წელსა, იენისის იბ-ს დღესა.—

ჭი, რაბამ ვსთქვა ხმა გოდებისა,
გულისა წევრთა განშორებისა...“ 11r.

შენიშვნები: 1. ლექსი დაწერილია „ჩყნე-სა [1857] წელსა იენისის ი-სა“.

2. ესეც და სხვა, ზემოთ წარმოდგენილი ლექსები ბოლოში ხელმოწერილია ავტორის ინიციალებით: „თა ს. მ.“

19. [ღვთაებისადმი].—

„ჭი სახიერო, საკვირველო, ყოველთ მზადგო,
შენის მღვთაების და კაცების ცნობად მაგეო...“ 15v.

შენიშვნები: 1. ლექსი ხელმოწერილია: „თა ს. მ.“

2. იგი დაწერილია 1854 წლის 20 მაისს.

20. [სამეებისადმი].—

„სამ გვამოვანო, ერთ არსებით სამპირ ცნობილო,
სულო წმინდაო, ნათლისღებად განბრწყინებულო...“ 15v.

შენიშვნები: 1. ლექსი ხელმოწერილია: თა ს. მ.“

2. იგი დაწერილია 1854 წლის 20 მაისს.

II. მაყაშვილი სალომე სიმონის ასული:

„ა. თხულებსა სარწმუნოებისათვის კნეიენა სალომესი, თა-სვიმონ მაყაევის ასულისა.—

უაღლუშტესო ხელმწიფევე ჩუწნო,
წმინდის ენბაზით ზეშთამებრ მშვენო...“ 12rv.

შენიშვნები: 1. ლექსი შეიცავს 24 ორ-ორ ტაეპიან სტროფს.

2. მე-17 სტროფის გასწვრივ კიდევ წერია: „ფსალმუნი 50, რიცხვი 18“, ხოლო 24-ეს გასწვრივ—„ფსალმუნი 78, რიცხვი 6“. 3. ხელმოწერილია: „კნეიენა(!) სალომე, ასული მაყაევისა“. 4. ლექსი დაწერილია „1854 წელსა, იენისის 3“.

„ბ. ოცნება, რომელ არს ჩუშნება სიზრმისა სალომე მაყაევის ასულისა.—

სადა არიან ოცნებაო იგ დრონი, ჟამნი,
რომელ ხმა ზესთა მუნ მესმინეს ჯერეთ კაცო უსმნი...“ 13r.

შენიშვნა: ლექსი ხელმოწერილია: „კნეიენა(!) სალომე, ასული თავადის სვიმონ მაყაევისა“.

„გ. თხზულება კნეიენა სალომე მაყაევის ასულისა.—

გაუწყებთ დანო, ჭაბუკა ქალნო,
ჭაეროვნებით ცის ხომ[ლ]თ ვარსკვლავნო...“ 13rv.

შენიშვნა: ლექსი ხელმოწერილია: „კნეიენა სალომე მაყაევისა“.

„დ. თხზულება იგივე კნეიენა(!) სალომე მაყაევის ასულისა.—

მობრძანდით დანო, საყვარელნო, აწ რას გეტყოდეთ,
ჩუშნდა არსების შემოკმედსა ცრემლით ვეტრფოდეთ...“ 13v—14r.

„ე. თხზულება კნეიენა(!) სალომე მაყაევის ასული[სა].—

ჭი სოფელო, ცრუდ მყოფელო,
შენდა მკვიდროვანთ მყის განამსრბოლო...“ 14r.

შენიშვნები: 1. ლექსი დაწერილია: „1853 წლის სექტემბრის 14 დღესა“,
2. ხელმოწერილია: „კნეიენა სალომე მაყაევისა“.

„ვ. კნეიენა(!) სალომე მაყაევის მიერ კნეინა კატო ჯორჯაძის სადმი მიწერილი მადლობა.—

მართლად მიბრძანებთ, დაო, წვევასა,
ჟამად ვერ ხლებდით ნუ ჰყოფთ წყენასა...“ 14v.

შენიშვნები: 1. ლექსი დაწერილია „1854 წელსა, ფებერულის 10 დღესა“. 2. იგი ხელმოწერილია.

„ზ. კნეიენა(!) სალომე მაყაევის მიერ კნეინა სოფია მაყაევის სადმი მიწერილი მადლობა.—

ოდეს მივიღე შრომილი თქუშნგან ქისა,
მშვენიერად აღმკული, უმჯობეს სხვისა...“ 14v.

შენიშვნა: ლექსი დაწერილია: „1854 წელს, მაისის ივ-სა“.

„წ. პასუხი კნეიენა სალომესი თვისის მამის სადმი მიწერილი.—

რათ მეძრახვით უვიცობას, ანუ რად მყოფთ გონებით ბრანგ,
ვპბედავ თქუშნდა პასუხთ გებას, არ ვარ უსშენ და არცა შმაგ,
მესმის ძალნი ამა სტიხთა და აწ ქება თქუშნივე კარგ,
ვპკონებ არ ხამს თავთა ქება და არცა ხართ ჩემზედვე კარგ“ 15r.

შენიშვნები: 1. ეს ერთსტროფიანი ლექსი პასუხია მამისგან მიწერილი ლექსისა: „სტიხი თა სვიმონ მაყაევისა, მიწერილი თვისის ასულის კნეიენა სალომე მაყაევისადმი:“

ნეტარ რით ხარ ჩემი მბაძი, ანუ რად ხარ გონებით შმაგ,
ვპკმუნავ შენდა განცდისათვის, რომელ მისთვის გულსა მე მდაგ,

ესრეთ შორს ხარ ჩემად ბაძვად, ვით მისხალზე ერთივე დანა,
აზომ გვარად სტიბი შეთხზე, ჰე თუ ჩემზე შენ ვარგათ ვარგ
თა ს. მ." (15r).

2. სალომეს პასუხის ბოლოს მიწერილია: „ვინც ლექსის ბოლო დაასრულოს და
ბოლოს განი მოიყვანოს, იმანაც თვისი მოლექსეობა იქოს.
კნეიენა სალომე მაყაევისა“ (15r).

„ს. ამაოება.—

ოდეს ვსდგე ფიქრით წყლისა კიდესა,
ჩემდა ჭმუხვისა მყის მიმზიდელსა...“ 15r.

შენიშვნები: 1. ლექსი ხელმოწერილია.

2. პირველ გვერდზე ექ. თაყაიშვილის ხელით მრწერილია: „სალომე
სიმონ დიბიტრის ძის მაყაევილის ლექსები“ (1r).

(883)

1638

ცნობები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. XIX

6 ფ.; 34,5×23,3; ქალაღი: უყდო; თავნაკული; მხედრული; XIX საუკუნის
40-იანი წწ.; (კვირნიშანი 1841).

1. [ნაწყვეტი ერეკლე მეორის მეფობის შესახებ, უცნობი
წყაროს მიხედვით].—

„... და შემოადგა შამახიას. და ესე ვითარსა დროებასა შინა მეფე
ირაკლი განსცხრებოდა ყნათა შორის თჳსთა...“ 1r.

2. [ცნობები ეთნარქებონიმებისა და საქართველოს ის-
ტორიის უცვლელს აეროდზე, ქართლის ცხოვრების მიხედვით].—

„შემდგომად წყლითრღუნისა.—ნოეს ძის იაფეტისაგან იყო მესამე თაო-
ბა თარგამოს, ანას ესხნეს რუანი ენი...“ 1v—3v.

3. [საქართველოს მეფეთა სია, შედგენილი ქართლის ცხოვრე-
ბის მიხედვით].—1. მეფე ფარნავაზ გამეფდა დასაბამითგან 3647 ქართლო-
სიანი, 2. ძე მისი საურმაგ ქართლოსიანი—დასაბამითგან 3712...“ 3v—6v.

შენიშვნა: გადანწერის გვარი და სახელი ამოუხვეილია, არ იკითხება.

884)

1639

ორბელიანი ალექსანდრე, რომაელი ქალი აარია. 1840

8 ფ.; 22,4×18; ქალაღი: უყდო; ავტოგრაფი; მხედრული; 1840 წ. (1v); პიატი-
გორსკი (4v); ფ. 8 დაუწერელია.

«ალექსანდრე ჯამბაკურორბელიანი», „რომაელი ქალი
აარია. დღის გაღვიძების: ანავე გულწერყული აარია:

აი კიდევ გათენდა, მითაშ მცინა? გული ჩემი დაჩვეული განსვენებას და
ტკბილ ქნინვას სული, ნაცვლად ამისა, გვამი ჩემი ჩავარდნილი იყო ამ ღამე-
სა, დიას სატანჯველში, და გამოვიარე ვაებასა ქვეშე...“ 2r—7v.

შენიშვნები: 1. უძღვის მიძღვნა დედისადმი: „უუსაყვარლესო ჩემო მშობელო, საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასულო თეკლაჲ!“

უუმღაბლესად მოკართმევთ ამ ჩემს თხზულებას. გარდა რომაელს ქალს აარის, თქვენს შუურყევებს და მყარს ხასიათსაც ეცუთენის ეს თხზულება.

თქვენი ძე თა ალექსანდრე ჯ-ორბელიანი“ (1v).

2. დაწერილია: „17-ს იანვარს, 1840-სა წელსა, ქ. პი ა ტ ი გ ო რ ს კ ს, თბილ წყალზე“ (1v).

(885)

1640 ა

ორბელიანი ალექსანდრე, ლექსები. 1821—1866

19 ფ.; 35,5×22; ქალღი; უყდო; ავტოგრაფი (დაწერილია სხვადასხვა დროს; შენიშვნები და ზოგიერთი ლექსი ფანქრითაა ნაწერი); 1821—1866 წწ.

«ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, ლექსები:

1. „ბაიათი.—

თვალნო, ველსა ვნახე?

იგი სიდგან ვნახე...“ 1r.

შენიშვნა: ლექსს უხის თარიღი: „1821-სა წელსა, მაისის დამდეგს“. ავტორს იგი გადაუხაზავს და შემდეგი განმარტება მიუწერია ფანქრით: „ეს ლექსი მაშინა ვთქვი, როდესაც პირველათ ჩემი დანიშნული ეკატორინე ვნახე ბალის ღობესთან უეცრათ, და ჯერ არ ვიცოდი ვინ იყო ის. ამ უეცარმა სიყვარულმა ასე ძალზედ გააღვიძა ჩემი გრძნობა, რომ ეს ლექსი პირველი ქმნილებაა ჩემი. თა ა. ვ ა ნ. ძე ჯ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი“ (1r).

2. „თეგლი ში.—

განსაცვიფროს წამსა შევხვდი მფრინავსა,

წინათ სული გრძნობდა, ვნახე, სინამეს...“ 1v.

შენიშვნა: ამ ლექსსაც მიწერილი აქვს კიდებუ: „ესეც ჩვენი დანიშნის შემდგომ ბაღში ვიყავით ჩემი მოყვრებისაგან მიწვეული სტუმრათ, სადაც ნათესავნი ქალნი და კაცნიც იყვნენ იქ. იყო ცოტა ჯინჯლიანი დღე და ეს ლექსიც, შინ რომ მოვედი, ჩემს დანიშნულზედვე ვთქვი“ (1v).

3. „ზორიდგან.—

სოფელმა მიმაგდო ყარიბობასა,

გარნა სახე შენი ვით ვცე თმობასა?...“ 2r.

შენიშვნები: 1. „ესიც ო რ ე ნ ბ უ რ ღ ი დ ა ნ მოვწერე, პირველად რომ მიმიყვანეს იქ“.

2. ლექსი მიძღვნილია მეუღლისადმი, დაწერილია [1834 წელს].

4. „მოხუცებულნი ყმაწვილკაცს (ექსპრონტად).—

რას დამცინი? რას კობჯობ? რას ტრაბახობ? რას ბაქბუქობ?

ნუ დამცინი, ნუ კობჯობ, ნუ ტრაბახობ, ნუ ბაქბუქობ...“ 2r.

შენიშვნა: ავტორის განმარტებითი შენიშვნა: „ესეც ხნიანს დროში ვთქვი“ (2r).

5. „მოწვევა.—

ჩემო სიცოცხლევ, და კვლავ მარადა,

ეგ შენი სახე, ვით დავივიწყო?... 2v.

შენიშვნა: ავტორი წერს (კიდევ ფანქრით): „ესეც კასპიის ზღვის გაღმით აღექსანდრეკადგან მოვწერე [მეუღლეს] 1834-სა წელსა“ (2v).

6. „უეცარი შეხედვა.—

შეხედნენ ჭვრეტა ქალ-ყმათ თვალნი,
ორთავ ეცათ ტრფობის ძალნი...“ 2v.

შენიშვნა: ავტორის განმარტებითი მინაწერა: „ესეც ჩემს ეკატერინეზედ არის, პირველათ რომ ვნახე და ჩვენი თვალები ერთმანეთს ეცა, ესეც მაშინა ვთქვი“ [1821 წ.] 2v.

7. „მშვენიერას ქართველას.—

ახ თუალის ჩინო, შენ ჩუქნო ქალო,
ქალო ქართუშლავ, ეშხის ანთებაე...“ 3r.

შენიშვნა: დაწერილია „1821-სა წელსა“, აქვე ავტორი განმარტავს: „ესეც მაშინა ვთქვი ჩემს ეკატერინეზედ, ჯერ ჯვარდაწერილი არ ვიყავ“ (3r).

8. „ყარიბი ანუ ორენბურღის ლამე.—

ესე ლამე განისვენებს
წყნარს მღელვარეს
ფერი ქვეშა...“ 5rv.

შენიშვნები: 1. ავტორი შენიშნავს: „1836-სა წელსა, ერთს იენისის თვის შუალამისას მარტო რომჩაში ვიყავი და მაშინ გონებაში გამოვთქვი ეს რომანის დაბურვილიანს ფოთლებში ერთს ხეს ქვეშ მჯდომარემ, სადაც ჩემს მოახლოვოდ მონიო ურალის მდინარე მიქდინარეობდა“.

2. აქვე კიდევ მიწერილია:

„ღმერთსა.—
რადღენ ფიქრობთ...
უფროსად ვკვირვობთ!!!“ (5r).

9. „ქ. ტფილისს, ჩემ ცოლ-შვილებთან.—

მარად დავმღერ ნაზ მუზიკა ტინბანს,
ვიტყვი: მოვედ, სად არია ჩემსა ბანს,
როს და ვით ვჭვრეტ ხავსით გულსა წამს გაბანს,
ჭმაი ამის ვით მასხურებს თვს ნაბანს“ 5v.

შენიშვნები: 1. დაწერილია „23-ს აგვიტოს, 1835-ს წელსა, ქ. ორემბურღით“.
2. ლექსში გამოყვანილია ცოლისა და შვილების სახელები: კატინა, დარია, დავით, მახა.

10. „უეცარი მღერა.—

სცემდა მაისი ერთს ლამეს,
ნიაესა მქროლსა ჯგუფადა...“ 6r.

შენიშვნები: 1. დაწერილია ქ. ორენბურღს.
2. დაბეჭდილია „ცისკარში“, 1857 წლის თებერვლის ნომერში, სათაურით „მოგონება“; ხელმოწერილია—N.

11. „საქართულოს გაზაფხული. —
ნიმფნი რხევით სვირობენ,
ასფოდელსა დარაზმულნი...“ 6v.

შენიშვნები: 1. დაწერილია თბილისს 1821 წელს. ამ კრებულის გარდა ეს ლექსი ჩართულია ალ. ორბელიანის სხვა ხელნაწერშიც (S—1659-ა, გვ. 63). 2. იგი დაბეჭდილია „ცისკარში“ 1864 წ. აპრილის ნომერში და ზ. ჭიჭინაძის 1879 წლის გამოცემაში: თ. ალ. ჯამბაჯურ-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ძის ორბელიანისა.

12. „აღმოსავლეთი ანუ სიყვარულის აგან და ჩაგრული. —
ადექი, ნახე, ვით მკვდარო,
აღმოსავლეთის სამყარო...“ 7r—8v.

შენიშვნები: 1. დაწერილი „1836-სა წელსა, ქ. ორენბურღს“. 2. ლექსის დასასრულს, ავტორის ხელით, დანქრით მიწერილია: „ესეც ჩემს ეკატერინეს მოეწერე ორენბურღიდან“ (8v). 3. ამავე ლექსის შავი, ნასწორები ტექსტი შეტანილია აქვე (3v—4v), მაგრამ გადახახულია, გაუქმებულია.

13. „არაკი ვირისა. —
თუ გწადსთ არაკი? გეტყვით, გიანბობთ,
ამისთვის სიტყვათ უხვად ვიაფობთ.
ერთს ვირს ჰქონდა ტურფა ადგილი,
მიმა-პააჟურად აქენდა ცახილი...“ 9v—10r.

შენიშვნები: 1. დაწერილია „ქ. ორენბურღს, 1835-სა წელსა“.
2. არაკი ვირად გამოყვანილია შირხაჯანა მადათოვი. ამაზე მოუთხოვს ერთერთი სტროფიც:

„... ნადირთ მთავარმა დათემა მიიღო,
ვირმა თარგმნობა კისრად აიღო,
მაგრამ ჩემათაც ვეზირ-მირზობდა.
მირზამან შენმა დათო ვეზირმა,
ჯან, ბარაქალა გვაძახა ვირმა...“ (10r).

14. „სიყრმით უბედური. —
უმაღლეს მთასა ორბი კლდეზე ჰჯდა,
ხეობას და ზღვას გადამჭვრეტელი...“ 10v—12v.

შენიშვნები: 1. ავტორი შენიშნავს: „ქასპის ზღვის პირს, ახალ აღექსანდროვკის ციხეში, 16 აპრილს, 1835-სა წელსა მეტი შეწუხების გამო ვთქვი ეს ხევიითი ლექსი“.

2. დაბეჭდილია „ცისკარში“, 1857 წ. მარტის ნომერში; ხელმოწერილია—N.

14. „ექსპრონტი. —
სიყვარული? ერთხელ გხუდებათ.
გხუდებათ, წამს გულს დაგაკვდებთ...“ 12v.

15. „სისხლ-მძებნელი ქართველი
(თეიმურაზ მეორის დროინდელია, ოსმალებს ქიზიყი რომ ეჭირათ), —
მწუანოვანსა ველს ქართველი იდაყვს ეყრდნო წამოწოლით,
კავკაზს სჭვრეტდა, შენაცვლოდა, სულით იმას თვალშეყოლით...“
13r—14r.

შენიშვნა: დაწერილია „7-ს ნოემბერს, 1839-სა წ., ქ. პიატიგორსკს“ (14r).

16. „ბნელში პყრობილი

(გონებაში თქმული 1833-სა წელსა).—

ღმერთო ჩემო, რა ყოფილა კაცისათვის საპყრობილე!...
ნამეტნავად სადაც არის მარტო ყოფნა და სიბნელე...“ 14rv

შენიშვნა: ამ ლექსის ბოლოს, თავისუფალ ადგილზე, ფანქრით მიწერილია [გა-
მოცანა]:

„მრთი ვინმე

თავი აქვს გიჟი,
ფეხებიც გიჟი,
უფრო სწორეთა
სულ თვითონ გიჟი...“ (14v).

17. „რობესპიერი რევალუციის(!) დროებში, ჯერ რომ არ
ამაღლებულიყოს.—

ოდეს დილით გაიღვიძა ბოროტმა,
სულით, გულით ჩამთქმელ კაცთა მეოტმა,
მაშინათვე ამოუშვა კვნესანი...“ 14v—16r.

შენიშვნა: დაწერილია: „21-ს დეკემბერს, 1835-სა წ., ქ. ორენბურღს“ (16r).

18. „ვერის სასაფლაო.—

წავა, წაიღებს სოფელი დროსა,
მზის ჩალსებს ზედა მიმომტრიალსა...“ 16r.

შენიშვნა: დაწერილია „1848-სა წელსა.

19. „ეჭიტაქია

განსვენებულის ჩეძი სიმაგრის დავით დიმიტრის ძის ბარათოვისა.—
მკვიდრო ბირთვიზო, ვინ იცის რავდენ
მოწმობ ძველ დროებს, მათ ცვლილქებასა?...“

შენიშვნა: დაწერილია „1840-სა წელსა. ს. ალგეთს“.

20. „შიმშილით გამხრჭვალაი ძალ-ქაცი.—

ერთი უბანი დამდაბლებული
იყო ძალისგან გაფუჭებული...“ 17rv.

შენიშვნები: 1. დაწერილია „29-ს თებერვალს, 1866-სა წელსა, ქ. ტფილისს“
(ფანქრით).

2. ეს არაკი შეთხზულია ივანე კერესელიძეზე (იხ. ლ. ქუთათელაძე,
ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები (ანბანური ბიბლიოგრაფია), საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის მთაბზე, ტ. XIV-B, 1947, გვ. 277.

21. „ჩემს ქალს დარიას.—

აი ძლივ-ძლივა მოვა ნარნარად,
თან მოაქვს ღმერთას შუწნება წყნარად,
მით დაღალულა...“ 18r.

შენიშვნები: 1. ავტორი წერს: „ამის მესამე ლექსი ველარ მოვიგონე. ის პირულათ თქმულია—ი. არ გიცი სად დამეყარგა ორივე ეს ლექსი? ეს მაიკოს ლექსი კი მოვიგონე“.

2. სათაურთან: „ჩემს ქალს დარიას“ ავტორი ფრჩხილებში ათავსებს შემდეგ განმარტებას: „გაუთხოვარი იყო, ბალიდან მორთული მოდიოდა საღამოზე“ [ეს ლექსი მაშინ დაეწერე—ლ. ქ.].

22. „ჩემს ქალს მაიკოს.—

[მაიკო]: შრომნებო, ამ დღით აბა რა გინდათ?

არ დამაძინებთ? ი, შეგარცხენათ...“ 18r.

შენიშვნები: 1. ამ ლექსის სათაურთან ავტორი ახეი განმარტებას იძლევა: „ეს, ყბაწვილი იყო. დილის გამოღვიძებაზე კარზე, მოაჯირზე რომ გამოვა“ (!18r).

2. ალექსანდრე ორბელიანს ლექსები თავის ქალებზე (დარიასა და მაიკოზე) დაწერილი აქვს 40-იან წლებში.

23. „საყუარელს მეუღლეს უცხოებიდან.—

მახსოვს შენი ნაზნი ჳმანი, შენთა ბაგეთ ნაზ-მღიმარი,

ყურთა მესმის იგივე ჳმანი, ჩანგებრ უცხო, ვით მხმობარი...“ 19r.

შენიშვნები: 1. დაწერილია „17-ს აგვისტოს, 1835-ს წელსა, ქ. ორენბურღს. ხელმოწერილია: „შენი ალექსანდრე“.

2. ესა, და ხემთა მოტანილი ლექსები თავის ქალზე, ფანქრითა აქვს ნაწერი.

24. „გორაციოსაგან რომაელებთანა (რუსულიდგან თარგმანი).—რომელიცა განშორებულს მეგობარსა მორყენის (ამბობს გორაციო), რომელიცა განსაკდელში შთავარდნილსა არა შეეწევა, რომელიცა არავისა დაინდობს, რომელსაცა ენასა ზედა გადმოსდის ჩაგესლებული სიტყვები...“ 16v.

შენიშვნები: 1. თარგმანი ეკუთვნის ალ. ორბელიანს.

2. კრებულში ალ. ორბელიანის ხელით ჩართულია: „ჩემის ძმის ვახტანგისაგან თქმული 1834-სა წელსა, საწყალი ბუღბუღი:—

ერთს განშორებულს მშენიერს მტილსა,

ვარდი ჰყვოდა ნახუ, ნარნარად...“ (9r).

1640 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, ქურციკის სიყვარული. 1834.

22 ფ.: 35,3 X 21,5; ქალაქი; უყდო; ავტოგრაფი (შავი); 1834 წ. (22r); კასპის ზღვისპირი, კაიდაყის ყურე (22r).

[ალ. ორბელიანი]. „ქურციკის სიყვარული.—

ცის საქანელი კასპიის ზღვასა

დასჭკრეტდა მშვიდად დასვენებულსა...“ 1r—22r.

შენიშვნები: 1. დედანა ნაწორებია ავტორის მიერ.

2. ბოლოში ფანქრით, ავტორის ხელით, მიწერილია: „1834-სა წელსა, კასპიის ზღვის პირზე, ახალ ალექსანდროვის უკრებულენიაში, კაიდაყის ყურესზე“ (22r).

1640 გ

ორბელიანი ალექსანდრე, ქურციკის სიყვარული. 1834.

19 ფ.; 35,3×21,5; ქალღიმი; უყდო; ლაქებიანი; ავტორის ნასწორები ცალი; 1834 წ. (19r); კასპიის ზღვის პირი, კაიდაკის ყურე (19r).

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, „ქურციკის სიყვარული.—
ცის საქანელი კასპიის ზღვასა
დასჭერეტდა მშვიდად დასვენებულსა...“ 1r—19r.

შენიშვნები: 1. თხზულება ბელმთწერილია ავტორის მიერ. 2. იგი დაწერილია „1834-სა წელსა, კასპიის ზღვის პირსა კაიდაკის ყურეზე, ახალ ალექსანდროვკის უკრებლენიაში“ (19r).

(886)

1641

ორბელიანი ალექსანდრე, „სურამის ციხის“ განხილვა. 1840-იანი წწ.

15 ფ.; 35×21,5; ქალღიმი; უყდო; სხვადასხვა მხედრულით (მონაცემობს ავტორისა და სხვისი ხელი); 1840-იანი წწ.

[ალ. ორბელიანი, დანიელ ჭონქაძის სურამის ციხის გან-
ხილვა].—

„დართულს დართული

სულ რომ კაცისკენ, ერთხელ მაინც ეშმაკისკენ (ძუშლად თქმული).

რა იცის კაცმან კაცისა, ანდა როდის რა დაემართება კაცსა? მიდის
გზაზედ კაცი, უცრად წაიქცა, შუბლი ქუას დაჰკრა და ტვინი ზედ შეანთხია.
იჯდა კაცი თავის სწორს-ამხანაგში, და[ა]მთქნარა და მაშინვე მოკვდა. ბევრი
კაცის ბედისწერა ამგუარია.

აბა რა ვიცოდით უბედურის ჭონქაძისა ბედისწერა. ის ჰაეროვანი ყმა-
წილი კაცი ისე ჩქარა გარდაიცვლებოდა?... 1r—15v.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია ავტორის მიერ. დასასრული ასეა შეკეთებული:
„... მართალია, ახლანდელი ჩვენი ზოგიერთის მებატონეებისაგან ბევრჯელ მომბ-
დარა თავის ყმების ძირიანათ აკლება და ჯარიმების წართმევა, მაგრამ ეს ამ-
გვარი საქმეები სრულებით არ მომბდარა ამ ჩვენს ქვეყანაში, ნამეტნავად იმ პი-
რებისაგან, ვისუდაც ამბობს ჭონქაძე. ამგვარს საქმეებსა ძალიან კარგათ გამო-
კითხვა უნდა და მასუკან შეუდგეს წერას, თუ არადა აჩქარებით სოფელი არ აშე-
ნებულა“.

(887)

1642 ა

ორბელიანი ალექსანდრე, ტრაგედია, ბატონიშვილის ირაკლის პირველი
დრო ანუ თავდადება ქართველთა. 1862

63 ფ.; 35×22; ქალღიმი; უყდო; ავტოგრაფი; მხედრული; (დაწერილია ფან-
ქრით; წარმოადგენს შავ ეგზემპლარს); 1862 წ. (61v); ს. კახრეთი (61v); დაუწერე-
ლია 62r—63v.

[ალ. ორბელიანი], „ტრაგედია, ბატონიშვილის ირაკლის პირველი
დრო ანუ თავდადება ქართველთა.“

(ფარდა აიხდება გამოჩნდება ფშაველების მთები, ერთს კლდის ძირში პატარა ვაკე ადგილია, სადაც დილა აღრიან მეფე თეიმურაზ მეორე მოვა და მწუხარების მიხედვის-მოხედვით!):

მეფე თეიმურაზ: ამ მოლაქვარდულს დილაზე რაედენი ხარობს, ამ დაწმენდილსა დილაზე!... რაედენი განსცხრებიან შენგნით, შენ მშუყნიერო დილაო, შენის კაოგის ჰაერიან!... აგერ, რაედენიმე ფარა ცხუარი გამორეკეს სულ ერთიან თოვლსავითა თეთრად ნათელი...“ 2r—61v.

შენიშვნები: 1. უძღვის: შოქმედ პირთა სია (1r).

2. ტრაგედია დაბეჭდილია „ცისკარში“, 1864 წლის მარტის ნომერში; აგრეთვე ცალკე წიგნად აქვს გამოცემული ხ. კიკინაძეს 1877 წელს.

1642 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, ტრაგედია ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა. 1862

48 ფ.; 35×22; ქაღალდი; უკლო; დაშლილი; ნასწორებია ავტორის მიერ; მხედრული; 1862 წ. (2r); ს. კახრეთი (2r); დაუწერელია 14rv, 38rv.

«ალ. ორბელიანი», „ტრაგედია, ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა.

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება ფშაველების მთები, ერთს კლდის ძირში პატარა ვაკე ადგილია, სადაც დილა აღრიან მეფე თეიმურაზ მეორე მოვა და მწუხარებით მიიხედ-მოიხედავს).

მეფე თეიმურაზ: ამ მოლაქვარდებულს დილაზე რაედენი ხარობს...“ 3r—48r.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. „წინასიტყვაობა:—ეს ამბავი ბატონიშვილის(!) ირაკლის დროსა იმითმ ამთვარჩიე მე, რომ იმის ყმაწვილობას მოუხდება ეს ტრაგედია, დროც იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში, მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში, იმ თხუთმეტის წლისამ შეიძინა, მგონია, იმტოლბეცაწვილისაგან სხვა მაგალითი არ იყოს არსად ქვეყანაზედ“.

ხელმოწერილია: „თა“ ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი. 1862-ს წელსა, ხაუხუს, ს. კახრეთს“ (1r—2r).

ბ. „შოქმედ პირთა სია (2v).

2. ხელნაწერის ეს ცალი გატარებულია ცენზურაში. პირველ გვერდზე აწერია: „Дозволено цензурою. Цензор Кайтмазов, 14-го января, 1864 года“ იგივე წარწერა. წყვეტილად, როგორც წესი იყო, გამოვრებულია ხელნაწერის შიგნით, გვერდების მთელ სიგრძეზე.

1643

ორბელიანი ალექსანდრე, ჰუმარტი სიყვარული, შეუერთდა S—1659-ს, როგორც მისი ნაწილი.

888)

1644

ორბელიანი ალექსანდრე, კეთილი ბერიკაცი. 1852

65ფ.; 35×22,6; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული; (ნაწილი გადაწერილია სხვა ხელით; ტექსტი ნასწორებია, შესწორება-დამატებანი განილია მარცხენა, თავისუფალ სვეტში, ბოლო ნაწილი დაწერილია ფანქრით); 1852 წ. (1r).

[ალ. ორბელიანი], „კეთილი ბერიკაცი. პირველი ნაბავი.— ის დრო წარმოვადგინოთ, როგორც იყო ისე. ამ ასპარეზზედ უფრო სხვადასხვა ომის ამბავს იტყვიან, გამოჩენილ ვაჟკაცთ აქებენ და მეფის ბძანებას ველიან, საითკენ ინებებს ამხედრებასაო...“.

შენიშვნები: 1. მოთხრობა შედგება ოთხი «ამბავისაგან» (თავისგან).

2. დასაწყისში მოთხრობილია თბილისის საზღვრებისა და მოზღუდვილობის შესახებ. შემდგომ, ავტორი იგი წაუშლია და ცალკე სტატიად დაუწერია, რომელსაც ეწოდება „ძველი მოზღუდვილება ქ. ტფილისისა“ (ნ. აქვე № 1634, 17).

(689)

1645

ორბელიანი ალექსანდრე, ახლანდელს და უწინდელს დროზე შენიშვნა. 1869

14 ფ. (გვ. 28); 35,3×22,4; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული (ტექსტი ნასწორებია, ნაწერია ფანქრით); 1869 წ. (გვ. 28).

[ალ. ორბელიანი] „ახლანდელს და უწინდელს დროზე შენიშვნა:

1. ღვთისადმი.— ჩუშნი მამა-პაპანი, დიდნი და მცირენი, ღწის იცნობდნენ გონებით, ცისა და ქუეყნის შემოქმედათ და კაცის დამბადებლად...“ გვ. 1—28.

შენიშვნები: 1. უძღვის „წინასიტყვაობა.— აქრასაც წაიკითხამთ. დინაზამთ, რომ სამრიგათ არის გაყოფილი ჩვენი ქართველები: პირველათ ძველს მეფის დროებისას, მეორეთ— იმათ შემდგომ რუსობის დროისას და მესამეთ— გაევითარებულებს ანუ განათლებულებს...“ (გვ. 1).

2. «შენიშვნა» მოიცავს ცალკე გამოყოფილ შემდეგ საკითხებს: „ღვთისადმი, სარწმუნოებისადმი, ეკლესია, მეფისათვის, სასულიეროთათვის, სამართლისათვის, სასწავლებლებისათვის, სასჯელისათვის. საქმე, პატივისცემისათვის, ზნეობისათვის, უშურველობისათვის ქონებისა, გაჭირებისათვის, სახლეულობანი, ნაპოვნისათვის, სახლში ცხოვრებისათვის, ნათესაობისათვის, მეგობრობისათვის, მართალი ლაპარაკისათვის, დავა-საჩივარი, შეყრილობისათვის, მეტვალეები ანუ შპიონები, ქურდობისათვის, ვაჭრობისათვის, ლოთობისათვის, სიძვისათვის ანუ მრუშობისათვის“.

890)

1646 ა

ორბელიანი ალექსანდრე, გიორგი მეთორმეტე, უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან. 1867—1868

34 ფ. (გვ. 67); 35,4×21,9; ქალაღი; უყდო; ავტოგრაფი, მხედრული; (გვ. 31—67 დაწერილია სხვა ხელით—მელნით; ავტორისა—ფანქრით, ჩამატებანი მოთავსებულია მარცხენა, თავისუფალ სვეტში); 1867—1868 წწ. (გვ. 1, 67).

ალ. ორბელიანი», „1867-სა წელსა. გიორგი მეთორმეტე, უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შვირთება რუსეთთან.

(ამისი მთხველის დუბროვინის მიმართ პასუხი).—მე, აქამდისინ არას ვანბობდი, იმ ჩვენის ძველის დაღუპის ნამდვილს საძირკველსა და ჩვენს საქართველოს ზოგიერთს პირებს ვდებდი დამნაშავედ ჩემს სხუას წერილებში...“ გვ. 1—67.

შენიშვნები: 1. თავფურცელზე ავტორის ხელით წერია: „1867-სა წელსა. დუბროვინის მიმართ პასუხი, გიორგი მეთორმეტე“.
2. თხზულება ხელმოწერილია ავტორისგან „თა ა. ვახ. ძე ვ. ორბელიანი“, ხოლო ბოლო ნაწილის გადამწერის შიერ დასმულია თარიღი: „თევსა იანვარსა, 1868-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (67v).

1646 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, გიორგი მეთორმეტე, უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შვირთება რუსეთთან. 1867—1868

34 ფ. (გვ. 68); 35×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, (ნაწერიი ფანქრით, ცალსვეტად; ტექსტი ნახწორებია); 1867—1868 წწ. (გვ. 1, 67);

[ალ. ორბელიანი], „1857-სა წელსა. გიორგი მეთორმეტე, უკანასკნელი მეფე საქართუშლოსი და მისი შვირთება რუსეთთან.

(ამის მთხზულის დუბროვინის მიმართ პასუხი).—მე, აქამდისინ არას ვანბობდი...“ გვ. 1—68.

შენიშვნა: ხელნაწერი წარმოადგენს S—1646 ა-ს შავს.

1646 გ

ორბელიანი ალექსანდრე, პასუხი პლატონ იოსელიანს „გიორგი XIII ცხოვრების“ გამო. 1867

13 ფ. (გვ. 26); 35,5×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრულ (დაწოილია ფანქრით, ცალ სვეტად); [1867 წ.].

[ალ. ორბელიანი, პასუხი] „პლატონ იოსელიანსა.—

პლატონ იოსელიანმა წამიკითხა ამ 1867-სა წელსა, აპრილის თუშსა, თავისი ამ ახლოხანების თხზულება: საქართუშლოს მეფის გიორგის მეცაქმეტეს ცხოვრება. წამიკითხა შიგადაშიგ; აქა-იქ, სადაც მეფე ერეკლე მამა მეფის გიორგისა, დამდაბლებულია...“ გვ. — 26.

1647

მორიგე ჯარის განჩინების თარგმანი. გადატანილია რუსულ ხელნაწერთა ფონდში Ros125.

1648

საყადლანიშვილს აღწერა, აგრეთვე საბუთები მამულის ნასყიდობის, მანულის ზოცებისა და ყნის მანულის გაცელის შესახებ. გადატანილია დოკუმენტების ფონდში Sd—2279—2300, 2302, 2315.

(891)

1649 ა

ორ ბელიანი ალექსანდრე, ეპიზოდები ერეკლე მეორის ცხოვრებიდან, 1846

25 ფ.; 35×22; ქალაქი: უყდო; დაშლილი: ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ნაწილი ფანქრით, ნაწილი—ხელნით; ტექსტი ნასწორებია; 1846 წ. (25v).

«აღ. ორ ბელიანი», [ეპიზოდები ერეკლე მეორის ცხოვრებიდან]:

1. „მეფის ირაკლის მეორის პირველი სიყვარული ქალისა.—ეს ყმაწვილი კაცი მხნე-გულოვანი, მტერთა ზიმომბნეველი, სრული ნათელ-გონიერი მხიწვია ნადირშამ ჩვიდმეტის წლისა; ვისთანაც დიდად გამოიჩინა თავი ინდოეთში, თავის ქართველებით...“ 1r—2v.

2. „მეფის ირაკლის პატარა ჯიბის ბოხჩა.—მეფე ირაკლი მეორე ჯარიანობაში არის, გადაწხტარი გაფოთვლილს ხის ქვეშ, ზის ნაბაღზე, აქეთ-იქით ჩამწკრივებით უსხედან თავისი გამოჩენილი კაცები. თავზნდაც ადგანან მთიელი ოჯახის შვილები, აგრეთვე ბარის კარგი ქართველები და სხუადასხუას ამბავს იტყოდიან. ესენი სულ იარაღით არიან...“ 3r.

შენიშვნა: ხელნაწერილია: „აღ. ალექსანდრე ვახ. მეფ. ორ ბელიანი“ (3v).

3. „ხუთი წლის ბატონიშვილი(!) ირაკლი (შემდგომად საქართველოს მეფე ირაკლი მეორე).—თურნე იმაე სიყრმითვე ეტყობოდა ჭკვა, ვაჟკაცობა და მაგარი ხასიათი. ჭკვა ამაზე ეტყობოდა, რომ შინაურობაში გაკვირვებული ყოფილიყვნენ ხუთი წლის ყმაწვილის ჭკვიანს ლაპარაკზედა და იმის პასუხის მიგებაზე...“ 4r—25v.

შენიშვნები: 1. ამ ნაწილში მოთხრობილია ირაკლის არა მარტო ყრმობისა და სიკბაუკის ამბები, არამედ ბატონიშვილობაშივე დაწყებული მისი ზრუნვა საქართველოს კეთილდღეობისათვის, ნუდამ მზადყოფნა კარზე ნონდგარი მტრის მოსაგრივებლად, განდგომილთა დასამორჩილებლად; მორიგე ჯარის შემოღების შესახებ; როგორც საგარეო, ისე შინაურს, საყოფაცხოვრებო საკითხებზე ზრუნვა; მისი შემოსავლისა და საღაროს შესახებ, სასახლის სიდიდე-სიდიადის შესახებ; მეუღის დასწევებისა და გარდაცვალების შესახებ.

2. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „საქართველოს მეფე ირაკლი მეორე ღირსია ცალკე ისტორიისა, ამიტომ რომ იმის დროს ასეთი საშინელება ეხვია საქართველოს ოთხსავე მხარეს, და ეგრეთვე, ასეთი საშინელება ტრიალებდა შინაგანს საქართველოში, რომ, თუ მეფე ირაკლი არ მოსწრობოდა საქართველოს, უთუთო ქარ-

თველნი გათათრდებოდენ და საქართველოს სხვანი წარბატებდენ, მაგრამ მეფე ირაკლიმ ორმოცდაათობმეტ წლამდისინ იმეფა და არა რომლის მტრისაგან თავი არ დაიხარა.

მე იმისი ამბავები რაც გამეგონა, ცალკალკის აღწერით დავწერე, მაგრამ, რაც იმისი ამბავები მე დამიწერია, სწორეს და ნამდვილის გამოკვლევით არის დაწერილი. ესე ჩემი აღწერილები არა თუ ისტორია არის, არამედ ისტორიისათვის აღწერე; ოდესმე მე ისტორიემ რომ დაწეროს მეფის ირაკლის ისტორია...“ (4r).

1649 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, ალა-მამადხანის შემოსულა ქ. ტფილისში. 1844

03+22 ფ. (გვ. 44); 34,5×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1844 წ. (1r).

[ალ. ორბელიანი] „ალა-მამადხანის შემოსულა ქ. ტფილისში (1795-სა წელსა, სექტენბრის 11-სა დღესა).—მინამ ალა-მამადხან მოვიდოდა, ოთხი თუ ხუთის წლისა წინათა, მეფე ირაკლი ქართლში მიბძანდებოდა ორი ათასი რჩეული ქართულის ცხენიანის ჯარითა...“ გვ. 1—43.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. „შესაკალი.—ალა-მამადხანის შემოსულა ქალაქ ტფილისში აღწერე 1844 წელსა და შემდგომად მეფის გიორგის ძის ბატონიშვილის თეიმურაზისაგან დაწერილი ვიშოვე; ალა-მამადხანის შემოსულა ქ. ტფილისში; წავიკითხე და გავკვირდი, ამისთვის რომ მცირედი მზგავსება არა იყო რა იმის და ჩემს აღწერაში...“ (01r—03v).

შესავალი დაწერილია „1850-სა წელსა ქ. ტფილისს“ (03v).

ბ. „წინასიტყუაობა.—რამდენის მომწრე პირებისაგან გამიგონია ალა-მამადხანის შემოსულა ქ. ტფილისში, რომელსაცა იმათგან შემიკრებია ეს ამბები და აქ აღმიწერია. მაგრამ ზოგიერთის მეფის ირაკლის წინააღმდეგებისაგან სულ სხუა რიგათ გამიგონია, რომ მეფის ირაკლის სწორე და მართალი საქმე დაჭარონ და იმის ღირსება მოსკონ...“ (1r).

წინასიტყვაობა ხელმოწერილია. იგი დაწერილია ფანქრით, მარცხენა, თავისუფალ სვეტში.

2. ეს თხულება დაბეჭდილია „მოამბის“ 1895 წლის აგვისტოს ნომერში სათაურით: „ალა-მამადხანის შემოსევა ტფილისში“; აგრეთვე გამოცემულია ცალკე წიგნად (იხ. ამონაბეჭდი „მოამბიდან“, 1895 წ., გამოცემა ქართველთა ამხანაგობისა).

(892)

1650

ორბელიანი ალექსანდრე, თელავი. 1857

31 ფ. (გვ. 62); 35×22,3; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1857 წ. (გვ. 62).

„ალ. ორბელიანი“, „თელავი.—ერთს მცირეს კარგს ადგილს ნახავს კაცი. როგორ მოეწონება, როგორ უაღერსებს იმ ბუნებას და როგორის

კმაყოფილებით განსცხრება იმაზედ... აბა მოეხედოთ თელავს, ამის მდებარეობა გაეჩნრიკოთ...“ გვ. 1—62.

შენიშვნა: თხზულება ხელმოწერილია: „თა ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი; დაწერილია „1857-სა წელსა, ყუარელის ციხეში, თვეს აგვისტოსა“.

(893)

1651

ორბელიანი ალექსანდრე, მეფის ირაკლი მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან. 1851

13 ფ. (25 გვ.); 33 (22,3; ქალღი: უყდო; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1851 წ. (გვ. 25); თბილისი (გვ. 25).

«ალ. ორბელიანი», „მეფის ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან.—მეფე ირაკლის ჰყუნდა სამი ცოლი; პირველი თავადი ხეიძის ქალი იმერეთიდან, მეორე თავადი აბაშიძის ქალი და მესამე დადიანის ქალი მეგრელიდან. პირველ ცოლთან ჰყუნდა კარგი ვახტანგ (კარგი ვახტანგ იმიტომ რქმევია, რომ მეტი მშვენიერი თულტანადი ყოფილა), მეორესთან—გიორგი და თამარ, და მესამე—დარია ანუ დარეჯანთან, რამდენიმე მამაკაცი და რამდენიმე დედაკაცი...“ გვ. 1—25.

შენიშვნები: 1. თხზულება ხელმოწერილია: „თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი. 1851-სა წელსა, ქ. ტფილისს“.

2. დაბეჭდილია 1914 წელს ს. კაკაბაძის მიერ, წიგნში: „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“.

(894)

1652 ა

ორბელიანი ალექსანდრე, მამიჩემისაგან ღალატი მეფის ირაკლისა. 1867

9 ფ. (18 გვ.); 35,4×22,2; ქალღი: უყდო; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1867 (გვ. 18); თბილისი (გვ. 18).

«ალ. ორბელიანი», „მამიჩემისაგან ღალატი მეფის ირაკლისა.—

განძვინებული აღამამადხან მეფეს ირაკლიზედ მოდიოდა, მაგრამ თან-თურმე უწინოდა: მეფე ირაკლი გონიერი კაცია, ამასთან ნადირშას გასდილი და ამის გამო სიფრთხილით უნდა მოვიქცეო...“ გვ. 1—18.

შენიშვნები: 1. თხზულება დაწერილია: „27-ს მაისს, 1867-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (გვ. 18), იგი ხელმოწერილია ავტორისაგან.

2. გამოცემულია ცალკე წიგნად ს. კაკაბაძის მიერ 1914 წელს.

1652 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, 1811 წლის ქირი საქართველოში. 1867

3 ფ. (6 გვ.); 35,3×22,2; ქალაღდი; უყდო; ავტოგრაფი, მხედრული, (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1867 წ. (გვ. 6); თბილისი (გვ. 6).

«ალ. ორბელიანი», „1811-ს წლის ქირი საქართუშლოში (მგონია ზაფხული იყო?).—მე შაშინ ცხრა წლისა ვიქნებოდი, მე ეს კარგათ მახსოვს. ეს ხმა ყუშლასთვს საშინელი იყო. იძახდნენ: აქ გაჩნდა, იქ გაჩნდა; აქ მოკვდა, იქ მოკვდა; ეს აიყარა, ის წავიდა; ეს დაიხიზნა, ის გაეშურასულ ეს ხმები იყო ზევით, ქვევით ქართლ-კახეთში და ეს ხმები ამ ქალაქ ტფილისში მოდიოდა, სადაც, აქაც იყო გაჩენილი ქირი...“ გვ. 1—6.

შენიშვნა: დაწერილია „27-ს აპრილს, 1867-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (გვ. 6); სტატია ხელმოწერილია ავტორისგან.

(8)

1653 ა

ორბელიანი ალექსანდრე, ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება. 1862

4 ფ. (7 გვ.); 35,5×21,8; ქალაღდი; უყდო; ავტოგრაფი (დაწერილია ფანქრით ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1862 წ. (გვ. 7); კახრეთი (გვ. 7).

«ალ. ორბელიანი». „ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება.—ეს სახელგანთქმული კაცი პირუშლად საქართუშლოში რომ მოვიდა, მაშინვე საქართუშლოს ბევრი პირუშლი გუარის შვილები კაცნი და დედაკაცნი დაიახლოუა და კარგი ძლიერი დასი შეადგინა თავის გარშემო...“ გვ. 1—7.

შენიშვნები: 1. დაწერილია „24-ს ივლისს, 1862-სა წელსა, ს. კახრეთს“ (გვ. 7).

2. სტატია ხელმოწერილია ავტორის მიერ.

1653 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, გივი ამილახვრის გაქცევა ქ. ტფილისიდან. 1867

3 ფ. (5 გვ.); 35,5×22,2; ქალაღდი; უყდო; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1867 წ. (გვ. 5); თბილისი (გვ. 5).

«ალ. ორბელიანი», „გივი ამილახვარის გაქცევა ქ. ტფილისიდან.—ეს უნდა გამოვარკვიოთ, იმისი გაქცევის მიზეზი რა იყო?

ის გივი ამილახვარი ჩვენი სახლის სიძე იყო. პაპიჩემის მაშის ელიზბარ ემიკადაბაშის და ჰყქუნდა ცოლათ; ადრეც და ამ დროებშიაც ჩვენს სახლსა დიდი დამოკიდებულობა ჰქონია ნათესაობით ჯერ მედეს ვახტანგის სახლთან...“ გვ. 1—5.

შენიშვნები: 1. სტატია დაწერილია „9-ს მაისს, 1867-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (გვ. 5). 2. იგი ხელმოწერილია ავტორისგან.

(896)

1654

ორბელიანი ალექსანდრე, ირაკლი მეორის დროის ცოტცოტა ამბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი. 1866

14 ფ. (27 გვ.); 35×22; ქაღალდი; უყდო; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ცალ სვეტად; ფანქრით; ტექსტი ნასწორებია); 1866 წ. (გვ. 27); თბილისი (გვ. 27).

«აღ. ორბელიანი», „მეფის ირაკლის მეორის დროის ცოტცოტა ამბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი. — როდისაც მეფე ვახტანგმა საქართველო დაუტევა და კახეთის მეფე თეიმურაზ საქართველოში გაბეჭდა ნადირშას შემწეობით, სარდალი თავადი ქაიხოსრო ჯ. ორბელიანი (სომხობაში მაშინ ძლიერი შეიქნა მეფის თეიმურაზის შეწვევით) მთელი სომხთაგან კახეთის მეფეს გაუერთდნენ და დიდათ ერთგულთადაც ემსახურნენ, როგორც მამულს, ისე მეფეს...“ გვ. 1—27.

შენიშვნა: თხზულება დაწერილია „სვეტენბერს, 1866-სა წელსა, ქ. ტფილისს; იგი ხელმოწერილია ავტორის მიერ.

897)

1655 ა

ორბელიანი ალექსანდრე, დალისტნიდან ლეკების გამოსვლა ახალციხეში. 1865

14 ფ. (29 გვ.); 35,7×22; ქაღალდი; უყდო; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1865 წ. (გვ. 29); თბილისი (გვ. 29).

[აღ. ორბელიანი], „დალისტნიდან ლეკების გამოსვლა ახალციხეში. — წარსრულს ერთს ჩემს წერილში ვთქვი: ერთხელ როდისმდ ავწერ, საიდგან, როგორ მოდიოდნენ საქართველოზედ ლეკ-ოსმალები. მეთქი...“ გვ. 1—29.

შენიშვნა: თხზულება დაწერილია „სვეტენბერს, 1865-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (გვ. 29).

1655 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, ხაქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან. 1865

6 ფ. (12 გვ.); 35,5×21,8; ქაღალდი; უყდო; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია); 1865 წ. (გვ. 12); ნაღიკი (გვ. 12).

[აღ. ორბელიანი], „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან. — ლევან, მეფის ირაკლის ძე, მესამეს ცოლს (!) დედოფალ დარეჯანთან ნაყოლი; დარეჯან დედოფლის შვილებში ყუელაზე უფროსი ლევან იყო. ეს ლევან ასეთი რამ ყოფილა, თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყო, საქართველო დღეს ამალღებული იქნებოდა...“ გვ. 1—12.

შენიშვნები: 1. სტატია ხელმოწერილია ავტორისგან. იგი დაწერილია: „27-ს აგვისტოს, 1865-სა წელსა, დიდ ყაბართოს, ნაღიკში“ (გვ. 12).

2. დიდ ყაბარდოში ყოფნას ავტორი შემდეგ განმარტებას აძლევს: „ჩემი სიძე და ვით ქობულოვი იქ, ნაჩაღნიკათ რომ გაგზავნეს, ბოლოს, მე და ჩემი ცოლიც იმათთან წავედით“ (გვ. 12).

(898)

1656 ა

ორბელიანი ალექსანდრე. 1829 წლის არეულობა საქართველოში. 1865

9 ფ. (18 გვ.): 35×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად); 1865 წ. (გვ. 18); თბილისი (გვ. 18).

„აღ. ორბელიანი“, „1829-სა წელსა არეულობა საქართველოში.—ახალს მოთხოვილებაზე ჩუშნს ხალხთან ყოფლოჯს სიფთხილეს საქირთა; თუ ფთხილად და მშვიდობის მყოფობით დაიწყება საქმე, თუ მოქმედის პირმა იცის, როგორ მოიქცეს ან რა უნდა თქუას ამ ჩუშნს სახლში, ჩემის აზრით ყუშლას შეისრულეს, თუ მეტად გადამატებული არ არის მოთხოვნილება...“ გვ. 1—18.

შენიშვნა: თხზულება ხელმოწერილია ავტორისგან; იგი დაწერილია „27-სა ნოემბერს, 1865-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (გვ. 18).

1656 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, ქართველების შეთქმულებანი. XIX

14 ფ. (28 გვ.); 35,5×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ბევრია წაშლილი, ჩამატებულია და ნასწორები); XIX საუკუნის 50-იანი წწ.

[აღ. ორბელიანი], „რაც რუსები მოსულან საქართველოში, იქიდგან აქამდისინ ქართულეების შეთქმა...“

პირველი: როდისაც მეფე გიორგი გარდაიცვალა და ხანი რომ გაკოვიდა...“ გვ. 4—28.

შენიშვნა: სათაურის ქვემოთ ფრაზილებში მითაცხებულია მითითება: „ეს შეთქმის ამბები, პრინც ნაპოლ[ე]ონის პრატესტი რომ არის, იმაში უნდა იყოს“.

1657

მოსხენებითი ბარათი გენერალ-მაიორ ივანე პეტრეს ძისადმი იმერეთში გადასულ შეთქმულ ბატონიშვილთა იულონის, ალექსანდრესა და ფარნაოზის შესახებ, მათი თანამოაზრე, თანმხლებ პირთა. სიით (1801 წ.). გადატანილია რუსული დოკუმენტების ფონდში Rosd 3057

(899)

1658

ორბელიანი ალექსანდრე, ეპიტაფია თეკლე ბაგრატიონისა. 1846

1 ფ.; 14,5×22,1; ალაღი; ავტოგრაფი; მხედრული; [1846 წ.]; √ დაუწერილია.

[ეპიტაფია თეკლე ბატონიშვილისა]. — „აჰა ამომან დატკბილწარებან სოფელმან ნასესხი ვალი თუნი მე, სამოცდაათსა წელიწადსა მყოფსა, მთხოვა...“ 1რ.

შენიშვნები: 1. ავტორის მიერ ფანქრით კიდებე მიწერილია; „ბატონიშვილის-დედი ჩემის საფლავის ეპიტაფია, მაგრამ ველარ კი დავაწერეთ“.

2. ამავე ნომრით დაცულია 1846 წლის „Кавказ“-იდან გადმოწერილი ვ. შემიოტის სტატია თეკლე ბატონიშვილის გარდაცვალებაზე (3 ფურცელი, რუსულ ენაზე).

3. მარცხენა კიდებე მიწერილია: „კავკაზიის გახედში(!) თეკლე ბატონიშვილის გარდაცვალებაზე“.

(900)

1659 ა

ორბელიანი ალექსანდრე, ჰეშმარიტი სიყვარული. 1838

124 ფ.; 36×22,5; ლურჯი და თეთრი ქალაღი; უყდო; დაშლილი; თავნაკლუა; ავტოგრაფი, მხედრული (ნასწორები, ნაწერი ერთ სვეტად); 1838 წ. (124 v).

«ალექსანდრე ორბელიანი», „ჰეშმარიტი სიყვარული.

გაიგონე.— ე. წ. უნდა ვთქუა, რომ მგონია საჭირო აღარ იყოს, ახალი ციხის ალექსანდროვიკისა რამე აღიწეროს, რადგან ჩემი წიგნებით წვლილად იცი, მხოლოდ ახლა გთხოვ რომა ესეც გაიგონო:

ახალს ალექსანდროვიკაში, როგორც ვთქვი, ახლა ნაჩაღნიკობს პოდპოლკოვნიკი ლიხაშოსტოვი, რომელიცა კასპიის ზღვის ცამეტს სულნასაცის ბრძანებლობს...“ 1რ—40ვ.

შენიშვნები: 1. თხზულება ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. დასაწყისში აკლია ოთხი თავი, ამაზე მიუთითებს ასო ე, რაც თავის (თუ თხრობის) აღმნიშვნელია.

2. ბოლო გვერდები ავტორის წაუშლია და სანაცვლოდ დაუწერია ორი ახალი ფურცელი, რომლის დასასრულს აღნიშნულია: „ეს აღწერილობა დავასრულე 1838-ს წელს ქ. ორენბურგის. ამ წელს, 2-ს ნოემბერს წამოველი იქიდან კავკაზის ლინიაზე, 7-ს ლინიის ბატალიონში გადამიყვანეს“ (124 v).

3. ამ თხზულების დასაწყისი (პირველი 40 ფურცელი) წარმოადგენდა ცალკე სხვა (S—1643) ნომრით დაცულ ერთეულს. იგი შეუერთდა მის ნაწილს (S—1659 ა-ს) ეს უკანასკნელი იწყებოდა მეცხრე (თ) თავით და ქვესათურით „გაიგონე“.

1659 ბ

ორბელიანი ალექსანდრე, ჩემი შეცთომილება ანუ ჩემი ცოდვანი. 1869.

90 ფ. (გვ. 180); 35×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად); 1869 წ. (გვ. 180); თბილისი (გვ. 180).

«ალ. ორბელიანი», „ჩემი შეცთომილება ანუ ცოდვანი.— უკეთუ განზადებული ვართ, სხვს ნაკლულევახებას ანუ სხვს ცოდვასა ადვილად აღვწერთ, ანუ ვიტყვთ, ჩუშნი რალა არის, რომ ჩუშნის ჳელით. აღიწეროს ჩუშნი ცოდვა?...“ გვ. 1—180.

შენიშვნა: ხელმოწერილია: „თა ა. ვახ. ძე ორბელიანი. 3-ს სექტემბერს, 1869-სა წელსა, ქ. ტფილისს“.

1659 გ

ორბელიანი ალექსანდრე, ცოტა ჩემი გამოცდილებანი. XIX
(კრივის აღწერილობა)

11 ფ.; 35×22; ქალაღი (სხვადასხვა ზომის); უყდო: აეტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ცალ სვეტად, ნასწორებია ფანქრით); XIX ს. 50-იანი წწ.

რითაც ვმდიდროფ, იმით ვხაროფ (რუსულიდან).

[ალ. ორბელიანი], „ცოტა ჩემი გამოცდილებანი.—თითქმის მე მაშინა ვარ დაბადებული, როდისაც საქართველო რუსეთის გელმწიფე ალექსანდრემ მიიღო და თავისი სასამართლონი გახსნა საქართველოში...“ 1r—11v.

(901)

1660

ორბელიანი ალექსანდრე, ჩემი ტფილისის ქალაქიდან
გამოსვლა. 1834—1840

41 ფ. (82 გვ.); 35×22; ლურჯი ქაღალდი; უყდო; აეტოგრაფი, მხედრული (ტექსტი ნასწორებია აეტორის მიერ); [1834—1840 წწ.].

[ალ. ორბელიანი], „ჩემი ტფილისის ქალაქიდან გამოსვლა.—მოვიდა ის დღე, რომელსაცა მოველოდი. დაფარულნი სულთქმანი მეს-შოდა ჩვენს სახლში მისგან, რომლითაცა ვცხოვრებ.“

— ჩემო ს.ანდრო, დღეს უნდა განვიყარნეთ და გამშორდებ? მითხრა ჩემმა ეკატერინემ...“ გვ. 1—32.

წყდება: „... 16 ვერსტი 38-სა მინუტზე გავიბინეთ და შუადღის დროს გულიევის ქალაქში შევედით...“

(902)

1661

ორბელიანი ალექსანდრე, წიგნი მშობელთან. 1834—1839
(საქართველოს მეფის ირაკლის ასულს თეკლას)

100 ფ.; 35×22; ქალაღი (სხვადასხვა ზომის); უყდო; ბოლონაკული; აეტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ცალ სვეტად, ნასწორებია ფანქრით); [1834—1839წწ.].

[ალ. ორბელიანი], „წიგნი მშობელთან, საქართველოს მეფის ირაკლის ასულს თეკლას.—გადავდებული თქვენი შვილი ჩემს ამბავს გიამბობთ, როგორი მოგზაურობა შემემთხუა ამ ჩემის შორის გზითა... ქ. ტფილისის რომ განეშორდით, საბურთალოს მინდორზე გამოვედით...“ 1r—100v.

წყდება: „... ისე კარგათ რომ ვიყავი ნაჩაღნიკისაგან ანუ ღობტური-საგან მიღებული, იმათი კარგი მამაგონდა, ამან შემაწუხა და იმათაც ცრემლი მოუვიდათ თვალებში...“

შენიშვნა: „წიგნი მშობელთან“ წარმოადგენს სამოგზაურო ქანრის თხზულებას.

(903)

1662

ორბელიანი ალექსანდრე, რუსების დასი ქართველები ჩემზე. 1862—1866

8 ფ. (16 გვ.); 35,5×22,2; ქალაღდი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ტექსტი ნასწორებია); [1862—1869 წწ.].

[ალ. ორბელიანი], „რუსების დასი ქართველები ჩემზე დ.—რა ექნა, რა უყო, ღმერთს ასე დაუბადებია...“ გვ. 1—16.

(904)

1663

ორბელიანი ალექსანდრე, ჩემი ქალი მარიამ. 1862

24 ფ. (48 გვ.); 34×22,2; ქალაღდი; უყდო; კიდემემომწვარი; ავტოგრაფი (ნაწილი სხვა ხელით), მხედრული; 1862 წ. (გვ. 42); დაუწერილია გვ. გვ. 43, 44, 46.

«ალ. ორბელიანი», „ჩემი ქალი მარიამ (ყმაწვილობისა მაიკო).— შე ასე მგონია, მთელს ქვეყანაზე ერთი სახლეულობა არ იყოს, რომ თავის შინაურს სახლეულობაში ისტორია არა იყოს რა, ანუ მოთხრობა მცირედი ანუ დიდი, სარწუხარო ანუ სასიხარულო...“ გვ. 1—42.

შენიშვნები: 1. ტექსტი 35-ე გვერდამდე გადაწერილია ალ. ორბელიანის უფროსი ქალის დარიას ხელით. შემდეგ კი სხვა, უცნობი ხელი გასდევს ბოლომდე (ნასწორებია ავტორის მიერ).

2. ხელმოწერილია: „თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი“; ავტორი თარიღთან შენიშნავს: „ამ დამდეგს წელს ძლივ გავათავე ესა, 27-ს იანვარს, 1862-სა წელსა, ქ. ტფილისს“ (გვ. 42).

3. ერთვის ავტორის ხელით დაწერილი ეპიტაფია და ღექსი თავის ქალზე:

ა. „უბედური მაიკო (მარიამ),—

ქალო კეთილო, უცხოვ. კარგო და მოციმციმო.

უმანკო სძალო ზეცისაო, სათნოვ, ღთისაო...“ (გვ. 45).

მოწერილია: „მშობელი“.

ბ. [ეპიტაფია მარიამ ორბელიანისა].—

„ტრედთა და ყვაილებთა შორის კეთილ-უმანკოება, გიგალობ შენ ღთო!.. მე, გულმყუდროებით, თავადის ალექსანდრე ვაბჯანის ძე ჯ.-ორბელიანის ასულმა მარიამ. რომელიცა პირველ მოველ სოფელსა შინა 1833-სა წელსა, იენისის 13-სა დღესა და ბოლოს მძვინვარე სენმა ხოლერამან მოსპო დღენი იგი ჩემი ყმაწვილ-ქალობისანი 1855-სა წელსა, ოკტომბრის 3-სა დღესა...“ (გვ. 47).

ეპიტაფიის ტექსტი ჩასმულია ფერადებით შესრულებულ ორნამენტულ ჩარჩოში. თავსამკაულიც ყვაილიოვან-ფოთლოვანია, ორსვე მხარეს ბულბულის გამოსახულებით.

ამ ფურცლის მეორე მხარეს ალექსანდრეს ხელით წერია: „პირი. სწორედ ასე დახატული და ასე დაწერილია ამის ნამდვილი—მარმარილო თეთრი. სიგძე აქვს ერთი რუსული აული და ექვსი ვერშოკი; სრგანე სამი ჩარქი და ნახევარ ვერშოკი, რომელიცა ზის თლილს ლურჯ ქვაში და, საცოდავს, საფლავზე აძვეს ფერისცვალების ეკლესიის კარზე ეზოში, ქ. ტფილისს, აელაბარს“.

(905)

1664

ორბელიანი ალექსანდრე, კრებული. 1840

3 ფ.; 36×22; ქალაღდი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული. [1840 წ.].

1. [ალექსანდრე ორბელიანის რუსი ნაცნობები თბილისსა და რუსეთის ზოგიერთ ქალაქში] „ტფილისის ქალაქს“:

1. ვალიხოვსკი ვლადიმირ დიმიტრიჩ—ლენერალ-მაიორი.
2. ეკუბოვიჩი ალექსანდრე ძეოდორიჩ—მაიორი...“ 1r—3r.

შენიშვნები: 1. დასახელებულია 94 კაცი, უმეტესობა სამხედრო პირებია. მათ გვერდით, ზოგჯერ, ცოლებიც არიან მოხსენებული სახელითა და მამის სახელით.

2. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ გვართან ნაჩვენებია (იმ პირის) დამსახურება ალექსანდრეს მიმართ. მაგალითად, ერთგან ვკითხულობთ: „გავესკიო პაველი ივანიჩ, 1835-ს, ივლისის 17-ს ამან გამამხსნა ურალის წყალში დაბრჩისაგან“ (1v).

2. „ჩემი დილის და საღამოს ლოცვა.—ყოვლისა ჩემისა გონებითა და გულით აღმოვალ ზეცად, წინაშე დამბადებლისა ჩემისა...“ 3r.

შენიშვნები: 1. „ლოცვას“ მიწერილი აქვს: „ჩ. ორენბურღში დავწერე 1835-სა წ.“ (3r).

2. რუს ნაცნობთა სია აღ. ორბელიანს შედგენილი უნდა ჰქონდეს გადასახლებიდან დაბრუნების უმაღლეს (1840 წ.), ხოლო 1835 წელს დაწერილი „ლოცვა“ ამ სიის ბოლოს, თავისუფალ ადგილზე, მას მოუთავსებია შემდეგ.

3. გარეკანზე ალექსანდრეს ხელით მიწერილია:

ა. „ერთი თავხედი კანპანია—
თავზედ ზის გიჟი,
უფრო სწორეთ ვთქუათ
სულ გიჟზედ გიჟი“.

ბ. ც რ უ ს. —
მესმის ვგ სიტყვა და ვგ რწმუნება,
მაგრამ სულ სიტყვი, არ გეკადრება“.

(906)

1665

ორბელიანი ალექსანდრე, პირველი ხოლერა აქ, ტფილისში. 1869

17 ფ. (34 გვ.); 35.4×22; ქალაღი; უყდო დაშლილი; ავტოგრაფი, მხედრული (დაწერილია ფანქრით, ცალ სვეტად; ტექსტი ნასწორებია ფანქრით); 1869 წ. (გვ. 34).

«აღ. ორბელიანი», „პირველი ხოლერა აქ, ტფილისში (1830-სა წელსა, რაც ვიცი ანუ შემხვედრია).—ამ წელიწადის ორი თუ სამი წლის წინათ ამბები მოდიოდა: ინდოეთსა ერთი რაღაც სნეულება გაჩენილა, ძალიან სწყვეტს ხალხსა, რომელსაცა უწოდებენ ხოლერასაო...“ გვ. 1—34.

შენიშვნები: 1. სტატია ხელმოწერილია. იგი ავტორს დაუმთავრებია „9-ს აპრილს, 1869-სა წელსა, ქ. ტფილისს“.

2. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის ნაწერების ანბანური ბიბლიოგრაფია, შედგენილი ლ. ქუთათელაძის მიერ, დაბეჭდილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოაპბეში, ტ. XIV—B, 1947.

1666

ქაქვასიურ ენებისათვის ანბანის შედგენის შესახებ. გადატანილია რუსულ ხელნაწერთა ფონდში Ros 488.

(907)

1667

ლოცვანი. XIX

35 ფ. (ძვ. პაგინაციით 7—10, 17—18, 37—44, 49—104 გვ.); 11×8,5; ქალღმერთი, დაშლილ-დაფურცლული; ჭუჭყიანი; მუყაოს ყდა, დაზიანებული; მხედრული; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; XIX ს. [ქვირნიშანი: 1832-?].

[ლოცვანი], „ლითანია წმიდანებისა. ...წმიდაო აგვისტინე... წმიდაო გრიგოლ განმანათლებლო... წაო ბენედიქტე, ...ბერნარდე ... დომინიკე ... ფრანჩისკე... ლუჩია... ... აინეს ... ჩეჩილია... ყოველნო ქალწულნო... წმიდანო ღთისანო, მეოხ მეყავნ ჩნ! მლხინებელ ზეყავნ, შეისმინე ჩნი...“ 1r—35v.

წყდება: „... რამეთუ იგი თავადი არს წინა განმაგებელი ღმერთი სა[უ]კ[უნ]ო, რომელი ზოვიდა ნებითა მამისათა დასახსნელად შექმნულთა და თქვა: თვითან[!] თავადი ყოფად მლხინებელი ცოდვილთა, სასოება შემნანებელთა მადლებითა განს...“

შენიშვნები: 1. გარდა „წმიდანების ლითანიისა“ ლოცვანში შემონახულია:

ა. „ლოცვა შუალამისა ნერსეს სომეხთ კათოლიკოსისა“ 4r—14r.

ბ. „სიხარულისა საიდუმლო, ყოვლად წა სავარდე.“ 16r-v.

გ. „მწუხარებისა საიდუმლო, ყდ წმიდა სავარდე.“ 20r-v.

დ. „ლოცვა მანასე მეფისა იუდასა, ოდეს შეიპყრეს“, „ლოცვა ტერამენაკალი. 26v—35v.

2. „როგორც შედგენილობა, ისე ტექსტის ენა მოწმობს, რომ „ლოცვანი“ გაქართველებულ სომეხთა „კათოლიკურ“ წრეშია შედგენილი.

მინაწერები: 1. „... შოვი ახალციხელი არის; ართვინელი ტერ-სტეფან მახმან-ოღლი“.

(! ყდის შიგნიდან, გამართული მხედრულით).

2. სომხური მინაწერია 1843 წ. თარიღით. იხსენიება ვინმე სტეფანოვი, — ვფიქრობთ, იგი ართვინელ-ახალციხელი ტერ-სტეფან მახმან-ოღლის ძე უნდა იყოს (ფორხაცის ზედა მხარე).

(908)

1668

შვიდევიზირიანი. XIX

8 ფ.; 22×18; ქალღმერთი; უყდო; დაშლილი; მხედრული; XIX.; 8r-v დაუწერელია

[შვიდევიზირიანი]. „იყო ხემწიფე არაბიანისა კვისარი დიდი, ფრიად. მალალი, მრავლის ქალაქების მპყრობელი; ღეთის მოყვარე. სახელად ივლიტიანე ერქვა. ჰყვანდა მემკვიდრეთ თვისად ერთი ძე მშვენიარი და ლომის მგზავსი...“ 1r—7v.

წყდება: „მაშინ ჩამოვიდა წყნარა მეცხვარე და ამოიღო ხმალი; დაჰკრა ღორსა და მაშინვე მოკლა, წავიდა ხემწიფესთანს მეცხვარე. ხემწიფემ მისცა ქალი, დასწერა ჯვარი, აკურთხა სიკოცხლითვე თვისა სიძე ხემწიფედ

9. ხელნაწერთა აღწერილობა

და დაუტევა სამეფო მათ და თითონ წავიდა უდაბნოსა შინა. აგრეთვე ეგ ფილასოფოსნიც თითოს სიტყვით არ გაკვლევინებენ შვილსა შენსა, მანამ მოსწყდენ სიცოცხლესა შენსა და დასვან შვილი შენი ხემწიფედ“.

შენიშვნები: 1. „შვიდგებირიანის“ ეს ნუსხა აწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 484, № 253).

2 უყდო ხელნაწერი ჩადებულია სქელ თეთრ ქაღალდში, ე. თაყაიშვილის წარწერით: „შვიდგებირიანი“.

(909)

1669

ცერემონიალი დიდის მთავრინას ოღვას ნათლისღებისათვის. XIX

8 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; XIX ს.; დაუწერელია 5—8 ფფ.

„ცერემონიალი ნათლისღებისათვის მისის იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრინას ოღვანიკოლოზის ასულისა.—ოდეს-ცა დანიშნულ იქმნების დღე ნათლისღებისა“. 1r—4v.

(910)

1670

პლატონ, მიტროპოლიტი მოსკოვისა, ეპისტოლე იმპერატორის ალექსანდრე I-დმი. XIX ს.

12 ფ.; 20,5×13; ქაღალდი; უყდო; რვეულად შეკერილი; მხედრული (გამოსაყოფი სახელები ასომთავრულით); XIX საუკუნის პირველ ათეულ წწ.; დაუწერელია 5—12 ფფ.

[პლატონ, მიტროპოლიტი მოსკოვისა. წიგნი... იმპერატორის ალექსანდრე პირველისა მიმართ].—„უაღუსტესო ერთ-მთავრო, ყოვლად უმოწყალესო ჯელმწიფეო! მოხუცებული სკამეონ მექონ იყო ცხოვრებასა შინა თვისსა უნეტარებისა ხვედრისა...“ 2r—4v.

შენიშვნა: თავფურცელი: „წიგნი, მიწერილი და მირთმული იმპერატორის ალექსანდრე პირველისა მიმართ პლატონ ბრძნისა და დიდად სახელოვანისა მოსკოვის მიტროპოლიტისა მიერ მას ჟამსა, ოდეს იგი ნაპოლეონ იმპერატორი, ძრანციტა და სხვათა მხედრობითა მოლაშქრე, წარმოემართა და მოეახლებოდა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს.“ 1r.

911)

1671

დადიანი ნიკოლოზ, ქართული წერის რვეული. 1858

I—II, 23 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო; ორ რვეულად შეკრული; მხედრული; 1858 წ.; ადგილი: ს. პეტერბურგი (1r.); დაუწერელია II, 22—23 ფფ.

[დადიანი ნიკოლოზ. ქართული წერის რვეული].—„სულსა ბოროტ-ჯელოვანსა შინა არა შევიდეს სიბრძნე; არცა ემკ[ჯ]დროს ჯორცსა შინა, თანამდებსა ცოდვათასა...“ 1r—21v.

შენიშვნები: 1. ქართული წერის („სუფთა წერის“) სწავლების ამ იშვიათ ნიმუშს აქვს თავფურცელი, წარწერით:

„თთარატკა მთავრისნიკოლაოზ დადიანისა ქართულის წერისათჳს. 1-ს აპრილს, 1858-ს წელსა. ს. პეტერბურღი.“

2. რვეული ორი ნაწილისაგან შედგება: ა. 1—10 ფფ., ნაწერი უფრო ბავშვური, თუმცა სწორი ხელით. ბ. 11—21 ფფ., გამართული, თითქმის კალიგრაფიული მხედრულით.

3. საყურადღებოა, რომ სავარჯიშოდ გამოყენებულია სულ სამი ფრაზა. ყოველი მათგანი მრავალჯერ არის დაწერილი თითქმის ორმოცამდე გვერდზე.

4. წერის სავარჯიშოს გარდა რვეულში მოთავსებულია გრამატიკის (ქართულის) ნაწყვეტი: „ქართულსა შინა წერილობასა არიან ორგუარნი ასონი: მხედრული და ხუცური და არიან რიცხვით ოცდაათრვათეტი.“

ამათგანი ხუთი, ესე იგი: ან ა, ე. ი. ო, უ—არიან ხმოანნი, ორ ხმოანნიცა ხუთნი: შ, ჯ, ჰ, ჰ, ხოლო სხვანი არიან უხმონი.

ქართულსა შინა სიტყუასა არიან რვანი სიტყუს ნაწილნი: სახელი არსებითი ზედ შესრული, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნის ზედა, თანდებული, კავშირი და შორისდებული.

არსებითის სახელისათჳს სახელნი არსებითნი იქმნებიან:

1. საკუთრებითი, მაგალითებრ, პეტრე, ტფილისი და სხვანი.

2. საზოგადო, მაგალ. კაცი, ქალაქი, მდინარე და სხვანი.

3. შემკრებელობითი, მაგალ., ტყე, ლაშქარი, ჯარი და სხვანი“.

(20r. გადმოწერილია მთლად).

(912)

1672

ფენელონი. ტელემაქი. (ფრაგმენტი). 1834

1, 15 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო; რვეულად შეკრული; ბოლონაკლული; მხედრული; 1834 წ. (Iv); დავით დადიანის დაკვეთით. თარგმნილი რუსული თარგმანიდან (1822 წ. გამოცემა, პეტერბურგი); დადიანების ბიბლიოთეკიდან.

[ფენელონი. ტელემაქი]. „მიმოქცევანი ტელემაქოსისნი, ძისა ულისესი, ქმნილი ფენელონისი.—წიგნი პირველი. კალიპსას ვერ გელეწიფა ნუგეშინისცემად წარსლვისათვის ო[დ]ისისესა...“ 4r—15v.

წყდება: „...მეცადინებდა მხოლოდ კმაყოფად ვნებათა თვისთა, გან. ბნევად ურიცხუთა საუნჯეთა, ესოდენითა ტრფიალებითა მამისა მიერ მისისა დაცულთა, განაჟფად ერთა, წარმოცლად სისხლსა გლახაკთასა და, დასასრულ, შედგომად...“

შენიშვნები: 1. ქართულ თარგმანს წამძღვარებული აქვს რუსული თარგმანის (ფრანგულიდან) 1822 წ. პეტერბურგის გამოცემის თავფურცელი, რომლის ტექსტიც გადახაზულია და ზემოდან ნუსხურ-მხედრულით წარწერილია:

„ქართულად ნათარგმანები იესესი. ითარგმნა ი. მ. გარსევანიანის მიერ. საფასის წარგებითა დავით დადიანისათა. წელსა შობიდან ქრისტესა 1834 წელსა; შობიდან ჩემისასა—მეოცდაერთესა.“

2. ტექსტს წინ უსწრებს: „მოკლედი აღწერა ტენელონის ცხოვრებისა და რაამე მისთა ნაქმართათვის—ტენელონი არს ერთ მათ სახელთაგან, რომელნიცა არიედ ყოველთად საყუარ სადამე...“ 1v—3v.

3. ტექსტი ნასწორებია დავით დადიანის ხელით. (იხ. მინაწერი 2).

მინაწერები: 1. (მთარგმნელისა) „თარგმანებად ვიწყე მე იულისით ი-თ, ჩყლდ—ისით. ი[ოანე] მ[ღვდელ]ი ია სი[?] გ[არსევანი] შვილი ი. ამინ.“ (1v).

2. „კრიტიკა ესე ეკუთვნის და ვიო და დიანს, ლეონის ძეს, ზემკვიდრეს მენ-გრელიისასა“ (4r).

3. „ხუცესო, რაზე წაიწყმიდე სული, ეს კრიტიკა როგორ დასწერე. ნათქუამიანს როგორიც თვთონ არის კაცი, სხვაც ისე გონიან“ (3r).

7913)

1673 ა

ვოლტერი, ალზირა. XIX

1—II, 26 გვ.; 34×23; ქალაღი (ცისფერი); უყდო; მხედრული; XIX ს. დასაწყისისა.

[ვოლტერი]. „ალზირა ანუ ამერიკელი. ტრალედია. მოქმედება პირველი. გამოცხადება ა. ალვარ და გუსმან.“

ალვარ. მადრიტისა უზენაესსა რჩევასა აწლა შენდა უნებებიეს ბოძებად მოადგილობაჲ ჩემი, საყვარელო შევილო! დაუმორჩილენ მდიდარი კერძო ესე ახლისა ქვეყანისა მეფესა...“ 1—26 გვ.

წყდება: გ. (III) მოქმედების ბ (II) „გამოცხადებაზე:“

„ალზირა. — ცაო, რომელმან მაცთუნე მე!.. ეჰა, ვითარ საძაგელსა ვარსკვლავსა ზედა შეაუღლნა მამამან ჩემმან საშინელნი საკრეველნი შენნი!“

შენიშვნები: 1. თავფურცელის შუაგულს, კალიგრაფიული მხედრულით, მსხვილი ასოებით, ჩართულად, წარწერილია: „ტრალედია ალზირასა და ხამორისა“.

2. „ალზირა“ თარგმნილია ალექსანდრე ქავჭავაძის მიერ ფრანგულიდან (იხ. ალექსანდრე ქავჭავაძე. თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ. 1940, გვ. 342).

1673 ბ

გეოგრაფია. XIX

24 გვ. (ძველი პაგინაციით 25—48 გვ.); 35×22; ქალაღი; თავბოლონაკლული; უყდო; მხედრული; XIX ს.

[გეოგრაფია]. — „... რომელნიცა განყოფილ მყოფნი 100 ზედა, მისცემენ ნამდვილ რვაოა დღეთა საცურავთა, რომლისათვისცა იტყვის იროდოტი...“ 1—24 გვ.

წყდება: „...ჭალაქსა ამას ზედა დაადგილებას ერატოსთენოსი ქალაქსა მეორესა, 10,000 უტევანსა დაშორებებითა ალექსანდრიასაგან სამხრეთსა ზედა, სტრაზონოსი გარდაილებს მას 5,000 უტევანსა სამხრეთსა ზედა მზისაგან, რომელიცა შეადგენს გარემო $16\frac{1}{2}$ ღრად[უსსა?] და ფრად მცირედ სხუაობს ჩუქნებათა თანა პტოლომეოსისათა, ჰაზრისა ძლით ერთთასა მიერ იყო 100 უტევანსა ზედა, ხოლო ჰაზრისა...“

1673 გ

პლუტარხოსის თხზულებანი და ცხოვრება. XIX

10 ფ.; 33×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული; სათაფრი მთავრულით; XIX ს.

„მოკლე, ამბავი პლუტარხოსის თხზულთა და ცხოვრებისა.—განათლებულთა და კეთილ-გაწურთნილთა ერთა შორის მცირედნი არიან პლუტარხოსის თხზულთა უკითხავნი ანუ საკმაოდ ჰაზრისა უქონნი...“
1r—10v.

შენიშვნები: 1. პლუტარხოსის ცხოვრების აღწერის ტექსტს ბოლოში დართული აქვს მის თხზულებათა ნუსხა, როგორც „ჩუშნამდე“ მოწეულის, ისე იმ თხზულებათა, რომელთაც ვერ მოაღწიეს ჩვენამდე (10v).

2. ტექსტი ნასწორებია განსხვავებული ხელით.

(914)

1674

ტაციტი კორნელიოს, წელთ-წერა. XIX

14 ფ.: 35×22; ქალაღი: უყდო; 1—2 ფ. მოცილებულია; დანარჩენი—რვეულად შერული; თავისაგან დაღრღნილია 1 ფ.: დანესტიანებულია განაკვეთ ადგილას; ნაკლული; მხედრული; დაწერილია რუსული თარგმანიდან მთარგმნელის იოანე გარსევანიშვილის ხელით; [XIX ს.].

«ტაციტი კორნელიოს. წელთ-წერა. ... წიგნი მეათერთმეტე.»—„... თვისითა არა ეყო იგი კნინლა განსათარღველად. XXIII კონსულთა ახე ა: ვიტალიოსისა და ლ... 1r—14v.

წყდება: „...ეოლოლოს მისთვის არა ჰყო ჯერეთ ვითარიმე ძრუქაქ, რ ირჩევს ცილობასა ამას გარდაწყუტად მართლმსაჯულებითა, ვიდრე-ლა...“ 14 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერში არის ტაციტის „წელთ-წერის“ XI წიგნის უკანასკნელი 4 გვ. (1r—2v), XII წიგნი მთლიანად (3r—10r) და XIII წიგნი, ბოლონაკლული (10v—14v); ტექსტი წყდება XIII წიგნის XXXVII ნაწილზე.

915)

1675 ა

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი (ფრაგმენტები). XVII—XVIII

2 ფ.: 32×20; ქალაღი; მეტად დაზიანებული; უყდო; მხედრული; XVII—XVIII ს.

[ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტები].

1. „ჩვენ სამთა ძმათა, ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით.

მით ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით...“ 1r-v.

წყდება: „და ასრე მწარედ მათრავითა ჩამოგვეფრიწა არ ვმალ ხებით...“

შენიშვნები: 1. ფრაგმენტი შევადართ ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ (იხ. ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით 1956 წ.), მოიცავს 282—289 სტროფებს.

2. 1937 წ. აკადემიურ გამოცემასთან შედარებით მეტია 2 სტროფი:

„რა მათ კაცთა ესე სიტყვა თქვეს, ავთანდილ ვაგლაბ ვება,

მოგონა მისი მზე და მეფესთანა მისი შება,

ჰე მოგშორდი, ჩემო მზეო, მამხუდეს შენი თუ შოვება,

და რყო ჩენთა კირთა ნაცვლად ნეტარ მე და იშოვება.“

(ს. ყუბანეიშვილის გამოცემის 286 სტროფი).
 „ჩვენ მისითა მიზეზითა აწ ვართ ღომო შეჭირვებით,
 ცაცა მისად არა ჰკვირან, მივიდოდა თავის ნებით,
 შესაპყრობლად ჯელი ვჰკადრეთ, მაგრა მეტად შეზარებით
 და ასრე მწარედ მათრავითა ჩამოგფერიწა არ ჯმალ ხებით*.
 (ს. ყუბანეიშვილის გამოცემით 289 სტროფი).

2. „ესე ამბავი მართალი პირმზემან, პირად ვადა[მ]ან
 რა მოისმინა, იამა, სხედ არა გაუტხადა მან...“ 2r-v.
 წყდებ: „ფატმან ყელსა ეხვეოდა, პირსა მზესა აკოცებდა...“.

შენიშვნები: 1. ფრაგმენტი მოიცავს ს. ყუბანეიშვილის გამოცემის 1429—
 —1436 და აკადემიური გამოცემის 1244—1251 სტროფებს.

2. ფრაგმენტები აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იხ: Описание, ტ. II, გვ. 393.

1675 ბ

ლექსები. XIX

1 ფ.; 36,5×24; ქალღიმი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; (კვირნიშანი: 18...).

1. [ლექსი]. „ეტრფის გული მზისა ხალთა,
 ლამაზთ თვალთა, შავთ, მაყუალთა...“ 1r. I სვეტი,

შენიშვნა: 1. ლექსი შვიდი სტროფისგან შედგება. ყოველი სტროფი თავდება:
 „ულთოდ მკლავს იგი;
 არ არის რიგი“

2. I სვეტის ტექსტის ბოლოს: „შეწიერთა ჯელმწიფას“ მეორე ხმაზედ რომ ამბობენ,
 იმაზედ ითქმის“.

3. ხელნაწერი აღწერილია (იხ. ე. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, გვ. 393,
 № 194,2).

2. „გარიელი.“

— აწ შემობრალეთ ყოველმან,
 სხივით დამწვა მზემ, ცხოველმან...“ 1r, II სვეტი.

შენიშვნა: 1. ეს ლექსიც 7 სტროფისგან შედგება. ყოველი სტროფი თავდება:
 „ხამს ისევ მას შეესტირო და
 სულიც მასვე შეესწირო და“.

2. ამ ლექსს თავში ლამაზი ხელით წარწერილი აქვს [ინიცია-
 ლები?] „ი. ფ.“, იხ. S—2675 გ-ს აღწერილობის შენიშვნა 2.

1675 გ

ლექსი. XIX

1 ფ. 22×17; ქალღიმი; უყდო, თავისისაგან დახიანებული; მხედრული; XIX ს.

1. „ბოთსალ ბეჩინარის ხმაზედ.
 ოე, მუხთალო აბოლონ, ცეცხლი მაგზნევ ფარული.
 ჟამგრძლად ვერ შეიშენიე მიჯნურის სიყვარული...“ 1r.

შენიშვნა: 1. მსგავსად 1675 გ-სა, ამ ქალაქის რ-ხედაც წარწერილია „ი-ფ“.

2. „მაისის ვარდმანის ხმაზედ.
— ამომ ამან სოფელმან,
მუხთალმან, დაუნდობელმან,
ყველას შეაძაგა თავი,
ბილწმან, წუწქმან, საგმობელმან...“ 1ვ.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილია (იხ. ე. თაყაი შვილი, Описание, ტ. II, გვ. 393, № 194 (-1675).

(916)

1676

ჩუბინაშვილი ნიკოლოზ, იერუსალიმის ჯვარის მონასტრისა და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. XIX

ჯვარის მონასტერი იერუსალიმში.—2 ფ.; 21,5×18 ქალაქი; უყდო (მიკრებულია დიდი ზომის 4 ფურცელ ქალაქზე—იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ტექსტით—იხ. ქვემოთ, ბ. მხედრული; XIX ს.

„შემსა ყოფისა ჩნისასა წასა ქალაქსა იეროსალიმს 1845 წელსა, მაისის 3—4 და შემდგარა რაოდენგზისმე წარვედით მოხილვად ჯრის მონასტრისა, რომელიცა არს საველი ნახევარ ჯამისა და ძველად დაფუძნებულ არს ქართველთაგან, ვ[ითარ]ცა აღწერს მოსრული აქა 1757.—1758 ქართველი მთავარეპისკოპოსი ტიმოთე...“ 1რ—2ვ.

წყდება: „... და მუნიდამ მიიღებენ მლოცველნი მიწასა ევლოგიად“.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ამ ნაწილის ტექსტი ზედმიწევნით შეესატყვისება ა. ცაგარლის მიერ 1894 წ. გამოქვეყნებულს (შდრ. Сведения о памятниках грузинской письменности. А. А. Цагарели. Том I. Выпуск третий. Спб., 1894, გვ. 44—46).

2. გამოქვეყნებული ტექსტისაგან განსხვავებით ხელნაწერი ბოლონაკლულია: აკლია ნაბეჭდი ტექსტის გვ. 46-ის უკანასკნელი ორი სტრიქონი და 47-ის დიდი ნაწილი შემდეგ ფრაზამდის (ჩათვლით): „ბერძულად უფრო ვრცლად სწერია, მაგრამ ვერ გადმოვსწერე“.

3. 2v-ს ტექსტის ბოლოს. ცარიელად დარჩენილ არეზე, მარჯვენა მხარეს, ირიბულად მიწერილია: „პლ-ის-ნისა [პალესტინისა?]. დაბეჭდილია „ივერიაში“, 1889 წ.“

ბ

ჩუბინაშვილი ნიკოლოზ. ჯვარის მონასტრისა შინა შენახულთა წიგნთათ. XIX

3 ფ.; 34×23; ქალაქი; უყდო; წერილი ძაფით მიწერებული ხეშთ აწერილ 1676 ა-ზე. მხედრული; XIX ს.

„1. საკითხავნი დღესასწაულთანნი 8 და 14 სექტემბერს, 21 ნოემბერს. ესენი არს თარგმნილი ეფრემისა...“ 1რ—3რ.

შენიშვნა: 1. პროფესორი ა. ცაგარელის ხსენებულ ნაშრომში ეს ტექსტიც გამოქვეყნებულია მთლიანი ხაზით..

2. ხელნაწერი ტექსტი ნაკლულია: მას აკლია ა. ცაგარელის Свед. III გამოშვების გვ. 47-ის ერთი დიდი აბზაცი.—„როს შევედით ეკკლესიასა[!] ტაძრისასა, სადაც არს ბიბლიოტეკა.. ამ წიგნებიდამ გავსინჯეთ ვიდრე 30-მდინ და რაც-მათ შინა ვნახეთ ღირსაწსოვარი, გამოვწერეთ ესრეთ“:

გარდა ამისა ნუსხას შიგნითაც აკლია: § 11-ს მისდევს § 15 (გაშთოვებულია 12—14).

3. ხელნაწერის ტექსტი ასწორებს ა. ცაგარელის წიგნში გამოქვეყნებული ტექსტის ზოგიერთ შეცდომას. მაგ. § 16 „სვინაქსარის“ აღწერილობია პირველ 4 სტრიქონში შეპარულია რამდენიმე უხეში კორექტურული შეცდომა. ხელნაწერში ეს ოთხი სტრიქონი ამგვარად იკითხება: „16. სვინაქსარი, ეტრატხედ, რომლისაც ბოლოს სწერია: ჯვარის მამამან ნიკიფორე კახმან. მანგლელმან თეოდორე, მღვდელ-მონაზონმან მარკოზ, დიაკონმან ევსევი და პავლე, იკონომოსმან ილია—დავახატივინეთ ჯვარის გუმბათი და კედლები და სახლები და გალავანი დაქცეული გაუკეთეთ..“

4. შდრ. 1889 წ. გაზ. „ივერია“, №№ 70, 72, 73, არისტოქეთთა თედოსის „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“ (ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845-დე).

წერილში წარმოდგენილი ზოგიერთი ცნობის მცდარობისათვის იხ. А. А. Цагарели, Сведения... Т. I, Выпуск третий, Спб., 1894, გვ. IX.

შდრ. აგრეთვე А კოლექციის 1767, გვ. 141—143 (იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“ (А კოლექცია), ტ. V, თბ., 1955, № 1767, § 43.

(917)

1696

გრიგოლი ღვთისმეტყველი, თხზულებანი. XI

278 ფ.; 37,5×27,5; ეტრატე; ნაკლული; აკლია დასაწყისში ეტრატის 19 რვეუში (152 ფ.), და შიგნით ლორვეულის 4 ფ. (160—165 ფ. შუა); ნაკლული ფფ. ნაწილობრივ შევსებულია: დასაწყისში 1—6 და შიგნით 161—164 ქალაღის ფფ. XI ს. დამაბასიათებელი ნუსხურით; სათაურები სინგურით, XI-ს. მრგვლოვანი; [XI ს.]; ტეიფრული ტყავით შემოსილი მაგარი ფიცრული ყდა მოშლილია; მოშლილია აგრეთვე ეტრატის რვეულები: კ—ნდ. გრიგოლ წერეთლისეული (1r).

1. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩწისა გრიგოლი ღწმეტყუშლისა. ნათლისღებისათჳს, რომელი იკითაჳს დღესა მეორესა. გუაქურთხენ, უფალო! კურთხეულ არს ღმერთი ჩწნი ყოვლადე, აწ და მარადის.—გუშინ, ბრწყინტალესა მას ნათლისღებისა დღესა, აღეასრულეთ კრებად...“ 1r—26r.

შენიშვნები: 1. პირველი ექვსი ფ. (1—6) ქალაღდისა არის; როგორც ეტყობა გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულის დაკარგული ნაწილის (19 რვეულის) ნაწილი აღდგენილი უნდა იყოს XVIII ს.

2. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი, შდრ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ. 1941, გვ. 593, §14, და თ. ყორღანია, ОPLIM I, А კოლექც. № 1 აღწერილობა, 374—404 გვ.).

2. „თქმული წწისა და ნეტარისა მამისა ჩწისა გრიგოლი ღწის მეტყუშლისაა გრიგოლის მიმართ ებისკოპოსისა ნოსელისა, ძმისა წწისა ბასილისა, რომელი იგი მაშინ მისრულ იყო სტუმრად ნეტარისა გრიგოლი ღწის მეტყუშლისა, ოდეს იგი ღმერთ-შემოსილმან ბასილი დაადგინა იგი ებისკოპოსად საყდარსა მას სასიმიისასა და შემდგომად კურთხევისა მი-

ისის ესტუმრა მას გრიგოლი ნოსელი და მისსა მას მუნ ყოფასა აღმოთქუა ესე [სა]კითხავი.—მეგობრისა სარწმუნოდასა არაჲა აზს ნაცვალი არსთაგან ამის სოფლისათა...“ 26r—30r-ს I სვეტი.

შენიშვნა: 1. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი. შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 593, § 15 და თ. უორდანი, OPLM, A კოლექც. № 1 აღწერილ., გვ. 484—493).

3. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღრის-მეტყულისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისაჲ. შესხმაჲ და ქებაჲ წმიდისა ათან[ა]სესი, აღექსანდრიელ მთავარებისკოპოსისაჲ.—ათანასის რაჲ ვაქებდე, სათნოებასა ვაქებ, რ ერთ არს მისი სახელის დებაჲ და სათნობისა ქებაჲ...“ 30r—49r.

შენიშვნა: 1. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი. შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 593, § 16, სადაც შემთხვევით გამოჩენილია N—1696 ბელნაწ. აღნიშვნა.

4. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღრისმეტყულისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისაჲ რნ ებისკოპოსთა მიმართ, რომელნი შეკრბეს კოსტანტინეპოლის, რაჲამს იჯმნიდა იგი პატრი-აქობისაგან. გკურთხენ, უფალო!— ვრ არიან წინაშე თქნსა საქმენი ჩუენნი, #, საყუარელნო მწყემსნო!...“ 49r—63r.

შენიშვნა: ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი. შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 593, § 17.

5. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღრისმეტყულისაჲ. შესხმაჲ დიდებულისა მოწამისა დიმიტრისი, რომელ თქა შემდგომად დღშასაწაულისა მისისა დღითა ერთითა გარეთ შესრულმან კოსტანტინეპოლელ.—ქინლა დიმიტრის დღშასაწაული დაგვთა...“ 63r—68v.

შენიშვნა: დივიტ ბებელის თარგმანი. შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 161 და 595, § 28.

6. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღრის-მეტყულისაჲ. წყლულებისა მისთჳს სეტყჳსაგან მოწვევულისა ქუწყანასა ზედა, ხოლო ესე საკითხავი თქ[უ]ა, რდეს იგი ჯერეთ მამასა თჳსსა გრიგოლის თანა იყო, რ მასცა ესრეთ ეწოდებოდა. იყო მაშინ ნეტარი ესე ხუცეებისა პატიესა და მოწვევულისა მისთჳს სეტყჳსა მამაჲ მისი, ებისკოპოსი ნანძიანძორისაჲ, შეწუხებული დუმნა და ნეტარსა მას ძესა თჳსსა გრიგოლის ამცნო სიტყუათა ამათ ნუგეშის(!)ცემისა და სულიერისა სწავლისათა წარმოთქმად ეკლესიასა შინა ნანძიანძორისსა, ერისა მიჰართ მორწმუნისა. — რად დაჰგნით წესსა სტებელსა? რად აიძულებთ ენასა, მსახურსა შჯულისასა?...“ 68v—80v.

შენიშვნა: ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 593, § 19).

7. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩწისა გრიგოლი ღწის-მეტყუელისაა გლახაკთმოყუარებისათჳს.—კაცნო, ძმანო და თანადერდომილნო, რ გლახაკნი ვართ ყოველნი და საღთოჲსა მადლისა მოქენენი...“ 80v—102r.

შენიშვნა: ექვეთიმე მთაწმიდელის თარგმანი.

(შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 593, § 19).

8. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩწისა გრიგოლი ღწისმეტყუელისაა, კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისაა. სარწმუნოებისათჳს და წესიერებისა ეპისკოპოსთაჲსა არიანოსთა და ევნომიოსთა მიმართ, მწვალებელთა, რომელნი იგი იტყოდეს თუ: „მიწვენულ ვართ მეცნიერებად ბუნებასა ღთეებისასა“ და სხუათა გმობათა მრავალთა იტყოდეს, რომელნი იგი შეაჩუშნა წმიდამან მამამან გრიგოლი და ღმერთშემოსილთა შამათა.—ოდეს ვიხილოწაწინდელი: ესე ენოვნებაჲ და სიტყუა-მქვერობაჲ და დლითი-დღედნი ესე ფილოსოფოსნი და თავით თჳსით დადგენილნი [ღწისმეტყუელნი...“ 102r—109 r.

შენიშვნა: ექვეთიმე მთაწმიდელის თარგმანი.

(შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 594-5 [16(-5)].

9. „თქმული წისა და ნეტარისა მამის ჩწისა გრიგოლი ღწისმეტყუელისაა ძისათჳს, პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილისა. თავი ა. ხოლო საკითხავი ესე სიტყჳს-გებაჲ არს მწვალებელთა მიმართ არიოს და ევნომიოს და მსგავსთა მათთა; და მხილებაჲ უმჯულოჲსაჲ მის და ბოროტისა წვალებისა მათისაჲ.—რაჲ იგი ჯერ-იყო თქუმაღ დასაყენებელად მრავალმეტყუელებისა მის აძაოდ-მეტყუელთაჲსა და გამოცხადებად, ვითარმედ საცთურ არს წარმდებებით მეტყუელებაჲ...“ 109r—119v.

შენიშვნა: ექვეთიმე მთაწმიდელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 594, § 20 [17], სადაც შემთხვევით გამოჩენილია ამ ნუსხის (S—1696) აღნიშვნა).

10. „თქმული წისა გრიგოლი ღწისმეტყუელისაა ძისათჳს-ვე. თავი მეორე.—რ გულის ზრახვათა მათ ბოროტთა გულარძნილობანი, დათხზნილობანი ჯეროვნად დაეჳსნენით ძალითა სულისა წმიდისაჲთა...“ 119v—131v.

შენიშვნა: ექვეთიმე მთაწმიდელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 594, § 21).

11. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩწისა გრიგოლი ღწისმეტყუელისაა. სულისა წმიდისათჳს სიტყჳს-გებაჲ ბოროტთა მწვალებელთა მიმართ.—აწ უკუე ძისათჳს თქმული სიტყუაჲ ესევეთარი არს, ვითარცა გესმა და ესრეთ თანაწარჳდა ქვის დამსხმელთა მათ და განვლო შორის მათსა...“ 131v—149v.

შენიშვნა: ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 594, § 22).

12. „სწავლანი სულიერნი წისა გრიგოლი ღრისმეტყუელისნი, თარგმნილნი ნეტარისა მამისა ჩნისა ევთვიმისნი, თავი ა.—დასაბამად და აღსასრულად ყოველთა საქმეთა შენთა ღმერთი გაქუნდინ...“ 149v—162v.

შენიშვნა: 1. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 594, § 23).

2. 161—162 ქალაღის ფფ., მოგვიანებით ჩამატებული ეტრატის ფურცლის ადგილას, შევსებულია XVII—XVIII ს. ნუსხურით.

13. „თქმული წმიდისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღრისმეტყუელისა მამისა მიმართ თვისსა და ერისა, რომელნი აიძულებდეს მას და არა ინება და წარქვიდა პონტოდ კერძო.—ვიძლიე მე და ძლეულებასა მას ჩემსა აღვარებ...“ 163r-v, 165r—179v.

შენიშვნა: 1. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 594, § 24).

2. 163r—v. ქალაღის ფურცელია, მოგვიანებით ჩამატებული დაკარგული ეტრატის ნაცვლად; იგი დაწერილია XVII—XVIII-ს. ნუსხურით.

14. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღრისმეტყუელისაჲ, შემდგომად ხუცად კურთხევისა მისისა, ვ[იდრ]ე იყო-ლა სახითა მონაზონებისაჲთა. რა მამაჲ მისი ებისკოპოსი იყო ანძიანძორს ქალაქსა, ვითარ ჯელნი დაასხნა მას ხუცად, შეჰხადეს მოქალაქეთა დღესასწაულსა აღვსებისსა, რა მათთანა აღასრულოს. და ვითარ მივიდა, არა პოვნა ივინი კრებულად.—რაჲსათჲს, ძმანო ჩემნო საყუარელნო, უღებ-იქმნენით სიტყუათა მართ ჩემთა?...“ 179v—199v.

შენიშვნა: 1. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 594, § 25 [22], სადაც. N—1696 ხელნაწერის ეს ნუსხა ექვთიმე მთაწმიდელის თარგმნილთა შორის არის აღნიშნული).

2. ხელნაწერის 181v გვერდზე, ქვემო ნაპირზე, ფანქრით მიწერილია:

„ეფრემ. ამის შემდეგ შემოტანილია ორი სხვა საკითხავ[ენი ა] პონტოდ ლტოლვისა: ვიძლიე მე.

ბ) 24 დეკემბრისა“.

3. 199v-ზე, ისევე ფანქრით, მარცხენა ნაპირზე მიწერილია; „ეფრემ. 285“

შენიშვნა უნდა შეეხებოდეს აბზაცის დასაწყისს ტექსტში: „ესევითართა მცენიერებითა მიიზიდნეთ მისა და სხ[უ]ანიცა მოიზიდნით...“

15. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღრისმეტყუელისაჲ: მიზეზი პონტოდ სივლტოლისა მისისაჲ და მოქცევისათჲს მიერ კუალად. სიტყუს-გებაჲ ხუცად კურთხევისა მისთჲს მისისა, რომელსა შინა მოაჯსენებს, თუ რაჲ არს პატივი იგი მღვდელობისაჲ და თუ ვითარი ჯერ-არნ ყოფად ებისკოპოსი. სწავლაჲ და მოძღურებაჲ. გკნ უფალო.—ვიძლიე მე და ძლეულებასა მას ჩემსა აღვიარებ; დავემორჩილე მე უფალსა და დავემონე მას...“ 200r—239v.

შენიშვნა: (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 162 და 595, §-[5-24]), სადაც ეს ტექსტი დავით ტბელის ნათარგმნა შორისარის მოხსენებელი.

16. „სწავლაა წისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღის-მეტყუელი სა და კვხენ უფალო.—მოვედით, ძმანო ჩემნო საყუარელნო, და ვისწრაფოთ სათნო ყოფად ღთისა და ვიხილნეთ ქველის-მოქმედებანი მისნი...“ 239r.

შენიშვნა: შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 595, § 31. დავით ტბელის ნათარგმნა ნუსხაში.

17. „ებისტოლე წისა და ნეტარისა მამისა ჩნის გრიგოლი ღის-მეტყუელი სა და კლიდონიოს ხუცისა მიმართ. გკხნ უფალო.—პატიოსანისა და ღის მოყუარესა ძმასა და თანახუცესა კლიდონიოს გრიგოლი უფლისა მიერ გახარებ! განკვრებულ ვარ მე, თუ რაა არს ახლის მეტყუელება ესე ეკლესიასა ზედა...“ 243r.—249v.

შენიშვნა: შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 595, § 32; დავით ტბელის თარგმანია.

18. „ებისტოლე პირველი გრიგოლი ღის მეტყუელი სა და კლიდონიოს ხუცისა მიმართ. გკხნ უფალო.—საკვრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა და საკვრველ არიან საქმენი მისნი დაბადებულთა შორის მისთა...“ 249v.—250r.

შენიშვნა: დავით ტბელის თარგმანი (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 162).

19. „თქმული წისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღის-მეტყუელი სა და თავისა მამისა გრიგოლის და დიდისა ბასილის მიმართ ვამსა მას, ოდეს ებისკოპოსად აჯურთხეს იგი სასიძისა საყდარსა.—კუალადცა ჩემზედა საცხებელი და სული და კუალად მე მწუხარებითვე ვალ. საკვრველ უკუე იქმნების ესაიაცა და პირველ ხილვადმდე მისა დიდებამა უფლისა...“ 250r.—253r.

შენიშვნა: დავით ტბელის ნათარგმნი. (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 595, § 33).

20. „თარგმანებამა ძნიად გულისკმის-საყოფელთა სიტყუათაჲ, „კუალადცა ჩემზედა საცხებელი და სული“.—არათუ ვითარმცა მაშინ კურთხეულ იყო და მაშინ ცხებულ იყო მეორედ, გარნა ვითარცა წერილ არს მეფეთასა დავითისთჳს სამგზის ცხებამა...“ 253v.—254v.

შენიშვნა: დავით ტბელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 162).

21. „თქმული მისივე [გრიგოლი ღუთისმეტყველისა] მათდა [გრიგოლის მამისა და დიდი ბასილის] მიმართვე, მასვე ვამსა. გკხნ უფალო.—არარაა არს უძლიერეს სიბერისა და არარაა არს უტკბილეს სიყუარულისა და

არარაჲ არს უბატოისნეს მოყურისა რჩეულისა და კეწმარიტისა...“ 254v—
—256v.

შენიშვნა: დავით ტბელის თარგმანი (შდრ. კ. კეკელიძე, ქართულ
ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, § 34. გვ. 595).

22. „მისივე ნეტარისა მამისა დავითის თარგმნილნი
ესე სიტყუანი: „ვეძიებდი მე კლდესა—ესე ქრისტე არს. ხ[ოლო] თუ
ზღუდესაო—ესე შჯული არს. ხოლო თუ ბორცუსაო—ესე მოციქულნი არიან.

ხოლო დაფარვად თავისა ეგვეითართა მით დაფარვითა იტყუს, ვითარ
იგი დაითარა მოსე მთასა ზედა—ამას ვიციებდით“. 256v.

23. „თქმული წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩნისა გრიგო-
ლი დინსმეტყუელისაჲ კებაჲ და შესხმაჲ ნეტარისა კესარიოს, ძმისა
თვისისაჲ, რომელი ესე თქა ჟამსა მიცვალებისა მისისასა ნუგეშინის საცემე-
ლად მშობელთა თვსთა, რა ფრიად წუხდეს. გკხენ უფალო.—ჰგონებთ სამე
ჩემთვს, საყურელნო ძმანო და მამანო, რა ტკბილ არიან ჩემდა წოდებანი
ესე სიტყვთცა და საქმით, ვითარმცა ვიგლოვდი და ვგოდებდი ამიერ წარ-
სრულისა მისთვს და გარდაცვალებულისა...“ 257v—278v.

თავდებთ: „... ხოლო უკეთუ ჩნცა ვინ ბატე-გუცეს ეგვეითართა სი-
ტყვთა შენდგომად ჩნისა წარსლვისა, კეთილ არს, რომელსა არა ეჰგონებ მე.
გარნა ბატეცემულმცა ვართ საღთოჲთა, ხ ბატეგითა ამასცა მყოობასა და
მასცა მკვდრობასა ქრისტეს იესუსს მიერ, უფლისა ჩნისა, რომლისაჲ არს
დიდება უკუნითი უკუნისადღე. ამინ“.

შენიშვნა: შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ.,
1941, გვ. 591. § 8, სადაც ეს თხზულება გრიგოლ ოსკელიის მიერ სომხური-
დან თარგმნილად არის მოხსენებული.

ანდერძი: (გადამწერისა): „ქრისტე! ადიუენ ორთავე შინა სუფევთა პეტრე და
ძმანი მისნი“ (3სრ, I კვ. ბოლო.).

მინაწერები: 1. „ში, დრო ეგა სანატრედო, პატიოსანი საუნჯე საღთთაჲ საული-
სა მადლთა, რომლისაჲ განაქართის სურვი განსანათლებელი მორწმუნეთა და
დამწყლველი ბილწთა ნწუალებელთა“.

105r-ზე. იშვიათი სილამაზის მხედრულით.
XIV—XV ს. აფტაცებული წესხა გრიგოლი
ლეთისმეტყველის პოლემიკური სიტყვისა.
(იხ. აღწერილობის § 8).

2. „სულსა და ბიძესა დავითისა და ჩემთა დედა-მამათა: ძმათა, თქუს-
თა, ნათესავთა ყოველთავე შუნს დუნ ან...“

147r-ს ქვემო ნაპირზე. ყვესსფერი მელნით,
XV—XVI-ს. ნუსხურით.

3. „ქ. ჩემს ბრწყინვალეებას და ჩეტვის დის წყალბა[დ] მოვლენილს ბა-
ტონს, ღთისაგან გაბრწყინებულს ბ. ჯათარიძის ასულს მარიამს წმინდა
ღთის მშობელი აცხონებს.“

162v-ზე. ქალაღდის ფ. II სვ. ბოლოს, XVIII ს. მხედრულით,
იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია მინაწერი 6v-ზე. (ქალაღდი),
მღვდელი პავლე ს მოხსენებით და აგრეთვე I ყდის საცავზე
(r). სადაც ამავე ხელით დ. გურამიშვილის, ლუქაის „ეთ. მეო-ს“
ნაწყვეტიც არის მიწერილი.

4. გრიგოლ ზურაბის ძის წერეთლის მინაწერები:

- ა. „კ-ასფარიანი ახალისი მხეხათ უნს.
- ფ მარჩილი მიერთო ბერ წერეთელს ახალისი ჩყე წელს.

ხ[ოლო] იო აკიმ ჯვარი სმამას ახლოსივე გქესა ძველი და ძეწვეი დრ-
დი და პატარა და სამი მანეთი საწირავი ჩყე-სა“ (I ყდის შიგნითა არეზე).

ბ. „ჩყით-სა წელს ირ ანალი მო ბრძანდა საჩხერეს (ამოშლილია).
ვიყიდე კბ მარჩილათ. დღე იყო სამშაბათი, ოკდომბერი“ (I ყდის საცავი ფ. r-ზე).

გ. „ჩყივ წელს, ო დგებერს[!] დავიწყე და მსურს ჩაკითხვა ამისი, თუ ამისივე
გამომეტყველი შემეწიოს“ (იქვე).

დ. „ჩყივ-სა წელს მივართვი სვიმონ, ჩემ ძმას, ძეწვეებისთვის რმ აბაზი“. (იქვე).

ე. „ჩყ-სა წელს გავ... დარვი[ე?] თაბაგარი ქაიხოსრო წერეთელი თან
რომ უნდა აალები... და... ქაქუჩთან. რებისდ[ა] ... წიბუტის შვილი უ
შვილმა რომ... მომგვარა“.

მინაწერი მთავსებულთა იმავე I ყდის საცავი ფ. r-ზე, მისი დიდი ნაწილი
ამოჩიქნილია.

ვ. „ჩყ-სა წელს, თებერვლის ბ-ს, თვედრობისთვის, აბრძანდა სახუცესი
ხურაბ სალოცავად ჯრუქს“ (იქვე, ქვემოთ).

ზ. „ჩყ-სა წელს მომბარდა კა მანათი რაჰიდან საური. აქედან ზ მანათი გლ-
ახუა გოდაბრელი ძეს შავაწივეთ საქორწილო. ე მანათი ყარამანს შავ-
წივეთ საქორწილო. ე მანათი რვა ლიტრა რკინაშიდ მივეცით გორს. ორი საზ-
ნის-საკვეთი გარდავახ[დ]ევინეთ ნაზირს გოგიტას. გ მანათი ბასილ კალა-
ტოხს მივე სახუცის სახლის ჭირათ. ერთი მანათი სვიმონმა როსტომს
გარდავადო.

ჩყ-სა წელს რაქას ორი კომლი საურისგან ბატონისშვილმა იბატივა. ერთს
ბუკუკა ხაბახს ეპატივა“. (იქვე, I საცავი ფ. r-ზე).

შ. „მოიხსენე, უფალო, სასყიდლით მომრეწი წმიდისა ამის და საღვთისმეტყვე-
ლოსა ქადაგებისა თავადი გრიგოლ ხურაბის ძე წერეთელი“ (I r-ზე.
ზემო კიდებზე).

თ. „ჩყია-სა წელს, საღვთომოდ ხალათი მიერთო ქაიხოსრო წერეთლის
კნეინა ქეთევანა სახუცისგან რი მანათისა.

მის ქალს—ლ მანათისა.

კიდე ქალს—ლ მანათისა.

ამ წელს მიერთო ხალათი ბერის წერეთლის კნეინას აბაშიძის
ასულს რ მანეთის, ხოლო ო დანეს—ლ მანეთის და ასულთა ბერისათა მ მანათის[!].
ქაიხოსროს დედას, დარიჯანი თურთ, მიერთო ხალათად ე მანეთისა
ამ სააღდგომოდ.

მხეხათუნ, მეფის ასულს, მიერთო ამ სააღდგომოთ რ მანეთის ხალათი
ესე ყოველი გამოეგანა[!] თარხანოვს დავითს თფილისიო.

ეგრეთვე კიკო გიორგის ძის ჩონები კ მანეთად, ამ წელს“ (II ყდის
შიგნითა არეზე).

918)

1697

აპოკრიფული და მეტაფრასული კრებული. XVII—XVIII.

134 ფ.; 28×18; ქალაღი; წითელი ტვიფრული ტყავით შემოსილი ფიცრული
ყდა; ნაკლული; ნუსხური; ორ-ორ სვეტად; [XVII—XVIII ს.] ჭვირნიშანი—სამი
ნახევარმთვარე; გადამწერი: სვიმონ ჩიქოვანი (22r).

1. „ქებაჲ და დიდებაჲ, შესხმაჲ და გალობაჲ ყოვლად
წმიდისა უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედუფლისა ჩწისა
ღთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარია მისი, და უწყებაჲ
უბიწოესა მის და სანატრელისა მოქალაქობისა მისისაჲ შობითგან მიცვალე-
ბამდე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩწისა მაქსიმეს მიერ ფი-

ლოსოფოსისა და აღმსარებელისა. ისმინეთ ესე... ხოლო აწ გზად იგი სიტყუსა ჩწისაჲ ვიპყრათ. რ ესევეთარნი რაჲ იქმნნეს მაშინ საკვრველებანი და სამართლად იწუართნეს მტერნი იგი და მბძძოლნი ქრისტესნი...“ 1რ—19ვ.

შენიშვნა: დაბოლოებას არ ახლავს ბერძნულიდან შთარგმნელის ექვეთიმე. მთაწმიდელის ანდერძი. შდრ. A—40 ხელნაწერის 282ვ.

2. „ცხოვრებაჲ და ქადაგებანი წწისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოქანე ღწისმეტყუშლისა, აღწერილნი პროხორეს მიერ, მოწაფისა მისისა, ერთისა. შვდთავანისა, ძმისწულისა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა. გკზნ უწ.—ესე კაცი ღმერთშემოსილი, უზეშთაესი ანგელოზთაცა, შეყრბული ყოველთა მფქსაგან, მანათობელი დაბნელებულთა წარმართთა...“ 19ვ—49ვ.

შენიშვნები: 1. შდრ. ყ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I, 1941 წ. გვ. 408 და 688, § 4.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია ანდერძი: „დიდება ღმერთსა ჩწსა! დაესრულა ცხოვრებაჲ და ქადაგებაჲ და საკვრველებანი და სასწაულნი, უაღრესნი ბუნებასა კაცობრივსა სიწმიდისა და ყოვლად ქებულისა იწე მახარებელისნი. ლოცვაჲ ყავთ სანატრელისა მამისა ეფთჳმე მთაწმიდელისათჳს, რომელმან ესე ბერძელისაგან ქართულად თარგმნა“ 49რ-ვ.

3. [გეორგი ალექსანდრიელი].—

„ცხოვრებაჲ წწისა და ნეტარისა მამისა ჩწისა და მოძღრისა ყოვლისა სოფლისა იწე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ ეპისკოპოსისა. გკზნ, რუ!—ყ[ოველ]თა მიხრობელთა ძულწლისა შჯულისათა თქუშს, რომელ იგი იყო უწინარეს მ[ათ]სა. ზოგთამე სმენითა, ზოგთამე ხილვითა...“ 49ვ—134ვ.

წყდება: „...ჰ საკვრველი, რამეთუ შებთგნ(!) შეკ[ა]ზმული იგი ნავი აამართალსა წმიდისა აჩუშნებდა და პირმეტყუშლნი...“

შენიშვნა: 1. საკუთრად ტექსტი იწყება 50ვ-ზე: „თავი დაწყებად ცხოვრებისა ნეტარისა იწე ოქროპირისა.—ესე იოვანე, ბრძენი საკვრველი [რჩეული] და პატიოსანი, იყო ანტიოქია ქალაქით, რომელ არს ასურეთისა, ძე ერთისა წარჩინებულთავანისა...“

2. შდრ. ყ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941 გვ. 482—483 და 587. იხ. А. Чагарели, Сведения. В. I, გვ. 7 (§ 22).

3. არსებობს იწე ოქროპირის ცხოვრების სხვა სრული, ნუსხებიც: იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“, კოლექცია H, ტ. V, № 2124, 968 წლის ნუსხა: შდრ. აგრეთვე „ხელნაწერთა აღწერილობა“ (A კოლექცია), ტ. IV, თბ. 1954, № 1144.

მიანწერი: (ტექსტის ხელით). „ღმერთო, მოიკსენე სჳმღწ ჩიქ[ოვან]ნი სასუფეველსა შენსა, ამინ“. 11 ვ-ს ქვემო ნაპირზე.

მარხვანი (ფრაგმენტი). XIII—XIV

34 ფ.: 27×21; ეტრათი: უყდო: დაშლილი რვეულგებად და ფფ.: ნუსხური; კუბკ-
ყანი; დაზიანებულია 9,13 ფფ. (მოხეულია ეტრათის ნაწილები); [XIII—XIV ს].

[მარხვანი] „... მტერობისა და გინებისა და შესმენისა მიერ მოყუ-
ასთაჲსა. და განჰვარდე ღრისაგან, ვითარ თავს ვიდვა რისხვამ შენი, რაჟამს
მოხვდე განსჯად, უფალო! ანუ თუ რაჟამე სიტყუამ მოვიგო, რომელმან ესე-
არა ვქმენ ყოვლადე ნებაჲ შენი!...“ 1r—34v

წყდება: „... წინაშე მდებარე დაჰყუებებ მტერთა, ხოლო ამალღებუ-
ლი აღეუამაღლებ ჩნ ქუსყანისათა ზეცად, ჯჯარო ქრისტესო, დიდებო ერი-
სა მორწმუნისაო! ქნარმან ჳმა ჰამომან ქაღაგთა შენთამან...“

შენიშვნა: ტექსტებს მრავალ შემთხვევაში მიწერილი აქვს ნაპირებზე ავტორთა
სახელები. მაგ.: თ[ე] ვ [დ] ო რ [ე]. 2v, 3v, 8v, 9r, 12v, 13v, 15v, 17v, 21v, 26r, 32r-
34v.

„ი[ო] ს[ე] ბ“ 3r, 4v, 7r, 8v, 9r, 10v, 12r, 14v, 16v, 17r, 21r, 22v, 25r, 27A,
31v, 32v, 34v.

„ი[ო] ვ ა ნ ე“ 3r, 12r, 14v, 17r.

„ს ტ [ე] ფ ა ნ ე“ 7r, 16r, 25r, 29r, 34r.

„ე ლ ი ა“ 11r.

მინა წე რ ი: 12r—13r ქვემო კიდევებზე; 13r-ზე მას აკლია დაბოლოება, ეტ-
რათის ფ. ხეშო მარჯვენა კიდის მოხევის გამო.

ე ა რ ი ს თ ა ე ნ ა კ ლ უ ლ ი, მეტად გადასული საბჯთი („დაწერილი“), დაწერილი
XIV—XV ს. მხედრული ხელით:

12r.

1. ... შენ [შე]მოგყვ[ე]ბოდა. შენ გარდაიფიცე თორმეტ[ი]თა [საკრიოთა]?,
2. რისხ[ი]ვითა კაცთა და შე[ეს]ს[ე]რდა ჩნი გოლი, რათათა ცა მონ[-] და ა...
3. როთა ბერიითა [და] ჩე... მის! წესთაებრ..., ჩნ...
4. [მო]ხო? და მოწმენი ... თანა დაგა...

22v. მარცხენა ნაპირზე.

1. რ ი ვ ა ნ ე ც ი ს კ-
2. ...და ნიქოზისა სა-
3. ...ან ჯეკანოზ-
4. ...და ჩ[ა] ფ ა ი ს

12v, ქვემო ნაპირზე:

1. [ძე]და ბო ხ ის ძე კ ო რ ი კ ე და ა რ ს [ე] ნ ი ს ძე ს ა ს ნ ი [ა?] და
ნ ა ბ ა ი ს ძე ი ვ ა ნ ე და ერთობ-
2. ი თ მ ა ჩ ა ბ ლ ი ს და ნ ი ქ ო ზ ი ს ო რ ი ვ კ ა რ ი და სახლი. აწ ვინც[ა] და
რამანც[ა] ჩნ
3. ესე ჩნგან ბოლო[შ...]ჩ[ე]ნილი და ჩნგან [გ]ოლოსორო[ად?].
4. [.....] შეგიცვალოს. პირველ პირითამცა ღმერთ[ი]საითა კროლია და მე-
5. [რმე] მცა წმიდანი მოწამენი რაჟდენ და სტეფანა და წმიდა[ი].

13r. ქვემო ნაპირზე:

1. გ[ი] ო რ გ[ი] სპარსეთისაი და წმიდაი მოწამე გ[ი] ო რ გ[ი] ნიქოზის-
საი და ნისტორი-
2. სთანაძე არის ნაწილი სოლისა მისისაი და ყოველთა ღმერთ[ი]მცა...
3. ავი თა; და იო დასთანამცა დაისაჯ[ე]ბის და ყოვლითა ღმ...
4. ფოთა და მო[ა?]ს თაყთანისცემის, აწ დაიწერა დაწერილი [ესე]
5. დეფლის ოჯიკთის ძი სა[?].

13r, მარჯვენა ნაპირზე, ასწერივ:

1. ვინცა და რომელმანცა კაცმან ეჟე დაწერილი...
2. ...სამაჩაბლოისა პატრონისა გ...

(920)

1700

თავდირიძის, „ქორანიკონი“. 1744

4 ფ.; 16×11,5; ქალაღი; უყდო; დაფურცლული; ჭუჭყიანი; ნუსხური; „ქორანიკონის“ ნაწილი ჭიაფურა მელნით; 1744 წ. (1r). თავდგირიძეთა ოჯახიდან.

„...ამა ქორანიკონსა მოიყვანა თავდირიძემ გ[იორგი] შარვაშიძის ქალი. აღდგომა და ხარებაჲ სწორა იყო. კინტრიშს სასახლეში ქორწილი იყო. ფაშათ ერთი ძმა იყო შარვა[ში]ძე რიონის და ქანეთის რიზინს[!] ამოღმა. მეორე ძმას ბათომის ბეგობაჲ ქონდა და მესამეს სოხუმის ბეგობაჲ ქონდა.

- წკი. ა. ფბ. ე. მტ. კა დღშ დ მტ. კე კბ.
- ბ. ფბ. კე. აბ. თ. დღშ გ. აბ. იდ. დ.
- გ. ფბ. ი. მტ. კთ. დღშ. ზ. მტ. ლ. იე.
- დ. მტ. ბ. აბ. იზ. დღშ ე. აბ. ით. კვ.
- წკი. ვ ფბ. კბ. აბ. ე. დღშ გ. აბ. ი. მ.
- ზ. ფბ. ე. მტ. კე. დღშ ზ მტ. კვ. ით.
- ა. ფბ. კ. აბ. იგ. დღშ ე. აბ. იე. ლ.
- ბ. ფბ. იშ. აბ. ბ. დღშ გ. აბ ზ. ია.

ზმ. წკი. დ. ფბ. ი. 1r—4v.

შენიშვნა: 1. ფრაგმენტში მოთავსებული „ქორანიკონი“ იწყება 1744 წლით [ვლბ ქრონიკ. უდრის 432+1312=1744 წ.), თავდება 1844 წლით.

ბოლოში ტექსტის ხელით მიწერილია: „ას და ერთი ქორანიკონი დამიწერია. მას მერმეთ ვინც მიესწორას, მან დასწეროს.“ 3v.

2. „ქორანიკონს“ გარდა ფრაგმენტში არის: ა. „სამთვარიო მართალი და კემამრიტი.— მთვარისასა დღე კეთილი. ადამ შექმნა ღმერთმან. რომელი იშვას. ბედნიერი იყოს...“

წყ დ ე ბ ა: მთვარის დ დღის ტექსტზე: „ცეცხლს, წყალს და მახვლს ერიდოს ვაპრობაჲ...“ 3v.

ბ. შე ე ლ ო ც ვ ი ს ნ ა წ ყ ვ ე ტ ი: „ამისთა ჰრქუაჲ მას მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზმან: „შეგრისხენინ შენ უფალმან! განეშორე მონასა ამას ღდას სახელით, თვარა[!] დაგწვეგ წუნწუბისა ცეცხლითა; ჩაგავდებ კოკასა რვალისასა განხურვებულსა. მით განგაქარვებ, ვითარცა ნაძეძისა აბლსა, პატრონისსა ჯუარის ძლიერებითა, შაკისა, წარბისა და თავის ტკივილსა, სახელითა ლთისაჲთა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ოღარით იაკიკით[!] და სამყურით ულოცოს მღვდელმან.“ 4r.

გ. „სახარება მათესი [თავი 28, მუხ. 16—20]—მას ეამსა შინა... ხ ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას...“ 4r.

დ. „ლოცვაჲ ყოელისა სენისა მკურნალი ... — წმიდაო გიორგი ჩხარისაო... ზონისაო... ილორისაო... სუჯუენისაო... კინათისაო... ამოღლებისაო... გორისაო... ძეგორისაო[!]... ზენდრისაო... ჭაშუკპრისაო... წილთმისაო... გამოჩინებულისაო... მრავალძლისაო... კახურისაო... ზღუდრისაო... დედაბუისაო ... ჭვანისაო... ...ვაკის-ჯვრისაო... ...გოგორეთისაო ... კონკათისაო ... ჯიხანჯურისაო ... შუშანეთისაო. ... გვარამეთისაო ... ხუცუბნისაო.. დაგვსაო ... ჩაქვისაო... საკურთხევლისაო ...ტყვეთა მხსნელო ... მთ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ო ... [ბაილ]ეთისაო ... ხრიალეთისაო ...მაკ-[ვ]ანეთისაო ... ავის თიბისაო ... აჭყსთავეისაო ... კუკულათისაო ... ჩაქვისაო. ... ლ ო ც ვ ა ა რ ა ბ უ ლ ი ბ რ ლ ა ქ ა ბ ი ლ ქ ფ ა რ ხ უ ე ა მ გ უ რ თ ა ქ ლ ჯ ა მ ნ ა . ჯ ა ლ - დაქოზა. ბილქინლა ჯუმათ შარბახ. კვ. ხ.“ 4v.

3. ფრაგმენტი მნიშვნელოვანსა და სრულიად უცნობ პოლიტიკურ ამბებს გვაუწყებს XVIII ს. 40—50 წწ. დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის შესახებ (იხ. „ქორანიკონის“ თავში მოთავსებული ტექსტი).

10. ხელნაწერთა აღწერილობა.

1701

(921)

როსტომიანი. XIX

60 გვ.; 21,6×17,5; ქალაღი; უყდო; რვეულად შეყერილი; ლაქებანი; 53—60 გვ. მოცილებული და დაფურცლულია; მხედრული; XIX ს. სწორი ხელით; უთარიღო. თავდგირიძეთა ოჯახიდან.

[ფირდოუსი, შაჰნამე].

„ამბავი როსტომისა და ზურაბისა.

— როსტომ იყო კაცად ლომი, შვილის შვილი საამისა,
მას პაპა ჰყვა ნარიმანი, არსად იყო მზგავსი მისა...“ 1—60 გვ.

წყდებ: „როსტომ უთხრა: აწ დაღამდა, აღარა სჩანს მზისა არე.
ხვალვე აქვე შევიყარნეთ, ხმალ ქვეშ არის ტახტ-სამარე,
შემოყვრებით ეტლისაგან; ჯერ ვაყი ხარ რძე მწოვარე
და კაცსა უკვირს შენი საქმე, განცი[ფ]რდების მზე და მთვარე“.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი მისდევს იუსტინე აბულაძისეული (1916 წ.) გამოცემის ტექსტს 708 გვერდიდან 757 გვერდამდის, 2619—2811 სტროფ. (იხ. შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუსტინე აბულაძის რედაქციით. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის გამოცემა. თბ., 1916).

2. ხსენებული გამოცემისაგან განსხვავებით S—1701 ხელნაწერის ტექსტში „ამბავი როსტომისა და ზურაბისა.“ ერთი ზედმეტი სტროფით იწყება (იხ. ზემოთ) და არა მისი მომდევნო სტროფით: „დღესა ერთსა თავის წინა როსტომ იჯდა შეკირვებით...“ (2619 სტრ., გვ. 708).

ხელნაწერს აკლია გამოქვეყნებული ტექსტის სტროფები: 12—13 გვ. შუა, სტროფები 2652—2660 (სულ 9), იხ. ნაბეჭდის 717—720 გვ.

აკლია აგრეთვე 2712 სტროფი (ნაბეჭდის 734 გვ.), ხელნაწერის 30 გვ.: „როსტომ თქვა: ქაოზ მეფისა ვარდია შეუბოველი...“

ხელნაწერის 48 გვერდზე შემჩნეულია (ნაბეჭდის 2769—2770 სტრ. შუა, გვ. 747) ზედმეტი სტროფი:

„კვლავ მამისა ნიშანს ეძებს, ზურაბს როსტომ ეგონების.
არ უამბო დაწყველიმან აჯგერ, ზაკვით ეუბნების:
რად იწყლულებ საწუთროსა? შმაგი კაცი მოენდობის.
ავად იყოს, თუნდა კარგათ, კაცსა ორჯერ გარდახდების“.

(922)

1702

თავდგირიძე გიორგი, ზმები, გამოცანები ლექსად. XIX

8 გვ.; 22,5×18; ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; თავდგირიძეთა ოჯახიდან. დაუწერელია: 5—8 გვ.

— 1. ზმნა, ლექსად გამოთქმული გიორგი თავდგირიძის მიერ., გურიელი მამიას სადილზედ, ყველიერში.

1. ბარკალნა ზიდიზე მისუსტა; მალღა ვიძახი შევლასა.
2. თავადო რა გულისა ხარ, მევე შეგატყობ ყველასა.
3. კაზუ თხის ხორციით გავაძლოთ, მუცელზე წამობერავსა.
4. აწ ვერას ვიტყვი ამის შეტს; შეკაზმა უნდა ყველასა...“ 1—2 გვ.

შენიშვნა: გ. თავდგირიძის ოცი ზმიდან 16 თევზების ქართულ სახელებს გვაძღეს: კალმახი, ღლავი, ორაგული, ზუთხი, წვერა, ბოლოწითელი, კაპეტი, ფარგა სკია, კოკობა, შამაია, მწერი, ღორჯო, ტობი, კიფალი[?], ქაშაბი; დანარჩენები—საბმელებსა: ზურგიელი, ყველი, ერბო, კვერცხი.

2. თავდგირიძე გიორგი, „ლექსებად გამოთქმული გიორგი თავდგირიძის მიერ ხეხილებზედ.

— 1. ვერ დავუღვავ, აშლილი ვარ, ღვინოს ამ ჩემს ამხანაგებს.—

2. და მსხალის ფერი ღვინო გამიხდის იგი[!] წითლად ბაგებს.

3. მომემატა მისგან ჭკუა, სიტყვა-პასუხის განაგებს.

4. რომ ვიყილო ტურის ტყავი, ვინ გამიცვლის შიგ ფარდაგებს...“ 3 გვ.
შენიშვნა: სულ 15 სტრიქონი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ოტური. მუხა და თვლა, ნაძვი და წიფელა, ღვინო და ფორთოხალი, ლაფანი, ძელქვა, ხე-შავი, თხმელა, წაბლი, ალუჩა, უზანი (იასამანი არის), ტყემალი.

3. „გამოცანა, კნიაზ სამსონ მაჭუტაძისაგან მიწერილი ანნა თავდგირიძის ქალისადმი.

ნაყოფიან ვენახისამან ქნა საქმე მოსაწყინარი;

ასომ ძროხისამ, ნერგმა ზღვისამან ცრემლი გვადინა მდინარი.

გაკიცხეს კაცი მართალი, წმინდა, სიბრძნით[ა] მდიდარი.

ახსენით ეს გამოცანა: კაცი მართალი ვინ არი?

პასუხი

კაცი მართალი—ესო ქრისტე, ყოველთა დამხსნელი,

ნაყოფი ვენახისაგან—მმარი, იმისი სასმელი.

ნერგი ზღვისაგან—ღერწამი, სახსოვრად ცრემლის დამხსნელი.

2. „ბატონიშვილი იოვანე გიბძანებ მდივანბეგო ოტიავე მერმე მოიხსენე, თქვენი წიგნი მეზოჰა...“ (1r).

3. „ბატონს მდივანს, მათი მონა მდივნის დავითის ძე სოლომონ თავს დაგიკრა(!), მერე ეს მოიხსენე, აქ ქალაქში ვიმყოფები“ (1r).

4. (კალიგრაფიული ხელით): „რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქის ტრადისა ფრილისა საჯელმწიფოთა და აღშენება მისი და დიდნი ამკედრებულნი ბრძოლანი, ვითარ იბრძოდენ მისთვის მეფენი და მთავარნი ქვეყანისანი და რასათვის გადმოუბრუნდათ“. (2r).

(937)

1736

მითოლოგია (ლექსიკონი ანბანურად დაწყობილი). XIX

74 გვ.; 20,5×16; ქალაღი (ცისფერი); მუყაოს ყდა, დაზიანებული; დასაწყისში ამოკრილია სამიოდე ფურცელი ტექსტის დაუზიანებლად; მხედრული, [XIX ს. დასაწყისი].

[მითოლოგია (ლექსიკონი):]—„ა—ავარდიოს კაცი ჩრდილოელი, რომელმანცა მოკლა ელლიდა ისრებიითა...“ (3--72 გვ.).

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: „შეყუანილ ება ხეტალოლიისა სახო-გადოდ. თავი I.—მეტალოლია ანუ ძეშლი ზლაპარსიტყუაობა არს მოთხრობა ერთთაჲს ნივთთა და ბუნებითა მოკმედებათა ღეთად აღსარებულთა ძეშლთა წარმართთაჲს...“ (1—2 გვ.).

2. ტექსტის ბოლოს გადამწერის ხელით მიწერილია „დასასრული მეტოლოლიისა სახოგადოისა, ესე იგი ძველთა ღუთად აღსარებულთათჲს ზლაპარსიტყუაობისა“.

მინაწერები: 1. ვინცა კეთილ-მოკმედ არს, მოყვარე ძმათა არს, ძკრუხსენებლობა არს სიყვარული ძმათა. მაშასადამე ძკრუხსენებლობა კეთილმოკმედება არს.“ (გვ. 73).

2. „განათლდეს ყოელი ბნელი, ოდეს აღმობრწყინდები, სხვათ მნათობთ მზე არ შეუშინდები, იელტოღენ ღრუბელნი თვალთა ჩემთა ბინდები, მარად ტრფობის აღმთქმელსა, ვითარ დამავიწყდები, ვინ დამხრახონ, ვნანდე შენსა დაშორებასა“. (გვ. 73).

3. მინაწერებია აგრეთვე ჰველა ყდის საცავ ფურცელზე.

(938)

1737

ფრინველთა კარაბადინი („ბაზიერობა“). 1775

168 გვ.: 19,5×16,3; ქალაღი; მაგარი მუყაოს ყდა, ტყავის ყუიანი; მხედრული; სათაურები სინგურით, 1775 წ., აპრილის 14; დაუწერელია: 4v, 167v.

„დასაწყისისი ბაზიერობისა ეს არის, რომ ბაზიერს მფრინველი დიდათ უყვარდეს და სიფრთხილის მოწადე იყოს.—პირველად მფრინველი კარგად დაამგვიდღე ღამის თევით და ჰელზედ ფრთხილად ჯდომით და თავი შეაყვარე და ოდეს შენის ნებისაებრ დამშვიდდეს, დამბლით კარგად ჯორცი მოიმატოს და გაწმდეს. მერმე ჰელზედ დააჩვივე.“

თუ რომ გინდოდეს, რომ შენი მფრინველი ავად არ გახდეს, მრთლად და კარგ გუნებად ერთგულად გყვანდეს...“ გვ. 5—167.

შენიშვნა: 1. წამძღვარებული აქვს „ხანდუკი წიგნისა ამის, რომელიც აღწერილი არს.—ა. ბაზიერს ფრინველი როგორ უნდა შეეჩვივოს. ბ. ფრინველს რომ ჰია სკიორდეს...“ (გვ. 1—3).—სულ მა [41] თავია.

ანდერძი (გადამწერისა): „დაესრულა თთჲშისა აპრილს იდ, ქკს უფგ“ (გვ. 167).

(737)

1738

დადიანი ნიკოლოზ. ქართველთ ცხოვრება. 1823—1834

320 გვ.; 20,5x17; ქალაღი, ცისფერი: 1—272 გვ. და თეთრი: 273—320 გვ.; მაგარი შუკათა ვღა. ყადისუქრი ყალამქრითა და ტყავით შემოსილი (ხელნაწერი რესტავრირებული და აკინძულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ლაბორატორიაში); მხედრული, სხვადასხვა: უთარიღო; ცისფერი ქალაღდის კვირინშინსა — 1823—(გვ: 77—78) და 1834 წ. დათარიღებული მინაწერის (გვ. 316) მიხედვით თარიღად: 1824—1834 წწ. უნდა დაიდოს.

«დადიანი ნიკოლოზ. ქართველთ ცხოვრება». ..თვის სამეფო მსახურთა ქართლისათა, წიგნი I, თავი I.—ქართველთ ისტორია იპყრობსთვის შორის ორსა ცვალებასა: პირველსა--მთავრობისასა, ხოლო მეორესა--მეფობისასა...“ 3—315 გვ.

შენიშვნა: I. „ქართველთ ცხოვრების“ ტექსტს წინ უძღვის ავტორის ნ. დადიანის „წინადაცუჲთაჲ წინამდებარისა ამის წაგნისა, ქართველთ ცხოვრებად ზეღწოდებულისა.—ვინაღჲან სჯული ბუნებითი ააწავებს ყოველთა თავთა თვისისა [უმ]ჯობესისა აღრჩეად. ამისთვის იეცა უმჯობესად ყოცხე შრომაჲ იეს; და ვინაღჲან კჲახსა მიხეზისა გამო მოკლებულ იყვნენ [ერ]ნი ჩენნი აჲა ვითართა ისტორიათა და არა უწყოდენ ყოველნი [სა]ქმენი მშობელთა მამულთა თვისთანი, და ძვილ საღამე იპობოდა [ჩვე]ნსა ქვეყანასა ქართველთ ცხოვრებად. და ვინაღჲან თანამედ [არ]იან შერიღნი მამულთა თვისთანი ნამყოთა ქმნილთა საქმეთა [შე]ქცენებად, რათა მით უმჯობესად მართვიდენ თავთა თვისთა, ამისთვისცა მივიღვე შრომაჲ სიყვარულისათვის საზოგადო[ა]სა შეილ[თა] მამულთა ჩუშნათასა და აღესწერე ესე ქართლის ცხოვრებაჲ შემოკლებული და შეესხვნენ ახლად მდებობათა ქრასითა, რომელსა არა აკლს ღმეტეს საპრონი. ხოლო არცა საყვარელნი მოწა[ფ]ენი ჩემნი დაუტევენ უცნობელ ამისა, რომელნიცა განბრწყინდენ მოქალაქეებითა ჩემთა [ველთა] ქვეშე სიბრძნის მოყვარებისა და ძილასოქი[ი]სა სწავლითა, რომელ ამასაცა იეწერების ნაწილყოფად აზნაურებითისა მიმართ ველოვნებისა.

გარნა არა მრცხვენის, რამეთუ განღვიძებულ ვყო მსახურებისათვის მამულისა, რომელსაცა მხად მიყოფიეს თავი ჩემი სისხლითურთ მსხვერპლად ტრაპენსა ზედა სიყვარულისასა დასაწველად. რომელმანცა არა ვრიდე შრომასა სიყვარულისათვის მამულისა, რათა აღმოვინდე მსახურად და მათ მიერ მქონდეს სხონება.

მდაბალი მოსამსახურე თქმენი ნიკოლაჲ დადიანი ოვი პირველი“.

1—2 გვ.
2. ნ დადიანის ამ ნაშრომის ნაწილი—255—315 გვ.—გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა S კოლექციის № 9 ხელნაწერის აღწერილობასთან ერთად (იხ. Описание. ტ. I. გვ. 8—56. რუსული თარგმანიურთ—გვ. 57—105))

3. ხელნაწერი №—1738 არის ერთი სამ ცნობილ ნუსხათა შორის: S—9, რომელიც აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. აქვე. შენიშვნა 2). ხუგდიდის მუხუდმის ხელნაწერი, რომელსაც შ. ბურჯანაძის დასკვნით, ავტორის ხელი ეტყობა და წინამდებარე ხელნაწერა S:1738, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი (გვ. 192—315) გამოაქვეყნდა უფრო აღ „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1878 წ. (№№ 5...). „ქართველთ ცხოვრების“ სრული ტექსტი 1962 წელს გამოაქვეყნა შოთა ბურჯანაძემ.

4. ხელნაწერის უდიდესი ნაწილი (გვ. 5—233). დაწერილია მოწაფური, მაგრამ გარკვეული ხელით, ხოლო დასაწყისი გვერდები 1—4, აგრეთვე გვ. 233—242, 252—273, 281—315 თითქოს სხვა, უფრო მოწაფეებელი ადამიანის ხელით, მაგრამ ცალკე ასოების შედარება გვიჩვენებს ორივე ხელის იგივეობას.

ანდერძი (ავტორისა): „თუშცალა განმეორებით ახლად შესთხვენ ესე ქართველთ ცხოვრებაჲ დაბოძათა ქრასითა და ლექსნი განვაშვევნენ და წინა-უკმო დავესდევ და უმჯობეს სასმენელად და საგულისხმოდ განვკარგენ, გარნა ძალნი საქ-

მეთანი და მოთხრობანი არცაღა დამიმცირებებს და არცა დამიმატებებს მის უწინ-
დელთა ქართველთ მვისტორიეთაგანი და ნანდვილნი იგი დამიდვის, ვითარ ვი-
ხილე მას შინა.

ხოლო პირველის სოლომონ მეფედამ წყებული, ვიდრე აქამომდე და ესე.
შემდგომნი ამისა წარწერილნი ისტორიანი ანუ მოთხრობანი ქართველთა და შემ-
დგომთა მისთანი ჯერეთ არღა აღწერილ არიან, არცა ძველსა და არცაღა ახალსა
ქართველთ ისტორიასა შინა, ვინათგან არა იყო ჯერეთ საქმენი ესენამყო სრულად.
ამისთვის მე თანამდებად შევრაცხე თავი ჩემი, ვითარცა შეილმან მამულისამან და
ესე შემდგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი, რომელნიმე სმენილნი დარომელნიმე
თვით ჩემგან ხილულნი, აღესწერე, სახაოვრად და სასარგებლოდ ყოველთა მოყვა-
რეთა მვისტორიეთასა. და მე ვალათ დავსდებ ყოველთა შეილთა, მოყვარეთა მა-
მულისა ჩვენისათა, ოდეს მე არღა ვიქმნები სოფელსა ამას, მაშინ ნუ დაუტევებთ
შემდგომთა ქმნილთა სახსოვართა საქმეთა. რომელ არა აღწეროთ. რათა ჩუქსნაცა
ქვეყანასა ჰქონდეს ხსოვნა სხვათა ქვეყანათა თანა და იცოდნენ განათლებულთა
შეილთა ნამყოფი საქმენი მამულთა თვისთანი, რათა მით უმჯობეს მართონ თავი
თვისი და ჩვენცა გვექონდეს ხსოვნა.

აწ მოვიტყვი თქუქსნადამო და უმორჩილესად გთხოვთ და გემოქმენებით და თხო-
ვასა და მოქმენობასა თანა გაფიცებთ მას, ურომელოსა ღოებებსა, უკეთუ სათნო
გექმნასთ და ინებოთ ვინმემ გარდაწერა ამა ჩემმიერ ქმნილისა ანუ თხზულისა
წიგნისა, ნუცა ჩემგან აღწერილსა წინასიტყვაობასა წინამდებარისა ამის წიგნისა
და ნუტყა ამას, რომელი აქა აღწერილ არიან, ნუ დაუტევებთ, რომელ არა
აღწეროთ სახაოვრად ჩემისა ვინაობისა და მქონდეს ხსოვნა შენდობითა, რათა
თქუქსნაცა მოგმადლოს ღმერთ-მამაკაცმან ყოველნი თხოვანი თქუქსნი.

უმორჩილესი მოაპსახუთე თქვენნი თან იცოლად და დიანოვი პირვე-
ლი. (254—255).

მინაწერები: 1. „ჩვენის ისტორიის მასალა ნიკოლოზ დადიანისა. მო-
თხრობანი და დიანისა არის ამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებშია და-
წერილი და ავტორი [ერთ ადგილას თვითონ ამბობს], რომ სოლომონ პირ-
ველი დამ [რა ცნობაცაა] ამ წიგნში მოყვანილიო, ჯერედ[!] არსად აღწერილ[ნი
არიანო]; არცა ძველსა და არცა ახალსა ქართველთა ისტორიასა შინა, მართალიც
არის და ამიტომაც ღირსსაცნობრად ენახეთ [ვებჯდომთ?] თავიდავაც უცვლელად“.
ფანქრით. 192—193 გვ.

როგორც ეს შოთა ბურჯანაძემ გაარკვია (იხ. დასახ. გამოც.), მინაწერი
წაგავს ჟურნალი „ივერიის“ №18 წ. № 5-ში გამოქვეყნებული ტექსტის შენიშვნას
(გვ. 11, სქოლიო). და იგი „ივერიის“ ერთ-ერთ თანამშრომელს უნდა ეკუთვნოდეს.

2. „Сня книга принадлежит абхазскому архимандриту Антону Дадия-
нову 1834 г. Генваря. Абхазии селение Соуксу.

ესე წიგნი ეკუთვნება აფხაზეთის არქიმანდრიტს ანტონ დადიანოვს
პირველს. ჩუქდ წელსა, იანვრის 5 დღესა, აფხაზეთსა შინა; სოფელსა საუქსუს.
დავიდ ბუაძე“. 316 გვ.

3. „155 წელი იყო გასული 1836 წელს, რომ აფხაზეთში დ[!] მდღელთ მთა-
ვარი არ ყოფილა და არც სამღვდლო.

გელათი რომ საეპისკოპოსოდ იქმნა, იქიდან ამ ზემოხსენებულ წლამდის იყო
გასული 317 წელი.

ბედი ალაშენა 54 მეფემან აფხაზეთამან (!) ბაგრატი, რომელიც არის იქედამ
ვიდრე ამ ზემოხსენებულს წლამდის გასული ოგაას ოცდაერთი წელი.

დავით და კონსტანტინეს წამებიდამ გადახდა წელი აქ ზემოხსენებულს წლამ-
დის ათას ას სამოცდაშვიდი.

რვას სამოცდათოვამეტი წელი არის გასული მოქვის აღშენებიდამ ამ ზე-
მოხსენებულ წლამდის, რომელიც არის ეს მოქვი აღშენებული აფხაზეთ მეფის
ლეონისაგან.

ფარსა[ნი]გი და ეჯი ვრთა არის, რომელიც არის სამ... მილი.

1080 წელსა დაწვეს ქუთაისი და მარტვირის ეკლესია.

1246-სა წელსა გაიყო ორ საშეფოდ: ქართლი და იმერეთი. ორას ორმო-
ცდა ცხრამეტე წელს [?!] გამოიტანეს ხვამლის კლდიდამ საუნჯე რამდენიმე და
სხვა ხუნვე დააშთინეს.

1756-სა წელსა იქმნა ომი ხრესილისა.

1758 წელსა დაბნელდა მზე.

1784-სა წელსა მოკუდა პირველი მეფე სოლომონი.

1789-სა წელსა იქმნა ომი მათ[ხოჯ]ისა.

1830[?].

555... აქეთ მოვეგო სომეხი ჩვენს სქარწმუნობას[!].

საქართველოს მეფობის დაწყებიდან მეთუ მეფობაშიდ

იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე[!].

ათას ხუთას ოცი წელია ქართლის მოქცევის აქეთ.

30-ს მარტს ჯვარს ეცვა ჩვენი იესო ქრისტე“. (318—319 გვ.), მეტად გაკრული მხედრულით.

940)

1739

კრებული. XIX

52 გვ.; 20×16; ქაღალდი (ცისფერი); მაგარი მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX]-
კვირნიშანი: 1809 (ფ. 29; 47); თავკახბულობა: 1 გვ.; დაუწყოელია: გვ. 52.

I. „ლეილი-მაჯუნუნი. კარი პირველი ლეილი-მაჯუნუნისა, სპარსუ-
ლისაგან ქართულად გარდმოთარგმნილი გვირგვინოსანის მეფის
თეიმურაზისაგან.—

ღმერთო, რომელი თვით სიბრძნით ხარ სიბრძნის მომცემლობით...“
(1—44 გვ.)

წყდება: „საკმელად ხორცი შემწვარი მუნ მსხდომთა ფრინველისანი,
ხილნი ტკბილნი და ტურფანი, მგზავსნი მის ადგილისანი,
ჯამ-ტაბაკები ნათლისა მზისაგან არ ნათლისანი
და არა გავს სახლსა ღთისასა—ამას არ უნდა მისანი.“ (43—44 გვ.)

შენიშვნები: 1. ტექსტი წყდება 258 სტროფზე (შდრ. თეიმურაზ პირვე-
ლი, თხზულებათა სრული კრებული; ტფილისი, 1934 წ., გვ. 58).

2. ხელნაწერი დასახელებულ გამოცემაში გამოყენებულია *„ლიტერიო“* (იხ.
გვ. 09).

3. ტექსტი გადმოწერილია უწიგნურად, მრავალი შეცდომით.

II. [ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, მიჯნურთ ბადე].—

„ახლად გამოვჩნდი, დამერქვა სახელად მიჯნურთ ბადე...“ (44—
46, 50 გვ.).

შენიშვნა: 1. სტროფები ამოკრებილია ნებისმიერად, თანმიმდევრობის დაუცვე-
ლად, შდრ. S—1511 ხელნაწერში მოთავსებული „მიჯნურთ ბადის“ სრული ტექსტი
(559—591 გვ.).

III. [თეიმურაზ I, მაჯამა].—„სოფელმან და ჟამმან კრულმან ლხი-
ნი ჩემი განაქარვა...“ (47—49 გვ.).

შენიშვნა: 1. სტროფები ამოკრებილია „მაჯამიდან“ თანმიმდევრობის დაუცვე-
ლად, შდრ. დასახელებული გამოცემა, გვ. 113—120.

IV. „ბარამიანი არის.—იგი ჩემთვის სანახავად მოვარის ნაცვ-
ლად დაებადა...“ (გვ. 51).

შენიშვნები: 1. შედგება ექვსი სტროფისაგან, პირველი ორი სტროფი ამოღებულია „მიჯნურთ ბადედან“ (შდრ. N—1511, გვ. 573, 579).

2. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описанье, ტ. II, გვ. 267, № 164).

(941)

1740

მირიანი. XIX

116 გვ.; 20,4×16,4; ქაღალდი (ცისფერი, მდარე ხარისხის); მუყაოს ყდის ყუა ტყავით არის შემოსილი; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX—კვირნიშანი 182[1]; დაუწერელია 114—116 გვ.

[მირიანი]. „ამბავი დასაწყისი მაშრიყის ჯელმწიფისა.— იყო დიდი ჯელმწიფე ჩინეთისა ხოშროშა, დიახ ძლიერი და მალალი, მაგრამ უშვილობისათჳს ასეთს მწუხარებაში იყო მიცემული, რომ ყოველი თავისი სახელმწიფო და საბრძანებელი ჩალად მიაჩნდა...“ (გვ. 1—113).

შენიშვნები: 1. „მირიანის“ შესახებ იხ. ა. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბილისი, 1952. გვ. 334—337.

2. გამოცემულია ორჯერ თბილისში: პირველად 1876 წელს, მეორედ 1894 წელს ა. ხარგაროვის მიერ.

(942)

1741

სამუილ რაბინ-იუდიანი, ოქროს აღნაქუსი. 1818

80 გვ. 21×18; ქაღალდი (ცისფერი); მუყაოს ყდა, ტყავით შემოსილი; მხედრული, სათაურები სინგურით, მრგვლოვანი; 1818 წ. (77 გვ.).

„წიგნი სამუილ რაბინ მორაკანელისა, უბირველესის სინალოლისა, გინა ჰსჯულის შესაკრებელის მოძღურისა ისაკ რაბინის მიმართ, რომელ არს სუბულ-მეტს, მორაკანის ქალაქსა შინა. წყება ა.—ღმერთმან დაგიცვას შენ, საყუარელო ძმაო, და განაგრძოს საუკუნოცა შენი, ვიდრე დასასრულადმდე ტყუქობისა ჩვენისად...“ გვ. 7—77.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. თავფურცელი „ოქროს აღნაქუსი სამუილ რაბინ იუდიანისაგან. მეორედ გამოღებული სანკტ-პეტერბურღს, შნორინის ნების სტამბასა შინა დაბეჭდილ 1782 წელს. უწმიდესის სინოდის მმართველის წევრს, მალალ ყდ სამღუდელოს გაბრიელს, არხიეპისკოპოს დიდისა ნეოლოროდისა და სანკტ-პეტერბურღისას და წის სამების ალექსანდრე ნევესკის მონასტრის არხიემენდოიტს, მისს მალალ ყოვლად-სამღუდლოებას, უმოწყალებს მწყემსთ-მთავარს“. (გვ. 1.)

ქვემოთ მოთავსებულია რუსულად მთარგმნელის მღვდელ-მონახონის ვარლამის მიძღვნა ხსენებული გაბრიელისადმი (გვ. 2—3).

ბ. ქართულად მთარგმნელის დიმიტრი ბაგრატიონის მიმართვა „მკითხველთათჳს. — ჩემგან ამ წიგნის თარგმნა შეუძლებელ იყო საღმრთოს წერილის ვნის გამოუცდლობით. გარნა მამიდის ჩემის, მეფის ქაიხოსროს

ას უღის თხოვა-ბრძანებას ვერ ურჩ-ვექმენ, ვინაჲთგან დიადი სურვილი აქტნდა რუსულისაგან ქართულად გარდმოღებისა და ამისთვის აღბატმზულმან სხუათა ქრისტიანეთა მთარგმნელთამან, არლარა ვრიდე ლექსთ-შეუწყობრობის ყუტმდრებასა, რათა იდიდოს ადრიოთგანვე მორწმუნეთა ჩემთა ერთ-ქტყენულთაგან ყოვლად დიდებული სახელი ღმერთ მამაკაცისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეის აწ და უკუნისამდე.

პაზრი წერილისა სდ გარდამომილია და თუ ვინმე ინებოთ უშტმნიერესად განწყობაჲ ძმრომელის სახელ-ალუქოცელად, მადლიერ ვიქმნები თავადი დ ი მ ი ტ რ ი ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი .“ გვ. 4.

გ. „ა ღ ნ ი შ ტ ნ ა.—წიგნი ესე ამტკიცებს თჳს სმორის სათნო-უყოფელსა ქრისტესთვის განსჯასა...“ 5—6 გვ.

2. ძირითად ტექსტს ბოლოში დართული აქვს „პირი წიგნისა, წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იქარატორისა!|“ შიძარტ ძუბლიო ღენტლუო მთავრისაგან პურიასტანისა იესო ქრისტესთვის. და წიგნი ესე დანარსულ არს ჰრომს მონასტერსა შინა ბატონთა კესარინელთა წიგნის საცავსა, ხოლო თარგმნილ არს წიგნი ესე ლათინთა ენისაგან ფილიპქეს ვისმე ლათინთავე ხუცისა.—სათნო ყოვლად შენდა, ჰოი, კესარო... გვ. 78—80.

3. გადაწერის თარიღი—1818—დაცულია 77 გვერდზე, სადაც გადაწერის სახელი და პატარა ანდერძი მონდომებით ამოჩიქნილია (შდრ. H კოლექციის „ხელნაწერთა აღწერილობა.“ III, გვ. 5—7, № 1009.)

მინაწერა. (გადაწერის ხელით):

„ტე დავშუშო ამაღ,
ერთი მრწამს სამად:
სულად, ძედ, მამად,
იუდელოთ ვამად“ (27 გვ.).

ეს ლექსი ნიკოლოზ მაცაშვილისაა. შდრ. H—454:1.

(943)

1742

ვოლტერი. ზაირა. XIX

82 ფ. (ძველი პაგინაციით: 5 — 168 გვ.); 21 X 17; ქალაღი; თავბოლონაკლუ-ლი, მუყაოს ყდა (ახლახან გაკეთებული ხელნაწერთა განყოფილების საამკინძაოში); მხედრული; [XIX ს.]; აღუქსანდრე ჰავჰავაძის თარგმანი ფრანგული დედნიდან.

[ვოლტერი, ზაირა] ... [გამოსვლა პირველი. ზაირა].“... ვინაჲთგან სტმთა მიუციესთ ცხოვრებაჲ ჩემი სოლიმისათჳს, რაჲღა ძეს ჩემდა და საფრანგეთისა ანუ ყოვლისა ქტყყანისადა. საკმაო არს ჩემდა ცოდნა იორდანის კიდისა და ორბსმანის დიდებულეებისა, სჯულისა და დიდებისა.

ფატმან. — გარნა მოიხსენე, რომელ მოყუბასი ჩტმნი, რომელიცა ჩტმთა-ნა განჰყოფდის ტყტმობასა, განვიდოდა რა სამწუხაროთა ამათ კედელთაგან, მოგუტა ფიცი მსწრაფლად უკუმოქცევისა სოლიმისადმი...“ (1r—82v).

წყ დება: ოროსმანისა და ნერესტანის დიალოგზე V მოქმედების X „განცხადებაში“. — „... უთხარ, რომელ მე მის წილ თუთ შური მივაგე თავსა ჩემსა“.

შენიშვნები: 1. ტექსტს დასაწყისში აკლია (ძველი პაგინაციის მიხედვით) 1—4 გვ., ხოლო ბოლოში 168 გვ. იქით.

2. იხ. აღუქსანდრე ჰავჰავაძე, თხულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 342, სადაც ეს ნუსხა ვოლტერის ზაირასი აღ. ჰავჰავაძის თარგმანად იხსენიება (ფრანგული დედნიდან).

გეოგრაფია. 1793

128 გვ.: 16 x 11; ქალაღი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ფიცრული ყდა მბედრული; დასაწყისი ასოები და სათაურები სინგურიოთ; 1793 წლის სექტემბრის 10 (127 გვ.): გადამწერი „კობულაოვი იოსებ, სკჷმონ მდიენის ძე“; გამმართველი: და ვით [რექტორი]; რუსული თარგმანიდან მთარგმნელი გაბრიელ გელოვანი (127გვ.).

(გეოგრაფია).

„მოკლედ გამოჩინება გარემოს ქტყსენისა და განყოფილება ყოვლისა ნაწილებისა მისთჷს, რომელნიცა საჯელმწიფო რომელსამე ნაწილსა შინა არიან და ყოვლისავე საჯელმწიფოსა სამძღვრისა დადება, ვინ ვის შორის უფროს არს ძალითა, სიმდიდრითა, მუ[რ]დახილითა, ანუ სხვითა რომლითამე წარმატებითა.—საუკუნემ და ყოვლად შემძლებელმან ღმერთმან პირველად სიბრძნითა თვისითა მიუწუთომელითა დაგებადნა ჩვენ...“ გვ. 3—120.

შენიშვნა: 1. გეოგრაფიის ტექსტს წინ უძღვის თავფურცელი: „ლეოღრაფია, ანუ მოკლედ ქტყსენის სიმგურგელისათჷს აღწერა, პირტშლ ლათინთა ენისაგან რუსულად თარგმნილი, ხოლო აწ მეორედ რუსულთა ენისაგან ქართულთა ენისა ხედა თარგმნილი გაბრიელ გელოვანის მიერ; რომელიცა დაბეჭდილ არს ბრძანებითა დიდის ჯელმწიფის, მეფეთ-ეფის პეტრე აღექსის ძის მიერ წელსა განჯორციელებითგან სიტყჷსა ლთისა ჩღი, თვესა მარტსა პირველსა. სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს“ (1 გვ.).

2. შედგენილობა: ა. შესავალი—ღვთისაგან ქვეყნის „დაბადებისათვის“ მოთხრობის შემდეგ მოცემულია მათემატიკური გეოგრაფიის ცნებების განმარტება: ეკვათორ, „პოლუსი, რომელ არს ღერძი ქვეყნისა“, [ზოდიკონი], არქტიკონი, ანთარქტიკონი, ხუთნი სიმბრავლენი ანუ სარტყელნი, „ღრადუსნი ანუ ხარისხი სიგრძეთა და სიგანეთა“ (ვრცლად); დედამიწის ზურგის გაყოფა ოთხ მხარედ; ევროპა, აზია, აფრიკა და ამერიკა (3—12 გვ.).

ბ. თვითოეული მხარის (ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის) პოლიტიკური ერთეულების მეტად ზოგადი აღწერა (13—105 გვ.).

გ. დამატებით აღწერილია „ქვეყანის მეხუთე ნაწილი“—ავსტრალია (მეტად ზოგადად და მოკლედ) 106—110 გვ.

დ. მთარგმნელის გაბრიელ გელოვანის ანდერძი (იხ. ქვემოთ). 111—119 გვ.

ე. „ტაბლიცა.—ამას შინა აღიწერება სიგრძე და სიგანე ღრადუსებისა ქალაქებთა გამოჩენილე[ბათ]ა... ფლიპპე ფერარის მიერ გამოწერილი.

	სიგრძე	სიგანე
ანდრიანპოლ ფრაკიისა	53:30	43:20
ახოცი	68	49
ალბაღერმანისა	294[?]:40	48:59...“
		120—124 გვ.

სულ 75 გეოგრაფიული პუნქტია აღნიშნული, მხოლოდ ანუ და ფარზე; სხვათა შორის, არხანგელის ქალაქი რუსეთისა (6530,6649), აშტარხანის რუსეთისა (49:30; 870), აზირ-სომხთი დიდი (7200: 47:30).

3. „ზანდუკი წიგნისა ამის“ 125—127.

3. რუსული თარგმანის სათაური: „Краткое изъвление о круге земном и раздѣлене всех частей его, которые государства в каждой части обретаются, и кажлого государства пределы, величина, с кем смежны, сила, богатства, доходы и прочая“.

„География или краткое земного круга описание. Напечатано повелением царского величества в типографии московской. Лета господня 1710-го, в месяце марте“.

იბ. П. П. Пекарский. Наука и литература в России при Петре Великом т. I, СПб., 1862. стр. 345 и т. II, стр. 239—240.

ქართული თარგმანის თავფურცელი (იხ. შენ. 1.) და 120 გვ. მოთავსებული— დეოლორაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმბრავლისათვის აღწერა დაბეჭდილ არს ბრძანებითა მისის დიდებულებისათა სტამბასა შინა მოსკოვისასა. 1710, თვესა მარტს— მოწმობს, რომ ქართული თარგმანი მომდინარეობს სწორედ 1710 წლისა და არა მერმინდელი გამოცემებიდან (იხ. აგრეთვე Д. М. Лебедев. География в России, петровского времени, Москва 1950. Ленинград, გვ. 337—342).

შდრ. М. Г. Джанашивили. Описание рукописей Церковного музея. Тиф. 1908. № 1007 (А კოლ.) აღწერილობა (გვ. 261—269).

ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან. გვ. 44. თბ. 1954, სადაც წინამდებარე (S—1743) ნუსხის გადაწერა მიეწერება დავით რექტორს რომელიც 127 გვ. მოთავსებულ ანდერძში (იხ. ბოლოს) თავის თავს მხოლოდ გადმონაწერის „გამმართველად“ და „ჩამკითხველად“ აცხადებს. (შდრ. აგრეთვე— ამავე—S—კოლექციის № 1222).

ანდერძი (გადამწერის): „სრულ იქმნა. სადიდებლად ღმრთისა, თვესა სექტემბერსა 10, წელსა 1793. აღწერე დეოლორაფია ესე სჯომნ მდივნის ძე ქობულაძის იოსებმან“ (127 გვ.).

2. „გამართული და ჩაკითხულა დედასა ზედა. დავით“.

[დავით რექტორის ბელწერა ჩართულად]. (გადამწერის ანდერძის ქვემოთ, იმავე—127 გვ.).

3. (რუსულიდან მთარგმნელის გაბრიელ გელოვანისა): „განსრულდა თარგმანი წიგნისა ამის. აჲ მოგითხოვთ თვით ჩვენდამო მცირეს რაამე ანდერძსა.“

წელსა ჩაქვ, ეამსა შინა მეფობასა შაჰთამაზისასა, სახელმწიფო სპარსეთისა ფრიად მიწურვილ იქმნა გარემოს თვისთა მესამძღვრეთაგან; ვითარცა ისმაიტელთა წარუდეს რაოდენიმე სახელოვანი ქალაქები და ქვეყნები. ვგზომ და უმეტესცა ავღანთა, რა აღდა მთავარი მათი მირვეიზ და იწყო ავახაკობა ქალაქებთა ზედა სპარსეთისათა და წარულო პირველი ციხე სახელოვანი ყანდაარისა და ამათ ღონისძიება ვერა რა პოვის რა. და მერმელა თვით უკანასკნელიცა ტაბრისა ქალაქი, სადაცა მჯდომარეობდენ ყენი, რომელსაცა ეწოდება ისპანი, ფრიად ალაოხრეს და აღიონავრეს საქურტლე მათი და იავარიქმნა სრულიად სამყოფელი მათი.

შემდგომად ამისა აღდა დიდი კვლმწიფე, მეფეთ-მეფე ჩრდილოვეთისა პეტრე ალექსის ძე და განვლო ზღვა კავკასისა და დაიპყრა ციხე დარუბანდისა და მუნითგან ესეოდენ განავრცო პყრობილება თვისი, რა გილან-მახანდარამდის და თვით შამახამდის სრულიად ქვეშე პყრობილებასა თვისსა რავდენიმე ფრიად მდიდარნი ციხე-ქალაქნი და ქვეყნები მოყვანილ ჰქმნა.

და მუნითგან წარმოსცა ელჩი რომელიმე გვარ-წოდებით ტოლსტოვი, მისსა სიმაღლესა მეფესა ქართლისასა ვახტანგ ლევანის ძეს. და მოიწია ფარულად ქალაქსა ტუილისისასა და მიუძღვნა ებისტოლე გრაგნილი. იხილა მეფემან და წარიკითხა: უზომო ძმებრივი [შესხმა] და იმედი ებრძანა, რა გაციფრებულ იქმნა ფრიად და არა უვარყო ბრძანება მისი. მსწრაფლ დაუტევა ტაბტი თვისი; აღდა და წარმოეშართა—მეფეთა მიერ რაოდენიმე ურიცხველნი სამღვდელნი და საერონი ქართველნი, იმერელნი და კახნი ეპისკოპოსნი, მღვდელი, თავადნი, ახანურნი, მონანი და შიმუწვარნი, დედა-წულითურთ მათით. და მოიწია ქვეყანასა რაჭისასა, და აქა უბრძანა მეფემან ერისთავს შოშიტას რათა მთავართა ოსთასა წარმოეღოს მზევალნი.

ესე ამბავი ესმა რასულსა მეფისა ბაგრატისასა ბატონს შვილსა ნინოს, იმერეთს, მონასტრსა გელათისასა და მუნითგან წარმოვიდა მსწრაფლ ფარულად. და ესე მოესხენა მეფესა. ძმისწულსა მისსა, ალექსანდრეს იმერეთისასა და მოსწია რომელიმე თეადი ჩხეიძე, რა არა ვნებთ განტევაბა მისი ესეოდენ შორებით. რა იხილა მეფეთა ასულმან კაცი ესე მოვლინებული, ფრიად შეწუხნა და ღონისძიება ვერა რა ჰპოვა.

მაშინ იგულისხმა ბატონისშვილმან ნინო და მოვლინებულსა მას თავადსა რომელიმე საბოძარი უბოძა და ამისწუღსა თვისსა აღუქსანდრეს არწმუნა ესრეთ, რ რომელიმე დაბეჭდილი მადრამები დაუგდო, რ ყოველივე ჩემი საუნჯე ამას შიგან შთამოდებულ არს. მივიდე რა რაჭასაო და გამოვეთხოვო ძმასა ჩემსაო, მეფესა ქართლისსაო და კვალად მოვიდეო. და მათ ესე ვერ გულისხმა-ჰყვეს, რ მადრამაშიგან იყო ბაძა და მით გატენილ. და ესრეთისა ხელოვნებითა იხანა თავი თვისი და აწუქსიმობანდა და მეცა მაშინ თანა წარმიყვანა, რომელი ვიყავ მიბარებულ მიხეხისათვის სწავლისათვის ოდიშთა მფლობელის ბატონის, დიდის თავადის და დიანის ბეჟანის მეუღლის თამარისაჲს, რომელი გვიხმდა ჩვენთვის ბამიდად.

მაშინ მობრძანდა ბატონისშვილი ნინო მეფესთანა რაჭას და ევედრა წარმოყვანასა რუსეთს.

მაშინ აღდგა მეფე და განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მალასა კავკასისასა, მსგავს ჯოჯოხეთისასა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი, გამოძინდნარე თოვლთა და ყინელთაჲს. ესრეთ ძნად განაგულელ იყო კაცთათვის. უკეთესეცა შთავარდნილ იყო მცად ქვეყნელსა მას შინა უქუცურულსა ყინელისასა ორბი. გინა არწივი, მასაცა ვერცა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცაღა თუ ესეოდენთა ურიცხვთა დედასწულთა.

და ოდეს განულო მეფემან მთა ესე და მიაწია ქუტყანასა ოვსეთისასა. თუმცაღა გუქსხნეს მხვეალნი მათნი, გარნა ეგრეთცა ვერცაღა მით თავთა ჩუქნთა ვსწამლობდით მათთა ავახაურობათგან. და რაოდენთაცა გავეღიოდით ადგილსა, ანუ სოფელსა, მოვიდიან და ვნუქუქოდნიან მეფესა საბოძარსა და არა განუტყვიან. მეფემანცა რახომცა ძურფასი თუალი. გინა მარგარიტი უბოძის. ესრეთ უგუჟურ იყუნენ. რ კუალაჲ შილის ნახვეისათჳს ევედრებოდენ. და ესრეთისა ფრიადისა წარსაგებელით განვლო ადგილები მათი და ნობანდა სოფელსა დიდგორისასა და აქა მოვიდა ჩერქეზთა ბატონისშვილი და ამან გაგუაცილა სახლტარსა მათსა. და მივედით საბატონთსა ჩერქეზთასა; და მუნ ფრიად ეტრფიალენ და უმასპინძლეს ქრთობით, ამისთჳს, რამეთუ ახული მათი დედოფლობდა ჩუქნ ზედა.

მეფემანცა, გარჯისა მათისა მუქაჲდ, რამცა ოდენ ჰფერობდათ. ყოვლსავე თვითოვლად მიანიჭა. და აქა მოვეგნენ ჩრდილოეთისა სპათა მწედრობანი რაოდენნიმე ათასნი ჩინგიზთა მწედრობათა სპანი, თვალით წვრილნი, პირით პრტყელნი, სრულიად ქარქაშ-ხილფოსანი და მით განვლო მეფემან ჩერქეზთა ადგილები და რაოდენნიმე მდინარენი.

და განვლეთ მდინარე მუნ და დაიბანაჲ მეფემან და ისერა. კვალად ვიხილეთ სხვა უმჯობესი, განვსწავლულიქ რუსეთისა სპასთა მწედრობანი, რომელთა განსდევნეს ჩინგიზნი და თვით უწინამძღვრეს მეფესა, მოვეგნენ და თაყვანისცეს მთავართა მათთა, დიდით მცირედის, და წარმოიყვანეს. განვლეთ რაოდენნიმე ველნი. ფრიადი, ვიხილეთ უძჯობესი ჯარი ქვეითოსანი. მოვეგნენ მეფესა და თაყვანისცეს მთავართა მათთა რაოდენითაჲ თვითოვლთისა გვარითა საკრავითა, დროშებითა და დაფებითა და ესეთისა პატივითა სამთა ადგილთა ჯარნი ერთად შემოკრბენ და სრულიად დაღისტანი, ქვაბ ავახაკთა ადგილი, უგნებელად გამოაროინეს.

და მობრძანდა ციხესა სოლადისასა წელსა ჩლკდ, და მუნ მოვეგნა სარდარი გაბრიელ კროპოტოვი. და განახნეს კარნი ციხისანი და მოსტეს კმა ქუხილისანი ხელდეთა ზედა ქარდმოციდებულთა ხარქიანებთაგან, და წყობილთა სპათა—ქელის თოფთაგან. ესეთისა პატივითა შებანდა სახლსა ტურფასა და აქადამე წარგზავნილი ვლჩი თვისი, სარდარი ამილახვარი ვახტანგ პეტრეშუს მადლობით და თაყვანისცემით მალალთა ველმწიფეთად მიერ წარავლინა. და ოდეს მოვიდა სარდარი ესე და იხილა ველმწიფემან, ფრიად მოხარულ-იქმნა და წყალობა მოძებულ-ჰყო სახითა თვისითა ოქროსათა, რომელი იყო შემკობილი აღმასითა.

გარდახდა ჟამი. თვით მეფეცა აიყარა და მიბძანდა პირსა ხდვისა, პირსა კავკასისა და მუნ მოიგნეს რაოდენნიმე კუამალდნი; და მობძანდა კლაქსა ასტარნასა. მუნ გამოეგება მთურავი ქალაქისა მის, პატივითა ნით, რ ჯითარცა ზემოთე ამისა მოგუხუნებეს.

ხოლო ამა ქალაქსა იქით თუთ პეტრებრუნამდის ვითარითას პატივითა მეფე ქართლისა ვახტანგ ლევანის ძე ანუ ხმელეთით ანუ წყლით მიბძანდა, ანუ დიდსა ჯელმწიფისა მეფეთ-მეფის პეტრე ალექსის ძისა მიერ ამ სოფლით გარდაცვალებასა მისისა დიდებულებისა გლოვასა და ტყვეებასა [!] შინა ვითარ ესწრა და, უკანასკნელ, მისსა დაშთომილმან დედოფალმან ეკატერინემ ვითარ ნუგეშინის-სცა, ანუ რ[ა]გვარად უზომობით წყალობა მიანიჭა, ამისთვის ამბისა მოთხრობასა აღწერით ვერ შემძლებელ-ვექმენ, რ თუმცაღა თვით არა ეხილვა ვისმე, უხილაგთა კაცთაგან ესოდენი უსახდგრო პატივი არა ირწმუნებოდა, რომელი პანკრატონთა შარავანდედთა შორის, ვგონებ, არცაღა ვისმე მიეთვალს.

აწცა გლოვაც ყოველთა, ვინცა ინებოთ და ხელად მიიღოთ მცირე ესე ჩემი ნამუშავევი, რათა სახელი ჩემი წიგნისა ამისგან არა აღმოხოცოთ და კეთილ-საყვარლად მოხსენებასა ჰყოფდეთ.

ამისთვის მოველ რუსეთს და შევეგენ მცირესა ენასა რუსთასა. მაშინ ვინილუ წიგნი ესე—მოკლედ ქვეყანისა აღწერა და ფრიად მიმიზიდა და მოვიზიდე, ხელგზყავ და რასაცა ოდენ შემძლებელ ვიქმენ, ვთარგმნე მე, კნიახ გელევანმა გაბრიელ ქრისტეს აქეთ ჩლწ. სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს. გვ. 111—119:

(945)

1744

მხითარ სევასტიელი რიტორიკა. 1772

XVI, 272 გვ.; 15×11; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ფიცრული ყდა; მხედრული; სათაურები ასომთავრულით, სინგურით; 1772 (XVI გვ.); დაუნწერელია: II—IV გვ.

«მხითარ სევასტიელი. რიტორიკა» „თუხ ჯელოვნებისა სარიტორიკოსა (ესე იგი სამკვერმეთქვოსა). წიგნი ათუხ სახელწრისა სასმკვერმეთქვოსა და წუთალებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა.—მკვერმეთქვობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჯელოვნება საკეთილმეთქვო...“ გვ. 1—268.

შენიშვნები: 1. წინ უძღვის: ა. თავფურცელი—„მხითარ ყოვლად ბრძნისა მოძღვრისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა, სარგებლად ყრმათა სხალის შინათა ქართულსა ემასა ზედა გარდამღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართულოსა, დავითიქიან-ბაგრატიონისა.

დროსა უკეთილ-მსახურებისა, ყოვლად უბრწყინუალესისა და უმაღლესისა მგფისა ირაკლი მეორისა ყოვლისა საქართულოსასა,

მამათ-მთავრისა ანტონისასა,

წელსა დასაბამითგან სოფლისა 7272; ჯორციელად შობითგან სიტყუსა ღთისა 1764; თთუშსა მეშვიდეს, რიცხუსა 10“ (გვ. V).

ბ) „წინასიტყუობა ეპისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა... ირაკლის მიმართ მეორისა, ძმისა თუხისა, მეფისა ყოვლისა საქართულოსა...—ირაკლი, დავითიან-ბაგრატიონისა, ყოვლად ბრწყინუალისა მეფისა ყოვლისა საქართულოსასა, მის მეფობის სიმაღლეს, ჩენს ყოვლად სატრფოს ძმა[ს].—იცის საზოგადომან ჩუქუღებაშან, ვითარმედ ყოველნი უმჯობესისა[დ]მი მიმართებენ თავთა თუხთა. თუხ...“ VII—XV გვ.

ანტონ I ერეკლე II-სადმი მიმართვის სრული ტექსტი იხ. „ხელნაწერთა აღწერილობის“ (H კოლექც.) I ტ., № 256, გვ. 183—184.

შდრ. აგრეთვე H კოლექც. № 1068.

2. „რიტორიკის ტექსტს დართული აქვს „პინაქსიტყუობა“, 269—270.

12. ხელნაწერთა აღწერილობა

ანდერძი. „ალიწერა დასაბამითგან“ ვიდრე აქამომდე 7280; განწორციელებითგან სიტყვას ლისა 1772, ქკს 460; თთფსა იენისსა, რიცხუსა 26“. (სინგურით, XVI გვ.).
 მინაწერები: 1. კრიპტოგრაფული (I ყდის შიგნიდან და V XI გვ., ანდერძის ტექსტის ბოლოს).

2. „ღმერთმა ატონენოს ამისი აღმწერელი წინამძღვარი გამალიელ“ (272 გვ.).

3. სომხური მინაწერი (272 გვ.).

(946)

1746

ბარამგულანდამიანი. XIX

70 გვ.; 20,4×16; ქალაღი (ცისფერი); დაზიანებული და რესტავირებულია 59—62 გვ.; მაგარი მუყაოს ყდა; ტყავის ყუით; მხედრული; XIX ს. დასაწყისისა; კვირნიშანი: „[18]38“; თავკახმულობა 1 გვ.; ბოლოკახმულობა 20 გვ.

«ბარამგულანდამიანი». „ქარი პირველი ბარამისა და გულანდამისა, სპარსული საგან ქართულად გარდმოთარგმნილი ბრძანებითა ქართველთა მეფის ვახტანგისათა.—იყო ქვეყანასა ურუმელთასა ჯელმწიფე ქიშვარ, ზნეუკლები, მორჩმული და სიმდიდრისაგან გალღებული...“ გვ. 1—70.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს, ბოლოკახმულობის ქვემოთ, მოთავსებულია ხუთსტრიქონიანი კრიპტოგრაფული ჩანაწერი.

2. „ბარამგულანდამიანისათვის“ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. II, თბ., 1952, გვ. 306—311.

3. ხელნაწერი აწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. I, გვ. 552—562, № 87).

ე. თაყაიშვილი ხელნაწერს „მოკლე რედაქციის“ ჯგუფს აკუთვნებს (იხ. დასახელებული აღწერილობა, გვ. 557) და აღნიშნავს, რომ მისი ტექსტი (უხეიროდ) გამოცემულია თბილისში, 1880 წ., ივ. კალატოზისა და პავლე ფერაძის მიერ.

შდრ. ვრცელი რედაქციების ხელნაწერები: S: 1548, 2392, 3064.

მინაწერი: „ჩემო მიჯნურო! შენთვის ვტირ, მხოლოდ და შემოწყნაროდა, გავიჭრე მინდვრად ტყვედ და კლდედ, სოფელსა გავეძლოდა, რას ვაქნევ სოფლის დიდებას თუ წენ კი მამეკრძალოდა“ (70 გვ.).

(947)

2266-ა

დაუჯღომელი ჯვარისა. XVIII

18 გვ.; 13×7,5; ქალაღი; დაშლილი; უყდო; წერილი კალიგრაფიული ნუსხური; დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; ტექსტი ჩაწერილია ვარაყით მონახულ ჩარჩოში; ფრაგმენტი წარმოადგენს საზარება-სამოციქულოს ან მარტო საზარების დანართს; გადამწერი—სიონის დეკანოზის შვილი გაბრიელ (17 გვ.); XVIII ს. დამდეგი.

„დაუჯღომელი ჯვარისა.—ზეშთა მბრძოლისა და მოლუაწისა ჩუენისა უძღვევისა ჯვარისა შენისა, ქრისტე ღმერთო...“ 1—9 გვ.

შენიშვნა: 1. „დაუჯდომელს“ მისდევს: ა. წრეში ჩაწერილი ცხრილი საკითხავებისა: „აქა ვიწყით შაბათ-კვირიაკეთა სახარებანი“ (10—11 გვ.); ბ. ქორონიკონი (13—14 გვ.).

გ სახარების საკითხავთა საძიებელი (გვ. 17).

2. ხელნაწერი წარმოადგენს ფრაგმენტს. თავდაპირველად ხელნაწერი შეიცავდა სახარება-სამოტიქულოს ან მარტო სახარების ტექსტს (იხ. ანდერძი).

3. სიონის დეკანოზის შვილი გაბრიელ ვახტანგ VI-ის ცნობილი მდივან-მწიგნობარია. მისი ხელითაა აგრეთვე გადაწერილი ხელნაწერები A—909 და A—910.

4. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, 654). ანდერძი (გადანწერისა): „ქრისტე შეიწყალე ამ სახარების და სამოტიქულოს დაწერი დასრულ-მყოფელი სიონის დეკანოზის შვილი გაბრიელ, აწ“ (გვ. 17).

მინაწერები: 1. ქორონიკონი დაწერილი გაბრიელისვე ხელით;

„ტფ. ლუარსაბ ისპანს წავიდა.“

ტფ. ლევან და ბაგრატ ისპანს წავიდნენ მარტს მ. ამე ქორონიკონსა მეფე გიორგი გარდაადგეს იმერეთს, მეფეს ერეკლეს მისცეს ქართლი. ლევან და ბაგრატ ერთს გაგზავნეს და ლუარსაბ ქირმანს, ბაგრატ ერთს მოკულა.

ტბლ. მაისს კვ წავიდა ქართლიდამ ქაიხოსრო ისპანს.

ტბე. მარტს მ მეფე გიორგი ისპანს ჩავიდა. ამე ქორონიკონსა სულეიმან ჩავიდა ისპანს.

ტბვ. ნოემბერსა კა გიორგი მეფეს ქირმანი მისცეს. ამე ქორონიკონსა აგსტოს ლუარსაბ მოკულა. მეფეს გიორგის მამის სახელი დაარქვეს შაჰნავაზ. ქირმანს ლევან გაგზავნეს ჩაფრად და ბულუქებზე გაემარჯვა.

ტბზ. მეფე შაჰნავაზ და ლევან სისტანს ბულუქებს შეებნენ. გაემარჯვათ ოთხასი თავი მოსჭრეს. ყვენმა ცხენი და ხალათი და ჯმალი გაუგზავნა ორთავ ძმას

ტბთ. აგსტოს კმ ლევან ქირმანიდამ დაიბარეს, მდივანბეგობა მისცეს; სახელი გამოუცვალეს, შაჰყულიხან დაარქუს.

ტბა. სულეიმან მოკულა მარტს ივ. ამე ქორონიკონსა მაისს კთ მეფე შაჰნავაზს ქართლი და სპასალარობა მისცეს. ლევან ჯანიშინად ქართლში გაგზავნეს და ქაიხოსროს მდივანბეგობის ჯანიშინობა მისცეს, სახელი გამოუცვალეს, ხოსრო დაარქვეს. და ერეკლე მეფე ქართლიდამ წიყყანეს, ყულარ აღასობა და კახეთი მისცეს. ამე ქორონიკონს ყანდარი მისცეს მეფეს შაჰნავაზს.

ტბბ. კახეთი მისცეს ერეკლეს შულს.

ტბგ. ლევან ქართლიდან დაიბარეს. ვახტანგს ჯანიშინობა მისცეს.

ტბდ. ერეკლეს შულს კახეთს გამოისტუმრეს. ამე ქორონიკონს ყვენი მაშათს წავიდა, ისპანს ხოჯა დაადო. ნაიბად ისპანი შიბარა.

ტბე. მაშათის გზაზე შიმშილობა იყო. მარტს ი ქაიხოსროს ჯარის ნასალი უბრძანეს. ამე ქორონიკონს ისპანს მაშათიდან გაგზავნეს ქაიხოსრო ჩაფრად, ნაიბობა და ტარულობა ისპანისა მისცეს. ისპანი აშლილიყო, ხოჯა და ყვენის სასახლე ჩაქვებინათ. შიმშილობა შექნილიყო და ლითთ ყველა კარვა გაარიგა.

ტბვ. როსტომ მეფე გაბატონდა.

ტბგ. არჩილ მეფე დაიბადა.

ტბდ. როსტომ მეფე მიიკვალა და მეფე შანავაზ გაბატონდა.

ტბდ. მეფე შანავაზ და კათალიკოზი დომეტი მიიკვალნენ სეკდენბერს.

ტბზ. მეფე გიორგი გაბატონდა იანვარს და ამე ქორონიკონს სეკდენბერს: თუთა ბატონის შვილი გურიელის ასული მიიკვალა.

ტბთ. დედოფალი როდამ მიიკვალა ივლის იბ.

ტბა. დედოფალი მარიამ მიიკვალა.

ტბბ. დედოფალი თამარ მიიკვალა. (13—15 გვ.).

2. მხედრულით: „სეკდენბერს სამს, სამშაფათს შუადლისას, ქორონიკონს ტპ მ რაბი ელ ავალის ოცდათს 1112.“

ადამს აქეთ შვიდი ათას ორას ათი, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას: ორი. მზის მტკიცეა—თოთხმეტი. მთოვარისა ცხრა. ქკნი ტპ“ (გვ. 12).

2266-ბ.

ვახტანგ VI, კვინკლოსი (ფრაგმენტი). XVIII

2 ფ.; 14×9; ქაღალდი (თხელი); ფრაგმენტი; მხედრული და მთავრული; დაწერილია ვახუშტის ხელით; [XVIII ს.].

[ვახტანგ VI, კვინკლოსი].

1 r-ზე ზემოთ: „ხელთა“, შემდეგ ნახევარ-წრე, რომელშიც ჩაწერილია საეკლესიო დღესასწაულების ცხრილი: „ამ მგრგვლივ დღესასწაულები იცნობების...“

ცხრილის ქვემოთ მოთავსებულია კვინკლოსის გამონაგარიშების წესი, რომელსაც მიწერილი აქვს: „ამ ქორონიკონზე გამოიღო მეფემ ეს კვინკლოსი: მზის მოქცევა იყო იგი, მთვარისა -ით, დასაბამითგან ჯსლო 7239; ქრისტეს აქათი იყო ჩღლა 1731, ქართული ქორონიკონით უით 419“.

1 v-ზე დახატულია ნახევარ-წრე, ხოლო ცხრილები ჩაწერილი არ არის.

2 r-ზე: „სწავლანი ამა ქორონიკონსა, თუ ვითარ ჯერ-არს ყოველივე...“

2 r-ზევე წრე, რომელშიც ჩაწერილია სახარება-სამოციქულოს სადღესასწაულოს საკითხავები.

წრის ორივე მხარეს კიდევ წერია: „ეს გრკალი მროველ-ყოფილი ტფილელ მიტროპოლიტის ორბელის ძის ნიკოლოზის გამოღებულ-გაკეთებულია. შენდობას გთხოვთ, ვინც ნახოთ, მრავლის ჭირით გამოიკეთებიაო. მე ვნახე და აქ დავსწერე. სახმარ იყო ამ ქორანიკონით“.

2. ე. თაყაიშვილთან ორივე ფრაგმენტი (2266 ა და 2266 ბ) აწერილია ერთად (იხ. Описание, II, გვ. 654).

შენიშვნა: 1. მსგავსი კვინკლოსი, გადაწერილი ვახუშტისვე ხელით, დაცულია აბის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერ ფონდებში (E—10ა. იხ. P. P. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, вып. I. стр. 49).

(948)

2267

კრებული. XIX

26 ფ.; 34×22; ქაღალდი ლურჯი ფერის; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.].

1. „ღემხი. ქ. თქმული ლექსი. სამიჯნურონი, რომელსა ეწოდების ეშხი ხონია. ჩახრიხეული.—

ზანბახის პირი, მნახვთა ჭირი, კეკლუცს მახე წარებით...“ 1r—7v.

2. [გარსევან ჩოლაყაშვილი]. ... „ქარი პირველი ნარგიზოვანი.—

ჰე, საყვარლო, შენის გონებით ხელვარ მიხდორსა თავის ღონებით ნარგიზოვანი...“ 7v.

შენიშვნა: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ნარგიზოვანი, ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936).

2. „ნარგიზოვანის“ ტექსტი ხელნაწერში დაყოფილია თავებად (სულ 8 თავია). ხელნაწერის VII კარში გაერთიანებულია გამოცემის VII—X კარები. ამ კარში გამოცემის VII კარიდან შესულია პირველი სამი სტროფი დასაწყისში და IV სტროფი ბოლოში. ნაბეჭდი გამოცემის VII კარის მე-5—11 სტროფები ხელნაწერში VIII კარადაა გამოყოფილი (იხ. ფ. 13—14).

3. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა ნარგიზოვანი“ (14r).

3. [ლექსი].—„ღამართა ბროლი სვეტისა, რა მზემ ნახა, იამა...“ 14 r.

შენიშვნა: ხელნაწერ H—1282: 83-ში ეს ლექსი მიეწერება ვახტანგ VI-ს.

4. [გარსევან ჩოლოყაშვილი, ხილთა ქება]. „უყურეთ ხილთა ქცებასა, რისა ანბისა მთქმელია...“ 14v—16r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, ტ. II, 1928, გვ. 64).

5. [დავით რექტორი]. „საყვარლისა პირმთვარეობა, მოხდომით გაშლა, მით არეობა...“ 16r.

6. „რეული.—რადგან გაგწირა მისნი არენი, რადგან გენბავს პირნი მთვარენი...“ 16r.

7. [ლექსი].—„თუ მოსთვალავ, იგი კმარან; რაცა ბედან გჭირან. ჰირნი.“ 16r-v.

8. „რეული ანუ.—თუმცა აწ ბედი შენი ბნელია, მაგრამ ეს უწყის, დღე ნათელია...“ 16r.

9. „ლექსი.—„გაგებტობი, გულო, გიცნობ, ხარ აწვეცა გაუტეხელი...“ 16 v.

10. „რეული.—ეს საწუთროსგან, სხვისგან არ მჭირდეს...“ 16 v.

11. „ლექსი.—გონებამან გონება სცნას, არ იცნობის; თუ არ კაცი...“ 16 v.

12. [ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, მიჯნურთ ბადე].—

„... ზანგთა რაზმი ჩემად მკულელად ედგა ყენებითა,
გიჴრის მშვილდი მოზიდული ისარს მესვრის ქენებითა...“ 17 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია, მაგრამ არა მთლიანად (იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 257).

2. ჩვენი ხელნაწერის ტექსტი მისდევს MS—1511 ხელნაწერს (იხ. დასახ. ხელნაწ. 117v-ს უკანასკნელი სტრიქონიდან).

მინაწერები: „ესე მიჯნურთ ბადე, რომელმანც ითხოვოთ, წაიკითხოთ და შექცეთ, ეგრეთვე პატრონსავე უბოძეთ, და თუ მიცემა აღარ ინებოთ, მოვალენი იყვნეთ მეორედ მოსვლასა, ამინ, კრიელეისონ“ (25v).

2. „ამ ლექსებში ხშირად შეხვედებით, რომ სიტყვის წერილს წინ პირველად ასო უზის ქ. ეს არ ეკუთვნის იმ სიტყვას, რომელს სიტყვასაც უწერია პირველს ასოდ ქანი. ქ. ეს საწუთროსაგან—ეს საწუთროსაგან. ქ. გონებამან—გონებამან. ქ. თუ მცა—თუმცა. ქ. საყვარელო შენსა—საყვარელო. ქ. თუ არ მომკლა—თუ არ მომკალ(!). ქ. შავმან შვილდმან—შავმან შვილდმან—ასე ითქმებიან, და სხვანი. ნიკ. ანტ. ყაზ“ (26v).

(949)

2268

მხედარნი პოლშისანი. XIX—XX

4 ფ.; 34×23; ქალაღი; კოლენკორის ახალი ყდა; მხედრული; [XIX—XX].

„მხედარნი პოლშისანი.—ოცდა ხუთი წლის წინათ აღეგზნა რა ბრძოლა, შეამთხვია მას ძლიერი დაბრკოლება სახელოვანმან, რომელმანცა წარსტაცა სვე მამულსა თქვენსა...“ 1r—4r.

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს გენერალ-ფელდმარშალ გრაფ დიბიჩის მიმართვას პოლონეთის მხედრობისადმი.

2. ტექსტის ბოლოს სწვრია: „მიწერილ არს ღენერალ მარშალი ღრაფი დიბიჩი ამიერბალკანისა“ (4r).

(950)

2269

კრებული. XIX

8 ფ.; 22×18; ქალაღი; კოლენკორის ახალი ყდა; მხედრული; რუსულ-ქართული ტექსტი; [XIX ს.]; მთარგმნელი—რევაზ ყორშიბაშოვი (8r).

1. [А. С. Пушкин] «Ночной эфир
Струит эфир,
шумит, бежит
Гвадалквивир...»

[ა. ს. პუშკინი] „ღამის ნიავი,
ლეღავს ეფირი,
მიღის გრიალით
ღვადალკივირი...“ 1v—2r.

2. [Крылов]. „Петух и Алмаз.—

[კრილოვი], „მამალი და
ალმასი.—
ერთხელ სანებვეს მამალმა იპოვა
ქექვით ალმასი...“ 1v—2r.

В навозе роился, нашел петух алмаз...“

3. [Державин] „, Бог.—

[დერჟავინი]. „ღმერთი.—

1. О тв пространством безконечный...“

1. აჰა, შენ სივრცით დაუსრულებელი...“ 2v—8r.

შენიშვნა: 1. რუსულ-ქართული ტექსტები პარალელურადაა დაწერილი.

2. „ღმერთი“ მთარგმანის ბოლოს მიწერილია: „გადათარგმნულ არს რევაზ ყორშიბაშოვისაგან“ (8r).

(951)

2270

ბესარიონ გაბაშვილი. რუხის ბრძოლა. XIX

8 ფ.; 22,5×17, ქალაღი; აკინძული; მხედრული, დასაწყისი ასოები მთავრულით; ბოლონაკლული; [XIX ს.].

[ბესარიონ გაბაშვილი. რუხის ბრძოლა].—

„ღღეს იხარებს დავით, სულიერსა ჩანგსა თანა სულითა მმლაღადებელი შეფე, და იტყვის...“ 1r—8v.

- შენიშვნა: 1. ხელნაწერი ბესიკის თხზულებათა გამოცემაში H ლიტერითაა აღნიშნული (იხ. ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული აღმ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1932, გვ. 123).
 2. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. დასახ. გამოც. გვ. 28).
 3. ტექსტს ბოლოში აკლია ორი ტაეპი.
 4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание, II, გვ. 366).

(952)

2271

ანდრია კასრაძე. ქართველ მხედრებისადმი მიძღვნილი ლექსები
და მიმართვა. XIX

4 ფ.; 34.5×22; ქაღალდი; ყდიანი; მხედრული; [XIX ს.].

1. [ანდრია კასრაძე, მიმართვა ქათველი მხედრებისადმი]. „ღმერთი ძლიერი ჯელმწიფე, რამეთუ ჩუწნათანა არს ცათა შინა; არს დიდ, ვითარ ცნი ჩვენი და ძლიერ, ვითარ ჯელმწიფე ჩვენი.—სიხარულევანსა ამას ხმისა წარუძღვნი კანდიერებით მხნეთა ერთ ივერისათა განმზადებულთა, განსამზადებულთა და დაბანაკებულთა პირის-პირ ოსმალთა, არა ერთ გზით სახელოვანთა და ერთგულობისა მაჩვენებელთა გვამათა...“ 1r-v.

2. [ანდრია კასრაძე]. „და ესრეთ აღმოაჩინეთ თავნი თქვენნი მათ-ზედა, ვითა ლომ-ვეფხვათ.—

„ხოლო იგინი ითხეთ, იკატეთ,
სიმხნით და ძლევით თქვენ არ იმატეთ...“ 1v.

3. [ანდრია კასრაძე]. „ვინ ვის ჰსძლევეს.—
სადა ერთობა არ გაერთობა,
მუნ ძალი მყარობს ამაღლებულად...“ 2r-v.

4. [ანდრია კასრაძე]. — „რუსთ-კახთ-თუშთ-ფშავთ-ქართველთ და იმერთს ზედა თქმული.—

ჩინებულნო მეომარნო, რუსეთის მხედრობანო,
თანა-მინდობით კახთ-თუშთ-ფშავთ ქართველნო და იმერნო...“ 2v—3v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „ანდრია კასრაძე“.

(953)

2302

ხელდასხმის სიგელების ნიმუშები. XIX

6 ფ.; 22×16,5; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; ბოლონაკლული; [XIX ს.].

1, „ჭორმა მღვდელთ-მთავრისაგან მისაცემელის ღრამმატისა ახლად ჯელდასხმულისა მღვდლისადმი. წყალობითა ღმრთისათა: (აქ დაიწერება ტიტული მღვდელ-მთავრისა), მაღლითა, ნიჭითა და ჯელმწიფებითა ყოვლად წმიდისა და ცხოველთ-დასაბამისა სულისათა, მოცემულითა ჩვენდა თვთ დიდისა მღვდელთ-მთავრისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესგან, წმიდათა და სამღვდლოთა მისთა მოციქულთა მიერ და მათთა მოადგილეთა და მოსაყდრეთა, კეთილ-ქრძალული ესე მამაკაცი (აქა დაიწეროს სახელი და გვარი ხელ-

დასხმულისა) პირველად ყოვლითა მკაცრითა გამოძიებითა გულსმოდგინედ გამოვსცადეთ...“ 1r—4r.

2. „ჭო რ მა მღვდელთ-მთავრისაგან მისაცემლის დ რ ა მ მ ა ტ ი ს ა ახლად ჯელდასმულისადმი დიაკონისა. წყალობითა ღმთისათა (აქ დაიწერება ტიტული მღვდელთ-მთავრისა), მადლითა, ნიჭითა და ჯელმწიფებითა ყოვლად წმიდისა და ცხოველ-დასაბამისა სულისათა, მოცემულითა ჩვენდა თავადისაგან მღვდელთ-მთავრისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა წმიდათა და სამღვდელთა მისთა მოციქულთა მიერ და მათთა მოადგილეთა და მოსაყდრეთა კეთილ-კრძალული ესე მამაკაცი (სახელი და გუარი ხელდასმულისა) პირველად ყოვლითა მკაცრითა გამოძიებითა გულსმოდგინეთ გამოვსცადეთ...“ 4v—6v.

წყდება: „... მსახური ქრისტე იესოსი, აღზრდილი სიტყვთა სარწმუნოებისათა და კეთილთა სწავლითა. ვუბრძა...“

(954)

2303

კრებული. XIX

14 ფ.; 17,5×11; ქაღალდი; შუადო; დაშლილი; ფრაგმენტი; მხედრული; დაზიანებული (1—7 ფფ-ის მარჯვენა და მარცხენა კუთხეები მოგლეჯილი); [XIX].

1. [თეიმურაზ I, ვარდ-ბულბულიანი].—

„ზღვა დაწყნარდა ღელვისაგან, შეიცვალა ქარკეთილად, ვითა გული გამწყრალისა დაამშვიდდა(!), იქმნა რბილად...“ 1r—3v.
წყდება: „... ბულბულმა უთხრა: საკვდავად მე თავი გამეწირაო, მე შენი შეკვეთილი ვარ, არ სხვა მფრინველი არაო, მომკლავ, დაპარჩენ, მე შენმა სიტურფემ გამაკვირვაო, და შენ შესაფერად დაემღერო, არ ავად რასმე ვყვიროო...“

შენიშვნა: 1. ტექსტი იწყება მერვე სტროფით, წყდება მეორმოცეზე (იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა კრებული, აღ. ბარამიძისა და გ.ჯაკობიას რედაქციით, 1934 წ. გვ. 7—8).

2. ხელნაწერი აღწერილია გ. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 314).

2. [სასულიერო ხასიათის ლექსი].—

„... ისა ეს ამბავი ვერა უთქომს კარგა არად,
... ცოდვასა იქს, იგ ჩაიგდებს გულში არად,
... გამოვა, ჩაუვარდების, ერთხელც არის ცოდვა ნაღვლად;
... აშია ღმთის სასწორი, სამართალი უძეს ამრად...“ 4r—6r.

3. [თეიმურაზ II, ხილთა ქება].

„... ხილთა ქებასა, რისა ამბისა...
ფერ-შენიერი, ძირწური, ცოტა ხანის მდ...
უხუცესი და პირველი, მარწყვი მიწას მღვომელი...“ 6v—7v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით „ხილთა ქება“ იძლევა რედაქციულად განსხვავებულ წაკითხვებს (შდრ. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული გ.ჯაკობიას რედაქციით, 1940. გვ. 109).

4. [ვარდბულბულიანი].—

„...დაჯდა ტყვექმნილი ბულბული,
სულთქმისა ჯმასა ყიოდა,
იმტვენს, იძახის, გაშმაგდა, გავს, თუცა წყლული სტკიოდა...“

8r—11v.

წყდებთ: „... გიშერთ მშვილდით, ჩემო მკვლევო, ვით ქალწულო
მშვილდოსანო,

ეტლო შეიღთა სპარაზენტა, მუშკ-სუმბულო ზილფისანო,
თვალად შაო შავარდნისო, თმა მუშკისა ინდოსანო,
და ედემს სულო სამოთხისა, მუშკ ილისა(!) მაყნოსანო...“

შენიშვნა: ტექსტი მოიცავს 40 სტროფს. ძირითადი ტექსტი გამართულია 16-მარცვლოვანი შაირით. შიგადაშიგ ჩართულია 20-მარცვლოვანი ჩანარუხაული სტროფები (14—16).

5. [ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები].

„... სად შური შევა, მუნ არის ზღვევა, იქ კეთილობა იყოს მბტო-
მელად,
ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა განსაკრთომელად...“

12r—14v.

(955)

2304

კრებული. XVIII

10 ფ.; 17,5×11; ქალაღი; უყდო; დაშლილი; ფრაგმენტი; მხედრული; დაზიანებული; [XVIII ს]; წინა ხელნაწერის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

1. „ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასმენლად შეენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა. ამ წიგნს ვეფხისტყაოსნობით უკმობენ.“

ა. რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...“ 1r—4r.

შენიშვნა: ხელნაწერის დასაწყისი ნაწილი წარმოადგენს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის შესავალს, რასაც მოსდევს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრეფილი აფორიზმები.

2. [ანტონ I, ანბანთქება]. „აჭირვებს, აღენს ალებსა აღმასი, აელვებულნი...“ 4r.

შენიშვნა: 1. ანბანთქების ავტორი აღდგენილია ხელნაწერ S—1512:67-ის მიხედვით.

2. 4v-ზე სხვა ხელით მიწერილია კიდევ ერთი სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან“. „მო დავსხდეთ ტარიელისთვის, ცრემლი გვდის შეუშრბელი...“ 4v.

3. [ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები].—

„... საყვარელია, ვაჟ რა მოგონება ძნელია,
მისთვის მაქვს თვალი სველია, ჩემთვის ნათელი ბნელია,
საროს სურვილსა ველია, ვინცა ვის ამის მცველია,
და ვით ივარ ვარ მსვლელია, უკეთ ვარ გამრჩეველია...“ 5r.

(956)

2305

თეიმურაზ I, თხუზულელები. XIX

23 ფ.; 22×17.5; ქალაღი (მოღურჯო); მხედრული ნაკლული, ფრაგმენტი, ძველი პაგინაციით იწყება 163 გვერდით; ჰვირნიშანი 1822 წ.; [XIX ს.]; გადამწერი—ალექსანდრე ვანნაძე (9რ).

1. [თეიმურაზ I, ლეილმეჯნუნიანი].

„... მას მკურნალთა ვერა არგეს, იქნა სოფლით გაბარგულად, სოფელი და სოფლად მყოფი ჰგვანდა დამწვარ-დადაგულად...“

შენიშვნა: 1. იწყება 127 სტროფით (იხ. თეიმურაზ პირველი, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1934 წ., გვ. 41).

2. ტექსტს აკლია თავში და 7—8 ფ. შორის.

2. [თეიმურაზ I, ვარდ-ბულბულიანი] „ლექსი მუნასიბი და ტკბილად გაწყობილი, მსმენელთათვის საამოვნო ვარდ-ბულბულის გაბჭობა, ნათქვამი დიდის მეფის თეიმურაზისაგან. კურთხეულ არს ხსენება მისი.—

ჰე, არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლი ფერი.

ვიწყო რამე სიტყუა მცირე, ბრძენმან ვინმე ყურად ილოს...“

10რ—19ვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ I, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი 1934, გვ. 3—14).

3. [თეიმურაზ I, შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა].

„... შენს ღროში ტყეთა სხვა ფერი იგ მწვანის მეტი რა აქო? რა ათას ფერად ყვაოდეს—იგ თუ არ აქო, რა აქო?...“

წყდება: „... ჩემის დროს ქარნი, ნიჟინი უკუდაებასა ედარა...“

22 ვ.

შენიშვნა: 1. ტექსტი იწყება მე-20 სტროფით, წყდება—მეორმოცეზე (იხ. დასახ. გამოცემის გვ. 101 და 105).

2. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილმს მიერ (იხ. Описание, II, გვ. 284). მინაწერები: 1. „ჩყნგ-ს წელში, მარტის ექვსს რიცხვში მოჰხდა ძვრა“ (23ვ).

2. „მის კურთხევას გურიის ეპარხიის პროტოდიაკონს, გინა არხედიაკონს ითა-ნეკორიევს, ოზურგეთსა“ (23ვ).

3. „მის კეთილშობილებას ტამოყნის ნაწილის ჰერეთიქს ილარიონ იოსი-ფიხს ელიოზოვს, ოზურგეთს“ (23ვ).

(957)

2306

წმ. ნიკოლოზისა და წმ. გიორგისა შესხმები. XIX—XX

4 ფ.; 22×17.5; ქალაღი; აკინძული; მხედრული; ფრაგმენტი; [XIX—XX სს.].

1. „შესხმა კთ. წმიდისა და ღმთივანათლებულისა ნიკოლოზისა კვირველთ მოქმედისა.—საკვირველ არს ღმერთი წმინდათა შო-

რის მისთა. ეპა, კაცო ზეცისაო, საქებლო ანგელოზთა შორის და საკვირველო...“ 1r—2v.

2. „შესხმა კვ. წმინდისა და ღვთისაბუნებისა დიდებულისა მოწამისა გიორგისა.—გულის ხმა ჰყავთ, რამეთუ საკვირველ ყო უფალო წმინდა თვისი...“ 3r—4v.

(958)

2308

კრებული. XIX — XX.

12 ფ.; 22×18; ქალაღი; ლიდერინის ახალი ყდა; მხედრული; უწიგნურად ნაწერი; [XIX—XX სს.].

1. [დიმიტრი ბაგრატიონი, ელისაბედია]. „ქ. ელისაბედიანი, ლექსი ალერსიანი, მამისაგან ნათქვამი, აღარ დასაგვიანი...“ 1r—4v.

2. [ლექსი]. „მე ერთ სიტყვას მოგახსენებ, მაგრამ გვიან გათავდება, ერთ ვერანას ქვეყანას ერთი გლახ[ა] დასახლდება, ბევრი კაცი კარგათ სახლობს, ერთი გლახა დასახლდება. ის ისეთი გლახა არის, უარესი არ იქნება...“ 5r—7r.

3. [ვრ. რჩეული შვილი]. „ახ, მთვარე, მთვარე, დამწვართ იმედო...“ 7r—v.

შენიშვნა: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „კეკეჯან, ამ წიგნში ბევრი ამბიკვბია, უცოდინარმა რომ წაიკითხოს, სულ ვერას გაიგებს, შენი...“ 7v.

2. ლექსის ავტორის შესახებ იხ. ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1957, გვ. 401.

4. [ი. ჭავჭავაძე]. „გახსოვს ტურფა ჩვენ დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთათ ვრბოდით...“ 8r.

5. (ი. კერესელიძე). „შევტრფი გაზაფხულს, ღმით მოსულსა მწვანის მანტით გარე მოცულსა:

აგერ მოვიდა კვლავ გაზაფხული სტურფა(!) სტუმარი, სტურფად(!) შემკული...“ 8v—9r.

შენიშვნა: 1. ავტორი მიწერილია ლექსის ბოლოს (9r).

2. ლექსი დაწერილია გაბმით.

6. [სამკურნალო რეცეპტები]. „მძოვრის და ქაჩლისათვის შავი ცხენის ჩლიქი, თავის ცურცილი და უმარილო კარაქი ერთად სცხეთ...“ 9v.

7. [შელოცვები]. „ვისაც გველმა უკბინოს, ეს ლოცვა სპილენძზე ზეთით[თ] დასწერე...“ 10r—11r.

8. [წერილი კეკესთან]. „ამ წიგნზე გწერთ, კეკელაჯან, და თქვენს სიყვარულს ამით ვიახლებ და ქონდეთ ჩემს სახსოვრათა...“ 2r—11v.

შენიშვნა: ხელნაწერი მეტად უწიგნურად არის დაწერილი.

(959)

2309

კრებული. XIX

16 ფ.; 22X18; ქალაღი; ლიდერინის ახალი ყდა; მხედრული; [XIX ს.].

1. [გოდერძი ფირალი შვილი]. „თუშთა, ფშავთა და ხევსურთა გლოვა სანატრელი და ღთისათვის განსვენებულის საქართველოს მეთის(!). ირაკლისა მეორეს, თქმული მათებრივ ლექსათ სოვ...“

აღსდგე გმირთა(!) გმირო, ნუ გძინამს, მტერთა ისმინე ხმანია,
გრძლად ძილის ჩეუღს როდის ხარ, მოგვიხმე უნჯი ყმანია...“ 1v.

შენიშვნა: 1. ლექსი ნაკლულია.

2. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, ტ. II, გვ. 297).

2. [ლექსი]. „დიდებულო ხელმწიფეო, მალალო და ლომო ქველო, გვარ-ტომობით ბაგრატიონთ, სოლომანი, სიბძნის მცველო...“ 2r—3r.

3. [ბეჟანიანი]. „აქ ანბავი დასაწყისი ბეჟან-მანიჟა არიან(!).— თურანს ტახტი დაიკარგა, ხორციელი ყველას ცნობსა...“ 3v.

შენიშვნა: „ბეჟანიანი“ გამოცემულია რამდენჯერმე. იხ.: ბეჟანიანი, ფირდუსი-საგან შაჰ-ნამედ წოდებული სპარსულ ენაზე. ნათაგმნი ხოსრო თურმანიძისაგან მეფის თეიმურაზის პირველის დროს XVII ს., ტფილისი, 1907 და 1913 წ. გამოცემები.

4. (ლექსის მთქმელი გიორგი, ხორველას ამბავი).

„ხორველას ანბავს მოვიყვე, შიგ დავატან გამჩენელსა.

სამი ბერი ერთათ ისხდნენ, ერთად მოიტეხდნენ პურსა...“ 13r—16r.

შენიშვნა: ცნობა ლექსის მთქმელ გიორგიზე მოთავსებულია ლექსის ბოლო სტროფში.

ანდერძი (გადამწერისა): „მე დამიწერია გონგლია შვილის ქალს სოფიოს“ (16r).

მინაწერი (გაუმართავი და გაურკვეველი ხელით მიწერილია ლექსი): „მოვწყდი ამა სოფელს, განუტევე ჩემი სული...“ (16v).

(960)

2310

ავგაროზი (პირი). XIX

1 ფ.; 44,5X35,5; ქალაღი; ქალაღის ფურცელი დაყოფილია 30 ნაკვეთად. პირველ ნაკვეთში ჩაბატულია წმ. გიორგი, მეორე და მესამე ნაკვეთებში დატოვებულია ჯვარისა და ღვთისმშობლის გამოსახულებათვის; დამწერი—შიო.

(ავგაროზი). „თავი პირველი. სახარება იოვანესი. აღდგომის წირვისა. პირველიღგან. იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღვთისა თანა...“

შენიშვნა: 1. ავგაროზი წარმოადგენს XIX საუკუნის მიწურულის პირს. დ. კარიკაშვილის ცნობით, ეს და მომდევნო ხელნაწერი 1895 წელს, თანახმად ქ. შ. წ. კ. გამაერცვლებელი საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებებისა, დაუბრუნდა შემომწირველებს მათი თხოვნისამებრ (ცნობა დაცულია საინვენტარო კატალოგში).

2. ავგაროზს წინ უძღვის დამწერის—შიოს—ლექსი:

„გიორგის ბრძენსა, ახოვან მხნესა

უძღვნი ლექსსა, არა გრძელსა,

მტერთა მხესა, ეშმაკთა მძლევსა

დეოკლიტიანესა მეფესა,

მბრძოლსა ჩვენის მეოხსა.

შეეწიე ამის ავგაროზის მოსურნესა

და მსახობელსა(!), მონასა ამას შენსა, სახელი შ ი ო ო .“

3. ავგაროზის მარჯვენა მხარეს, მთელ სიგრძეზე მიწერილია წმ. გიორგის სახელობის ეკლესიათა სია: „წმინდაო გიორგი კაბადუქისაო, იერუსალიმისა, რომისაო, ახმეტისაო, გურჯანისაო...“ და სხვ.

4. ავგაროზის ტექსტი ხასიათდება ი-მეტობით.

(961)

2311

ლოცვები (პირი). XIV

2 ფ.; 35.5×22; ქალაღდი; უცდო; მხედრული; პირი; [XIX ს.].

[ლოცვები]. „სისიენის“ ვედრებასა რქვა მას გრძელმან (ასე ეწერა): მისსა სახლსა და სართულსა არა შევიდე...“ 1r.

„ლოცვა უემურისა.—სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, იოვანე ანგელოზი ღამისაო, მომავალო ძელისაო, მოგანდეგ ხორცი ჩემი...“ 1r.

„ლოცვა ჭირსა შინა თუ იყოს კაცი.—წმინდა ღმერთო, მამაო ჩვენო, უფლისა მიმართ ვილოცოთ...“ 1r.

„ლოცვა მუცლის ტეხისა.—ლილისა წყალი ამოდის, ღილისა მოფრინავს მფრინველი...“ 1r-v.

„ლოცვა ქარისა.—... წვრილნი კაცნი წვრილსა გზასა ადგილსა ისხდნენ, იცინოდნენ, იმღეროდნენ...“ 1v.

„ლოცვა თვალ-ყბისა.—გამოვიდა ზღვითა კაცი, იძახდა, ვითა ლომი, ბლაოდა, ვით ვაცი...“ 1v.

„ლოცვა მისივე. იღვა ლეგოვან დევი და ეჭირა...“ 2r.

„ლოცვა თვალ-ყბის ჟამისა და უემიერისა.—სახელითა ღვთისათა, მამისა და ძისა, და სულისა წმინდისათა. გამოიზავა შავიკლდე, გამოვიდა შავი კაცი, შავით შევმაზილი(!) იყო, შავი ჯაჭვი ეცვა, შავსა ცხენსა იჯდა...“ 2r.

156. [ლექსი].—„ჯერისებრივ შესხმა შენი არვის ძალუცს, ღვთისა
 სძალო,
 ჯუშლად შეკრებ ქებად შენდა ანგელოსნი, კაცნი, ქალო...“ 93r.
157. [ლექსი].—„ბედზედ დაგნატრი, ბარათო,
 მას ნახამ, მზისა დარათო...“ 93r.
158. [ანტონ I].—
 „ამისსა ბროლსა ნათელსა აყიყი შუა რეოდა,
 ლალსა ნათალსა ნაწებსა ბაგე მშვენიებით რეოდა...“ 93v.
 შენიშვნა: ავტორი აღდგენილია №—1512:68 მიხედვით.
159. „დავით აღმაშენებლისა.—
 როს ნაჭარმაგვეს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,
 თურქნი, სპარსნი და არაბნი სამზღვართა გარე გამესხნეს...“ 93v.

შენიშვნები: 1. კ. კეკელიძის აზრით ლექსის ავტორია არსენ იყალთოელი (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 255).

2. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, 1946, გვ. 377.)

160. „თ ა მ ბ რ მ ე ფ ი ს ა .—

უბის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაანს დაედევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე...“ 93v.

161. „ნარას სოფელს ნუხალა საყდარზედ დაწერილი ლ ე ქ ს ი .—

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი—ჩარჯონიმე, ქარხილანი,
ოს ბაყათარ, დავით, სოსლან, ოთხ სამეფოთ მებრძოლანი...“ 93 v.

162. [მ ზ ე ქ ა ბ უ კ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი] .—

„აღმკული ხარ უცხოდ მზასა, მზევ შინ შემოდოი,
ვხედამ ლომსა, მზისა ნაშესა...“ 94 r.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1512:149 მიხედვით.

163. „ზ ა ა ლ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ნ ა თ ქ ე ა მ ი მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი .—

ბულბული მწუხარია, ვარდი შემომწყრალია,
ნარგიზ გზავნის წამლისთვის, თუმცალა მკურნალია...“ 94v.

შენიშვნა: ტექსტის ზელით ლექსს აქვს მინაწერი: „ოქმული ზაალ მორდალი ბარათოვისა.“

164. [ლ ე ქ ს ი] .—„სახე შენი როს ვიხილო,
მრისხანეო, წარბ შეხრილო...“ 95r-

შენიშვნები: 1. ლექსს აქვს რეფრენი: „გეაჯები შემბირალო,
ვარდო შლილო, არა მზარალო,
ჰოი კეკელავ, ჩემთვის მწყრალო“.

2. კიდევ მიწერილია ერთი სტროფი, რომელიც სხვა ლექსის უნდა იყოს. მას არც რეფრენი აქვს და არც აცხებულებით უდგება ზემოთ აღწერილ ლექსს. მივიტანთ ამ სტროფს: „სახე შენისა.“

რადგან სწავლისა გაქვს შენ სურვილი,
გონება აპყარ მღვიძრად ჭურვილი,
ცნობა გიბრწყინდეს სისხლით ბურვილი,
და განგაშოროს გულის წყურვილი“.

165. [ა ლ . ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე] .—

„ვამ დრონი, დრონი, ნაქებნი მტკბარად,
წარილტენენ განპქრენ სიზმრებრივ ჩქარად...“ 95v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია მრავალჯერ (იხ. ალ. ქავქავაძის თხზულებათა დასახელებული გამოცემა, გვ. 4).

166. [ა ლ . ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე] .—

„ლოთებო, ნეტავ ჩვენა,
დღეს მოგვეცა შეება, ლხენა...“ 96v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია მრავალჯერ (იხ. ალ. ქავქავაძის თხზულებათა დასახელებული გამოცემა, გვ. 5—6).

167. [ოთარ ქობულოვი].—

„ვიხილე საყვარლად ედემის ვარდი, ვიშ რა გვიამა,
სურნელებით სავესე კეკელი მარდი, ვიშ რა გვიამა...“ 96v.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1512: 184 მიხედვით.

168. [ლექსი].—„ვიხილე ტურფა კიპაროზ წვლილი, ნაზად ზრდილია.
მასთანა ბმულნი ორნი ნარინჯნი, უცხო ხილია...“ 97r.

169. [ლექსი].—„გველები კარი გაზაფხულისა,
დროთა ცვალებით დანერგულისა...“ 97v.

170. [ბესიკი].—

„მე შენი მგონე, ქირ შემკონე, დამწვი ვალალო,
ზილფო ნაშალო, შემაშალო, მკვლელო დალალო...“ 98r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1933, გვ. 11—12).

171. [ლექსი].—„მოვედით მოყმენო, შეკრბით ჯომარდნო,
მწუხარეს მომხედეთ, შემიწყალენით...“ 98v.

172. „დავით თუმანოვის აგან მუსტაზადი.—
ტრფიალთა ქველო, ხილვით მწველო, საქებო მარად,
აღნაგო ნაძვად, მთვარ საბაძვად, სინაზით წყნარად...“ 99r.

173. „ჭავჭავაძის აგან თქმული ალექსანდრეს აგან, ყაჯარ
ბაიათი.—

ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია,
მიკვირს რომ სული რად არ მხდომია...“ 99v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა დასახე-
ლებული გამოცემა, გვ. 63).

174. [ალ. ჭავჭავაძე].—

„ვაქებ თავსა, თმა მდიდარსა, რომელსა გლახ უბამს გული,
ძვირფას ლალსა დაუმკლრალსა, მარგარიტი უცავს სული...“
99v—100r.

შენიშვნები: 1. გვერდზე, სტროფებს შორის მიწერილია „ალექსანდრე
ჭავჭავაძის აგან თქმული.“

2. ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა დასახელებული
გამოცემა, გ. 37).

175. [ლექსი].—„ქ. შენთან შეყრამდის ვით გასძლებს გული,
სევდა(!) უწყალოდ მიმატა წყლული...“ 100r.

176. [ლექსი].—„სატრფოს ვიახელ სავედრებელად,
ვისაც ვგულობდი ჩემად დამწველად...“ 100v.

177. [ალ. ჭავჭავაძე].—

„უბერივარ ქირსა, მალვარ(!) დუმილს, ოხრვას და კრძალვას,
სურვით შეშლილან, თვალნი სკვრეტოდეს მას ტან ალვას...“ 101v.

შენიშვნები: 1. კიდევ ტექსტის ხელით სტროფებს შორის მიწერილია „აღეჭიანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული ხარის ხმახედ“.

2, ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 26).

178. «იო ს ე ბ ნ ა ც ვ ა ლ ი მ ე ლ ი ქ ო ვ ი».—

„მიკვირს მზეო, ვით შეგიპყრა ღრუბელმან,
ვითაჲრ დახშოა შენთა სხივთა კარები...“ 101r-v.

შენიშვნა: კიდევ, მარცხნივ, სხვა ხელითა და მელნით მიწერილია: „სვიმონ ნაცვლას(!) თქმული მელიქოვას“. მარჯვენა მხარეს—ტექსტის ხელით: „იღრუბ ნაცვლისაგან თქმული ყაიდა შესტაბოლოხედ“.

179. [ბ ა რ ა მ ბ ა რ ა თ ო ვ ი].—

„კარნი დახშულან ვარდისანი, ვითლა ნახოს ბულბულმან იგი,
ზამზახ, შროშანი, სფერა ვარდთა, ვითა სახოს ბულბულმან იგი...“ 101v.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1512: 195 მიხედვით.

180. «პ ე ტ რ ე ლ ა რ ა ძ ე».—

„ღაწვ-ბაგები ჩატკობია დალალით,
გველნი მცველად გარდართხმია დალალით...“ 102r.

შენიშვნა: ლექსი ერთვის ტექსტის ხელით შესრულებული მინაწერი: „დასრულდა პეტრელარაძის თქმული თეჯლისი“.

181. «და ვ ი თ რ ე ქ ო რ ი», „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი».—

„შემრისხა ქალმან, შესაკრთალმან და შეუბრალმან,
ირისეს კრკალმან, შეყრილ ხალმან, ღაწვებთა ლალმან...“ 102r-v.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია ამავე ხელნაწერის 23-ე დასახელების მინაწერის მიხედვით.

182. „მ უ ხ ა ნ ბ ა ზ ი ა, ზ ა ა ლ გ ო ს ტ ა შ ა ბ ი ს ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი, მ ო რ დ ა ლ დ წ ო დ ე ბ უ ლ ი ს ა».—

მაგრიდ, შენთან შექცევას, გათენებას ნუ მეტყვი,
თუ გიყვარვარ, მნათობო, სხვასთან შეგებას ნუ მეტყვი...“ 102v—
103 r.

183. „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა (?)».—

ეტრფი მთიებსა შესამკობრად გული ურვილი,
სწყურის გონებას სამარადოდ მისი სურვილი...“ 103v.

შენიშვნა: სათაურში „ორბელიანისა“ მიწერილია სხვა მელნით და სხვა ხელით.

184. „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი, ბ ე ზ ი კ ი ს (!) თ ქ მ უ ლ ი».—

შეყრილან ერთად მკრთოლვარენი, უზადოთ მნათნი,
ვარდნი ზამბაკთა ნამკნახუნნი და გიშრის სათნი...“ 104r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იგი შეტანილია სადავო ლექსთა რიგში (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1933, გვ. 91).

185. „და ვ ი თ ლ ე ქ ო რ ი ს (!) თ ქ მ უ ლ ი».—

ჰე, მოყვარეო, ზილფ-ნარეო, ნარდიონ გველო,
გულ-ბროლ-სადაფო, ნატიფ სწრაფო, ლერწამო წელო...“ 104v.

186. „მუხამბაზი, ელიზბარ ერისთავისაგან თქმული.—
ვაი, ესე დრონი, საყვარლნი, მომცემს წყენასა,
ვინ უძლოს ჭირთა, ანუ თქმანი, ჩემთა სმენასა...“ 105r.
187. „მუხამბაზი ელიზბარ ერისთავისაგან თქმული.—
ვემონე მასა, ვბედავ თქმასა, პირად მზიანსა,
ზნეობით სრულსა, ნაზად მკულსა, ადამიანსა...“ 105v.
188. „მუხამბაზი ბესარიონ გაბაშვილის თქმული.—
სევდის ბალ შეველ შეველონები(!)
მოვკრიფე(!) მსურდა ვარდის კონები...“ 106r.
შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული
1933, გვ. 3.
189. დავით ბატონიშვილისაგან თქმული თეჯლისი.—
რა მთოვარე დამესახა თვალწინა,
დამატდა(!) თვალთ ცრემლი ნაკად და ნაკად...“ 106v.
190. «დავით ბატონიშვილი, დუბეითი».—
„რად შევიქმენ სოფლის გამო ესრეთ მდულრად განაწირი,
ამის გამო შესაწყალი, მოთქმით სვესა ჩემსა ვსტირი...“ 106v.
შენიშვნა: ლექსს ახლავს ტექსტის ხელით შესრულებული მინაწერი: „დავით
ბატონის შვილისაგან თქმული დუბეითი“.
191. [ბესიკი]. „მუხამბაზი.—
ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი, ჩემდა(!) არენით
იღმენით გულნი, ჭირნახული, შეიწყნარენით...“ 107r.
შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებუ-
ლი, 1933, გვ. 12).
192. [ბარამ ბარათაშვილი], „მუხამბაზი.—
ნუ მწვავე, მიჯნურო, არ გებრალეები;
ნუ მომიკიდე ცეცხლის ალები...“ 107v.
შენიშვნა: ავტორი აღდგენილია №—1512: 196 მიხედვით.
193. „მუხამბაზი. დიმიტრი მდივნის თქმული.—
ბედნიერობით აღესილი, შევნებით მარხიანი,
ციავთ მიულო ნათელი, მკრთოლვარებს ციმციმიანი...“ 108r.
შენიშვნა: უკანასკნელი მე-5 სტროფის კიდურწერილობა იძლევა „დიმიტრი“.
194. „მუხამბაზი, დიმიტრი მდივნისაგან თქმული.—
რად მოვშორდი, ქცევით ამაყიანო,
უებრო, სასურვო, კეთილ-დღიანო...“ 108v.
195. „მუხამბაზი.—
პირ ბადრი მთვარე ნათელს სთოვდა, დია წყნარობდა,
ბავე ბალახშსა ამარტებდა, მოცინარობდა...“ 109r.
196. [ლვთისწყალობა ბებუთოვი], „მუხამბაზი.—
სპასპეტისა სპა შესევა ჯარად,
შავნი ისარნი დამკოდვენ ჩქარად...“ 109v.

შენიშვნები: 1. ავტორი აღდგენილია S—1512:243-ის მიხედვით.

2. კიდევ სხვა მელნით და განსხვავებული ხელით მიწერილია: „ყ ა რ ი ბ ა ს ლ ე ქ ს ი“.

197. „ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს თ ქ მ უ ლ ი, ძეობა.—
მუზნო, ვლიდით, ისწრაფიდით,
მოფრინვიდით, ულის კიდით...“ 110r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. აღ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს თ ხ ლ ე ბ ა თ ა და-
სახელებული გამოცემა, გვ. 104—105).

198. „ქ ე თ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი ს ა ს უ ლ ი ს ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი.—
ჭოი, ვით ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამრცობელი...“ 110v.

შენიშვნა: კიდევ სხვა მელნით მიწერილია: „და ვ ი თ ჯ ა ნ, ა ქ ა შ ი კ ა პ რ ი ს ბ ე ვ რ ი
ძაღიან“.

199. „თ ქ მ უ ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა გ ა ნ.—
სცგერს გლახ გული, საყვარელო, მლოდენ შენი უწყლავს თმენას,
სცემს სურვილი ნამთა ხშირად, მარამ აგრძნნოს ვითრა სმენას...“
111r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (აღ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს თ ხ ლ ე ბ ა თ ა დასახე-
ლებული გამოცემა, გვ. 24).

200. [ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე].—
„ქ. მშენიერთა ხელმწიფავ: მკლავ სიშორით შენითა,
კენესის გული საკვდავად, მსწრაფლ მზვარის ენითა...“ 111v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია მრავალგზის (იხ. აღ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს თ ხ ლ ე-
ბათა დასახელებული გამოცემა, გვ. 104).

201. [ლ ე ქ ს ი].— „ეწრეთ ვსცნობ სოფლის ნებას, რა ვქნა, ვით აწარ-
მოებს შევებას,
როდენ კეთილ გვალხენს, რა ვქნა, უნეტეს გვაღლევს ვნებას...“ 112r

[თ უ რ ქ უ ლ ი ლ ე ქ ს ი].—

202. „გორდუმ სათრიჯამ, ოლდუმ ბუასლი ვილასდურ,
იედიმ ლაზათი, გორდუმ იემალიდა ბასტურ...“ 122r

203. [ლ ე ქ ს ი].— „საყვარელო, ცრემლსა ჩემსა არ მიიღებ სიბრალულად,
მაშ, მამეცი რისხვა შენი, მქონდეს ოდენ შენეულად...“ 112v.

204. „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი.—
არვის უარი არ უთქვამს, თავის მეგობრისათვის,
უბრალოთ თავი მოვიკალ ბემურეთი იარისათვის...“ 113r.

205. მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი.—
მუშტარი ჩემი მივა, ფრთიანობს,
არას მოუბრობს, მიზეზიანობს...“ 113v.

შენიშვნა: ლექსი თავიდან ბოლომდის გადახახულია.

206. „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი.—
მეჯლის გიახელ სანახავათა.
ვერსად ვიხილე, გავხდი ავათა...“ 114r.

შენიშვნა: უკანასკნელი სტროფის ბოლო სტრიქონში შეიძლება ავტორი იგულისხმებოდეს: „დიღბანდ სოსია იქცეს ალათა“.

207. [ბებუთოვი].—

„რადგან მეგობრად არ მიკმარეო,
გასწი, განზედა, გაიარეო...“ 114v.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1512:242-ის მიხედვით.

208. „თურქის გაფი, თქმული თავადის გიორგი თუმანოვისა-
გან.—

ეწყისა ზღვასა რა მიველ ნაპირად, ვუი, ვუი,
უცილოდ შევებასა ჩემსა ვგონებდი...“ 115r.

209. «პაპუნა განდეგილი».—

„მოვედ, ტრფიალნო, ისმინეთ აწ თქმა,
ვისგან მივიღეთ შევებისა დანთქმა...“ 115v.

შენიშვნა: სხვა ხელით ორჯერ, თავსა და ბოლოში, [მიწერილია „პეპანა(!)
განდეგილი“.

210. [ლექსი].—„შენ შემოგტრფიან ყველა,
უცხო ხარ, მარდი კეკელა...“ 116r.

შენიშვნა: ლექსის დასასრულს ტექსტის ხელით მიწერილია: „ისტარხან გოზალ
გორსა ხანის ხმაზე არის თქმული“.

211. [ლექსი].—„შემკული ხარ ტანად, პირად,
ტრფილ ხმას სცემ, ვაი რაი ძვირად...“ 116v.

212. „ქეშიშ დარდიმანდი საგან თქმული.—
იადონობს, ისატრფოობს იგია,
ჰინდ ლაშქართა ისარს ასობს იგია...“ 117r.

შენიშვნა: შდრ. ამავე ხელნაწერში 146-ე დასახელება.

213. „ფერისცვალების უფლის ჩვენის იესო ქრისტეს-
თვის, პეტრე ყარიბის ლარაძისაგან თქმული მთიების ხმაზედ.—
შემდგომად ექვსის დღისა უფალმან
წარიყვანა მათ(!) თაბორსა მავალმან...“ 117v.

შენიშვნა: სათაურში „მთიებოს“ შემდეგ ჩამატებულია: „შენ გიშრის ტბისა
თვალსადა“.

214. [ლექსი].—„მფარავს ღრუბელი, ვეძლევი ბნელსა,
ამად ვესტუმრვი სიკვდილსა, ბნელსა...“ 118r.

215. [ლექსი].—„სიშორით მტირალს არ მაქვს შევბანი,
შემჭრიან გულსა ცეცხლთა გზნებანი...“ 118r.

216. [ალ. ჭავჭავაძე].—

ჟამნი რბიან, შენცა მელტვი,
ჟოი, სულმდგმელო, საყვარელო...“

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. აღ. ქავჭავაძის თხზულებათა და სახელმწიფო გამოცემა გვ. 21- 22).

217. [ლექსი].—„რა წაღკოტსა გულისასა, სურვილისა სარო დარგი, თუ არ მისად მოსარწყავად, თვალნი არა არსად ვაგი...“ 119r.

218. [ლექსი].—„ახ თვალნო, თვალნო, ელვა მოსილნო...“ 119v.

219. «დავით ბატონიშვილი». —
„რად ამ უბედურსა მხვედრსა შევესწარ,
ოდეს ოხვრად დამრჩა ჩემს მტილს იანი...“ 120r.

შენიშვნა: ფანქრით, სხვა ხელით მიწერილია: „დავით ბატონიშვილი-ს აგან.“

220. «სიმონ წინამძღვაროვი»; „ყაჯარ ბაიათი.—
ვიგლოვდი, პირ-მთვარევე, შენ სიშორესა,
დავკარგე ჟამნი შენთან შევებისა...“ 120v.

შენიშვნა: ბოლოს ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „სიმონ წინამძღვაროვის თქმული. დავით“.

221. „დურლალარი სხმაზე სათქმელი.—
დაშვენდა წაღკოტს ვარდი,
ყვავილთა მეფა, მარდი...“ 121r.

შენიშვნა: სტროფების დამწყობი სტრიქონების პირველა ასოები იძლევა: „დავით“.

222. [ბესიკი].—
„იადონს ის ევარდა,
და სუმბულს ის ევარდა...“ 121v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1933, გვ. 22).

223. „ახალი ოთური მუხამბაზის ხმაზე.—
ბანოვანთ ხელმწიფათა,
ტურფათა, ლამაზ ქალთა...“ 122r—123r.

224. [ლექსი].—„ქ. ლალო უმანკო, ვით შევამკო, შეგძღვნა ქებანი, აღმასო თლილო, მიჩენილო, გაქვს ღირსებანი...“ 123v.

225. [თურქული ლექსები].—„ბადი საბა იქ ჩამანი არზრუსტი, საყი იასი ეი ბადაშნ არზრუსტი...“ 124r.

226. «ნაღმი».—„ეილა სარმასტამ ქი, ედრაქ ეთ მაზამ დუნია ნადურ, მან ქიმა საყი ოლიმ ქიმდურ, მეჭრი საფი ნადურ...“ 124v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ნაღმი“.

227. „ჯანლარ ვერუბსან ქიმი ჯანა ნა იეთმიშამ,
რაჰმ ეილა, ქი იეთნჯა სანლა ბეჯანა იეთმიშამ...“ 124v.

«რუჯანი».—

228. „სანნ ჰიჯრანნ მანნ ნარა დაღლიღი,
ელმ ვერადან ამან იმან სევდიგუმ...“ 125r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა რუჯანი“.

«ყაზალი».—

229. „საპარ მაჰან ქი მახმური შაბა ნაჰ,
გირუთამ ბადა ბაჩანგი ჯალა ნაჰ...“ 125v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა ყაზალი“.

«შარაშური».—

230. „საბა აგერ გუზარი ყუთადათ ბაქა შაქარდესთ,
ბიარ ნაჯხეი აზ გისყი ბამან ბარ ღუსთ...“ 125v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა შარაშური“.

«ყაზალი».—

231. „ეი ფადიშაჰ ხუბანდაღ აზ ლამითანჰაი,
დიღბი თუ ბაჯუნ ამად ვაყთ აზ თაქი ბაზაი...“ 126r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ყაზალი“.

«რუბაჰია».—

232. „ჰარ ვახთაქი ბათ სეირი გულჰან ქარდარდამ,
გულ ჩიღამ უსად ჰაზარ შვან ქარდამ...“ 126r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა რუბაჰია“.

233. [ლექსი].— „ბროლის მკერდმა შუქი თავსა ისარე,
რხევით ნაზო, ტან-ალვადო, ისარე...“ 127r.

234. [ლექსი].— „ბამმა გეთრდმ ღურღუ მუსუბათ,
ჯანნდან ოვსანდმ სანნ უჯანდან...“ 127v.

235. „ალექსანდრე ჰავჰავადესი.—

როს არშიყი საყვარლისა ხილვას ეშურებოდეს,
რაკი ნახოს, საბრალოდ გრძნობით ეუბნებოდეს, მიყვარხარ...“

128 r.

შენიშვნა: ლექსი შრავა: ლჯერაა გამოქვეყნებული (იხ. ალ. ჰავჰავადის თხზუ-
ლებათა დასახელებული გამოცემა, გვ. 109).

[ბესიკი].—

236. „შავ გლახ გული, ვისთვის იწვის მუღამით,
მიჯნურთ ეშხი ესოდენ ხანს რიდებით...“ 128v.

შენიშვნები: 1. ეს ლექსი კრებულში შეიგოდა არის შეტანილი, იხ. აქვე 25-ე
დასახელება.

2. ლექსი გამოცემულია (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 19).

«დავით მაჩაბელი».—

237. „რა ჰქნას გულმან, როს ჰმუნვა არ მოცხხნეს,
რა ჰქნას, სევდა თუ სწყლავს მარად დაგულსა...“ 129r.

შენიშვნა: ფანქრით სხვა ხელით მიწერილია: დავით მაჩაბელი“.

[თურქული ლექსები].—

238. „ვალუფი.

ბუგუნ ბირ აჯაფ გოხალ გორმიშამ,
ოლმას ონ თაქი ჰეფ ვალიათტან...“ 129v.

239. „შაქი.—

ნაზლუ დილბარ მანჰა სანდან ტოიმად უმ,
ბე ჰასრათტან ყიამათი ყალანდურ...“ 130r.

240. „ყაზალი არის.—

უნქი ხულრა ნავასი შად ხალიდესთ მანამ,
უნქი ჰარგიზ ბემურადი ნა ჰასიდესთ მანამ...“ 130v.

241. „ვალუფი.—

მან ოლიმ იარ ოლა აღიარ ოლმია,
ჩაქარ სონბათ იქაზ ბილა...“ 131r.

242. „ვალუფი.—

გენა იანარ მანი ოდდარ დალმეშ
აიარუთ სალდი სოვდიგუმ...“ 131r.

243. „ყაზალი.—

აგარ უნ თურქი შირაზი ბადასთარად დილი მარა,
ბახალჰ ასინდუ აშ ბაზშამ სამარყანდი ბუხარარა...“ 132r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ყაზალის ხმა“.

244. „შარაშუბია ისპანისა.—

ჭოგოვაჯი ქისტ ბარინ ნაყიზარინ ხალ, ხალ,
ქაშე ჯითადა დოსად ღაჯილა ჩუნ დიარ ღუნბალ...“ 132r-v.

245. „შარაშუბია.—

დადამ დილბათუ ჯანა ქი ბამან იარ შავი,
ნა დილამ ხუმ ქუნეუ ჰამდამი აღიარ შავი...“ 132v.

246. „შარაშუბია.—

ეიბი დილარი რუხათ დიდეთ დოვრან თაშნა,
ფიში იაყუთი ლაბათ ლალი ბადახშან თაშნა...“ 132v.

247. „შარაშუბია.—

ხოშმად გულვაზუნ ხოშთარ ნაბაშედ
ქი დარ დაშთას ბაჯუმ საღრ ნაბაშეს...“ 133r.

248. „გულბი რუხიარ ხოშ ნაბაშად,

ბიბადა ბაჰარ ხოშ ნაბაშად...“ 133v.

249. „ზავთ ნაზარა ქუნქი რუხი იარ ნაზიქეს,

ჰეირუნი უნ გულემ ქიჩი ბსიარ ნაზიქეს...“ 133v.

250. „ყანი ბევლამ სანლა დარლამაზ

აიან ოღურ დაჰი მანლა მარ ოლმაზ...“ 134r.

251. „ნაზლუ დილბარ იალუნ ჩინჩინ ეილამიშ,

თეიბ გარდნა ზია ზილფნ დარაბაბ...“ 134 r-v.

252. „ისტარამ ვარეიმ აღიარ ვარშეიმ.—

ალალა ტანიშან დილ აგლარ მანი,
გორმასამ ჯამალიმ არიმას დარდიმ...“ 134v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა შაკი“.

253. «შ ა ქ ი». —

„ჯანანუნ ჯან აღმაგა ყასიტ ვარ,
გენა მანმ გოჭბათუმი იად ოლმას...“ 134v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა შაკი“.

254. «თ ა ხ მ ი ს ი». —

„ალიფ ალა ოდუნიადა ბეი მაჭრუ ჩაღრი ალლაპ
თეი თამამ გეზდუმ დუნიაანი მანი სალმა ვაღრ ალლაპ...“ 135r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ესე თახმისი“.

255. «თ ა ხ მ ი ს ი». —

„ალიფ ალადან ოხუდუმ იექარიმ ქასხ ალლაპ.
ბიმი დიგანა დარმდა ზი ჩიარ აზბარ ალლაპ...“ 135v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა თახმისი“.

256. „ყოინნ იჩნ ბაღჩა ბაღდრ სევდიგუმ,
ბაღლარ ჰანი სანდრ ბეილა ნარ ოლმას...“ 136r.

257. «ხ ო რ უ შ ლ ა მ ა». —

„ოქიმ იდი ისან იდი ზათნდა,
ოქიმ იდი ჰამიზ არიბათნდა...“ 136v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ხორეშლამა“.

258. «დ ი ვ ა ნ ი». —

„ბუ გუნ მან ბირ ნასტაი გორდუმ ალამა აშქარადრ
ჰამზათნა იარაშირ ხათრინან ფუყარდრ...“ 137r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა ორი ხანა დივანი“.

259. „ალიფ ალა სია აბეი ბანდია,
აჩ ვერ თეი თახტია ალა დარსალა...“ 137r.

260. «დ ო დ ა ლ დ ე გ მ ა ზ ი». —

„აზალ დუნია ჰასილ ოლდი ჰაიიდა,
აჰლი სანა აჩხდალი ახსადა...“ 137v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა დოდალ დეგმაზი“.

261. «თ ე ჯ ლ ი ს ი». —

„აზალი ტანიშ ნადან სალდი ალადა,
აინ ეილა თანგინან იელადა...“ 138r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა ალიფ აჯალ ანრი თეჯ-
ლისი ბაიათი, დოდალ დეგმაზი რეისზ ოვსი“.

262. «დ უ ბ ე ი თ ი». —

„ბას ოხუდუმ ფარსი არაბ,
ბანუმ დავრიშ ედუბ სარაბ...“ 138v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ბეი დუბეითი“.

263. «დოდალდეგმაზი».—

„აზალ გეთსან ოხუჯუნ იანნა
ალა ოხუ სახლა ადადა...“ 139r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა დოდალდეგმაზი“.

264. «დივანი».—

„ალიფ ალა ბეი ბადადან ჯამ იჩამ ოლიმ ბანდამ,
აინ თეი თალაშმ ბუდურ სეი სოილამაგნ ყანდა...“ 139r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა დივანი“.

265. «დივანი».—

„აზალ აბღდა დარდ გაპი გაი ივთიდა,
აზალ ქი სუა გორსათტი ჰას სურათი ივთიდა...“ 139v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა დივანი“.

266. „ბარ ალიფლა ეირაბ ბე რაბ,
ბეი ბუსდან ლამ ალიფლა ჩაბ...“ 139v—140r.

267. «თეჯლისი».—
„ბირლიგინან შუქურ ოლსუნიარაბამ
იარათტი მალრიბი თაბაშ...“ 140v—141r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა ესე თეჯლისი დუბეითი თავისა ბაიათით ჯინჯილამა“.

268. «თეჯლისი».—

„ალიფ ოფი მისან ბეიბას ჯიირანა,
თეი თარქიშუნ სეი სალ ბირდა სანავარ...“ 141v—142r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა თეჯლისი იედაგლამა ჯინჯილამით ალიფები“.

269. „ბადრლამიმ ალიფ ალა ბია ბაბ,
ბია დორდ ქითაბი ბუდა ბიბ აიბ...“ 142v.

270. „ბე ყადნლა იაშირ იარარ იაშარბაბ,
ბაჰარ ზილფით ოხშათმიშამ იაშარბაბ...“ 142v.

271. „ბადრლამიმ უზუნ მაჰუ იაქთაბ,
ბადა ვერუბ ბანა ეილარ იაშარბაბ...“ 143r.

272. „დოსტ ლაბნდან შირინ ოლურ იაბუდად,
დალუ ზალ ოხუდუმ ლა ბირ იანაბანდ...“ 143r.

273. „დარდმ ჩოხტურ დავთარნდან იაზა შად,
დუზად შეჯგან ოხუნ ბირ იანა ბანდ...“ 143v.

274. «თეჯლისი».—

„ვოვ რეისნდან დალდალა მინოვ,
ვაჰა მინ ალიფი ბირ ოფი ბიროვ...“ 143v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ვავ ავალ აზრი თეჯლისი“.

275. «ვოვეალ ახრი». —

„ვოვ მინ აღიფ არიფ ქაროვ;
ვოვ მინ ქამალ ბიროვ, ბიროვ...“ 144r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ვოვ ვალ ახრი“.

276. «თეი ავალ ახრი». —

„თაზალ ანდი გოვლამათ ოლდი ყაიათ,
თამაშა ეილადმ ჯაჰანი ყათ ყათ...“ 144r-v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა თეი ავალ ახრი“.

277. «თეჯლისი». —

„თუთ აღიფ ლამ ჩათ ჩაქ იეი იაზ სანათ,
თას ვერ შეი შაზ ნაბათ თაქლამ აღიფ ტეთ...“ 144v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა თეჯლისი, დუბეთი დო-
შამა და თავისი ბაიათი ჯინჯილამა“.

278. «თან ავალ ახრი». —

„თარ თულაქ თახლან თაბუ ათტან სანათ,
თარ ყიამათნ გორსათ თარ ინდათ, ინდათ...“ 145r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა თან ავალ ახრი“.

279. «ავალ ახრი». —

„იეი იარადან აღიფ ალაჰ ადამი,
იაზლდი ლამ აღიფლა ვერდი ყურანი...“ 145v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა ინ ავალ ახრი“.

280. «თეჯლისი». —

„ლალა ყოუფსან ეი იარადან სან აზალ
ლალა დარდუნა ლამ აღიფლა აიაზალ...“ 146r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ლამ ავალ ახრი თე-
ჯლისი ბაიათი“.

281. «თეჯლისი». —

„ლამ ოხუდუმ აღიფ ალა იარა დილ
ლაქიმ სარაფ ოლდუმ ალალა გოზალ...“ 146v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ლამ ავალ ახრი თე-
ჯლისი“.

282. «დოდალ დეგმაზი». —

„ლაზათი ჰეი შაქარ დეიმ დანა სალ
ლაზარ დანგეზგინან გეი რეი აღიფ დალ...“ 147r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა ლამ დოდალ დეგმასი“.

283. «დივანი». —

„ნაში ლარდან აღიფ ალაჰ ბეი ბაიან არაზლამ,
ნიშან ეილა თეი თახსირმ ჰეი ჰამავარ აზარ ლამ...“ 147v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა დივანი“.

284. „საპარ ჩალი იარა გორდუმ ხას ეისხას,
სუსანი სუმბული იადიდარი ბას...“ 148r.
285. «ა ვ ა ლ ა ხ რ ი».—
„სან, სან ეი იარადან ალიფ ალა ბას,
სან ვერდნ ლამ ალიფ ბეი ბანდა თეი თას...“ 148v.
შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „გათავდა სეი ავალ ახრი“.
286. «ა ვ ა ლ ა ხ რ ი».—
„ფარვანიამ დოსტ ქუჭუნდან იარა თათ
ფაქა ოხუნ ალ დასტნდან ნარა ქათ...“ 149r.
შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ფეი ავალ ახრი“.
287. „შათალათ ეილამიშ იარ მეკმან ოლმიშ,
შათლინან გელმიშ ოდადა დუშმიშ...“ 149v.
288. ხიალ ეილა ნაზანი სან იათახის.
ხანა ალდახტანლა იახე, იახ...“ 150r.
289. „ხას ნაზანი ყუნდა ალიახ,
ხიჯალათ იოს ნეჩუნ ხეი ხახ...“ 150v.
290. „ჯანუმ გალ ეილა ილაჯ
ჯამილ ლიგუნ ჩაქილირ ანჯ...“ 151r.
291. «ა ვ ა ლ ა ხ რ ი».—
„ჯოფრი ჯათა ჩაქტემ ლალდუ ბეილა ლაჯ
ჯაეაბ ვერუფ იოლ ჰრქან ჰაბუთაჯ...“ 151v.
შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ჯიმ ავალ ახრი“.
292. „ჯაპალ იქან ჯანან იეტენ ჯანაჯ
ჯან გელდი ოსაიტა იასარაჯ...“ 152r.
293. «მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი».—
„ადამ ოლი ფიქრეილა გორ სანნ დოლანნ ჰანი,
გუნდა ქი მინ ბირ დოლარ ბას ბულართან ჯანი ჰანი“... 152v.
შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა მუხამბაზი“.
294. «დ ა ს ტ ა ნ ი».—
„ავალ ბუდუნინან გელმალ გეთმალი დეიმ,
ბირჯა ხუშკარ ოლდუმ ბუ სუჯანლარა...“ 153r—155v.
შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილი აქვს: „დასრულდა დასტანი“.
295. „ბაპარ ოლდი ათლარ ჩხტი ჩაირა,
აჩ ასლი გოგ სინან დუგმალ არნლთ...“ 155v.
შენიშვნა: მესამე სტროფი გამოტოვებულია. ადგილი დატოვებულია.
296. «ქ ა რ ა მ ი».—
„ბირ ათემ დუშტი საზუმა,
იანარამ ასლი, იანარამ...“ 156r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ქარანი გარაილის ხმაზედ სათქმელი“.

297. «თ ე ჯ ლ ი ს ი».—

„ჩოხტა ყხრლამა დივანა ქოულ
გედარ ყშნ ალბათ იაზ ოლურ ბირგუნ...“ 156v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა თევლისი“.

298. «თ ე ჯ ლ ი ს ი».—

„იედი ჰაჯი იედი მეჩით, იედი ქან,
იედი იშან უჩ ბესტაფა იედი იუზ...“ 157r.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ესე იადაგლამა თევლისი“.

299. [ლ ე ქ ს ი.]— „სულმან უთხრა ხორცსაო, შენ ხომ იცი რანი ვართ,
ცას არ შევებერდებით, გასაყრელი ძმანი ვართ...“ 159r.

300. [თ უ რ ქ უ ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი].—

„დალიდრ ჰუშიმი ალირ ჯანიმი,
ჰარ ბახანდა ომასთანა გოზლარნდ...“ 160r.

301. «ბ ა დ ი ს ა ბ ა».—

„ბადისაბა სან მევალაი სეფარსან,
ვასმი ჰალუნ იარა დედუნ ნა დედი...“ 160r-v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „ბადირაბა იქ ჩამანის ხმაზე სათქმელი“.

302. «ვ ა ლ უ ფ ი».—

„სანი ბონი ბურულუ ვარუბ იანნა
სოვლა დარდი დილიმ იარა ბანოვშა...“ 160v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „დასრულდა ვალუფი“.

303. „ახარლუ ვახტნდან ეშყა დუშტუმ მან
ჰეჩ ოლმას დარდმა ჩარა იოლდაშტარ...“ 161r.

304. „ჩაღრდმ იარუმ ალმა
იმალი იარმ ალმა...“ 161r.

305. «ვ ა ლ უ ფ ი».—

აიარი დუშტუმ მან იარმნ ქუიუნდან
გეჯა გუნდუზ იალყუზ მან უან აღლარამ...“ 161v.

306. „ქ. ბალია ფუშტი აშუღლარ ქუშტი.
მანა ბირ ბურა ურაგინ ქუშტი...“ 162r.

307. „დ ი ვ ა ნ ი».—

დილ ჩაქარდუმ ილთიხარუმ მაპილა თაბამ მუდურ,
ვამი ყონჩი ლაბი სუქარლი სანი მარამ ბუდურ...“ 162v.

308. აზიზუმ ელუ დაღლარ
ყარ გელარ იოლუმ ბაღლარ...“ 163r—164r.

309. «ქ ა რ ი მ ი ს ხ მ ა ზ ე».—

მთვარევ! ვის დარჩები, მე რომ დამქარგავ,
სიყვარული მალე დამამწარენით...“ 167r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი გამოყენებულია ბესიკის თხზულებათა სრული კრებული
ბულის გამოცემისათვის (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1932 წ., გვ. 165).

2. კრებულში 4; 56—59, 61—63, 70 და 93 დასახელება არის სომხური ლექსები: 48 და 49 დასახელება რუსული და 160, 64—69, 71—82, 85—92, 94—108, 110—137, 202, 225—232, 234, 238—298, 300—308 დასახელებანი თურქული ლექსებია.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს წიგნში: Описание, т. II, გვ. 376.

4. თითქმის ყველა ლექსს მიწერილი აქვს, „დასრულდა“ ან „გათავდა“.

მინაწერი: „ას-სამოცდაათი ფურცელი არის; ორი გირვანქა და ერთი ჩეთვერი. დავით ამირიძე მოურავი“ (167).

(977)

2386

გურამიშვილი დ., თხზულებები. XIX

195 გვ.; 34×21; ქალაღი; ლიდერინის ახალი ყდა; მხედრული, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; [XIX. ს.].

1. „ქართული მეგვართომეთავიგავი.—

ღმერთო მალალო, რომელსა ზე გაქვს საყდართა ჯდომანი,
რომელმან მიეც მიჯნურის ტრფიალთ სურვილის ნდომანი...“

გვ. 1—89.

2. „სიმღერა დავით გურამიშვილისა, ტყვეობი დამ გამოსვლის შესხმა.—

ვინც რომ მე სახლში შემიშვა, გამათბო გამამშუშაო,
დამიდგა კარგი სადილი, წინ ღვინით სავსე შუშაო...“ გვ. 89—90.

3. „დავითის შესხმა პირველი.—

მოიქცა დავით კაის სადავით, ღვთის უღლისაჲკენ მიიღო ქედი...“

გვ. 90—92.

4. „ოდეს დავით გურამოვი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა და ღვთისმშობლის ვედრება წართქვა.—

ჩემო საყვარლის მომყვანო, ძედ მარიამ ქალო...“ 92—93.

5. „ხარების დღის შესხმა „ახა წმინდა [კობალეს] სანაცვლოდ სამღერალი.—

ქალწულმან მარიამ წმინდად თავი ატარა...“ გვ. 93.

6. ღვთისმშობლის მიცვალების შესხმა.—

გიხაროდენ ანგელოზთა დასნ[ო]...“ გვ. 93.

7. „დავით გურამოვის თავის ცოდვის მოგონება და სიბანული.—

კეთილის საქმის მე უქონელსა მიქცეულ ვარ მე სამეითოს გზისაგან...“ გვ. 95.

8. „სიტყვა ესე ღვთის სიტყვად არს შეწყობილი და სწავლა სიყვარულისა ღვთისა და კაცისა ყრმათათვის სამღერალად „ეო, მეო, ქალო ქალთა მზეოს“ მაგიერი.— ეო, მეო, აქეთ ნამხედრო...“ გვ. 96—103.

9. „ოდეს დავით გურამიშვილი პრუსიაში დატყვევდა და თუ რამ ჰქონდა თავისა საცხოვრებელი, ისიც დაკარგა.—იმისთვის ტირილი და გოდება.—ვით ცხოვარი გზა შეცთომილი მგელთ წარსატაცად ფარებთა გარე...“ გვ. 103—104.

10. „მეორე დავითის შესხმა, რომელ ამ სიმღერის ხმას ეწოდების რუსულად „ნე დამ პოკოიუ.“—აბრაჰამის ღმერთი, საბაოთ ერთი...“ გვ. 104—105.

11. რუსულის სიმღერისა „ჩო ზა პრიჩინა ვსელდა პრიჩინა(!).—ნისმინეთ, ერნო გულთმეცნიერო...“ გვ. 105—106.

12. „მესამე დავითის შესხმა პოლშის სიმღერის ხმაზე.—აწ მე აღვძრამ ენასა, ვადიდებ ღმერთსა ზენასა...“ გვ. 107—108.

13. „არი(!), რომელ არს გოდება რუსულად „ახ. კაკა(!) სკუშნო“ ეწოდების.—ვაი, რა მაქვს დიდი მოწყენა, სად არს ჩემი მოღბენა...“ გვ. 108.

14. „სიმღერა, რომელ არს რუსულად „ნეთულ(!) ზლასთი(!) აღმონოიეუ(!) უმინშოთ მნე პეჩალ მაიუ.—

რქვა დიდება, ღმერთო, შენდა, ცად ქვეყანად რაც აშენდა...“ გვ. 110,

15. საზანდარული „ბატარა ქალო თინაოს“ ხმაზე.—ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო, ღმერთი მაღალთა შინაო...“ გვ. 111.

16. „ზმანო(!) შაირნი, თქმულნი დავით გურამოვისაგან. ახლა იქნება წამკითხავმა ჩქარა წაიკითხოს და რაზედაც თქმულა, ის ხმა ვერ შეიტყოს, ამისთვის წითელ(!) ხაზები ჩამიტანებია რაც ხაზსა და ხაზს შუა სიტყვები არის, იმაზე არი ნათქვამი.—

მეფეს, ღმერთმა ნუ მოგცეს წუხილი ჭმუნვა-ვიშობოთ...“ გვ. 112—114.

17. „გოდება დავით გურამიშვილისაგან, საწუთროს სოფლის გამო ტირილი.—გული ღონდება, ვიწყო გოდება, ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო...“ გვ. 114—117.

18. „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა და ერთმანეთის ბაასი.—ყოველს გვეწვევის სიკვდილი, გვმართებს დაუხვდეთ მზასაო...“ გვ. 117.

19. „კაცისა და საწუთროს ბჭობა და ერთმანეთის ძვირის ხსენება.—

ჰაი, ჰაი ეს საწუთრო რას ტყუის და რას უპირობს...“ გვ. 121—129.

20. [მხიარული გაზაფხული]. „მწყემსისაგან თავის დედ-მამის ამბის თქმა და თავის სახელის გამოცხადება.—

იყვნენ ერთ დაბას მოსახლე ორნი...“ გვ. 129—195.

შენიშვნები: დავით გურამიშვილის თხზულებანი გამოცემულია მრავალგზის, უკანასკნელად 1955 წ. (იხ. დავით გურამიშვილი, დავითიანი, 1955 წ.).

2. ხელნაწერი გადაწერილია დავით ივანეს ძე ამირიძის მიერ (შდრ. S—2385, S—2388).

2387

(978)

რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1823

118 ფ.; 35×21; ქალაქი (თეთრი, ლურჯი); მუყაოს ყდაში; პირველი ფურცელი დალაქავებული; მხედრული; 1823 წ. (118წ); დანწერი პლატონ იოსელიანი (118წ შიგადაშიგ წასწორებია პლ. იოსელიანის მიერ.

[რუსულ-ქართული ლექსიკონი].—

„А союз ხოლო კავშირი.

Абасы აბაზი...“ 2r—118v.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს მ. კელენჯერიძეს წიგნში: „რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII—XIX ს.ს.“, 1961 წ. გვ. 8—9.

მიწაწერები: წინ უძღვის:

1. „ხეფეთ ასული, ყოვლად სრული, ტურფა საღები, ორიონ მკული, სხივთა სხმული, ცისა ხაღები, ფერთა ნაზი, ეთერის ხაზი, ცნობა მალეში, ირისეს მშვილდი, თვალ-წარბი მშვიდი, მრავალ ძალები, ოქროსა პიოსა, ნაოჭ ძვრასა გეგრძალები. სასურო დაო, მშვიდობით ვარ, ნუ გებრალევი.

კიდურზე წერილ ესრეთ (სოფიოს), ეს ლექსი გამოვსთქვი მე... დიმიტრის ძემ და მოვსწერე ჩემს ბიძაშვილს, მათს ბრწყინვალეებას სოფიოს“ (1r).

2. „Кто хочет.. знать, то и должно...“ (1r).

3. „ონისიმე იოსელიანოვი“ (1r).

4. „Сей словарь принадлежит Платону Иоселианову, написал своею

рукою 1823-го года, Апреля 4-го числа. 18 ⁴/₄—23“ (118v).

(979)

2388

ლარაძე პეტრე, დილარიანი. 1879

II + 482 გვ.; 32,5×20; ქაღალდი; მაგარი მუყაოს ყდა; მხედრული, ულამაზო ხელი; 1879 წ. (გვ. 476); გადამწერი დავით ივანესძე ამირიძე (გვ.476); II r-ზე ჩაკრულია ბრძოლის ამსახველი სურათი; დაუწერელია: 477—480 გვ.

„პირველი შესავალი წიგნისა დილარიანისა, რომელნი არიან შაირად და ყარიბულად ლექს ტკბილად.

შაირი

ოდეს სული, ღთ. მთავარი, იქცეოდა ზედა წყალთა,

სულ არსისა შესამკობლად, აგანმკსჭურეტდა საღმრთო თულათა...“

გვ. 1—476.

ანდერძები: 1. „ჩემგან ახლად შემზადებულსა წიგნსა დილარიანსა ზედა მრავალი ლეწლი და შრომა მივიღე ჰამბისა მოგონებასა და შეწყობასა ზედა. მხოლველნო, გთხოვთ კურთხევით მომიხსენებდეთ, პეტრე ყარიბი ლარაძე“ (გვ. 476).

2. „წელსა ჩყოთ-სა ოკტომბრის კე დავიწყე ამ დილარიანის გადაწერა და ამჟამე წელს დეკემბრის ით შევასრულე ამის გადაწერა მე, დავით ივანეს ძემ ამირიძემ, ჟამსა სიბერისასა, რომელიც ამ ჟამად ვარ სამოცდაერთის წლისა. მზილველნო, გვედრებით, ცუდის შრომისთვის ნუ დამგმობთ და შენდობა მაღირსეთ მე ცოფვილსა. და უკეთუ შეცდომა იყოს რამ, ანუ ასო ნაკლები, გვედრებით, გაასწოროთ და ვინც ითხოვთ, მალე პატრონს მიუტანეთ.

დავით ივანესძე ამირიძე, კნიაზ ივანე დავითისძის ჯამბაკურიან ორბელიანის მოურავი“ (გვ. 476).

მიწაწერები: 1. ტექსტს წინ უძღვის: „დილარიანი, თხზულება პეტრე ლარაძისა. გამოცემული მართა ივანე ლარაძის ასულის კნ. შალიკაშვილისა“ (1r).

2. „ივანე შათროვს სულ წაუჯივთხამს, კვიანი წიგნი არ არის, უწინდელ დროში კვიანი ყოფილა“ (IIv).

3. „დავით მოურავო, ივანეს ძე ამირიძე! ეს თქვენგან ნათხოვრათ მოცემული დილარ მძღვეელის ისტორია წავიკითხე და დიდათ მასიამვნა. დიდის მადლობითა უკანვე მოგართვით მე, ნიკოლოზ ჩაჩიკოვმა ქაიხოსროს ძემა, ღმერთმან მშვიდობაში და ძეთა და ასულთა თქვენთა დღეგრძელობაში მოგანმაროს, და შემდეგა, ვინცა ეს დილარ მძღვეელის ისტორია ითხოვოს და წაიკითხოს, პატრონსა უკანვე არ დაუბრუნოს, იმას რისხამდეს ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთ[ი], მამა ძე და სული წმინდა, ამინ, ამინ და ამინ. დარომელმაც წაიკითხოს და უკანვე პატრონსავე დაუბრუნოს, ღმერთ იყოს მისი შეგწე“ (IIv).

4. „1887 წელსა, ქრისტიანობის 1-სა დღესა გარდაიცვალა კნენა სოფიო, ივანე ბატონის მეუღლე“ (გვ. 477).

5. „ამ სოფლის ვითარებითა მუდამ მაქვს თვალი სოფელი, წაიკითხე და გვიბოძე, თუ რომ გწამს სვეტიცხოველი.

გწყალობდეს იმის მადლი“ (გვ. 481).

6. „Дозволено цензурою, 29-1-901 г. г. Тифлиси“ (I v და 476 გვ.).

(980)

2389

სადღესასწაულო. XIX

166 ფ.; 33,5×22; ქალაღი (ლურჯი); მუყაოს მაგარი ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით: ნაწერია ორ სვეტად. [XIX ს.]; ბოლო ნაკლული; დატწერლია: 157v; 166r-v.

[სადღესასწაულო]. „თთო ჳნსა(!) იანოვარსა აქოჳს დღე 31.—პირუელსა დღესა გორცითა წინა დატუეთა ურისა ჩრნისა იესო ქრისტესი და ჰტენება წთა შორის მამისა ჩრნისა ვასილისი, დიდისა არხიეპისკოპოზისა კესარია კაბზადოკისა.

ოჳკეთუ ეკლესია დიდისა ვასილისა არს, ვჳყოფთ ლამისთევასა მცირესა მწუხრსა ზედა. ოჳფალო ლალადყავსა ზედა დასდებელი, მუხლი დ, ჳმა გ, თჳთ ჳმოვანი.

ქეღი შეიწყნარე სულსა შენსა სიწმინდით, მოქალაქობითა მით შითა, დბლო ვასილი...“ 1r.

წყდება: „... აღნი, რლნი გულსა შენსა აღავენ საღმრთოსა სურჳლისანი, შეგწირვიდეს, შენ, ჳეცისა საკზეველსა მსხუტრჳლად ყოვლად დასაწ...“ 165v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი მისდევს 1865 წელს მოსკოვში დაბეჭდილ სადღესასწაულოს.

2. ხელნაწერში წარმოდგენილია იანვრის, თებერვლის, აპრილის, ივნისის და ივლისის თვეებს მასალა. ყველაზე სრულად წარმოდგენილია იანვარი; თებერვალი წყდება 9-ზე; აპრილიდან მხოლო 24 აპრილის მასალა; ივნისიდან—24, 29 და 30 რიცხვები; ივლისი თავნაკლულია, იწყება 25-დან (დასაწყისში დაახლოებით აკლია გამოცემის 1 ფურცელი) და მოიცავს 27, 28, 29 რიცხვების მასალას.

(981)

2390

კვინტოს კურციოსი, ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა. 1827—1873

205 ფ.; 34×20; ქალაღი (თეთრი-ლურჯი); მაგარი მუყაოს ყდა; მხედრული ულამაზო ხელი; აკინძულია ორი სწვადასხვა ხელნაწერი: პირველი თარგმნილია

1823 წ. (4r), ხოლო მეორე—ანტონ პირველის მიერ, და გადაწერილია 1873 წ.; ფ. 69—122 გადაწერილია დავით ივანეს ძე ამირიძის მიერ (122v); დაუწერელია. 1r—3v; 123r—156v; 190r—205v.

[კვინტოს კურციოსი]. „გუაროვნება ალექსანდრე დიდისა რეინეკციოსისაგან. — ალექსანდრე დიდი იყო ღერკულესისა 1 შთამომავლობისაგან მამით, ხოლო დედით ახილესისაგან...“ 4r — 122v და 57r—189v.

თავდება „... ვინაჲცა ჰაზრისამებრ ჩნისა ჰვამს თავი მმართულობაჲ პრწმუნებად მისა. ჰაზრი ესე არისტონისი...“ 189r-v.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის თავფურცელი „კვინტოს კურციოსისა ისტორია ალექსანდრესთვის, დიდისა მეფისა მაკედონელთასა.“

აღუსებითურთ გინა ზედა დართოზურთ ქრეინსდემისათ და შესწავებითურთ თარგმნილი ლათინურისაგან რუსულსა ენასა ზედა, ხოლო რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა 1823-სა წელსა“ (4r).

2. ხელნაწერს დაუცავს: 1—5 და 8—9 წიგნები; მე-6, 7 და მე-10 წიგნები აკლია.

3. მესამე წიგნიდან თხზულების თარგმანი ეკუთვნის ანტონ პირველს შდრ. S—1273 ხელნაწერს. კიდევბზე არის ანტონის კომენტარები.

ანდერძი: „წელსა ჩყოვ-სა, დეკემბრის კვ-სა, ესე წიგნი ალექსანდრე მაკედონელისა, დიდისა მეფისა, გადაწერე მე, დავით ივანეს ძემ ამირიძემ, მოურაენა, ჟამსა სიბერისასა, რომელიც ვიყავ მაშინ წლისა ორმოცდათთხმეტისა: წამკითხველო, შენდობა მიბძანეთ“ (122v).

მიწაწერი: „ეს, ალექსანდრე დიდის მეფის მაკედონელის წიგნი არის სულ დაწერილი და დაუწერავი ფურცელი ორას ოცი. ეკუთვნის დავით ივანეს ძეს ამირიძეს“ (ქვედა ყდის შიდა მხარე).

(982)

2391

კრებული. 1811

III + 179 ფ.; 20×16,5; ქალაქი (ლურჯი): მუყაოს ყდა; ულამაზო მხედრული, ნაკლული; გადამწერი: მდივნის ეგნატის ასული ანა (175r); 1811 წ. (175r); დაუწერილია 1r—IIIv.

1. [ყარამანიანი].—„...რომელსა სახელად გორჯასპის უხმობდნენ. ასეთი ფალავანი იყო, რომე ვეშაბი მისისა ტელისაგან შეძრწუნებულ იყვნენ...“ 1r—175r.

შენიშვნები: 1. „ყარამანიანი“ გამოცემულია 1875 წელს. ხელნაწერი მისდევს გამოცემულ ტექსტს 151-ე გვერდამდე. სულ ორი კარი.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ალიწერა წიგნი ესე ყარამანიანი ქელითა კოლეჟის სოვეტნიკის მდივნის ეგნატის ასულის ანასათა სავაჟაკო სასმენელი და ამო საკითხავი. შესრულდა თვესა სკვდემბრის კო (29), წელსა ჩყო, ქკს უთო“ (175r).

2. [ლექსი].—„ცისა ხომლთა უნათლესო, შვენებითა არსთა მზეო, ბროლ-ლალ-მინა არეულო, ანუ ედემის ხეო...“ 175v.

3. [ლექსი].—„ტანი ღერწმობს, ყოვლი სული მისგან ყანდსა გემოვნებასა,

პირი მწყაზრობს, ლაწვი ლალობს. ზედ კავ-ზილფი სუმბულებსა...“ 176r—177v.

4. [ლექსი].—„ბალესტინისა მტევანო, სიტკბოთი აღმომდინარე, ფარვანასაებრ მომიგზენ სახმილი მოუთმინარი...“ 178r-v.
5. [მელიქოვი იოსებ].—
„ბუნდოვანს გულს შენ აღმიჩნდი დარადა
აწ არ უწყვი, რად გამწირე და რადა...“ 179r-v.

შენიშვნები: 1. ლექსის ავტორი აღდგენილია S—1512:201-ის მიხედვით.

2. 175r-ზე მიწერილია ანსტრიქონიანი კრიპტოგრამა: „ქ. ჩემო ულხენისა გულისა, ჩემის უდენავ და გულსა შინა ჩემსა ოქროს მეღნით აღბეჭდილო, თუმცა არა ვარ საფერი შენისა ტრფიალებისო.“

მონად მიყოლე ნაფრდვილან(?) მლიდრობა-ე დან კლებისა.

მომისკლბი(?) რაცრამ უარ... ყინე(!) მე მ...ერაც მომეკლებდნა(!) მიმცემ მსერთა სა, ვენრად მ...ავ...ირანგოს ნუ ებისო.“ კრიპტოგრამის ამოკითხვისას ვისარგებლეთ გივი მიქაძის ამოკითხვით. (იხ. გ. მიქაძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, თბილისი, 1957, გვ. 14—15).

3. 175v-ზე არის, ე. . . სათვალავადი სისტემით შედგენილი კრიპტოგრამა:

ა) „თავადი ქაიხოსრო ამილაჯვაროვი“.

ბ) „[თავადი] გიორგი ამილაჯვაროვი. ეს წიგნი მოიპაროს თავს ლაფი ესხას“.

კრიპტოგრამების ნაწილი გამოქვეყნებულია გ. მიქაძის მიერ (იხ. დასახელებული წიგნი. გვ. 15).

შინაწერი: „[გიორგი იოსების-ძე ამილაჯვაროვი იშვ[ა] ჩუო ღვინობ... მთვარესა ი ჩუოწ წელსა ღვინობისთვის კო შეიქნა ოცდარვა წლის ოცდაოთხის... ისა“ (177v).

(983)

2392

კრებული. XIX

153 ფ.; 22×17; ქალაღი თეთრი; ჩანშულია მუყაოს ყდაში; მხედრული; შავი მელანი. სათაურები სინგურით; [XIX საუკ.]; ფფ. 116 r—117v და 150r—151v გადაწერილია დავით ამირიძის მიერ. დაუწერელია: 114r—115v, 152r—153v.

1. [ბარამგულან დამიანი]. „აქა იწყების ბარამიანი.— ქვეყანასა ურმეთისასა იყო ჯელმწიფე ქიშვარდა გაძლიერებული, უკლებელი,— მორკმული, მოვლენილი...“ 1r.

თავდება: „დიდათ პატიესა ჰყოფდა, ესრეთ აღაშენა...“ (113v).

შენიშვნა: ტექსტი ვრცელი რედაქციისაა, შდრ. A—860-ს.

2. „წიგნი და ქება დიდისა მოურავისა გიორგისა, თქმული ლექსად ტფილელის იოსებისაგან. ღთო, წარმართე ქმნული ხელთა ჩემთანი და ხელი მოუმართე მწერალსა.—

მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთელისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით,
ხან ლხინი, შებვა, სიამე, ხან ვარდი დანასულობით,
და სიბრძნე, ხრმალი და ომები, სიკვდიმდე აღსასრულებით...“

116r—151v.

შენიშვნები: 1. ფ. ფ. 118—149 არის სტამბურად ნაბეჭდი ტექსტი.

2. დასაწყისი და ბოლო ფურცლები გადაწერილია დავით ივანეს ძე ამირიძის მიერ.

3. ხელნაწერი აღწერილია ექ. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, ტ. I, გვ. 548).

მინაწერი; „ეს წიგნი დიდმოურთიანი ეკუთვნის დავითს ივანეს ძეს ამირიძეს, მოურავს“ (151v).

(984)

2393

წიგნი საამ ფალავნისა. 1838.

159 ფ.; 21×18; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები შიგადაშიგ სინგურით; თავ-ბოლონაკლული; გადაწერილია დავით ივანეს ძე ამირიძის მიერ 1838 წ. (158r); დაუწერელია: 158v—159v.

[საამიანი].—„... და თავის არამხანაში შებძანდა. რა დაღამდა, თავისი ვეზირნი და მოხელენი შეჰყარა და გამოუტხადა...“ 1r.

წყდებო: „... ზაღლის შრავალი ქება წარმოსთქვა რუღაბაზთანა. რუღაბამ პასუხი არა მოახსენა რა. აქეთსა მხარეს ზღმა...“ 157v.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია სპარსული ლექსები.

ანდრძი (გადანწერისა): „წელსა ჩელს. სეკდენბრის პირველსა გადავწერე ესე სიგა(!) საამ ფალავნისა მე. დავით ივანეს ძემ ამირიძემ. მკითხველნო, უკეთ შეცდომა ჰპოვოთ. გთხოვთ ნუ დამგმობთ. შენღობა ბძანეთ. იყოს მოსახსენებლად და სახსოვად დაწერისა ამის. დავით ივანეს ძე ამირიძე“ (158r).

მინაწერები: 1. „წ. წელსა ჩელსა 187...! დაწერა“ (158r) (განქოთ).

2. „ეკუთვნის დავით ამირიძეს. მოურავს“ (ქვემო ყდის შიდა მხარე).

(985)

2394

კრებული. 1869—1877

IV + 330 გვ.; 21.5×16.5; ქალაღი (თეთრი. ლურჯი); მხედრული. დასაწყისი ასოები მთავრულით. სინგურით; მუყაოს ყდა; გაღამწერი დავით ივანეს ძე ამირიძე (გვ. 192 და 297); 1867 და 1877 წ.წ. (კვ. 287 და 192); დაუწერელია: Ir—IVv, გვ. 194—196, 263—264, 288, 328—330.

1. [ნიკიფორე ხუცესი]. „ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა საღოს ქრისტესთვის. გვაკურობენ მამო.—ძმანო ჩემნო საყუარელნო უფლისანო, ისმინეთ ვედრებდსა ჩემისა და გაუწყო, რა არს საქმე ესე კეთილი...“ გვ. 1—192.

შენიშვნა: ავტორი აღღგენიღია კ. კეკელიძის წიგნის მიხედვით (იხ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951; გვ. 406).

2. [სიბრძნე ბალავარისა]. „გვითხრობდა ჩუღნ მამა ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა, და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალავარისა, რამელი იმყოფებოდა უღაბნოსა მძოვართა თანა.— მივიწიე ოღესმე იოპედ და მუნ ვჰპოვე წიგნი ესე ინღოთა საწიგნესა შინა...“ გვ. 197—262.

შენიშვნა: ტექსტი მისდევს მოკლე რედაქციას, იხ. ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილაბულაძემ. თბილისი, 1957.

3. ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღვთისა, ახლად შიარად გარდათარგმნილი, მარგებელი მსმენელთა და მკითხველთათვისცა, თქმული სააკაძის იოსებ ტფილელისაგან.—

ღმერთო, შენ გაქვებ, ყოველთა ვინ უმეტეს ხარ ძლიერი,
შენ გმონებს ყოვლი სულდგმული, შვენნიერი და ციერი“. გვ.
265—287.

შენიშვნა: თხზულება გამოცემულია (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, ს. ყუბანეიშვილის გამოც., 1946 წ. გვ. 395—406).

4. „ხილვა მარტო მყოელისა(!) დანიელისა, რომელნი იხილა წელსა გნზ ნოემბერსა თვესა.—მე მარტო მყოფი დანიელ, ოდეს მივიწიე კორფუზსა შინა წმინდისა სფირიღონ საკვირველთა მოქმედისა ნაწილსა თაყვანის საცემელად...“

გვ. 289—317.

ანდერძები: 1. „წელსა 1877, დეკემბრის 29-სა დღესა ვიხილე წიგნი ესე ანდროიანეტარისა, ღირსისა მამისა და ქრისტესთვის სალოსისა, და ფრიად ვეტრფილდე ამისთვის, რომე ფრიად სარგებელ არს და მომპოვნებელ არს ჭეშმარიტად სასუფიველისა. და რთველნიცა აღმოიკითხავდ(!), მაშინ სცნობთ, ვითარცა რა სარგებელ გექნებისთ. თქვენ, ძმანო ჩემნო, ვიტყვი, ვითარმედ სხვა ამის უფროს სარგებელი და განმანათლებელი არა არს წერილი, ვითარ ესე, რათა დაატკობს სულსა განანათლებს გონებასა, განაშორებს ცოდვისაგან და მახლობელ ჰყოფს ღვთისასა უმეტეოდ, რამეთუ იხილავთ აღმოკითხავდ სადა, მაშინ სცნობთ სიტკბობასა ამის წერილისასა. და წიგნი ესე ვიხილე და ვისურვე გადმოწერად მე, ფრიად ცოადვილმან, ტფილისის მცხოვრებელმან დავით ივანესძემ ამირიძემან, ჟამსა ხანშესულთბისასა, რომელიც ვარ ამ ჟამად ორმოცდა ცხრამეტის წლისა. თუმცა კარგათ წერა არ ვიცოდი და სიბერეც მიშლიდა, ამისთვის ძმანო, დანო და დედანო, გვედრებით, რათა შრომისათვის ნუ დამგმობთ, და თუმცა შეტეობა იხილოთ რამე, გვედრებით, ნება გაქვთ გაასწორეთ, და მე ცოადვილსა ამას შენდობა მიბძანეთ ღვთის სიყვარულისათვის. დასრულდა წიგნი ესე წმინდის ანდროიანელ ოსისა ხელითა დავით ივანესძის ამირიძის, ორბელიანის მოურავისათა, ამინ. დიდება ღმერთსა. ღმერთო, შენ მიცოცხლე ბატონი ჩემი ივანე დავითისძე ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელთანაც ჩემის სიყვარვით, ვიდრე აქამომდე ვმსახურე, თანა ერთათ შეზდილნი და ერთადვე სიბერეს მივაბწივეთ, რომელმაც ჯილდოთ მიბოძა სამსახურისა ასი საყენი მიწა სადგომლათ და ვლოცავ: ღმერთო, ნუ მოუშლი შენს და ხემწიფის მოწყალებას, ამინ. ჰე ბრწყინვალე თავადო ივანე ჯამბაკურ-ორბელიანი, დავითი სარდლისა ნორჩო, ღმერთალ-მაიორო, დავითის ძეო, იცოცხლე მრავალმიერ, ამინ. გთხოვთ ყველად დალოცოთ კეთილი და უანგარო კაცი, გლევთა მოყვარე და მოწყალე. სამოცდახუთი წლისა შევსრულდი და მე ამ ღვთისკაცში ერთი ბოროტი ვერ ვნახე. ღმერთო, შენ გვედრები, თქვენ გადაუხადეთ ჩემზე ნაქვარი(!) სიკეთე, რომელიც დღესაც ამის წყალობით ვცხოვროვ. მაღლობა შენდა, ღმერთო დიდებულო, შამეწიე მე ცოადვილსა მონასა შენთა დავათს“ (გვ. 192—193).

2. „დასასრული ალექსიანისა. გადმოწერილი დავით ამირიძის მოურავის მიერ ჟამსა მეორმოცდაათეს წელს მყოფობისასა, წელსა ჩყთ, ივნისის კე-სა“ (გვ. 287).

მინაწერი: „7392 დასაბაზითგან აქამდის.

5961 დიდისა ლეონ მეფისა კოსტანტინაპოლის“ (ქვემო ყდის შიდა მხარე).

(986)

2395

მიცვალემა ღვთის მშობელისა. 1833

I + 78 გვ.; 21,5×16; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ტვიფრული; მხედრული; 1833 წ. (გვ. 74); გაღამწერი: გაბოიელ იოანესძე მესხიევი; ადგილი—თბილისი; სათური სინგურით: დაუწერელია I-r-v; გვ. 76—78.

„თთუშსა აგვისტოსა იე. მიცვალემა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. თქმული წმიდისა მამისა ჩუწნისა ვასილი კკესარიელისა, გვაკურთხენ მამაო.—

სამებამან წმიდამან, დაუსაბამომან, დამბადებელმან ყოველთა დაბადებულთამან, რომელ არს მამა და ძე, ღმერთი და უფალი...“ გვ. 1—74.

ანდერძები: 1. „აღმწერი ამისიანჩისხატის სობოროს დეკანოზი და კან დელაკო და აწ მოხუცებულობის გამო ჩემისა გაღამდგარი, შთამამელობით აზნაურთაგანი, დეკანოზი გაბრიელ(!) იოანესძე მესხიევი, 1833 წელსა, დეკემბრის 18 ქალაქსა შინა ტფილისს“ (გვ. 74).

2. „აზნაურმან გაბრიელ იოანესძემ ეკორძიამ მთხოვა მე, რათა მივანიჭო აღწერილი კელითა ჩემითა ნაშრომი, სასულიერო წერილი. რადგან ვინილე მოწაფისა ჩემისა სურვილი ესე, მეცა მიმხედმან მისმან, არა ვრიდე შრომაჲ ესე და მივანიჭე მოთხოვა და გარდაცვალება დედისა მღვთისა, რომელიცა იქმნება მფარველ სულთა და ჯორცთა მისთა, ხოლო დღესა, მას საშინელსა მეორედ მოსვლისასა მეფხ და შემწე წინაშე ძისა თვისისა. წელსა ჩუღგ -სა დეკემბრის ით“ (გვ. 75).

(987)

2396

კრებული. 1825

VI + 392 ფ.; 21,5×17; ქალაღი (ღურჯი); მუყაოს ყდა; მხედრული; ჭვირნიანი 1820 წ.; გაღამწერი ალექსანდრე სულხანოვი (გვ. 370); გაღამწერილია 1825 წ. (გვ. 370); დაუწერელია: I-r-VIv, გვ. 372—392.

1. „განმარტება საიდუმლოთა ქათოლიკე ეკლესიისა და აახის მეტყუალება წესთა მისთა, განწესებული წისა ვასილისაგან და წისა მაქსიმესი, სხუათა მამათა მიერ თქმულისაგან.—

ეკლესია არს ტაძარი ღვისა, სახლი სალოცველი, შესაკრებელი ერისა, გვამი ქრისტესი და სძალი მისი...“ გვ. 1—227.

2. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, იმინ. საქრისტიანო მოძღურება პირველად სასწავლო ყრმათათს, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი. სარწმუნოებისათს მართლისა და უბიწოსა სჯულისა, რომელი მოგუშტა მამათა მიერ.—

მოძღუარმან ჰკითხა ყრმასა ვისმე, ვითარმედ შენ ვინ ხარ? ყრმამან მიუგო და ჰრქუა: ქრისტიანე...“ გვ. 229—329.

უენიშვნები: 1. დასასრულს მიწერილია: „საქრისტიანო მოძღურება მოკლითა სიტყუთა მე, საბა ორბელიანისაგან აღწერილი, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“ (გვ. 329).

2. ხელნაწერი სპეციალურად აქვს განხილული ივ. ლოლაშვილს თავის წიგნში: სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, თბილისი, 1959, გვ. 106.

3. [თეიმურაზ ბატონიშვილი]. „განჯანი არისტოტელისანი, კეთილისა და ბოროტისათჳს.— განჯანი არისტოტელისანი სათნოებათა და ბიწითათჳს. ჭეშმარიტებასა ეკუთვნის, რათამცა ვაქებდეთ ყოველსა პატიოსნებასა...“ გვ. 333—350.

შენიშვნა: წინ უძღვის: „თარგმნილი ლათინითა ენისაგან რუსულსა ენასა ხედა შ. ა. წელსა 1787, სანკტპეტერბურლს, ხოლო ქართულსა ენასა ხედა გარდამოთარგმნილ არს მეფის გიორგი მეათასმეტის ძის თეიმურაზის მიერ წელსა განორციელებითგან სიტყუას ღუთისა 1818, დეკემბრის 18. ხოლო ქართულსა რიცხვსა მეათათმეტის ქორონიკონისაა ფვ.“

დაიბეჭდა საუასთავე (!) მათისა უგანათლებულესობისათა სამეფოსა ქალაქსა შინა სანკტპეტერბურლს, სტამბასა შინა იოსებ იონესოცასასა.

წინასიტყუაობა აკროსტიხურით მიზდანი, ვისთჳსცა ვილუაწე.

ისტვლების სიბრძნის ყვაეილინი სათნოებით.

ორჳრთე ჰყოფს სულსა ხედვს და საქმის თნებით,

ნათლად, უჩრდილად გზით ღმრთისა სჯულთა მცნებით.

აღიყვანს ზენად განაბრწყინებს გონებით,

იგი იცავს სჯულს ბუნებითს განანტკიცებით.

ესე დიდისა ფილოსოფოსის ჰსჯანი.

რომელთა უყვარსთ სწავლათა უხვად მქანი,

მოქროვით ბრძმედით მის ბრძნისა განომდნარნი,

მიუძღვნათ ივერთ, განსწავლონ მათნი ყოზანი,

ორძილობის ჟამს ვის შუშნისთ კეთილთ წრთვანი.

ნავთსაყუდლად სთქვეს მოძღვართ სულის მშვიდობა,

აღჯრსხმა ვნებათ, მოთმინებითა ბრძნობა,

ხედვით სიმაღლიდ აღსლვა, სიყვარულს ტრფობა,

საქმით სიმდაბლე, სიწრფელე, აზღადრობა

გულის სიცოცხლის დამკვირვა და ცამზობა.

ძკრით და შურით დაიბრძობ: უმდითო თვალსა,

ღუთის განმრისხად დასთრგუნავს სამართალსა,

ვნებას ჰსცემს ქვრივთა, ობოლთას მას ჯვრას მართალსა,

ნაცვლად ქებისა მაგინებლობის აღსა,

იფრქვეს პირითა, მით დახსნის კეთილთ ძალსა,

მშობელი ყოველთა ცოდვათა დიდი ძკრი,

ესე იგი არს ვერცხლი ეშმაკთ საყკრი.

შესვი ყოველისა ბოროტისა და ძირი.

ისარი ძკულველი და გამბასვრელი ნწკრიი

საშუღობს, წყალობას, ჰყოს სული მადლთაგან მწიკი.

ძლიერი იგი არს მამაცი, სულგრძელი,

მრევის ვინჳცა ცუდნებად ღვაწლით ვრცელი,

თავს სიბრძნის მრქმელი, უმეცრების გამძრკულელი,

მკვეთოს, რაცა არა რად შემრაცხველი,

იგი სდგვს სიმხნით, მტკიცედ განუდროკელი.

მპროშელი მკითაველთ გენუჳკ შენდობასა,

უკეთე სადამე შევაცდენდე ცნობასა;

რაცა კეთილთა და ბოროტთათჳს სჯასა

არისტოტელე მოგვემს, ვისნენთ თუ მასა,

ფესთა კეთილთ და სოფლად ვხუდეთ დიდებასა.“ (გვ. 330—333),

მიძღვნის კიდურწერილობა იძლევა: „იონა იერომონახს გძღვნი მეჭის ძე თეიმურაზ“.

4, [მამათა და დედათა სახელთა განმარტებანი].—

„სადაცა ბანი იჯდეს, უწყოდეთ, რამეთუ ლექსი იგი ბერძული არს და სადაცა უნი იჯდეს, გულისხმა ჰყავ—ჰურიულად, და სადაცა რაე—ჰგონე რომაულად.“

ათანასი ბ უკვდავი

ანნა უ მადლი, . გვ. 351—369

შენი შვნა: დართული აქვს განმარტება: „ესე სახელის თარგმანნი რუსულიდამ გარდამოღებულ არს ქართულად და ამისთვის ვერ კანონიერ დაიწყო, დაწყობისამებრ ანბანათსა არა ქართულთა ასოთა არა ინი არს დასახული, არამედჃ, მაგრა რუსულისამებრ ასოისა ასე იყო და აქაც ასე მოხდა, ვინათგან რუსთა იე იცა აქუსთ დასასრულად ასოთა თუსთა“ (გვ. 369).

მინაწერები: 1. „ესე სამოთხის კარის წიგი(!), დაწყებული იანვრის იგ-ს დღესა, შრომითა და მოღვაწებითა აღსრულდა თებერვლის ერთსა ჩემ ცოდვილისა აღექსანდრე სულხანოვისაგან, რომელი ვიყავ წლისა ჩვიდმეტისა, წყალობითა ღვსათა (sic), ჩყგე-სა წელსა“ (გვ. 370).

2. „Помощию Божию переписана сия книга, называемая Ранискою дверью, мною—Александром Сулхановом 1-го февраля 1825 года, амин“ (გვ. 370).

3. „ესე განმარტება და სამოთხის კარი ეკუთვნის დავით რვა-ნეს ძეს ამირიძეს, მისთვის რომელ ვიყიდე იარმუკაზედ, მივეცი სრული ფახი, რაც დამიფასა, წელსა ჩყოზ, ოქტომბრის იე-სა. ვინც წაიკითხოთ, დამწერსაც და მყიდველსაც შენდობა უბძანეთ. რპე ფურცელი დაწერილია“ (გვ. 371).

(988)

2397

კრებული. XVIII

101 ფ.: 20,5×16,5; ქალაღი; ხის ყდა, ტყავგადაკრული ტვიფრული; შიგადა-შიგ ფურცლები აკლია; [XVIII ს.]; მხედრული; 59r—60v ნუსხა-ხუცურით; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; დაუწერელია: 2v 34v—35v. 59v, 79r—81v, 101v.

1. [იოანე დამასკელი, დიალექტიკა].—„მყოფისათვის არსებისა და შემთხოვსებითისა, თავი 1.—მყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთა. ესე უკუჲ მყოფი განიკუჲთების არსებისა. მიმართ და შემთხუჲებითისა...“ 3r—32r.

შენიშვნები: 1. დიალექტიკის ტექსტს წინ უძღვის იოანე დამასკელის მიმართვა მაიუმელ ეპისკოპოსის კოზმასადმი: „ყოვლად ღირსსა და ღოჯთიე პატივემოჯლა მამასა კოზმას, წმიდასა ეპისკოპოსსა მაიოჯამისასა, იოანე ოჯნდოჯ.—იწროებასა ვიდრემე გონებისასა და უღონობასა ღნისა ჩემისა...“ (1r—2r).

2. დიალექტიკის ტექსტი 49 თავისაგან შედგება.

3. თხზულება თარგმნილია არსენ ვაჩეს ძე იყალთოელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 262).

ტექსტი მისდევს H—97, რომელსაც ს. გორგაძე არსენ იყალთოელს მიაკუთვნებს (იხ. მიმოხილველი, I, 1926, გვ. 178).

4. 32v-ზე არის ნაწყვეტი დიალექტიკიდან, —„ათთა~~ნათესავეთა~~ ნათესავეთათათვის განიხნება“, სულ ერთი გვერდი (შდრ. ხელნაწერი H—97, 2r-v).

2. [ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა (ფრაგმენტი)].—„...შეიწავენ, რამეთუ ქუჲყნის მზომელთა ჯელოვლებანი (!) არიან ნიშანნი ესე. ამას

16. ხელნაწერთა აღწერილობა

უწოდენ სტილმად, რომელსა ჩნ წერტილ უწოდთ და სახელ-ჰსდებენ ერთად. ხოლო ამას—ღრამად და უწოდენ მეორედ, რამეთუ წერტილისაგან წაზიდულ არს...“ 33r.

შენიშვნა: ამოღებულია ს.ს. ორბელიანის სიტყვის კონდან (იხ. სიტყვის კონა ს. ორბელიანის რედაქციით, გვ. 13).

3. [საკლასიფიკაციო ცხრილი და წრეები]. 33v—34r.

4. [მიქაელ სემონწმიდელი], „კერძოდ შეკრებული და მცირედ რამე მოკსენებული სიმრავლისაგან ცხოვრებისაგან და მისისა წარმატებათა და ნამუშავეთა განმრავლებათსა წმიდისათჳს და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა. მამო გვაუბრახენ.—სწავლის მოყვარეთა და სმენის მოყვარეთა და კაცთა სიმრავლისათჳს არარა არს ესრეთ სასწრაფო და სასურველ, ვითარ ბრძენთა და საღმრთოთა კაცთა ცხოვრება...“ 36r—39r.

შენიშვნა: თხზულება გამოცემულია (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, 1961, გვ. 153—176). გამოცემასთან შედარებით ნუსხასაკლია ბოლო 25 სტრიქონი.

5. [წინამძღვარი].—„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, თქმული მართლისა სარწმუნოებისათჳს სიტყვის-გება უღმრთოთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა ბუნებათა ქრისტესთა უარყოფენ.—სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ერთისა მის სამგვამოვანისა და თაყვანისსაცემელისა ღვთაებისა...“ 39r—58r.

შენიშვნები: 1. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (შდრ. კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 102. აგრეთვე, მისივე, ეტიუდები, ტ. V, გვ. 66).

2. ტექსტს დართული აქვს: „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელ არს წინამძღვარი“ (58v).

ანდერძი: „ჴი, საყუარულნო ქრისტეანენო, მამანო და ძმანო, რომელნი აღმოიკითხდეთ წმიდას ამას და სულთა განმანათლებელსა, ლოცვა ჰყავთ ეფთჳმე გრძელისათვის, რომელმან ფრიადითა მოსწრაფებითა და მოღვაწებითა დაჴსწვრე სამოდღვრებელად სულთა ჩუენთა და თქუენთჳს და სიმტკიცე მართლისა სარწმუნოებისათჳს“ (58r).

6. „ესე იამბიკო ამბერკისა საფლავსა ზედა სწერია სამსახეობაზე.—

რჩეულისა მის მკვიდრმან ქალაქისამან

ესე შევქმენ ვიდრედა ცოცხალ ვიყავ...“ 58v.

7. „განრჩევაჲ და გამოცხადებაჲ, რომელთათჳს ფილოსოფოსნი შთამოვლენ ჳმათაჲ და მხილება უთათათა სევერიანთა, ესე იგი არს იაკოვიტთა, სულთგანხრწნელისა წვალებისაჲ.—ტრფიალთათჳს და თანამბრძოლთა წესმარადთა რწმენათაჲჲ საჭირო არს ჳმათაჲ, რომელთათჳს უფრო შთამოვლენ ფილოსოფოსნი...“ 61r—66v.

8. „გამოძიება სულისათჳს, შეკრებული თჳთ სახეთაგან სიტყუათა და გულისწმის ყოფათა წმიდათა მამათა მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე დამასკელისა.—ვინათგან უკუშ არსნი ყოველნი ანუ გრძნობითა იცნობვიან, ანუ გონებითა მისაწლომელ იქმნებიან, ხოლო რომელი მიწლომი-

სათვს საქმისა რასმე ანუ საცნობელითა, ანუ გონებითა მოსწრაფე იყოს...“ 67r—78v.

9. [დიალოგი ქრისტიანესა და ჰურიას შორის]. — „... ლსა ქუშუე მისსა ვცხონდებოდით წარმართთა შორის და დავით იტყვს: წარმოდგეს მეფენი ქუეყანისანი...“ 82r-v.

შენიშვნა: ტექსტს დასაწყისში აკლია.

10. „ყოვლად საჭიროდ და ფრიად სათანადოდ შუდთა კრებათა მოთხოება და უწყება, თუ ვიეთ ძუნად, ანუ რომელთა მეფეთა და პატრიარხთა ბრძანებითა შემოკრბეს ღვთივ მობერილნი წმიდანი მღვდელთმოდლუარნი.—კითხუა: რაოდენთა აღიარებ მსოფლიოთა კრებათა? მიგება: შუდთა, რომელთა ამათ ნიკეას შინა პირველს, კოსტანტინეუპოლის შორისა პირველსა...“ 82v—83v.

შენიშვნა: დასასრულს ტექსტს ახლავს შემდეგი ქრონოლოგია: „ადამისითგან ვიდრე აქამომდე გარდასრულ არიან წელნი ექუსათს ექუსას სამოცდა ერთი. და აწითგან არიან სამასოცდა ათცხრამეტნი, ხოლო ინდიკტიონი იყო ერთი“ (83v).

11. „სახლუარნი თვთო-სახენი მოცემისაებრ და სარწმუნოებისა წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისა, თქმულნი გამოკრებულნი კლემენტოსისგან და ღირსთა მამათა, რომელთა სათანადო არს პირველ სხვსა ყოვლისა სასწავლელისა გაზეპირება მათგან, რომელთა ენებოს ნებითა ღმრთისაათა კეთილად მსახურებისა სიტყვსა წინამძღუარ-ყოფაჲ.—ხოლო გამოწულილვთისა მოცემისათვს ამისი შესწავება სავმარ არს, ვითარმედ ყოველსა ვითარ სახესაცა ძიებასა ანუ კითხუასა...“ 83v—90v.

შენიშვნა: შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. V, გვ. 92.

12. „პორფირის შეყუანილება.—ნანდულ საჭირო ხრისაორიე და არისტოტელისა მიერთსა შინა კატილორიასა მნებავი...“ 91r—101r.

შენიშვნები: 1. თხზულების მთარგმნელია ზურაბ შანშოანი (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 288, შენ. 6).

2. ს. გორგაძეს შეუდგენია კრებულისათვის სარჩევი, რომელიც ზედა ყდის შიდა მხარეს ჩაუწებებია.

შინაწერი: „ეს საღმთო წიგნი ეკუთვნის [დავით ივანეს ძეს ამირიძეს]. ... თვის პირველსა ვინც წაიკითხოთ, შენდობა მიბძანეთ“ (უკანა ყდის შიდა მხარე. გვარი და სახელი აღდგენილია ხელის მიხედვით).

(989)

2398

გარშაყიანი. XIX

299 ფ.; 22,5×17; ქალაღი (თეთრი, ცისფერი): მუყაოს ყდა; თავნაკლული; მხედრული; გადაწერილია ორი სხვადასხვა ხელით; [XIX]; ტექსტში ჩართულია 16-მარცკლიანი რუსთველური სტროფები; ალაგ-ალაგ ლექსებისათვის ადგილი დატოვებულია; დაუწერელია 299v.

[გარშაყიანი]. „... ელნი განაკვრენა, საღამომდინ იბურ... ბრწყინვალება:... შინა მას...“ 1r—299r.

შენიშვნა: ხელნაწერი მოკლედ აღწერილი აქვს კ. კეკელიძის წიგნში: ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 339, სქოლიო 1.

(990)

2399

კრებული. 1843

32 ფ.: 21×17,5; ქალაღი; მუყაოს ყდა; დაწერილია ორი სხვადასხვა ხელით (1r—3v ერთი ხელით, 4r-დან სხვა ხელით); მხედრული; 1843 წ. (29r); 4r-დან დამწერი სულხან მაისურაძე (12r და 32v); არის ამავე მაისურაძის ბეჭედი თარიღით 1841 წ. (31v); დაუწერელია: 12v; 15v; 23r—25r.

1. „ისტორია ქალისა და ვაჟისა. — ერთი კაცი იყო დიახ მდიდარი და მოხელე დიდისა ქალაქისა და ჰქონდა მას უანგარიშო ხაზინა...“ 1r.
წყდება: „... ის ვინ იყო, ერთმა მეორე მოკლა...“ 3v.
2. „ქალ-ვაჟიანი ერთი კაცი იყო დიახ მდიდარი. ჰქონდა მოხელეობა დიდისა ქალაქისა და ჰქონდა უანგარიშო ხაზინა...“ 4r—12r.

მინაწერი: „ето(!) книг(!) написал Сулхан Мансурадзеву (!), ет(!) книшка принадлежит“ (12r).

3. [სალექსიკონო მასალა]. — „ბოდ პრავოსუდენ ...ღმერთი არს მართალ მსაჯული.
ჩელოვეკ იესტ რაზუმნოე ეივოტნოე... კაცი არს ცხოველი გონიერი“.

შენიშვნა: აქვს მინაწერი „მე განგებ ვისწაულე ჩემი გვარისა და სახელის დაწერა, ისაკ მაისურაძე“ (13v).

4. „სახარება იოვანეს, თავი პირველი. — პირველთაგან იყო სიტყვა და სიტყვე(!) იგი იყო...“ 16r.
წყდება: „... და ბუქისაგან ავის სენისა ქარისა ორვე...“ 16v.
5. „ხილის ქება. — მარწყმა თქო: მოვალ პირველათ, მე ვერ მამის-წრობს ხილია, ფერად მამგზავსი(!) ვარ ლალისა, მემრე საკმელათ ტკბილია...“ 17r—18r.

შენიშვნა: ტექსტი ნაწერია გაბმული პროზით.

6. [ვეფხისტყაოსანი]. —

„კაცო, ძალსა ნუ იკუეხი, ნუცა მოჰკვეს(!) ვითა მთვრალი, არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწივებს ღვთისა ძალი...“ 18v.

შენიშვნა: იხ. საიუბილეო გამოცემა გვ. 217. სტრ. 1046.

7. [ლექსი]. —

„როსტომ თქვა: დედაკაცისა მე ჰქვა არ მეკეთება:
შენ განახამს, შენ ეწონები, მას ნახამს, მას ეკეთება...“ 18v.

8. [ანბანთქება].—

„ალვათ ხარ დახატული.

ბულბულს მიგიგავს ენა...“ 19r-v.

შენიშვნები: 1. მიწერილი აქვს: „ანა-ბანის სიმღერა ნახევარი არის“ (19r).

2. წყდება „ძ“ ასოსთან.

9. „წიგნი ალექსისა, მართალი და ჭეშმარიტი.—

ქ. ასტანბოლსა(!) შინა ერთი კაცი იყო, დიახ მქონიარე თვალისა და მარგალიტისა და ოქროსი...“ 20r.

წყდება: „... თქვენ მაინც მოაბრუნეთ მაგისი გონება, მოახსენეთ...“ 22v.

შენიშვნა: მიწერილი აქვს: „აკლია ამას კიდევაცა. სრული არ არის“ (22v).

10. [ლექსი]. „სიტურფით სრული, გაბადრული, მშენიერია,
ლაწვ-ელვარე, თვალ-მღელვარე, შესაფერია...“ 25v.

11. [გამოცანები]. „თეთრი. ჭკვიანო თქვენ მეცნიერნო, ეს გამო-
ცანა რა არსო.
ერთი რამ მკვიდრი ქონება ორსავ სოფელსა კმა არსო...“ 26r—28r.

შენიშვნა: სულ 23 გამოცანაა ლექსად თქმული.

12. „სიმღერა.

შენ გენაცვალე, ვარდი ხარ,

ბულბულივით ცაში ადიხარ...“ 28r.

13. „მძინარე იყავი, რათა ვერ შეიტყე, რომ მოგეპარა მტერი და და-
გიქცია...“

წყდება: „... ჩემი არ გესმისრა, თუ გიყვარდე, მადლი რათ უყავ...“ 29v.

14. [ლექსი]. „ალაღეთი, ალაღეთი,
შემკობილი ალაღეთი...“ 30v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გაბმული პროზითაა ნაწერი,

2. ციტირებული ლექსის 6 სტრიქონი სხვა ხელით იმავე გვერზე არის მიწერილი

15. [სამკურნალო რეცეპტი].—„ხანგატანებული ციება რომ ქონ-
დეს კაცსა, ძალეყურძენა, ხე-ბალახა, ანწლის ფოთოლი ერთად უნდა მოიხარ-
შოს...“ 31r.

შენიშვნა: წიგნი არის უმნიშვნელო მინაწერები: 13v, 14r-v, 15r, 28v, 29r.

30r, 31r-v, 32r-v.

მინაწერები: 1. „1845 წ. აგვისტოს 8 მივიღე გოგილას წიგნი“ (14v).

2. „ეს წიგნი მე ისაკომ მაისურაძემ დავსწერე“ (14v).

3. „ეს წიგნი ისაკ მაისურაძისა არის. სოლომონის ძისა... მის პატიოსნებას“ (14v).

4. „ეს წიგნი მე ისაკომ მაისურაძემ დავსწერე“ (!) (15r).

5. „მიხასა წიგნი ესა იანვრის...-სა ჩემგ-სა 1843-სა.

ესე წიგნი დაიწერა მაისის ი-სა ჩემგ-სა, 1843-სა“ (29r).

6. „ქ. უფალო ღმერთო იესო ქრისტე. საწაელად(!) კეთილათ მოუბდინე მონასა
შენსა მიხაკასა, რათა ისწაელოს წიგნის წერა, გაქოს, გადისდოს(!) და გემსახუ-
როს. მიესტ შენი შიში და გულისყური ყოველთა ჟამთა ცხოვრებითა“ (29r).

7. „ეს წიგნი ისაკო მაისურაძესი არის“ (31r).

8. „ეს წიგნი სულხანასი არის, ვინც მაიპაროთ, ისევ მოუტანეთ, თუ ღმერთი გწამთ“ (31v).

9 „Сей(!) книг(!) Принадлежит Сулхан Майсурадзеа (!) 1841 года“ (32v).

(991)

2400

იაკობ შემოქმედელი, გაბაასება მაჰმადიანისა და ქრისტიანეთა. 1881

16 ფ.; 21,5×17,5; ქალაღი; უყდო; შედგება სამი რვეულისაგან; მხედრული; გადამწერი დავით ამირიძე (16r); 1881 წ. (16r); დაუწერელია 16v.

„თავი დასაწყისი უსჯულოს მაჰმადისა და ქრისტიანეთ გაბაასებისა, ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფის შაჰნავაზისათა.—

სოლომონ თქვა: სიბრძნის პირველ დასაბამად შიში ღვთისა,

სამ გვამოვნის ღვთაებისა, შემოქმედის მის ერთისა...“ 1r—16r.

შენიშვნა: ნაწარმოებთან დაკავშირებით იხ. Н. Марр, Из книги царевича Баграта о грузинск. переводах духовных сочинений и героической повести Дареджаниани: Известия Академии Наук, 1899 г., Февраль, т. X, № 2.

ანდერძი: „წელსა ჩუპა-სა, მაისის ია-სა გადავწერე მე. დავით ივან ეს ძემ ამირიძემ“ სოფრაგმა. ვინცა წაიკითხოთ, შენდობა მიბძანეთ“ (16r).

(992)

2401

ფრაგმენტი სამკურნალო წიგნიდან. XIX

6 ფ.; 22,5×17,5; ქალაღი; უყდო; თავ-ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.]

[ფრაგმენტი სამკურნალო წიგნიდან].—„...ზაფრანა, ორი ქერის ოდენი მუშკი აურიე და თვალზედ...“ 1r.

წყდება: „... მოხარზე, ცხენს ყელში ჩასხი და არგებს მისთვისვე...“ 4r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს დართული აქვს: „ზანდუკი წიგნისა ამის, რომ აქედამ იპოების სარხებს“ (4v—6v).

2. ზანდუკიდან ირკვევა, რომ ფრაგმენტი იწყება მე-14 კარიდან და წყდება 21-მ კარზე. სულ ყოფილა 90 კარი.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაი შვილს წიგნში: Описание, ტ. I, გვ. 690.

(993)

2402

წიგნი აღსარებისა. XIX

15 ფ.; 21,5×14; ქალაღი (ლურჯი); უყდო; ბოლონაკლული; მხედრული, სათურები და დასაწყისი ასლები სინგურით; კვირნიშანი 1860 წ. (ფ.2); [XIX ს.]; დაუწერელია 15v.

„წიგნი აღსარებისა. სახმარ არს თქმად, რათა უწყოდეთ, ვითარმედ რა არს ცოდუა...“ 1r.

წყდება: „... უკეთუ არა ისმინოს და დაადგრეს უნანელად(!), არცა ენებოს მოქცევა...“ 15r.

(994)

2403

მატურჩი. 1833

1+ 27 ფ.; 20,5×12; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1833 წ. (27v); ფფ. 2—3 გაზეულია შუახე; ფ. 26 ამოვარდნილია; დაუწერელია 1r-v.

„მატურჩი. — საქმეთა დამაგვიანეს პრალის ქალაქში აპრილამდის, თუმცა იქ მყუანდნენ მრავალნი მცნობნი, რომელთა შორის ვპოვებდი მრავალთა სიამოვნებათა...“ 2r—27v.

შენიშვნები: 1. თხზულება თარგმნილია რუსულიდან

2. ტექსტი შიგადაშიგ ნასწორებია.

მინაწერები: 1. „მიხაკა ამირიძე. იოსებ ამირიძე“ (1r).

2. „დასასრული ფებერვლის 25-ს დღესა, 1833 წელსა“ (27v).

(995)

2404

ორბელიანი სულხან-საბა, წიგნი სიბრძნის სიცრუვისა. XIX

7 ფ.; 22×17,5 ქალაღი. უყდო; ნაკლული; მხედრული; ჭვირნიშანი — 1828 წ. [XIX ს.]; დაუწერელია 7v.

„ქ. წიგნი სიბრძნის სიცრუვისა, ნათქუამი სულხან ორბელიანისა, ეამსა სიჭაბუკისა მისისა.—

იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებთან, რომლისა სიკეთისა და სიქველისაგან...“ 1r.

წყდება: „... უხვნეს, მოკვლად წარიყვანეს; ძოღან რომელთა ვაჭართა მოეცა...“ 7r

შენიშვნები: 1. თხზულება გამოცემულია მრავალჯერ (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. 1, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, 1959), ხელნაწერი ნისდევს გამოცემას და მე-15 გვერდზე (ქვემოდან მე-4 სტრიქონი) წყდება.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს სოლ. ყუბანეიშვილს აღნიშნულ გამოცემაში, გვ. 265.

(996)

2405

წესი სომეხთ ეკლესიათა. XIX

17 ფ.; 35,5×20; ქალაღი; უყდო; მხედრული; ჭვირნიშანი 1839 წ.; [XIX ს.]; თარგმნილია რუსულიდან; მთარგმნელი—იოანე ბახლიძე (14v); ტექსტი შიგადაშიგ ნასწორებია ფანქრით; დაუწერელია: 15r—17r.

„წესი, ანუ ხარისხი საღმრთო ლიტურჯისა სომეხთ ეკლესიათა.—კანონი, რომელისათვისცა შეიმოსებინ ეკლესიასა საზოსლითა,

ოდესაც მლუდელსა სურის აღსრულებად ლიტურგიისა, თანამდებ არს ეს-რეთ...“ 1r—14v.

ანდერძი: „დასასრული სომეხთ სამღრთო ლიტურგიისა, ვარლამოღებული რუ-სულისა ენისაგან ქართულსა ენასა ზედა, რაოდენცა შესაძლო იყო შემემცნებად ცო-დვილისა და გლახაკისა იოანნეს ბაზლიძეს მიერ“ (14v).

ანდერძის ტექსტი ფანქრით გადაშლილია და ჩაწერილია: „დასასრული გ რ ი-გ ო რ ი ა ნ თ ს ა მ ღ რ თ ო წ ი რ ვ ი ს ა“.

(997)

2406

აღიარების წერილი. XVIII

90 ფ.; 10,5×16; ქაღალდი; ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; და-წერილია ტიპოთე გაბაშვილის ხელით; დასაწყისი ასოები მთავრული; სათაურე-ბი ნუსხა-ხუცურით, სინგურით; პირველ თავს აკლია; დაუწერელია: ფ. 4v, 34v—35r, 48v, 51v, 60v, 86v—90r; [XVIII ს.]

1. [აღვიარებისა წერილი. თავი პირველი] „... სიკეთითა სული-სათა შეგვზლუდავს სულისა და გონებისა ჩვენისა არსებასა...“ 2r—4r.
2. „თავი ბ. საიდუმლოსა ზედა ცხებასა წმიდისა და ღ-მყოფელისა საღთოსა მირონისა.—თუ რამე არს ცხება მირონისა? მირონისა ღმყოფელისა ცხება ერთი არს და დიდი საიდუმლო...“ 5r—8v.
3. „საშინელისა საიდუმლოსა ქ^ს ღ^ა ჩუშნისა წმიდა-სა ზიარებისათჳს. თავი გ. — ზიარება ქრისტეს საიდუმლოთა წმიდისა და დიდებულისა ეკლესიასა ჩვენსა შორის დამტკიცებულ არს...“ 9r—19v.
4. „ცოდვათა მომტევებელისა დიდისა საიდუმლოსა აღ-სარებისათჳს თავი დ.—აღსარება არს პირველი და დიდებული საიდუმ-ლო და მცნება უფლისა ჩვენისა...“ 20r—45v.
5. „საიდუმლოსათჳს წმიდისა და ცოდვათა მიმტევებ-ლისა ცხებისათჳს ზეთისა. თავი ა(?).—რამ არს უკანასკნელისა ჯა-მისა ზეთისცხება და ანუ რამას შემძლებელ არს კურთხევა მისი...“ 46r—48r.
6. „საღთოსა საიდუმლოსათჳს, რომელ არს ჯელ-თ-დასხმა სამღვდელო. თავი გ.—ჯელ-დასხმა სამღვდელოთა ერთი საიდუმლო არს მოცემული ეკლესიასა შინა ჩვენსა...“ 49r—51r.
7. „სჯულიერისა მეუღლეობისა საიდუმლოსა ქორწინე-ბისათჳს.—ქორწინებისა საიდუმლო მოცემული შენდობით წმიდათა მოცი-ქულთაგან, რათა მეუღლენი ღირსებით შეერთებულნი...“ 52r—60r.
8. „მისივე წმიდისა მამისა ჩუშნისა ანასტასი პატრი-არქისა ანტიოქისა. სიტყუაჲ კითხვა-მიგებითი საღთოსა გულისგმის-ყოფისათჳს. თავი ა.—ვის დაგბადა შენ? ღმერთმან და-ბადა მე...“ 61r—86r.

შენიშვნები: 1. შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. V, გვ. 12.

2. ხელნაწერის ტექსტი და წინა-შესავალი დაწერილია ტიმოთე გაბაშვილის ხელით (შდრ. ტიმოთეს ავტოგრაფს—H—842-ს).

3. ხელნაწერში ჩადებულია ქორწილზე მიპატივების ბარათის ფრაგმენტი.

ანდერძი: „წინა-შესავალი წიგნისა ამის, ესე უწყოდეთ აღმომკითხველთა ამა სარწმუნოებისა მოძღვრებისა წიგნისათა, რამეთუ ესე აღვიარებთ ისა წერილი ბერძენთა არს, არამედ გარდუთარგმნიათ რა სომეხთა და ლათინთა, ვითა ნებეზიათ თვისი-თვისისა სარწმუნოებისაებრ, შთაუმატნიათ და ევრეთ აღუწერიათ. ხოლო ესე აქა, ვითა წმიდათა მამათა ჩვენთა მოგვცეს, უნაკლულად გეპოვოს ამას შინა... აღმოკითხო რა, მაშინ სცნა, ჭეშმარიტი ესე სხვა არს და მათი სხვა. თუცა სიტყვანი მხოლოდ მიამსგავსო, სასმენელად ვრისა ლიტონობა სიტყვათა.

რამეთუ წიგნი ესე კოსტანდინუპოლის ქართველმან, ვინმე მეცნიერმან ბერძენთა ვენისამან, სთარგმნა ქართულად ლიტონად. ხოლო სომეხმან საქართველოსამან ვინმე გარდილო და სთარგმნა ვენითა სომეხურითა, და ვითა ენებათ, ევრეთ შთაუმატნეს სჯულისაებრ მათისა და იგი აქესთ მათ, რამეთუ ესრეთ შევისმინეთ“ (1r-v).

მინაწერები: 1. „Петр Берзенов“ 89r.

2. „აქ ნაყიდი არს“ 90r.

3. „Куплена 80 копек“ 90r.

4. „გაიტანა ხორბალი მარიამობას ორმოცდარი თვენი, ხუთიც სარგებელში. და თუამ წაიღო ათი თუმანი, თვეში სამშაურათ სარგებლით, თიბათვის ხუთს“ 90v.

5. უმნიშვნელო მინაწერები: 87v და 88r.

(998)

2407

ძლისპირნი და ღვთისმშობლისნი. XVII—XVIII

38 ფ.; 10×8; ქალაღი; უყდო; თავ-ბოლონაკლული; აკლია შიგადაშიგაც—მე-6 და 7, 33 და 34, 36 და 37 ფურცლებს შორის; [XVII—XVIII სს.]; ნუსხა-ხუცური, სათაურები და მთავრული ასოები სინგურით.

[ძლისპირნი და ღვთისმშობლისნი].—„... ადგინნა ქებულმან მამათა ჩუწნთა ღმერთმან, მარადის კურთხეულმან...“ 1r.

წყდება: „... ბუნებით ღმობიერ ექმენ, მცსნელო, ბუნებასა ჩემსა უძლიერსა, რომელიცა შეიმოსე ღ...“ 38v.

შენიშვნა: ხელნაწერში დარჩენილია პირველი ოთხი ხმის ძლისპირნი.

(999)

2409

უჯოპე, ივავ-არაკები. XVIII—XIX

II + 137 ფ.; 15×9,5; ქალაღი (თეთრი), ალაგ-ალაგ ლურჯი; მხედრული; მარბი მუყოს ყდა; [XVIII—XIX სს.]; დაუწერულია: 1r—11v; 119r—137v...

„ცხოვრებანი მოღგომითი გონება მახვილისა ესოპესი.— მოდგმა იგი საქმეთა, რომელ არიან ყოველნი, გამოვცს(კადენ და სხვანიცა რაიმე მრავალნი...“ 1r—118v.

შენიშვნები: 1. ეხოპეს იგავ-არაკები გამოცემულია ორჯერ. პირველად გამოსცა ს. იორდანიშვილმა, 'ესოპე', იგავნი, 1944 წ., მეორედ—ს. ყუბანეიშვილმა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II, 1949 წ. გვ. 280—289. ორივე გამოცემაში გამოყენებულია აღნიშნული ხელნაწერი.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, том II, 1906—1912 წ. გვ. 506).

მინაწერი: „ს. ნ. ნონიკაშვილი“ (131r).

(1000)

2410

ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა. XVIII

გვ. 648; 18×15; ქალაღი; ტვიფრული ტყავადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; სათურები სინგური; პირველი გვერდის ზედა კუთხე ჩამოხეულია და სათური დაზიანებული; ბოლონაკლული; [XVIII ს.]; დაუწერელია: გვ. 9—10: 627—648.

„[შთა]მომაველობა ქართულთა და ცხოვრებაჲ, ... რომელ-ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა.—ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთანი...“ გვ. 1.

წყდება: „შაჰნადირ მოსცა არაგვის საერისთავო თეიმურაზ მეფეს. ესე მოვიდა და დადგა ტინს და ბრძოდა ქსანს. მაშინ ლეკეთით ლტოლვილი ყაენის ძედ წოდებული წარვიდოდა ოსმალთა შინა და ეტიკ...“ გვ. 636.

შენიშვნები: 1 ხელნაწერს აკლია ქორონიკონები, სინქრონიული ტაბულები, რომელნიც ჩვეულებრივ ერთვის ხოლმე ვახუშტის შრომას და ვახუშტი-ერთისა და იმერეთის ისტორია.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს წიგნში (იხ. Описание, ტ. II, გვ. 674)

3. ვახუშტის შრომის გეოგრაფიული და ისტორიული ნაწილები გამოცემულია ცალ-ცალკე: ვახუშტი, აღწერა სამეფოთა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941 წ. თბილისი. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 1469—1800 წლამდე, მეორე გამოცემა ხ. ქიქვიანიძისაგან, თბილისი, 1913 წ. ხელნაწერი წყდება ქართლის ისტორიაზე, დასახელებული გამოცემის 144-ე გვერდზე.

მინაწერები: 1. „მესანთლე ჩიტა გებრალეზოდესთ, ქრისტიანო... ნეტავი თქვენა, ვინცა მორჩით, სრჯულის ხმა გესმისთ... ტყვემა დავწერე, ჩემი სული გებრალეზოდესთ. მომიხსენეთ უკ...ს“ (გვ. 2).

2. „მად... ა სახელათ ახუა მქვიან, ორი შვილი დავკარგე, ერთი ვაჟი თან“ (გვ. 3).

(1001)

2411

ბეჟანიანი. XIX

40 ფ.; 23×18; ქალაღი, ლურჯი; ტყავში ჩასმული; მხედრული; შიგადაშიგ სტრიქონები სინგური; კვირიშანი 1816 (31r); [XIX ს.].

[აქა ამბავი ბეჟანისა და მანიყავისა].—

„წავალ მაზედ საომრად, ღვთით ამოვწყვეტ მე იმათა, გიგსა დიდათ შეუმძიბდა, ამაღ რომე ყმაწვილია...“ 1r—35v.

შენიშვნები: ტექსტი მიყვება განოცემას 4182, სტროფიდან 4372 სტროფამდე. ხელნაწერი გამოცემულ ტექსტთან შედარებით რიგ შემთხვევაში იძლევა, განსხვავებულ წაკითხვებს (შდრ. შ ა ჰ ნ ა მ ე, ქართული ვერსიები, ტ. II, ტფილისი, 1934 წ., გვ. 168—193).

2. ტექსტს გამოცემასთან შედარებით დასაწყისში აკლია 5 სტროფი და ერთი სტრიქონი. შემდეგში ვილაცას მოგვიანო ხელით 38r-ზე აღუდგენია პირველი ორი სტროფი.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ს (იხ. Описание, ტ. I, გვ. 379). მინაწერები (XIX ს. მიწურულის მხედრულით): 1. „ქ. უნდა მოგცე მე, პ ა ვ ლ ე მ, შენ, პ ე ტ რ ე ს, ამდენი კოდი წმინდა პური. რომელიც ამავე მომავალს ახალში უნდა ჩემის ურმით შენს კარხედ მოგიტანო, ქალაქის ლიტრით აგიწონო და მოგცე. და თუ პური ვერ მოგცე, როგორც ყაფანს ქვეშ პური ფასობდეს, იმ კვალობაზედ თეთრი მოგცე, და თუ ამ ახალს გადავაცილო, ათი თორმეტად მოგცე. ეს არის ჩვენი პირობა პირობა (sic), რომელზედაც ქელს ვაწერ მე.“

Соломон Григорий Шошнев. Петре...

სოლომან შოშიევი“ (ანვ).

2. „ესე წიგნი ვრცელი არის. სიცრუვით ნახევარი, ბევრი არი, — გაუშვით. თქვენ, ვაჟო, ცუდი ბაასი, საუბარი ძნელი არს. სოლომონ“ (37v).

3. „ეს ლექსი ძალიან სიცრუით არის ნაწერი. არ ვიცი ვისგან არის“ (36r).

4. „ამ წიგნის თავდაპირველი დამწერი ძალიან ცრუი ყოფილა. ამის წერვას(!) ერთი კარგი საქმე ეყუებინა, ისა სჯობდა“ (40r).

5. უმნიშვნელო მინაწერები: 38v, 39r-v, 40r-v ქვემო ყდის შიდა მხარე.

(1002)

2427 ა, ბ, გ

ჟამენ, ფიზიკა. XIX—XX

ფ. 37+21+36; 29,5×20,5; 25,5×20,5; 35×20,5; ქალაღდი; სხვადასხვა ზომის; უყდო: მხედრული; [XIX—XX სს.]; მთარგმნელი წეროქე, დაუწერელია: 35v, 36v; 37r(ა) და 35r—36r(გ).

«ჟამენ, ფიზიკა». — „სტატეკური ელექტრო. თავი პირველი... ელექტრონის საზოგადო მოვლინებანი, ელექტრონის გამყვანნი და გაშკერძობულნი; ორგვარი ელექტრონები: ელექტრონების გაყოფა ხეხვით, პიპოტეზა ელექტრონულის სისწვლილეებისა. საზოგადო მოვლინებანი, გამყვანელობა ავიღოთ მინის, გინდ გოგირდის გინდ ლაქის ანუ შირის ჯოხი და გავხეხოს. შალის, აბრეშუმის, ანუ კატის ტყავის ნაჭრით...“ 1r(ა)—34v(ბ).

შენიშვნები: 1. ავტორი აღდგენილია მესამე რვეულის სატიტულო ფურცლის მიხედვით. ფანქრით წერია „G a m i n -ის ფიზიკა“.

2. მთარგმნელის ვინაობა დაუცავს მეორე რვეულზე შემოხვეულ ფურცელს: „წეროქის ხელთნაწერი თხზულება“.

3. მოული ტექსტი ტოვებს შავის შთაბეჭდილებას.

(1003)

2432

გუბე (კრებული). XVIII—XIX

ფ. 232: 21×16; ქალაღდი თეთრი; ლურჯი; უყდო; რამდენიმე ფურცელი კიი-საგან შეკმული; მხედრული, შავი მეღანი, სათაურები სინგურით; ნაწერია ორი ხელით. [XVIII—XIX სს.]; დაუწერელია: 63v—65v; 218v—220v; 232v შემოწირულია დავით ბარათაშვილისა და მისი მეუღლის მიერ.

1. [წიგნი მღვდელთათვის].—„რამეთუ სათანადო არს ცნობად, რათა მღვდელნი ეკლესიისანი, ვითარცა მამანი სულიერნი, მოძღვრიდენ და ასწავებდენ ერსა, რამეთუ თანამდებ არიან...“ 1r—16v.

2. [ცოდვათა აღსარებისათვის]. „თქმული წმიდისა მამისა ჩუშნისა სვიმიონ თესალონიკელისა.—ჯერარს მოძღვრის მიერ, რათა აქუნდეს ადგილი განმზადებული, სადაცა ესუწნოს ხატი მაცხოვრისა...“ 17r—63v.

3. „რჩულის კანონი ახად(sic) თარგმნილი წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა ეფთჳმისი.—წესი და განგება და რჩულის კანონი მეექვსისა კრებისა ას სამეოცთა და რვათა წმიდათა მამათა...“ 66r—155v.

შენიშვნა: ეს ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. И. А. Заозерский и А. С. Хаханов—Номоканон Иоанна Постника, Москва, 1902 г.).

4. „კანონი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუშნისა იოანეს მიერ კოსტანტინეპოლელ მთავარ ეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველი ეწოდა.—უწყებულ იყავნ, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მმარხველი უკანასკნელ იყო უფროს ყოველთა მათ, რომელთა სჯულის კანონისა წესნი აღიწივნეს...“ 156r—192v.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. V. გვ. 63).

5. „კანონი დღითი-დღეთა ცოდვათანი, ვითარცა წმიდამამან(!)ვასილი განაწესა.—პირველი მოსვლა გულის სიტყვისა, რომელი მოუხდეს და გონებაჲმან სწრაფით განიოტოს...“ 193r—196v.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები. ტ. V. გვ. 20).

6. „მიგება კანონებრივი ტიმოთე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა აღექსანდრელისა, რომელი იყო ერთი ას ერგასისთა კოსტანტინუპოლის შეკრებულთა მამათაგანი.—მისა მიმართ კითხვა: უკეთუ კათაქმეველი ყრმა, ვითარ წლისა ზ, რომელ არს კაცი სრული...“ 197r—201r.

7. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა მეთოდის მიერ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა და მოწამისა, თუ ვითარ ჯერარს შეწყნარება თუთეულისა ჰასაკსა შინა უღირს ყოფისა ბრალსა შთავრდომილთაჲს და კუალად ქრისტიანედ მოქცეულთა.—უკეთუ ყრმაჲ შეპყრობილი იქმნეს და უარჰყოს ქრისტიანე, ანუ შიშისაგან, ანუ უმეცრებისა...“ 201r—202v.

8. „წმიდანი და მსოფლიონი კრებანი არიან შვიდ, რომელნი იქმნნეს პირველად ნიკიას კოსტანტინეს ზე დიდისა და სილიბისტროს ჰრომთა პაპისა.... ქრისტეს განკაცებითგან 318 წელსა...“ 203r—207v.

9. „პინაქსი, რომელ არს ზანდუკი ჰსჯულის კანონისა, ვითარიცა რა კანონი გენებოსთ რომლისათჳსმე ცოდჳსა და მსწრაფლ ვერ ჰპოვოთ აქადგან იძიეთ.

თავი ა, რომელი განაწესეს წმიდათა მამათა...“ 208—218.

შენიშვნა: ხანდუკი ყველა საკითხავისათვის არის დანიშნული.

10. „მლუდელ მთავრისა ლიტურდიისა განმარტებაჲ სახის-მეტყულებითი, ვითარმედ ყოველსავე მლუდელმოქმედებას ძალი უპყრის.—წმიდა ეკკლესიასა ხსიერის ხილულისა ამის სოფლისა რომლისათჳს წმიდა ღვთისმეტყული გრიგორი იტყჳს...“ 221r—229v.

შენიშვნა: წინ უძღვის პატარა შესავალი.

11. [სასულიერო მოთხოვნა].—„მოგვითხრობდა ღირსი მამათაგანი ვინმე, ვითარმედ ვიყავ საზოგადოობასა შინა მღვდლობით მსახურებად...“ 230r—231v.

შენიშვნები: 1. წიგნს უძღვის შემდგენლის 4 სტრიქონიანი განმარტება: „წიგნს ამას წოდებულ გუბე ვინადგან გუბე იქმნების ცუართა მრავალთაგან შემდგარ, მსგავს მისსა ესეცა წერილთაგან შეკრებულ. ხოლო ახრი ამისი არს საზმარ-ყოფისათჳს მლუდელთა მიერ აღსარებასა შინა“ (1r).

2. საკატალოგო დავთარში ხელნაწერების №№ 2432—2483 შესახებ ნათქვამია რომ ისინი შემოწირულია დავით ბარათა შვილისა და მისი მეუღლის მიერ. ეს ცნობა ყველას მიმართ არ მართლდება.

1004)

2433

ბაგრატიონი დიმიტრი, ლექსების კრებული. 1824

63 ფ.; 19,5×23,5; ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; მოოქროვილი აწით: ყდაზე ამოტვიფრულია „ელისაბედიანი“; მადერული; შავი მელანი; გადამწერი—გიორგი ავალიშვილი; ფ. 37 დაზიანებულია, ჩამოხეული აქვს აუთხე; ჭვირნიშანი 1824 წ.

1. „ელისაბედიანი, შეთხზვით ვარდნი-იანი, მამისაგან ნათქუამი, აღარ დასაგვიანი.“—

ღმერთმან ინება აღორძინება,

ამით მოგვეცა კაცთა ლხინება...“ 1r—12r.

შენიშვნები: 1. „ელისაბედიანი“ დაწერილია სხვადასხვა სახომით; შაირით (4r—9v) და ჩახრუხაულით (9v—11r).

2. „ელისაბედიანი“ გამოცემულია აღ. ბარამიძის მიერ (იხ. ანთოლოგია, წ. II, გვ. 240—255).

2. „ჩემის მეორის ქალის შობაზედ. თვალადობა ეკითხაკნეინა მახიას და იმას მივსწერე პეტერბურგს.—

რასა ქებას შევასხმიდე ჩემსა სატრფო პატატა ატატო ტასიასა, რომლისა შევენებასა სადა ვინ ძველთა მიჯნურთა მახელმებლნი და ველად გამჭკრელნი“... 12r—v.

3. „ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ანასტასიას.—

ვით აღვიწერო, არძალი-მიძს, მე ჩემი ანასტასია,

ცულად დავაშრობ ენასა, მისთვის ყველაი ნასია“... 12v—13v.

4. „ანბანთქება.

ახლად აღვამკობ აღვასა, ანაგებ ანაზებულსა

ბროლ ბალახშ ბადრსა ბაკიანს, ბუნებით ბრწყინვალეებულსა“... 13v—14v.

13v—14v.

5. „წალკოტს მეწადა მოვლა, მორება
ბულბულთა ბაძვა, შეცასწორება...“ 14v.

6. „ელისაბედი, ჩემი სვე-ბედი, ვაშად საწადი სანეტარები,
შენებით სრული, პირმოზადრული, ტანად საროს ჰგავს მონატარები“...
14v.

7. (მღურვა სოფლისა ძაგნაკორულად, ქართლით წამო-
სულს).—

მე მივის ორი ასული, უმკვიდრო, უმამულოსა,
უცხოსა თემსა მწირობით: უსახლო უსართულოსა...“ 15r—17r.

შენიშვნა: სათაური მიწერილია კიდნზე.

8. „აქა-იქ თქმული.—

ტრთიალთა გაწვევ, გაუწყებ, ვინ მისდევთ მიჯნურობასა,
მოდით, ისმინეთ, აშიკნო, გული მიეცით ცნობასა...“ 17r—18v.

9. „სევდის ბაღს შეველის ჯმა.—

ჩემს ქალს მიემართავ გულსევედიანი,
მას აქეს საშეებლად კარი ღიანი...“ 18v—20r.

10. „თქმული კნიაზ პეტრე ბაგრატიოვანზედ.—

მეც აღმძრესა ჩემთა სამკობლად ჩრდილოელთ მოშაირეთა,
ომ გარდახდილსა უქებენ სიმკნეთა გასაკვირეთა...“ 20v.

შენიშვნა: სქოლიოში შემდეგი შენიშვნაა: „კნიაზ კუტუხოვმა გახეთში გას-
წერა: ქრანტუხთ ბაგრატიონი მსხვერპლად შეეწირეთო და მით განვერენითო“.

11. „ბაგრატი ბატონისშვილის ქალის დაბადებაზედ
თქმული.—

ჩრდილოს აღმოხდა ივერით ქალი, მართ ვითა მთიები,
კამკამით ელვა გამოჰკრთის, ლამაზად მოციმციმები...“ 20v—21r.

12. „ფარნავაზ ბატონისშვილის ქალზედ თქმული.—

რა ვჰკადრო ქება-შენებით ქვეყანად უსაჩინოსა,
შუქ მკრთოლვარესა მთიებსა, საჭვრეტლად შესფრფინოსა...“ 21r.

13. „შესაქმეთა, გალექსილი დიმიტრი ბაგრატიონის მიერ
(მოკლედ).—

ღმერთმან ჰქმნა ცა და ქვეყანა, უძლიერესმან ძალითა,
განუმზადები, უხმარი, იყო უხილავ თვალითა...“ 21v—25v.

14. „გოდება ადამისა, ძაგნაკორულად, დიმიტრის მიერ.—
ძველი დღეთ მყოფი განცხადდა, ვიხილეთ დიდებულება,
წყვედიადი ნათლად შესცვალნა, სამყაროს მისცა სრულება...“
25v—35v.

15. „თქმული ჯელმწიფე იმპერატორის ალექსანდრეს მო-
ბრძანებაზედ.—

ცამ ოქროს ბრჭყალით განგვიღო ორიონისა კარები,
მზე აღმობრწყინდა, განათლდა გუმბადს საჯდომი არები...“ 36r.

16. „წამება ქეთევან დედუფლისა, ახლად თქმული დი-
მიტრი ბაგრატიოვანის მიერ და წარგზავნილი ქეთევან ბა-
ტონისშვილთან.—

- შენ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მყოფელო,
თვისისა დასაბამისა თვით თავსა შორის მპყრობელო... 36v—46r.
17. „იამბიკონი ლოცვამან ანნას ჯმაზედ.—
ნათელი მსხიები, იოანე მზიები,
სოფლის ბრწიები, ეკლესიის მთიები...“ 46v.
18. „ესეც მასვე ქეთევანთან, ჭირა ვნახეს ჯმაზედ თქმულ-
ლი.—შორით მომესმა ჯმა გოდებისა, უმწარეს წვისა ცეცხლთა დე-
ბისა, სატრფოთ ძმით გაყრით გული დნებისა, ზოგი სულთ ითქვამს,
ზოგი ბნდებისა“... 47r—48r.
19. „სიბერისათვის, სოფლის მდურვა ძაგნაკორულად.—
ოდეს რა დახსნა აღამ მცნებანი, კელ ჰყო მალლისა შემართებანი,
ვისგან მიეცა კაცად გებანი, მას უწყო ჯდომა კამათებანი“...
48r—49r.
20. „ლამის ალერსი, მისვე დიმიტრი ბაგრატოვანისაგან.—
ეჰა ღამეო, ჩემისა გულისამებრ ბნელო, და დღისა შენდა ერთ მო-
ჯამისა მოშორვებით მოწყინებულა“... 49v—54v.
21. „ლამის ალერსით დაშვრომა, თუ ვინმე დამიწუნოსა,
ნუ ჰგავა ჩემი, მისმა მზემ, მაგით ვერ დამაჰმუნოსა“... 55r—v.
22. „ვახტანგ ყაფლანის შვილის თქმული ანბანთქება.—
ალალებს ბაგებს, გულს დასადაგეს, ეღვარებს ვფუტავ ზე შეთე-
რულად,
თვალთ ინდნი კაზმავს ლაშ მინა ნაზავს, ოდენ პირსა ეღერს რი-
ტორებულად...“ 55v.
23. „დიმიტრი ბაგრატოვანის მიერ გრიგოლ იოანე მუ-
ხრან ბატონის ძესთან მიწერილი.—
მეფეთა შარავანდდით მრჩობლად მკრთოლვარევე მბრწყინებო.
გრიგოლ მუხრანის მთავარო დასატრფო დასატყისებო...“ 55v—56r.
24. [ანდაზები]. „სიყრმითვე მსმენმან ქართველთა გლეხთა მუნასიბად
თქმულ-ხმარებულთა არაკთა; ვეძიე მათთა საპატივოს კაცის შვილთაცა, გარ-
ნა ვერა რაჲსა მპოვნელმან, გარდა პირველთა მათ, რაოდენ ძალ-ვიდევე შე-
მოვჰკრიბე აქა, რომელთაცა ვინცა გულისჰმიერად განიხილავს, ყოველივე არს
სათანადოდ და თუს-თუს დროსა მოსაღებად.—
კაცი ბჭობდა სხვის სავნოდა,
ღმერთი მასზედ იცინოდა...“ 56r—63v.
- შენიშვნა: ანდაზები გამოცემულია პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ. (იხ. ა.ს. პუშ-
კინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,
ტ. V, 1948, გვ. 110—116) გამოქვეყნებულია 130 ანდაზა. გამოცემაში ჩვენი ხელნა-
წერი გამოყენებული არ არის.
- მინაწერი: „ტრალეღია, ბათონიშვილის ირაკლის პირველი დრო.
მეფე თეიმურაზ
ამ მოლაქვარდულს დილაზე რავედნი ხარობს,
ამ დაცემელდის(!) დილაზე?—რამდენი ვანსხრებთან(!),
შენ მშუენიერო დილაო. შენის ვარდისა ფერთი?... აგვრ
რავედნი მე პარა წახკარი(!) და მორე(!) ქება.
ფეფელა ბარათა შვილი“ (ქვედა ყდის საცავი ფურცლის შიდა მხარე,
მინაწერი შესრულებულია ფანქრით).

(1005)

2434

სიბრძნენი ფილოსოფოსთანი. 1749

94 ფ.; 28×19; ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა, დაზიანებული; წინა 8 ფურცელი დაშლილი; მხედრული, სათაურები სინგურით; 1749 წ. (39v); დაუწერელია 40v.

1. „სიტყუანი და სწავლანი სამეცნიერონი. ფრიად მარგებელნი სულ-სხეულობით ორკერძოვე. ძეგლისა და ახლისა წმინდათა წერილთაგან რჩევით გამოკრებულნი კლემაქსისაგან, დიდისა ბასილისა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა, და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხოვრებისაგან მამათასა და სხვათა წმინდათა მღვდელთმოდღვართა მამათა მოციქულ წინასწარმეტყუელთა-სოლომონ და ზირაქისა და გარეშე წიგნთა პლატონ, სოკრატი და მენიანდროს და სხვათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი.—ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოების მათ...“ 1r—39v.

2. „ქ. მოკლედ სიტყუის-გება სოგრატიისი. სწავლა პირველი, თარგმნილი და სხვათაჲ ფილასოფოსთა რუსულისაგან ქართულს ენაზედ ერასტი თურქისტანის შვილისაგან.—კეთილის კაცისა წესი არ არის, კაცს პირში აქებდეს და უკან კი სძრახადეს...“ 41r—94r.

შენიშვნები: 1. ტექსტის წინ არის: „აპოვთეგმატა. რომელ არს შემოკლებულთა რიტორიკითა და წესისა მასწავლელთა სიტყუება წიგნი-სამი. ხოლო მათ შინა არიან დადებულ თვითვეულნი კითხვა-მიგებაჲნი, ცხოვრება და ქცევა და იგავნი, რომელ არიან სახის-მეტყუელბანი და მეტყუელება სხვათა და სხვათა ფილასოფოსთა.

შემოკლებულთა სიტყუათა და მიგებათა, წიგნი პირველი..

სწავლა სოგრატიისი“ 40r.

2. ხელნაწერი განხილული აქვს კ. კეკელიძეს წიგნში: ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. II, 1952 წ. გვ. 380—381. და ლ. ძოწენიძეს წიგნში: რუსული „აპოვთეგმატას“ ქართული რედაქციები; თბილისი, 1959.

3. მე-3 ფურცელზე არის ლუქის ბეჭედი, სპარსული წარწერით: „უფალი საქმეებისა საპლ ისმაილი. 1230“ (პიჯრით, ე. ი. 1814—1815 წ. წ.), წარწერა ამოიკითხა ჯ. გიუნაშვილმა.

ანდერძი: „ალიწერა წიგნი ესე სამეცნიერო ბრძანებითა ბაქარ, საქართველს მფისა ვახტანგის ძისათა, მრავალჴამიერ ყოს უფალმან, წელსა 1749, მარტის. 15“ (39v).

მინაწერები: 1. „ჩუბ-ს წელსა ალიწერა თელავ[ის] უეხდის მცხოვრებნძ კომლათ 1940. სულის რიცხვი მამრთა 31.131, სული მღვდერთა 25.413. სრულებით ჯამი 56.850(!)“ (ზედა ყდის შიდა მხარე)

2. „ოთარ ჩოლაყაშვილისა. 20 აგვისტოს 1860 წელს გაყრაში“. მე-3 ფურცლის ზედა კიდებზე.

3. „რუსეთს ქალაქიამ წამოვიღე საქართველოში და მივიტანე ჩემს სახლეს ახმეტს(!). გრიგოლიძე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“ (94r).

4. („სოლომონ მსაჯულის ნათქვამი. დადიანთან მიწერილი).—„დადიანის ძის ძე. ნიკო. ტურავ, მელის კუდის რიკო...“ (94v).

5. („ეს ორი ხანა დიდიანისაგან არის მიწერილი მსაჯულთან).—„დადიანის ძის ძე ნიკო, სიბრძნითა ვარ იამბიკო...“ (94 v).

(1006)

2435

ორბელიანი სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა. 1811

ფ. 146; 18,8×14,7; ქალაქი, ლურჯი; მუყაოს ყდა; მხედრული, შავი მელანი; სათაურები სინგურით; 1811 წ. (144v); დაუწერელია: 145r—146v.

„ქ. წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიქაბუჯისა მისისა.—იყო ველმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არაგისაგან მოიგონებინან, რომლისა სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა...“ 3r—144v.

შენიშვნა: ტექსტი მრავალჯერ არის გამოქვეყნებული. უკანასკნელ გამოცემაში შესულია ამ ხელნაწერის აღწერილობა (იხ. ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. ს. 1959, გვ. 265).

ანდერძი: „დასრულდა ესე სიბრძნე სიცრუის წიგნი ველთა ჩემთა(!), მათა მღაბალთა მონათა გვე. - წელსა ჩუა, ივნისის კთ თვესა“ (144v).

მინაწერები: 1. „გამოცანა.“

ა) აგერ შოდის ჩვენი ქრემები, ჩვენის ქრემებისა მამანი; შვილებო გეგებენით(!), მოდიან თქვენი პაპანი“.

ბ) „ჯერ ხო, მახარ, ჩემი ძმა ხარ, მერე ჩემი ცოლის შვილი, წადი უთხარ მამაშენსა—მოგივიდა შენი შვილი“.

ბ) „კაცი ცხენით მოდიოდა, ქალი უჯდა უკანითა;

ხალხმა კიციხევა დაუწყო, გაატარეს კივინითა,

მოუბრუნდა, ქალმა უთხრა: ნუ იცინი გაკიცხვითა,

ამის დედა დედაჩემსა, დედამთილათ უხის შინა“ (1r).

2. უმნიშვნელო ხასიათის მინაწერები: 2r-v. 146r-v; 121v-ზე სხვა ხელით მიწერილია უხვირო ლექსები.

(1007)

2436

კრებულ. 1794

200 ფ.; 16,5×10,5; ქალაქი; ბოლო ნაკლული; უკანასკნელი ფურცლები ჭიისგან შექმული; ტვიფრული; ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; დასაწყისი ასოები მთავრულად; 1v-ზე ნოხატული ჯვარი 1794 წ. (ფ. 188v); შემდგენელი გაბრიელ მცირე (ფ. 188v); დაუწერელია 189r—192v.

1. „წმიდათა შორის გამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინოპოლელ პატრიარხისა, თქმულთაგანი ღვთიეშვენიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების ოქროს წყარო ე. სწავლა 1. წმიდათ წერილთა გელად მიღებისათჳს.—საყვარელო, იკითხვიდე რა სამღვთოთა სიტყვათა, პირველად ევედრე ღმერთსა...“ 2r—186r.

შენიშვნები: 1. „ოქროს წყარო“ შედგენილია გაბრიელ მცირის მიერ (შდრ. კ. კეკელიძე, მტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957, გვ. 71).

2. „ოქროს წყაროს“ ერთგის ზანდუკი (ფ. 187r—188r).

2. „თქმული წმიდათა შორის გამისა ჩუშნისა გრიგორი ღვთისმეტყველისა გრიგორის მიმართ ეპისკოპოსისა ნოსელისა, 17. ხელნაწერთა აღწერილობა“

ძმისა წმიდისა ვასილისა, რომელი იგი ესტუმრა, მაშინ აღმოსტყუა ესე. გვაკურობენ მამაო.—მეგობარისა სარწმუნოაჲსა არაარაჲ არს ნაცვალი არსთაგან ამის სოფლისათ...“ 193r—200v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ 983—991 წლებში. (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. V. გვ. 31).

მინაწერები: 1. „ოქროს წყაროს“ ტექსტს წინ უძღვის:

„გვირგვინისათვის სიყვარულითა დაჲშვერ, კაცმან ღვთისამან ღვთისმსახურისა თანა, პორქირი შემწედ. ვიგულსმოდგინე ესე ოქროს წყაროჲ, იმართელე, მეუფეო, რომელსა ასხენ ყურნი, სმენად ისმინენ“ (1r).

2. „შესხმა და ვედრება წმიდისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა. ზ, ყოვლად საწადელო წმიდაო მამაო იოანე ოქროპირო, ოქროს სიტყვა, ოქრო მდინარეო, ოქროს წყარო, ოქროვანითა სწავლითა შენითა მომწვევლ ყოვლისა სოფლისაო, ოქროს ჯმაო, სინანულისა ქადაგო, ოქროსა ნესტო, ჯმა-ტკბილად მეტყველო, ოქროსა ქნარო პირმეტყველთა ცხოვართაო, გვედრებით, წმიდაო მამაო, განამტკიცენ ეკლესიანი, განაშვენენ მღვდელობაჲ, განაბრწყინვე მეფობაჲ, განაძლიერე მხედრობაჲ, განანათლე მართლმადიდებლობაჲ. ხოლო სწავლისა შენისა მოსურნეთა მოგვეფინე მაღლა ლოცვათა შენთა და მოგუმაღლ აღსრულება ქადაგებათა შენთა ღვთივშეგნიერთა, რათა შენ მთესველი და ჩუშნ მუშაკნი ერთბაშად ვინარებდეთ სასუფეველსა ღვთისასა, რამეთუ მამასა ჰშვენის დიდება, ძესა მაღლობა და სულსა წმიდასა თაყვანისცემა პირველ საუკუნეთა, აწ და უკუწ, ამინ“ (186v).

3. „ღვთივ სულიერსა ამას წერილსა ეწოდების ოქროს წყაროჲ, მით რამეთუ ოქროს პირისაგან ოქროს წყაროჲსა ჯერ-არს წარმონაკადულებად არა მომრწყველად ყვავილ სუნნელსა, არამედ მაცხოვრად კაცთა სულებსა, რომელსა ჰქონდათ თჳს შორის თაფნი ოცდა ათსამეტნი, მსგავსად იესო ღმერთ-ჰამაკაცისა, ჰასაკ სრულისა ოცდა ათსამეტ წლისა. ხოლო თვითეულისა თავსა შინა სამი სწავლაჲ, ვითარმედ ორისა და სამისა მოწამისათა დამტკიცების ყოველი სიტყვად. და სწავლისა ასეული რიცხვი—იგავისაშებრ, რომელსა ედგა ასი ცხოვარი და აღმასრულებელთა ნაყოფი გამოიღიან ოცდაათეული; სამოცეული და ასეული სადიდებელად ძასა ღვთისა, ცხოველისა ამინ“ (188r).

4. „ყოვლადის სურვილით ტკბილ-სიტყუაობისათჳს ოქროპირისა მწერალი, ამისი გვედრები, ყოველთა ლოცვასა მომიხსენეთ ყოვლად უღირსი იერომონაზი, გაბრიელ მრავალმთის უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა ნათლისმცემლისასა. 17 $\frac{10}{31}$ 94

გაბრიელ“ (ხელრთვა, სინგურიო) 188v.

(1008)

2437

„ღრამოტა“ აზნაურებისადმი. 1806

34 ფ.; 32×21; ქაღალდი (მოღურჯო); ახალი ლიდერიანის ყდა; უკანასკნელი ფურცელი აღდგენილი; მხედრული; შავი მელანი; კვირნიშანი 1806 წ. (10ფ.); დაუწერელია: 1r-v, 33v, 34v.

1. „ღვთის შემწეობითითა მოწყალებითა ჩუშნ ეკატერინა მეორე, იმპერატრიცა და თვთმპყრობელა ყოვლისა როსიისა, მოსკოვისა... სხუათა მემკვდრე ტელმწიფა და მპყრობელა.—უწყის ყოველმან ერმან, ვითარმედ ამა ტიტულსა შინა ჩუშნისა სათვთმპყრობელოსასა...“ 7r.—26v.

შენიშვნები: ტექსტს წინ უძღვის „პინაქსი. ახნაურად წარჩინებულთა პირთათვის“ (3რ—6რ).

2. „ახნაურად წარჩინებულთა პირთათვის“. შედგება 4 განყოფილებებისაგან; ოთხივე განყოფილებაში შედის 92 პარაგრაფი.

3. ტექსტს დასასრულს აქვს შემდეგი შენიშვნა: „ნამდვილსა ზედა მოწერილ არს საკუთრითა მათის იმპერატორების დიდებულების წელითა ესრეთ—ეკატერინა. დაიბეჭდა სენათსა შინა 1785 წელსა, აპრილის 24 დღესა“ (26 ვ).

2. „უკაზი მათის იმპერატორებისა დიდებულებისა, თვთმპყრობელისა ყოვლისა როსსიისა მმართველისა სენათისაგან.—სახელმოწერილსა მათის იმპერატორების უმაღლესსა უკაზსა, მოცემულსა სენათისადმი...“ 27რ—28რ.

შენიშვნა: დასასრულს დართული აქვს შემდეგი ცნობა: „ნამდვილსა ზედა მოწერილ არს საკუთრითა მათის იმპერატორების დიდებულებისა წელითა ესრეთ—ალექსანდრე.“

დაიბეჭდა სენათსა შინა პეტერბურღს, აპრილის მეორეს დღესა, ხოლო მოსკოვის 12 რიცხვსა, 1801 წელსა“ (28რ).

3. „ყოვლად უგანათლებულესსა მპყრობელსა დიდსა წელმწიფესა იმპერატორატრსადა(!), თვთმპყრობელსა ყოვლისა როსსიისასა, სენათისაგან უუმონებრესი მოხსენება.—შესადრგენელად ყოვლად უმოწყალესისა თქვენისა იმპერატორების დიდებულების...“ 28ვ—33რ.

შენიშვნა: სტატიებს წინ უძღვის:

„ნაბოძები ღრამოტა ახნაურთადმი, შექინებითა უკაზთათა.“

1) უკაზი, გამოსრული 15 მარტსა წელსა 1801, აღდგინებისათვის გამორჩევისა მოვლეთა უეზდისა და ზემსკიასა სასამართლოსათა, სრულსა ძალსა და საფუძემდსა ზედა გუბერნიათა განწესებისასა.

2. უმაღლესი მანიქესტი, გამოსრული მეორესა დღესა აპრილისასა 1801 წელსა, დამტკიცებისათვის ყოვლისა სამართლისა და უპირატესობისა ბოძებულისა გრამმატასა შინა ახნაურთასა.

3) უმაღლესად დამტკიცება სენათის მოზხენებასა ზედა 5 დღესა მისისასა 1801 წელსა, აღდგინებისათვის ახნაურთა სამართლისა და უპირატესობისა ახნაურობისათვის“ (2რ).

მიწაწერები: 1. „ბაგრატ მეფის ძე გიორგი იყო ჩტვე. ამ წელს ლანგთემურ მოვიდა... ლის და აიღო ბირთვისი, იმა გიორგის მეფობაში.“

2. სამშვილდისა(!) და ყიზყალა არის ქართლოსის აშენებული.

3. აღერკის მეფობაში იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

4. მწელს იყო ალექსანდრე მეფე. ჩყიდ(?) ამან აღაშენა მცხეთა და რუისის ეკლესია. ამან განუყო ძეთა თვისთა სამეფო ესე რიგად: პირველსა ვასტანგს მისცა იმერეთ, და დიმიტრის—ქართლი და უმცროსს გიორგის კახეთი.

გიორგი მეფე მოიკლა შაბაზისაგან ჩქმ წელს ქრისტესით.

5. ქართლის ისტორია იპყრობს თავის შორის ორს ცვლილობას: პირველსა მთავრობისასა, ხოლო მეორეს (!) მეფობისასა. და ესეცა მეფობა განყოფილ იქმნა ოთხად: ფარნავაზიანად, არშაკუნიანად, ხოსროვიანად და ბაგრატიონად.

6. ქართლი აღეშენა პირველ ქართლოსის ძიერ“ (34რ).

(1009)

2438

გულსპიანი. 1844

40 ფ.; 33×21; 35×22,5; ქალაღი, სხვადასხვა ზომის; ნაკულღი; ახალი მუყაოს ყდა; ულამაზო მხედრული; 1844 წ. (40ვ); დაუწერელია 5რ-ვ.

(გულასპიანი).—„...მათი, რა დილა გათენდა ყულუმჯალომ გადმოიხედა და კვალად იგინი იხილა...“ 1r—40v.

წინაწერები: „1. განსრულდა წიგნი ესე ახლისა ისტორისა(!), რომელსა სახელ ეწოდების გულასპიანი“ (40v).

2. „რომელთაცა აღმოკითხოთ ისტორია ესე, შემთხვეულსა და აღმწერელსა ნუ ჰსწყევთ, არამედ ლოცვითა მოიხსენებდეთ. თუ რომ შეცდომა რამ ჰპოთ(!), სიჩქარით აღგვიწერია. გთხოვთ, რომელთაცა ინებოთ კითხვა, გაფრთხილებით იხმართ, ამისთვის რომ საქართველოში პირველი ნაპოვნია“ (40v).

3. „ეს წიგნი ეკუთვნის თავადის ზაალ დავითისძეს ბარათოვს. წელსა ჩემდ-ს, სეკდებარის(!) კთ-სა“ (40v).

(1010)

2439

ქილილა და დამანა (საბახეული რედაქცია). XIX

36 ფ.; 33,5×22; ქალაღი, მოლურჯო; ახალი მუყაოს ყდა; მხედრული, შავი მელანი, სათურები და ლექსების პირველი სიტყვები სინგურით; ბოლონაკლული; კვირნიშანი 1822 წ.; დაუწერელია: ფ. 35r—36v.

[ქილილა და დამანა]. „... დასაწყისისა პირველ წიგნისა ამის, შესავალად [თქმული ბრძნისა ანვარი სოილისა].—სრული სიბრძნე ამისად შემსგავსებულად საფუძველად დაუც და ყოველთა წიგნებთა შინა მთქმელისა სახელი...“ 1r.

წყდება: „... შე, მრავლის ნდომი შეიქნა მიწა, დიდობის მგენი წამს შეიბიწა...“ 36v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი „ქილილა და დამანა“ ილია ჭყონიას მიერ გამოცემულ ტექსტს (იხ. „ქილილა და დამანა“, საქრთველიდან ქართულად ნათარგმნი მეფისა ვახტანგისაგან“ 1886, გვ. 1—60).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. I, გვ. 298).

(1011)

2440

ვახუშტი, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია (ფრაგმენტი). XIX

14 ფ.; 35,5×32,5; ქალაღი, მომწვანო ფერის; ახალი მუყაოს ყდა; ფრაგმენტი; მხედრული, შავი მელანი, დასაწყისი ასოები მთავრულად; კვირნიშანი 1816 წ. [XIX ს]; დაუწერელია ფ. 10r—14v.

[ვახუშტი. საქართველოს ისტორია და გეოგრაფია].— „... მეფეთა გვართათვის. ხოლო გვარნი მეფეთანი იყვნენ პირველნი ქართლოსიანი და ნებროთიანი...“ 1r.

წყდება: „... ხოლო აწინდელსა ჟამსა იყო ერთსპასპეტოდ(!), ვიდრემდის შეიცვალებოდნენ...“ 9v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი მისდევს გამოცემებს (იხ. ვახუშტი, აღწერა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 20; გვ. 24—25; გვ. 33—50, ზემოდან მე-18 სტრიქონი და ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოცემა, 1913 წ., გვ. 159, 23 სტრიქონი).

2. 1v-ზე ტექსტის ხელით მიწერილია ცამეტი სტრიქონი, რომელიც შეეხება თა-
მარ მეფის ქმრის მოყვანას რუსეთიდან. ეს სტრიქონებიც აღებულია ვახუშტის
„ისტორიიდან“ (იხ. ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთცხრამეტე
საუკუნემდის, თარგმნილი და გამოცემული დეაწლით უ. ბროსე. ნაწილი პირვე-
ლი, სანკტპეტერბურღს, 1849, გვ. 285—286).

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II,
გვ. 672).

(1012)

2441

ლიონიძე სოლომონ; ტირილი ირაკლი მეორისა. XVIII—XIX

5 ფ.; 33,5×21; ქალაღი; რესტავრირებული, განსაკუთრებით პირველი და მე-4
ფურცელი; მეთხე ფურცელს ქვედა ნახევარი მოხეული აქვს; ახალი მუყაოს ყდა;
[XVIII—XIX ს]; დაუწერელია. 1r-v.

„მოთქმითი ტირილი საქართველოს მეფეს ღერკულესს,
ნეტარებისა ღირსსა ზედა.—ღღესა ქუშქანა აღსრული გულისწყრო-
მისა ტახტსა ზედა...“ 2r—5v.

შენიშვნა: თხზულება გამოცემულია მრავალჯერ, უკანასკნელად 1957 წ. (იხ.
სოლომონ ღონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნე-
ტარების ღირსისა, XVIII საუკუნის ავღოგრაფიული ხელნაწერის მიხედვით, ტექ-
სტი დაადგინა, ნარკვევი წაუმძღვარა და სძიებლები დაურთო ნ. იკოლოზ კან-
დეღაკმა, თბილისი, 1957).

(1013)

2442

თეიმურაზ I, პოემების კრებული. XIX

17 ფ.; 36×22; ქალაღი; ახალი მუყაოს ყდა; მხედრული, შავი მეღანი; სათაუ-
რები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია 17v.

1. „შელაპარაკება და ბაასი, მათ-მათი შესაფერი მიჯნურობა და
ფარვანასაგან თავის დაწვის გაწირვა. ლექსად ნათქვამი ღვთიე
გვირგვინოსა(!) პატრონის მეფის თეიმურაზისაგან, სუფევითმც ჰყოს
უფალმან ხსენება მისი, ამინ.—

ღმერთო, ყოველთა ცხადათა და იღუმალთ დაუფარაო...“ 1r—5r.

2. „ლექსი მუნასიბი და ტკბილი გაწყობილი, მსმენელთათვის სა-
მოგნო ვარდ-ბრულბულის(!) გაბრჭობა. ნათქვამი ღვთი(!)გვირგვინო-
სანისა ჯელმწიფისა პატრონის მეფის თეიმურაზისა, სუფევითმ-
ცა ყოს უფალმან საუკუნითგან და უკუნისამდე, ამინ. იყავნ, იყავნ.—

ჰე, არსისა შემოქმედო! შენგან არის ყოელი ფერი...“ 5v—11v

3. „თქმული მეფისა მიერ დიდისა თეიმურაზისათვის. მაჯამა.—
ხეღელიც(!)მოთქვამს: სიტყვა უქმისა პატიყმან შემაშინაო...“ 12v—17r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი გამოყენებულია თეიმურაზ I კრებულის გამოცე-
მისას (იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარა-
შიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934 წ.; გამოცემაში ხელნაწერი აღნი-
შნულია N¹ ლიტერით).

2. ჩენი ხელნაწერის პირველი თხზულება მისდევს გამოცემას (გვ. 15—23), რომელთან შედარებით აკლია 21 სტროფი და ბოლოაიტყვაობა (3 სტროფი).

3. ხელნაწერის მესამე თხზულებას გამოცემასთან შედარებით აკლია: II თავიდან პირველი სტროფის 3 სტრიქონი და მე-6 სტროფის 2 სტრიქონი; IV თავიდან მეორე სტროფის მე-3 სტრიქონი და მესამე-მეოთხე სტროფები; V და VIII თავები მთლიანად.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 284).

მინაწერი: „პირველი, ნეფის ტირილის წიგნი, ნეფე ირაკლი რომ მიიცვალა და დავით მსაჯულს უტირნია.

რაც წიგნები მაქუს ფითგაგი(!) და ამას ქვევით დაიწერა ქართული ისტორიანი:

ქ. ა. ვეფხვის ტყაოსანი.

ქ. ბ. თამარ მეფის შესხმა

ქ. გ. ამირ-დარეჯანიანი

ქ. დ. გულასპიანი

ქ. ე. დავრიშანი

ქ. ვ. მირის ამბავი

ქ. ხ. თიმსარი

ქ. ყ. წმინდა იერუსალიმის აღწერა

ქ. თ. მხეცის წიგნი

ქ. ი. თამარ მეფის შესხმა კიდევ რუსთველისაგან თქმული

ქ. ია. მოთხრობა რჯულთა თათართა, თქმული ბატონიშვილის ბაგრატიის

ქ. იბ. ნარკვევი

ქ. ივ. თითონ ეს წიგნი—ვარდ-ბულბულიანი

ქ. იდ. ფარვანიანი

ქ. იე. ქალ-ვაჟიანი

კიდევ სხვა წერილი წიგნები

ქ. ივ. მეორედ მოსვლის წიგნი

ქ. იხ. ტროვატის დარღვევა

ქ. ის. ური(!) მოქცევა

ქ. ით. კიდევ რუსულიდან გამოწერილი(!) ისტორია

ქ. კ. კიდევ რუსულიდან გადმოწერილი ისტორია.

ქ. კა. თავათ(!) აღწერა

ქ. კბ. ესოფეს წიგნი

ქ. კვ. დარეჯანიანი

ქ. სამი კარაბადინი“ (12r).

2443

შეკრება ოცდაერთისა აზრისა ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონებობაზე, შედგენილი 1863 წელს.

(გადატანილია დიმიტრი ყიფიანის პირად საარქივო ფონდში 212 ნომრით).

(1014)

2444

კითხვა-მიგება. XIX

16 ფ.: 21,5×17; ქალაღი, გაყვითლებული; ახალი მუყაოს ყდა; ნაკლული; მხედრული. შავი მელანი, სათაურები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია 16v.

„კითხვა-მიგება ბასილისა და გრიგოლისაგან.— ბასილ კითხა: რა ხელობა შექმნა პირველად ყოველსა...“ 1r.

წყდება: „... ბასილ კითხა: რა არის ელევა, ასე რომე გამოკრთებინა. ანუ მეხი, რომე ჩა. .? გრიგოლ მიუგო: არს ანგელოზი...“ 16r.

2445

კრებული. XIX

20 ფ.; 22×16; ქალაღი (მოღურჯო); ლიდერინის ახალი ყდა; მხედრული, შავი მელანი; კვირნიშანი 1809 წ. (15 ფ.); [XIX ს.]; დაუწერელია 1v.

1. [ტრალეღია იფიღენია]. — „მოქმეღება I, ლამით. აღამემნონ; ღიაღ: მე ღიაღ, მე აღამემნონ, მე კელმწიფე შენი, მე დამკირნე შენის ღვიღლისა და მეგობრობისა...“ 2r—17v.

შენიშვნები: 1. ტრაგეღია რუსულიდან ქართულად გაღმოუყუთებია დავით ზოღოყაშვიღს (იხ. კ. კეკელიძე, ძვეღი ქართული მწერლობის ისტორია; ტ. II, 1952, გვ. 581).

2. ტრაგეღიის ტექსტი გამოქვეყნებულია ტრ. რუხაძის მიერ (იხ. ტრ. რუხაძე, ძვეღი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 297—333).

3. ტრაგეღიის ტექსტს წინ უძღვის „მოქმეღნი პირნი“ (1r) და სვენის აღწერა (2r).

4. ხელნაწერი აღწერიღი აქვს ტრ. რუხაძეს დასახელებულ წიგნში, გვ. 290—291.

2. [შრომისმოყუარეობისათვის]. — „... გულს მოღგინებით მას, რომღისათვსტა თქმულ არს შრომისმოყუარეობღდე თ მხოღოსათვს...“ 18r.

შენიშვნა: ტექსტი ფრაგმენტია, სულ 12 სტრიქონია.

3. „ღანიღწუა იპოკემტავროღსა.—

არა ვარ შემოქმეღი, არცა კმნიღი,

არა ოღღეს ვიყავ ხიღულ ცოცხალთა შორის...“ 18v.

4. „სქიმა ხუთთა საკოროღოთა.—

ქვეათა შინა	ნემეცები ცუღნი	ქრანცუხები ზრდიღნი	იღალიანები თავაზიანი	იშანიეღღები საღიობღღნი	ანღიეღღები დიღღებულნი...“
-------------	----------------	--------------------	----------------------	------------------------	---------------------------

19 r.

5. „თვს შოტღანღიღს ვაშტისა, ანუ საღდათის სიწრფოღებისა.—ღლასკოღსა შინა მკეღარი, სახელით რიჩარღ მეღღღტონ მოვიღა...“ 19v—20v.

შენიშვნები: 1. თხზუღება წარმოადგენს თარგმანს.

2 ხელნაწერი აღწერიღი აქვს ექ. თაყაიშვიღს წიგნში: Описание, ტ. II, გვ. 490,

1 016)

2446

თიმსარიანი (ფრაგმენტი). 1790

7 ფ.: 20,5×15,5; ქალაღი, მომწვანო; ახალი მუყაოს ყდა; თავ-ბოლონაკლული; მხედრული, შავი მელანი, სათურები სინგურით; 1790 წ. (4v);

[თიმსარიანი].— „... და მეც გაგვიწყერ და თუ მართალი გამრვიდეთ, მისი სანუქფო წყალობა გვიყავით...“ 1r.

წყდება: „... როგორც ყოფილიყო, ყმაწვილმან ესრეთ უთხრა: მაგაზედ ნუ დალონებულხარო, იმათგან რათგან ასრე...“ 4v.

შენიშვნები: 1. „თიმსარიანის“ ტექსტი გამოცემულია: „თიმსარიანი, თარგმნილი სპარსულიდან თეიმურაზ მეორის მიერ. ფედერაციის გამოცემა, 1935 წ. ფრაგმენტი მისდევს გამოცემის 108—114 გვერდებს.
2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. 1, 83. 394.)

3. 7v-ზე არის კრიპტოგრამა.

მიანაწერები. 1. „ქრისტეშობის იდ. ქკს უოდ“ (4v).

2. „შენ დაგბადა მანათობად, მზე როგორ იტყვის მზობასა, გავსილსა მთვარეს შენთანა ვინ იტყვის ლამაზობასა, ასპირად, ზოპალ, მარიხი ნატრობენ შენსა ყმობასა, მე გამაგიჟა სურვილმან, მიმცა ლახვართა სობასა“ (6r).

3. „ხელი შევიქმენ, აწ კელი, საწერელსა ჯელი ვახელი, მიუვარდა მისი საწელი, ვინ მაზედ არსა დარასაკელი“. (6r).

4. „ზღვის ლერწამო, მშვენიერო, სიმდაბლითა მონახარო, გულო, მისთვის დადაგულო, მუდამ მისი მონა ხარო“ (6r).

5. „შენ გტრფილებენ მკვრეტელნი, შენთვის საკვდავად ბდებიან, ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენზედა კრთებიან“ (6r).

6. „უმისობა, ვით გაფძლებ, შენდა იყოს შესაბამი, ამას სოფელს მიმიხლთა, თუმცა იყოს შესაბამი...“ (5v).

„ქ. პირველი ლექსი ესე ვთქვი დაუსაბამოს მიმართა, მას საქმე არსით წაუხდა, რომელმანც იმას მიმართა, ყოველს ჭკუა მისგნივა აქვსთ, სოფლის ბრძენთა და მიმართა, მეც მას ვივედრო უკვდავსა, რომელმანც სიტყვა მიმართა.

უფალო, შენგნივ მოგვეცა წვიმა და თოვლი, დარები, შენგნივ დაარსდა ქვეყანა, შენგნივ შეება კარები, აღშენდნენ ეკლესიანი, ზედ ირეკება ხარები, და მე ვისგნივ უნდა შეეშინდე, თუ რომ შენ მამეხმარები.

თუნდ ვიყო მარადის ომში, საკვდავთ ლეკის ჯარშია, თუნდ მარადის კირში ვეგდო, უდაბურს მთა და ბარშია, თუნდ განსაცდელში ჩავარდე, უარეს სხვადასხვაშია, თუ შენ მწყალობ, რა მევენება, ხმელეთზედ გინა ზღვაშია.

შენ ხარ ყოვლის მპყრობელი და ყველას უმაღლესია, სასწაულია მიმწყველი, ვისაც რა დაუთესია, ბოროტის ბადლათ ბოროტი. ვის ენა გაუღესია და კეთილის ბადლათ კეთილი, სულ კარგათ დაგიწესია.

რომელსაც უთქვამს კეთილი, ნუგეში კაცის დარდისა,
შენა ხარ მისი მოყვარე, ვით რომ ბუღბუღი ვარდისა,
სასწაულისა მიმწველი, სულ თავ-თავისი ფარდისა,
და მარადის წამწყმენდელი, მაცხონებელი მარდისა.

ღმერთი რომელსაც კაცს წყალობს, საქმე მოუა გვარზედა,
მას არაფერი ევნება, არც შინა, არცა კარზედა,
ღვთის ანგელოზი წინ უძღვის, მთას დადის, ანუ ბარზედა.
და ყველა ხეირათ მოუა, სულ რომ იაროს შარზედა.

ვინემდინ ღმერთი კაცს სწყალობს, რიგზედ ექნება წესია,
ნაფუხარით მოუა, თუნდ კლდეზედ დაუთესია,
არც მოურწყავათ გახმება არასდროს მისი ფესვია,
და ხმალიც გაუქრას დალაბრა, გინდ სულ ნუ დაუღესია.

გაშინჯე ღვთის წყალობანი, კაცისთვის როგორ კარგია,
სწრაფათ აღავებს კარიელს, ველარა ზიდოს ბარკია.
რომელსაც კაცსაც არ წყალობს, სულ არაფერში ვარგია,
და სწრაფათ გახმება მის ფესვი, თუნდ წყალთა შუა დარგია.

ღმერთი თუ კაცსა გაუწყრ: სწრაფ ასტიყდება კბილია,
კბილმოჭრილივით იქნება, მუაფე სჭამოს თუ ტკბილია,
პურიც მაშინ გაუხმება, აღარ ედება რბილია,
და ყველა ურჩათ გარდექცევა მორჩილნი, ყმა და შვილია:

სოფლათ რომელსაც ვისმესა მსახურებს ბედნიერება,
ვისაც რა უნდა უმტეროს, ყველა მას მიეფერება,
საითაც ხომალდს გაგზავნის, დროთ ქარი დაეებერება,
და გიჟურსა იქს თუ ქვიანურს, ორადვე შეუფერება“ 6v—7r.

8. „დავით თუ მანი შვილი“ (7v).

9. „მდივნის ეგნატეს ძე დავით თუ მანი შვილი“ (7v).

(1017)

2447

მირიანი. XIX

18 ფ.; 21×17; ქაღალდი; რესტავირებულნი: ახალი მუყაოს ყდა; თავ-ბოლო-
ნაკლული; შლამაზო მხედრული. შავი მელანი, სათურები სინგურით; ალაგ-ალაგ
სათურების ჩააწერი ადგილი დატოვებულია; კვირინიანი 1832 წ.; [XIX ს.]; დაუ-
წერელია 18v.

[მირიანი].— „... და კაცს არნახავადა(!) შობის ხემწიფე ერთს ხახ...
დაგპირდა და იმასი სურათი შემომიკეთა...“ 1r.

წყდება: „... ვინ ცა არა იხილა და ქვეყანასა ფერხ...“ 19r.

შენიშვნა: თხზულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იხ.: კ. კეკელიძე,
ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 334—337.

(1018)

2448

მოთხრობა მშვენიერი ქალისა და მხეცისა. 1830

37 ფ.; 18,5×23,5; ქალაღდი თეთრი; ახალი მუყაოს ყდა; მხედრული, ორი სხვა-დასხვა ხელი; მელანი შავი; დაწერილია ნიკოლოზ ყიფიანოვისა და მისი მსახურის გიორგის მიერ 1830 წ. (1v.); დაუწერელია: 37r-v.

„მოთხრობა მშვენიერის ქალისა და მხეცისა.—რომელსამე ფრიად მდიდარსა ვაჭარსა, მცხოვრებსა ერთსა საუცხოვოსა და დიდსა ქალაქსა...“ 2r—36v.

მინაწერი: „ქ. რომელიცა ვიწყებ გარდაღებად წერილისა ამის კითხვა-მიგების დიკონმა ნიკოლოზ ყიფიანოვმა, შემწეობითა მსახურის გიორგისათა, არავის ერისთვის ასულის და ჩოლოყავეის კნეინის თინათინის ბრძანებითა იწყო წერად ქალაღდი ესე აბრილის 6, ჩუღ წელსა, ხელითა ჩემითა წერილი ზ ქალაღდი, ქვემოზე გიორგის(sic) ხელითა აღიწერი-თა“(1) (1r).

(1019)

2449

მეორეთ მოხვლა. XIX

25 ფ.; 21,5×17,5; ქალაღდი; ახალი მუყაოს ყდა; მხედრული; მოყავისფერო მელანი; [XIX ს]; გადამწერი მ. თუმანოვი [24v]; დაუწერელია; 25r-v.

[მეორეთ მოხვლა].—„ღამდებოდა ქალაქსა ბოლონისა, როდესაც ერთს ვიწრო ქუჩაში მოვიდოდა დაწყნარებით ახალგაზრდა კაცი...“ 1r—24v

შენიშვნა: თხზულება მხატვრული ნაწარმოებია, მოთხრობაა. თარგმნილია რუსულიდან.

მინაწერი: „თ. მ. თ[უმანოვი]“ (24v).

(1020)

2450

კრებული. 1830

37 ფ.; 21×17,5; ქალაღდი (თეთრი); ახალი მუყაოს ყდა; მხედრული, შავი მელანი; გადამწერი—გიორგი; 1830 წ. (29r); დაუწერელია 37v.

1. „ცხოვრება ესოპესი. ცხოვრება მიდგომითა მხეცლისა ესოპესნი. მიდგომა იგი. საქმეთა, რომელ არიან კაცთა შორის...“ 1r—28v.

